

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

11 იანვარი 2013 №1 (183)

ჯიჯიჯიჯი
შობა-ახალი წლის!

გამოსვლები უეკრანოდ
მო იანის სანობელო ლექცია
სევარიონ ნადირაძის ლექსები
ნინო წიკლაურის ორი ნოველა
ნინო ვახანია რეზო თაბუკაშვილზე
იაკობ გოგებაშვილის წმინდანობისათვის
პეტრე ხვედელიძე — ოკეანის გაღმადან
პრეზიდენტის გაღვიძების უფლება
სოფიო წულაია ბექა ქურხულზე
გურამ ბენაშვილის ვიტრაჟები
ბასტოსის მერქანი და ხორცი



შინაარსი

განთიადიდან განთიადამდე	2	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ
მსარეს-ჩინბერვიუ	6	მარიამ ჯოლოგუა „არ მითმობა ის, რაც მსოლოდ მე მერგო“ (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	7	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
	13	ნინო წიკლაური ორი ნოველა
პოეზია	17	სევარიონ ნადირაძე მიჰვარს თბილისი და სხვა ლექსები
უსოეთის სსოვრებიდან	20	მო იანი მებლაპრეები
ლიბრატურული სსოვრება	25	მაია მაკალათია ზეიმი ნიბნების სსხელზე
ღიალოგი	26	„განათლება ჩვენი ქვეყნის მომავალია“ (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება გიორგი მარგველაშვილი)
წარსული მოგვლისათვის	28	მონსლოპულია ჟამი ნინდანად მისი შერაცხვისა (გიორგი გოგოლაშვილის ლექცია იაკობ გოგებაშვილზე)
რეპრეზატი	30	ეკა ბუჯიაშვილი პრეზიდენტის ბაღვიქების უფლება ჰქონდა (მუშნი ზარანდიადან ჯემალ ფოცხვერიამდე)
ჩანახტი	35	ლელა ჯიყაშვილი ბიძია ვახტანგის ნავთქურა
სად წაიყვან სალაურსა	36	პეტრე ხვედელიძე მამაშვილურად ვლოცავ...
სილუები	38	გურამ ბენაშვილი ლიბრატურული ვიტრაჟები (პოლიკარბე კაკაბაძე, შალვა კარმელი)
საიუბილოდ	43	მურთაზ ედიბერიძე ალბომი „ილია II“ — ვატრინარქის საიუბილოდ
ქრბიქა	44	ნინო ვახანია წესით მოპოვებული არსებობის უფლება (რეზო თაბუკაშვილის მოთხრობები)
	46	სოფიო წულაია ორი წერილი ბექა ქურსულზე
საორბი	50	დავით ჭელიძე თავენება აპალონა (ანუ გურამ აბაშიძე საკუთარ თავზე)
ახალი თარგმანები	53	აუგუსტო როა ბასტოსი მერქანი და სორტი
ნაქვსები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუები
მოზაიქა	63	დაკარგული მოგვიქინ...

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მარიამ ჯოლოგუა, გურამ ნიბახაშვილის ფოტოეტიუდი

ახალწლის ლამე



როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

თარგისა და მყინვარისა

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელს რამდენიმე კლამე რომ გადაეჯახებოდა, ერთ მათგანს კი ჩვენში ილია ჭავჭავაძე გაახმოვანებდა და ლამის ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად იქცეოდა, დავით წერეთლიანი ამ გარემოებას საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა ქართული „ფაუსტის“ მთარგმნელისეულ წინათქმავში, ერთ საუკეთესო ესეისტურ თხზულებად რომ წარმოგვიდგება თავისი სტილურ-კომპოზიციური დაწურულობითა და მასშტაბური ხედვით.

„მგზავრის წერილების“ ერთ პასაჟში ლორდ ბაირონი და გოეთე შეუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს — ერთი მშფოთვარე და გიჟმაჟ თერგს რომ გაუსიმბოლოვებოდა, მეორე კი ცივსა და მიუკარებელ მყინვარს, ყოველივე ქვეყნიერისაგან შორს გამდგარს.

არადა, შეხედულება გოეთეს განდგომილებისა ყოველივე ქვეყნიერისაგან, გერმანიის რევოლუციური წრებიდან გავრცელებულიყო და შესაშური სიცოცხლისუნარიანობაც გამოეჩინა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კლიშეს კი მოეპოვებოდა ერთგვარი ბიოგრაფიული საფუძველი, მაგრამ შემოქმედებითი საფუძველი — არავითარი.

რევოლუციები ხდება იქ, სადაც ქვეყანა ცუდად იმართება და ხალხის ხმას ყურს არავინ უგდებსო, — ირწმუნებოდა ვაიმარელი ბრძენი და რევოლუციების მიმართ არაკეთილგანწყობილებას ამუღავნებდა მას შემდეგ, რაც სიჭაბუკეს გამოსცდებოდა და ქარიშხლისა და შეტყვის ხანა უკან მორჩებოდა.

არ მოერიდებოდა გერმანელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, საფრანგეთის რევოლუციას აღფრთოვანებითა და იმედებით აღსავსე რომ შეეგებებოდა, და დაუფარავად გამოთქვამდა თავის შეხედულებებს, ამ, და საერთოდ რევოლუციებში უფრო მეტ ბოროტებას რომ ხედავდა, ვიდრე სიკეთეს; და ახალგაზრდების რიტორიკულ პათეტიკას სრული გულგრილობით იგერიებდა.

ისე შორიდან საფრანგეთში დატრიალებული მღელვარება მომხიბლავი რომ ეჩვენებოდათ, ნეტა მაშინ რაღას იტყოდნენ ის გერმანელი ახალგაზრდები, სემუელ ტეილორ კოლერიჯივით თუ უილიამ ჯორდესუორთივით მის შუაგულში რომ აღმოჩენილიყვნენ და... მწარე იმედგაცრუებაც განეცადათ?! აღტაცებულნი ეს ინგლისელი პოეტები იყვნენ თუ იყვნენ, დიდი გარდაქმნის დასაწყისად რომ დაიგულეს ბასტილის დაცემა და... ილუზიებიდან ერთბაშად გამორკვეულნი მიხვდნენ, რომ სიკეთის ნიღბით საზარელი ამბები დატრიალებულიყო, წალეკვით რომ ემუქრებოდა სულიერებასა და ზნეობრიობას.

ბოროტება უარესი ბოროტებით შეცვლილიყო.

გოეთეს არ დასჭირვებია ზმანებათაგან გამორკვევა და არც იმედგაცრუება განუცდია, რაკილა იმთავითვე ამოეცნო რევოლუციის მზაკვრული, ფარისევლური ბუნება, მისი მიმზიდველი გარეგნობის მიღმა ჩამალული საშინელი სტიქიურობა, ხალხისათვის საბედისწერო — დემოკრატიის ფასადს მიღმიდან ტირანიას რომ მოიყოლებოდა ანდა სრულ ანარქიას.

ერთი უკიდურესობაც და მეორეც გახლდათ არა რევოლუციის ხაზის გამრუდება, არამედ მისი ბუნებრივი ნაყოფი, მისი თავგამოდებული თუ რიგითი მონაწილენიც თავბედის წყევლას რომ მოჰყვებოდნენ — ეს რა ჩავიდინეთ, ეს რა სისხლისმსმელი ჯინი ამოვუშვიტ ბოთლიდანო.

და რაც წინასწარხედვას მოკლებული ადამიანებისათვის დაუჯერებელი ჩანდა, იმხელა გონებისა და სულიერი ძალის პიროვნებისათვის, გოეთე რომ გახლდათ, ხელისგულზე გადაშლილიყო. და რასაც ასე თვალნათლივ ხედავდა, რა გული გაუძლებდა, რომ ყველასათვის არ ემცნო.

წინასწარხედვა კი ცოდვად — თანაც უბატიებელ ცოდვად — რატომ უნდა მიკერებოდა იარლიყად და ან „ცივი“, „მიუკარებელი“ და „ქვეყნიერებისაგან შორს გამდგარი“ რატომ უნდა დარქმეულიყვნენ?!

რა — მქუხარე პატრიოტიზმისა რომ არა სწამდა?

ამ განწყობილებას ცხოვრებაშიც ისევე რომ გაურბოდა, როგორც შემოქმედებაში?

დავით წერეთლიანს სწორედ ეს მიაჩნია დასაფასებლად, გოეთეს ერთხელაც რომ არ წამოსცდენია ეს და ამგვარები: ო, დიდი გერმანიავ, როგორ მიყვარხარ და მუამაყებიო, — ავი კი — რამდენიც გნებავთ.


კარგი გული ხომ მაშინვე გრძნობდა, ამ „ავის“ თქმავში რაოდენი სიყვარული გამოხვეულიყო.

ხოლო მხატვრული მემკვიდრეობით ლორდ ბაირონს რომ შეუპირისპირებს, დაბეჯითებით შეგვაგონებს: როგორც შემოქმედი, გერმანიის პირველი პოეტი არც ცივია და არც მიუკარებელი, იგი არანაკლებ დიდი და მძაფრი ვნებებით არის დატვირთული, ვიდრე „თერგივით“ ბაირონი, იმ განსხვავებით, რომ ეს განცდები რომანტიკულად ჰიპერბოლიზებული და ნარცისული არასოდეს არ არის, უფრო ნამდვილიაო.

ამ შედარებისას მკაფიოდ გამოსჭვივის ის გარემოება, რომ ლორდ ბაირონი ცოტა გადახრილიყო „მასკულტურისაკენ“, იმის მიუხედავად, იმუამად ეს ტერმინი არსებობდა თუ არა, და მისი ვნებების სიმძაფრე ამიტომაცაა უფრო თვალშისაცემიც და ადვილად ამყოლიებელიც.

ამ ესეისტურ თხზულებაში კი ისიცაა საგანგებოდ აღნიშნული:

— როგორც ორივე შემოქმედის ღრმად მცოდნენი გვარწმუნებენ... საკუთარ სამწერლობო ენასა და მთელ მის ეფფონიურ სიმდიდრეს გერმანელი ბევრად უფრო მაღალ დონეზე ფლობდა.



ჩვენთვის იმ „ღრმად მცოდნეთა“ ამ შეხედულებას ემატება ორივე შემოქმედის კიდევ ერთი ღრმად მცოდნის — დავით წერეთლის — დასტურიც.

ეს კლიშე აუცილებლად უნდა დარღვეულიყო.

ამიტომაც ეთმობა მის განსჯას პაატა ჩხეიძისა და ჩემს მონოგრაფიაშიც „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე“ ორი ქვეთავი: „ადრეული ილია ჭავჭავაძე გოეთესა და ბაირონზე“ და „გვიანდელი ილია ჭავჭავაძე გოეთესა და ბაირონზე“, განსჯას — პირწმინდად პოლიტიკურ ჭრილში და ილიას მსოფლმხედველობის სრული შემოტრიალების ფონზე, ლიბერალიზმიდან კონსერვატიზმისაკენ, რევოლუციების მხოტბეობიდან რევოლუციების ქვეშარითი არსის გაშიშვლებასა და მათ დაგმობამდე.

რა გასაკვირია, რომ სიჭაბუკისას ლიბერალი ილია ჭავჭავაძეს ლიბერალიზმი (ბაირონი) უფრო მაღლა დაეყენებინა, ვიდრე კონსერვატიზმი (გოეთე).

და აღარც ისაა გასაკვირი და მონოგრაფიაში ვარაუდოდ გამოთქმული თვალსაზრისის სავესებით დამაჯერებელი მოჩანს, რომ ილიას:

— სიცოცხლის მიმწუხრზე აღარ მოუწია თერგისა და მყინვარის, ბაირონისა და გოეთეს შეპირისპირება, თორემ ამჯერად — რევოლუციურ განწყობლებას გამოთხოვებული — იდეალად დასახავდა სწორედაც მყინვარსა და გოეთეს, და სინანულით გაიხსენებდა „მგზავრის წერილების“ იმ პასაჟსაც და გაბროს, კაკოსა და ზაქროს სახეების შექმნასაც, ანუ გაიდეალებას ყმათა მიერ ბატონთა დახოცვისა, რასაც განამტკიცებდა იდეური მონოდება: „რა გავაგრძელო, თავადის-შვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს?!“

ერთმანეთს ავსებს „კონსერვატიზმის ისტორიისა“ და „ფაუსტის“ წინათქმის პასაჟები, პოლიტიკური და ლიტერატურული დაკვირვებანი, და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს კლიშეთა დარღვევის აუცილებლობაში — გარდასული ეპოქების მდინარებათა და პიროვნებათა სულში შესალწევადაც და მომავლის წინასწარხედვისთვისაც... უფრო მაინც მომავლის წინასწარხედვისთვისაც, წარსულის დანიშნულება რაც ყოფილა იმთავითვე, რაც ედემის ბალიდან აგვიკრავდნენ გუდანაბადს.

ორნი სინათლის წრეში

მას შემდეგ, რაც ტარიელ ჭანტურიასა და ვახტანგ ჯავახაძეს სალიტერატურო კრიტიკა ქართული ირონიულ-პაროდიული ნაკადის თვალსაჩინო წარმომადგენლებად თუ სულაც დამწყებებად შერაცხავდა, მიიჩნევდა, რომ ამით ვალი მოხდელი იყო მათ წინაშე და მათი სხვა ლექსები ნაკლებად ან სრულიადაც აღარ უნდა ვაგვხსენებოდა, როგორც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი, ვიდრე საკუთარ მონოდებას იპოვნოდნენ.

როგორც ჩანს, ტარიელ ჭანტურიას გააღიზიანებდა მისი გაიგივება თუ გასიმბოლოება მხოლოდ ერთ ნაკადთან, თუნდაც ამ ჟანრში საკმაო წარმატებისთვისაც მიეღწია, და არაერთხელ ამიტომაც გაიმეორებდა: კარგად არც ვიცი, რას წინავეს ეს ირონიულ-პაროდიული სტილისტიკაო.

და თუმცა ვახტანგ ჯავახაძეს ასე პირდაპირ არასოდეს განუცხადებია პროტესტი, საფიქრებელია, რომ მასაც აღიზიანებდეს მისი გაიგივება-გასიმბოლოება მხოლოდ პაროდიასა და ირონიასთან.

რა — მისი მთელი ციკლი თუნდ დრამატული ლექსებისა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიისთვისაა საგულისხმო?

სასწორის პინაზე იქნებ დრამატულმა ნაკადმა სულაც გადასწონოს და საკმაო უპირატესობითაც გადასწონოს ირონიულ-პაროდიული ციკლი?

მაგრამ ამჯერად შორს ნულა ვაგყვებით.

უბრალოდ ვიცოდეთ, რომ შედეგრი ვახტანგ ჯავახაძეს დრამატულ ციკლშიც არაერთი მოეპოვება და ის უსათაუროც, ამოქსოვილი ამ ფრაზასა განცდაზე — „ოღონდ ხელი არ გამიმვა“ — არამარტო თავისთავადაა შესანიშნავი ლირიკული ნიმუში, არამედ იმ მხრივაც დამაფიქრებელი, მიძღვნილი ლექსი იმავდროულად შედეგრიც რომ შეიძლება იყოს.

არადა, გავრცელებული კლიშე-ფორმულის მიხედვით, მიძღვნა და შედეგრობა ერთმანეთს გამოორიცხავს, თითქოს ან ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ არ იყოს მიძღვნითი /ალექსანდრე ბატონიშვილისადმი/ და ან აკაკი წერეთლის „განთიადი“ /დიმიტრი ყიფიანისადმი/. ის კი არა, ამ მხრივ საკმაოდ ვრცელი სიაც შეიძლება ჩამოინეროს და ამ სიაში უდავოდ დიაკავებს თავის ადგილს ვახტანგ ჯავახაძის ეს უსათაუროც, რომელიც ერთ ბიოგრაფიულ ეპიზოდს შთაეგონებინა მისთვის.

სიმონ ჩიქოვანი რომ გარდაიცვლებოდა, იმუამად მისი უმცროსი თანამოკალმე მოსკოვში იმყოფებოდა მივლინებით და დაკრძალვას ვერ დაესწრებოდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ქალბატონ მარიკას რომ ეწვეოდა მისასამძიმრებლად, მასპინძელი უამბობდა ბატონის სიმონის უკანასკნელი დღეების შესახებ. თურმე ისედაც დაბრმავებული — სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობდა, მეუღლეს ხელს ჩასჭიდებდა და ეტყოდა: სანამ შენ ხელს არ გამიშვებ, არაფერი მომივაო.

ეს ფრაზა მძაფრად აღიბეჭდებოდა ვახტანგ ჯავახაძის გულსა და გონებაში და იქ დიდხანს იტრიალებდა, ვიდრე პოეტურ სტრიქონად, ლექსის ბირთვად და კომპოზიციურ ქარგად გარდაიქმნებოდა.

— თუმცა დიდი იმედი მაქვს გულის — ნაამაგარისა, ხელი მაინც შემამველე, ხელი მაინც არ გამიშვაო, — განცდისა და რიტმის აღმურში გახ-



მარკა ელიაშვილი

სიმონ ჩიქოვანი

ვეული სტრიქონებით რომ დაინყებოდა ის დრამატული ლექსი, ფინალურ აკორდადაც ეს მღელვარება განმეორდებოდა:

**არც იმედი არ მექნება ყავარჯნის და არგანისა,
ოლონდ ხელი შემაშველე,
ოლონდ ხელი არ გამიშვა.**

სიმონ ჩიქოვანი მეტყველებდა ლირიკული გმირის ბაგით და ევედრებოდა თანამეცხედრეს: რომ არასდროს გამოიჭირდეს, როგორც ერთხელ გამიჭირდა, არ დამტოვო, არ მომშორდე, არ მომშორდე ნაბიჯითაცო.

როდესაც ტოვებდა — წამიერად, მაგრამ მაინც — ზუზუნებდნენ ბუკები და წინწილები, და ეს ხელს ისე მაგრად უჭერდა, თითქოს წყალში იძირებოდა. გაექცეოდა მეგობრების ვალებსაც და ანგარიშებსაც და არაფერიც არ მოუვიდოდა, ვიდრე ის ხელს არ გაუშვებდა.

ბევრს ახსოვდა სიმონ ჩიქოვანის აღტაცება, გალაკტიონ ტაბიძე ფანჯრიდან გადმოფრენით იმავე წამს ლეგენდაში რომ შეაბიჯებდა. სხვები თუ გაოგნდებოდნენ და დაიზაფრებოდნენ, ეს სულ სხვა განზომილებიდან შეხედავდა ამ საქციელს, არა — უფრო აქტს, და იგრძნობდნენ: შენატროდა იმის ბედს — პოეტის პოეტურ აღსასრულს, თუმც თვითონ მისი გამმეორებელი არ იყო.

მაგრამ თურმე სიმონ ჩიქოვანიც უნდა დაბინადრებულიყო ლეგენდაში, ოლონდ... მარტო არა — მეუღლესთან ერთად, იმ მარიკა ელიავასთან, ვინც თავს დაიფერვლავდა, რათა სიმონის საფლავს მიმოფრქვეოდა. ბრმა პოეტის სახებას რაღაც მაინც ლეგენდამდე აკლდა და ეს „რაღაც“ მეუღლის ის უჩვეულო გადაწყვეტილება აღმოჩნდებოდა.

ოლონდ ხელი არ გამიშვაო...

არც გაუშვია!..

მთელი ცხოვრება პოეტის მუზა გახლდათ და ახლა ლეგენდაშიც ერთად შეებიჯებინათ პოეტსაც და მის მუზასაც. ოთარ ჩხეიძის ესეი სწორედაც პოეტური განცდით განიმსჭვალებოდა, ამ ლეგენდის ირგვლივ რომ შეიკვროდა, თორემ ლექსები ლექსებად არ მოაკლდებოდა ამ წარმტაც, მართლაც ძველთა პოეტთა დასადარ კპიზოდს თანადროული საქართველოს სამწერლო ცხოვრებიდან. ეს ლადო სულაბერიძეო, ეს გივი ალხაზიშვილიო... ვახტანგ ჯავახიძის ლექსზე უშუალოდ არ აღბეჭდილიყო შთაგონების სათავე, თუმც აგერ მემუარულ-დოკუმენტური ჩანაწერების ციკლში გაამჟღავნებდა შემოქმედებით საიდუმლოს და ამ პოეტური ნიმუშის ისედაც შემძვრელ შინაარსს კიდევ ერთი სხვითაც გადაანათებდა.

არაფერიც არ მომივა, სანამ შენ ხელს არ გამიშვებო...

ლეგენდა შედუღაბებულიყო, ორი პერსონაჟი ქმნიდა მის სიუჟეტურ ქარგას, ამ ლექსის შემდეგ ხელისელჩაჭიდებულნიც რომ წარმოგვიდგებიან — სულიერად ხომ თავისთავად, და გარეგნულადაც!..

ოლონდ ხელი შემაშველე, ოლონდ ხელი არ გამიშვაო...

* * *

„ორნი“ — ასეა დასათაურებული ტარიელ ჭანტურიას ერთი პოეტური კრებული.

„სინათლის წრეში“ ეს უკვე გივი გეგჭკორის პოეტური კრებულის სახელწოდებაა.

„ორნი სინათლის წრეში“ კი ძალდაუტანებლად შეიძლება დაერქვას ამ ლეგენდას.

ლეგენდას — პოეტისა და მისი მუზისა.

პირველსანყისად — ეფთვიამ მთანინდელის მთარგმნელობითი მეთოდი

ამ ასკეტური თხზულების გამოცემა აქამდეც ძალიან გამახარებდა:

IV საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწისა და თეოლოგის, წმინდა გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისათვის და საღმრთოისა მოქალაქობისა“ — უმნიშვნელოვანესი საეკლესიო სწავლების მომწოდებლის არა იმდენად შეგონებითი, დამოძღვრითი თუ მქადაგებლური სტილით, არამედ თანმიმდევრული განხილვის წესით ანუ სისტემური მოძღვრების სახით, ფილოსოფიურ-თეოლოგიური კუთხით რომ არის განჭვრეტილი ქალწულებრივი ცხოვრების რაობა და ამიტომაცაა უარსებითესი მნიშვნელობისა ასკეტური ცხოვრების წესის შესამეცნებლად.

თარგმნის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მნათობის, X-XI საუკუნეთა მოღვაწის, წმინდა ეფთვიამ მთანინდელის მიერ.

და გამოცემულის — ვრცელი გამოკვლევის, კომენტარებისა და ქართულ-ბერძნული დოკუმენტირებული ლექსიკონის დართვით — პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მიერ. ეს კი მოასწავებდა, რომ წიგნი წარმოგვიდგებოდა უმაღლეს ფილოლოგიურ დონეზე შესრულებულ გამოცემად, თანამედროვე კვლევის ყველა მეთოდის გათვალისწინებითა და იმ იშვიათი ერუდიციით, მეცნიერული ალღოთი და სულიერი წვდომითა და ჭვრეტით, მამა გიორგის ძველ საეკლესიო მოღვაწეთა დარ, მათი ტრადიციის ღირსეულ გამგრძელებელ სასულიერო პირად რომ წარმოგვისახავს.

ხელთ გვაქვს ბრწყინვალე საეკლესიო თხზულების არანაკლებ ბრწყინვალე ქართული ვერსია — შესაფერისად შემოტანილი თეოლოგიურ და სამწერლო-კულტუროლოგიურ მიმოქცევაში.

ეფთვიამ მთანინდელის მთარგმნელობითი მეთოდი ჩვენი სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეს ეფრემ მცირეს თავის დროზე ღვთიური მადლმოფენილობის ნიმუშად განესაზღვრა.

— მას მადლითა სულისა წმიდისაითა ხელ-ენიფებოდა შემატეზაიცა და კლებაიცა.

ჩვენს დროში კი კორნელი კეკელიძეს საგანგებოდ შეესწავლა ეს მთარგმნელობითი მეთოდი, მისი რაობაც და უმთავრესი თავისებურებაც, რაც გულისხმობს ბერძნული ტექსტის ისე გადმოტანას ქართულ ენაზე, რომ გათვალისწინებული იქნას საზოგადოების მომზადების დონე მის შესათვისებლად — ამის მიხედვით განხორციელდეს ცალკეულ პასაჟთა გამოტოვება თუ განვრცობა-ინტერპრეტაცია, ხშირ შემთხვევაში სულაც თავისუფალი თარგმანი, ვიდრე დადგებოდეს დრო ორიგინალის ზუსტად /თუმც ეს სიზუსტეც თარგმნისას პირობითი გახლავთ! ამეტყველებსა ჩვენს მშობლიურ ენაზე.

კორნელი კეკელიძის საფუძვლიანი ანალიტიკური განსჯის შემდგომ ამ მეთოდის კვლევას თავთავის დაკვირვებებს შემატებდნენ: რომან მიმინოშვილი, ციალა ქურციკიძე, მაია რაფავა, თორნიკე ჭყონია და ნინო მელიქიშვილი, — და ახლა გიორგი ზვიადაძეც ღრმად ჩასძიებოდა და ყოველმხრივაც განიხილავდა, სწორედაც ნიუანსობრივი ჩაკირკიტებით, რაკილა ეფთვიამ მთანინდელის მთარგმნე-

ლობით პრინციპებს ამ ძეგლში კიდევ უფრო მეტად ეჩინა თავი.

და ეს იმიტომ, რომ დოგმატური ძეგლებისაგან განსხვავებით, გრიგოლ ნოსელის თხზულება მთარგმნელს გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებდა.

მკვლევარი წინასწარვე ივარაუდებდა, რომ ამ შესაძლებლობით ათონის მთაზე მოღვაწე წმინდა მამა და დიდი ღვთისმეტყველი აუცილებლად ისარგებლებდა, ეს გარემოება კი სწორედ ნიუანსობრივი შედარებითი ანალიზის ფონზე წარმოჩნდებოდა მთელი ღირსებით.

ამიტომაც ასკეტური თხზულებისათვის დართულ მონოგრაფიულ ნარკვევში უამრავი ნიმუშის მოხმობით ცალ-ცალკეა განხილული ტექსტის გავრცობის, შემოკლებისა და თავისუფალი თარგმანის ანუ ბერძნული ორიგინალის ეფთვიმესეული ვითარებანი, გაქართულების, აგრეთვე წმინდა წერილიდან დამონმებული ციტატები, რათა ხელშესახები შეიქნას თუ როგორ მკაფიოვდება მკითხველისათვის ავტორის ესა თუ ის მსჯელობა, აზრის გასამძაფრებლად როგორ წამოიჭრება კითხვები, იცვლება დედნისეული სტილი, ფორმის მხრივ განსხვავებულადაა მონოდებული სხვადასხვა სწავლება, მაგრამ შინაარსობრივად ყველაფერი უცვლელი რჩება. ნიუანსობრივად მაინც შესამჩნევია მთარგმნელის ჩარევანი და ზოგიერთი ცვლილებანი? ეს მაშინ, როდესაც ეფთვიმე ფართოდ იყენებს ამა თუ იმ სიტყვის სინონიმურ მნიშვნელობას.

რაც შეეხება ბიბლიურ ციტატებს, შესაძლოა უთარგმნელი დარჩენილიყო გრიგოლ ნოსელის მიერ დამონმებული ესა თუ ის ამონარიდი, ან დედანში პერიფრაზით თუ არასრული სახით მოხმობილი მუხლი გამოსწორებულიყო ბიბლიის ტექსტის შესაბამისად. გათვალსაზიროვებოდა ისიც, რომ ავტორთან დამონმებული ძველი და ახალი აღთქმის ციტატების ეფთვიმესეული თარგმანი ზოგიერთ შემთხვევაში არ თანხვდება ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ რედაქციებს.

საბოლოოდ კი ყველა დაკვირვება თუ მოსაზრება ეფრემ მცირეს ფუნდამენტურ დებულებასთან იყრის თავს: მაღლითა სულისა წმიდისათა ხელ-ენიფებოდა შემატება-იცა და კლებაციაო.

აქამდეც ძალიან გამახარებდაო...

ახლა კი იმ ერთობლივი წიგნის „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგმზე“, გამოცემის შემდეგ სულ სხვაგვარად მემშობლიურებოდა ეფთვიმე მთანმინდელის სახელიც და მის ურიცხვ თარგმანთაგან გრიგოლ ნოსელის ასკეტური თხზულების გამომზეურებაც, სულ სხვაგვარად მომეცხებოდა გულზე გიორგი ზვიადაძის თვითთული დაკვირვება და მოსაზრება ამ მთარგმნელობითი მეთოდის ირგვლივ და ეფთვიმე მთანმინდელის შერაცხვა სულაც გრიგოლ ნოსელის თანაავტორად.

ეს ხომ ის მეთოდია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა XX საუკუნის ამერიკელი სწავლულის პიტერ ვიერეკის მონოგრაფიის „კონსერვატიზმი: ჯონ ადამსიდან უინსტონ ჩერჩილამდე“ ქართულ ვერსიას.

თავდაპირველად პაატასა და მე განზრახული გვქონდა ამ კულტუროლოგიურ-ფილოსოფიური თხზულების თარგ-



მნა და ვრცელი კომენტარების, უფრო კი ექსკურსების დართვა, რათა დასავლური კონსერვატიზმის ფონზე სახიერად გამოკვეთილიყო ქართული კონსერვატიზმიც, ამასთან, „დასავლური“ ნაწილიც შეგვეცოცა იმ პასაჟებით, რაც ასერიგად სჭირდებოდა თხრობას — იქნებ არა დასავლელი მკითხველისათვის, მაგრამ აუცილებლად ჩვენი საზოგადოებისათვის.

წინ რა დაუდგება ამ ყაიდის გამოცემას, მაგრამ რალაც მაინც გულს გვაკლდა, ვგრძნობდით, კონსერვატიზმის ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს შექმნა ქართულ ენაზე უფრო მეტს მოითხოვდა ჩვენგან, ვიდრე თარგმანისათვის დართული ექსკურსებია.

და, აი, ძალდაუტანებლად გაგვახსენდებოდა ეფთვიმე მთანმინდელიც და მისი მთარგმნელობითი მეთოდიც — მთარგმნელი და კომენტატორი სულაც თანაავტორივით რომ ხდებოდა.

პასუხისმგებლობა კი დიდი გეკისრებოდა, სახელმძღვანელო სწავლულს თანაავტორად რომ უნდა ამოსდგომოდი გვერდით, მაგრამ, სამაგიეროდ, თხრობას აღარაფერი აბრკოლებდა და ნაცვლად მარტივი სტრუქტურისა — ძეგლი და მისი კომენტარები — ერთიანი თხზულება გვექნებოდა ხელთ, საერთო მრწამსსა და კომპოზიციურ ქარგას დამორჩილებული. და ქართული მასალა ამ ფონზე კიდევ უფრო შთამბეჭდავად წარმოჩნდებოდა, ვიდრე ექსკურსებიდან მონვდილი, ტექსტის სრულყოფილებიან ნაწილად რომ არ აღიქმებოდა.

მოკლე წინათქმაში აღვნიშნავდით ჩვენი შთაგონების პირველწყაროს — სულიწმინდის მაღლით აღვსილ თარგმანთა წყებასა და მთარგმნელობით მეთოდს, და დავძენდით, რომ თუმც მთლად ის მოტივი აღარ გვაშოქმედებდა, რაც თავის დროზე წმინდა ეფთვიმეს — „ჩვილი და ლიტონი“ საზოგადოება „რძითა და მხალით“ გამოგვზარდა, მაგრამ პოლიტიკურ-სოციოლოგიური და ლიტერატურული მუხტის გასაძლიერებლად მაინც ძალიან დავისაჭიროებდით ეფთვიმე მთანმინდელისებურ „შემატებასაცა და კლებასაცა“.

ამასობაში ისე გავცდებოდით ვიერეკისეული ორიგინალის კომპოზიციურ ჩარჩოს, რომ ამ სახელმძღვანელოს ქართულ ორეულს თარგმანი ვერაფრისდიდებით ვეღარ დაერქმეოდა ვერც დღევანდელი და ვერც ძველქართული წარმოდგენით და... მართლაც სამი ავტორის ერთობლივ ნაშრომად გამოიკვეთებოდა, პოსტმოდერნისტული ყაიდის გამოცემადაც შერაცხული.

თუმც ჩვენ ხომ ვიცით, რომ მისი გნებავთ ფსიქოლოგიური და გნებავთ ლიტერატურული ფესვი პოსტმოდერნიზმში კი არა, ეფთვიმე მთანმინდელის მთარგმნელობით მეთოდსა და ძველქართულ მნივნობურულ ტრადიციამი ძევს, რომელთან ცოცხალი კავშირის შენარჩუნებაც ქმნის იდეოლოგიურ საყრდენს საქართველოს სახელმწიფოებრივი აზროვნებისათვის.

... ისე განა შეიძლებოდა „კონსერვატიზმის ისტორიას“ თავისი არქექტიპი არ აღმოჩენოდა ჩვენს წარსულში?

კიდევ შეიძლებოდა... რატომაც არა... მაგრამ მაინც, მაინც...

მარიამ ჯოლოგუა

„არ მეთმოვა ის, რაც მხოლოდ მე მერგო“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- უძლურება.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- პარიზში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?

- სულის თავისუფლება.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— რებეკა ბუენდია (მარკესი), კეტრინ ერნშოუ და ხიტკლიფი (მილი ბრონტე), ლილიანი (რემარკი), ჯულია ლამბერტი (მოემი), კარლსონი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ჟანა დ'არკი, მარიამ მაგდალენა, ადმირალი ნელსონი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მოდილიანი, რემბრანტი, ვან გოგი, შაგალი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, ნინო როტა.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— მამაკაცურობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ქალურობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— შემწყნარებლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— საბედნიეროდ, ჩემი პროფესია.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არავინ. არ მეთმოვა ის, რაც მხოლოდ მე მერგო.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— პრინციპულობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— გვერდზე დგომის უნარს და როდესაც გღებულობენ ისეთს, როგორც ხარ.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ზედმეტი პრინციპულობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— თავისუფლება და წონასწორობა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— შინაგანი ბერკეტების გამოცლა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არ მიფიქრია. ვცდილობ საკუთარ თავს შევენყო.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ხასხასა მწვანე.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— იასამანი, ტიტა, ყაყაჩო.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— „ფრინველოფობია“ მაქვს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— მარკესი, კუნდერა, სელინჯერი, რემარკი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— შექსპირი, ტერენტი გრანელი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მარიამ სტიუარტი (როგორც ლიტერატურული პერსონაჟი და არა როგორც ისტორიული), ანტიგონე, ალაზა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— რეალურ ცხოვრებაში ადამიანების ძიება უფრო მაინტერესებს, ვიდრე გმირების.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— იხ. კითხვა 5.

— საყვარელი სახელები?

— გიორგი და მარიამი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიყალბეს, უტიფრობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— ჰეროდე.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ტროას ცხენი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— „პერესტროიკა“.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ძალიან მოხუცი, მაგრამ ლამაზი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მოლოდინი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— სისუსტით გამოწვეული საქციელი.

— თქვენი დევიზი?

— არ მიყვარს დევიზები და ტრაფარეტები.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ვიცი, ის ჩემზე უკეთ მოიფიქრებს სათქმელს.



ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

სარხონიან!

ალბათ სამოცდაათიანის ბოლო ან ოთხმოციათის დასაწყისი:

ნასაუზმევს, ბიჭვინთის შემოქმედებით სახლში, ვიღაც მაღალ, ხმელ, მულტფილმის „იოჟიკივით“ ჩხვლეტია, წითურთმიან მოსკოველ ახმახს მაგიდის ჩოგბურთს ვეთამაშები.

რუსამდე, დილიჯანელ თუ ლენინაკანელ, მხიარულსახიან, სომეხ მწერალს მოუფე, ახლა კედელს მიყრდნობილი, გაფაციცებული რომ უყურებდა ჩვენს პაექრობას და შავი თვალები ჩოგბურთის ბურთივით აქეთ-იქით უხტოდნენ.

სასადილოდან რეზი თვარაძე და თამაზ ჩხენკელი გამოვიდნენ.

დამინახეს. მოვიდნენ და ისინიც გვიყურებენ.

თან მამხნევენ, თან ხუმრობენ, აბა, შენ იცი, „უფროს ძმას“ არ აწყენინოო.

ერთი მე მკითხონ, მეხუმრება? — ჩემი მონინაალმდევე მძიმე, ხისტი მოთამაშეა, გაყინული, უემოციო, ერთ სიმალეზე იდაყვნამონეული მხოლოდ ბურთის გადაგდებაზე თამაშობს, მონოტონური მოძრაობით, გამაღიზიანებელი მოთმინებით ელოდება მონინაალმდევის შეცდომას.

ასე იყო თუ ისე, პირველი პარტია მაინც მოვიგე.

მეორე უნუგემოდ წავაგე, ნერვებმა მილაღატეს და ვანიავი „სატოპკე“ დარტყმები.

თამაზი და რეზი ზღვაზე გასვლას აპირებდნენ, მაგრამ მესამე პარტიაში მდგომარეობა ისე დაიძაბა, ფეხი აღარ მოიცვალეს, გულშემატკივრის მლელვარებით აფორიაქდნენ, სომეხიც მოსცილდა კედელს და რუსის ჩუმად, გვერდს მოფარებული, აწეული ცერით მაქეზებს.

ჯერ ქულა ქულაში მიდიოდა, მერე თვრამეტი თხუთმეტს რომ ვაგებდი, ბატონმა რეზომ კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა და, არ ვაჯობოს, ბიჭოო, გაღიზიანებულმა მოგუდული ხმით ჩაიდუღუნა.

თვრამეტი ჩვიდმეტზე, ჩემს ჩანოდებაზე, კიდევ ორი ქულა ავიღე, მერე იმან, მერე ისევე მე და, ბოლოს, ოცით ცხრამეტზე „მოჭრილი“ ბურთი მეც მოვჭერი, რუსმა უკან დანევა ვერ მოასწრო, მაგიდის კიდიდან უხერხული ტრაექტორიით დაბზრიალებული ბურთი ილღიაში გაუძვრა და დანებების ნიშნად ხელები ამიწია.

— ასე კაი ხანია არ მინერვიულია, ამასთან რომ წაგეგო, არ ვიცი რას გიზამდი, — დაამემუქრა რეზი.

— მაღადეც, სარხონიან! — მხარზე ხელი დამკრა თამაზმა.

ლენინაკანელმა თუ დილიჯანელმა თავის თანამოძმედ მიმილო და გახარებულმა მკლავები გამიშალა:

—სარხონიან?.. ვორდე რაციეს, ცავატანემ! (სადაური ხარ, გენაცვალე!)

ავუსხენით, რომ თამაზმა ხუმრობით, ჩვენს ბათუმელ, საკვეყნოდ ცნობილ ჩოგბურთელს, ალექსანდრე სარხონი-

ანს შემადარა და მე ისეთივე სომეხი ვარ, როგორც შენ ქართველი-მეთქი.

ცოტა კი გაუტყდა, ჩემი გამარჯვებით მოგვრილი ალტაცება გაუნელდა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, რუსს ქართველი მოუგებს თუ სომეხი, რა მნიშვნელობა აქვსო...

რეზი, მას მერეც, ჩემს დანახვაზე ხშირად იხსენებდა ხოლმე იმ დრამატულ პაექრობას — მეც არ ვიცი მაშინ ასე ძალიან რატომ ვინერვიულეო.

ლმერთმა აცხონოს, განა მართლა არ ვიცოდით, რატომაც ვინერვიულობდით?

ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლა რა დღეში ჩავარდებოდა, დიდმა მეზობელმა კაკასიონს კიდევ ერთხელ რომ გადმოლაჯა, მომზღვეული ფერდობივით რომ მოცოცავს, მოდის, მტაცებს მიწას და ცდილობს სამშობლო გამოიქმოს!..

მოკლედ, „სპორტულ კარიერაში“, ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი გამარჯვება — მე ჩემი ომი მოგებული მაქვს რუსებთან, ახლა სხვებმა სცადონ...

კუს-კუს...

ნადრევი გაზაფხულის პირველი წვიმა ფეხდაფეხ მომდევს, ხან წინ გამისწრებს, ხანაც გვერდიდან მომივლის... მოკლედ, ანცობს, მეთამაშება... გაზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის წვიმებს, ერთმანეთისაგან ხმით ვარჩევ — ეს უფრო მეტი ხალისით ხმაურობს, წკრიალებს სახურავებზე, ფანჯრის რაფებზე, ჯამბაზივით დარბის მავთულებზე, მოჩქევს დაშვებული თუნუქის მილებიდან.

გადასასვლელთან, კალათით, დაკონილი ყოჩივარდები და ფურისულეები მოუტანია სახეგაცრეცილ ბერიკაცს.

ვჩერდები, ყვავილების შესაძენად ჯიბეს ვიჩხრეკავ. მინისქვეშა გვირაბიდან, ფილაქანზე, ქუსლიანი ფეხსაცმლის შეწყობილი პაკიპუკი მესმის.

ცხადია, გოგო მოკუსკუსებს.

— კუს-კუს, კუს-კუს! — ავაცოლე ხმა ფეხსაცმლის კაკუნს და მე და ბერიკაცი ინტერესით ველოდებით, აბა ვინ ამოკუსკუსდება.

მალე ისიც გამოჩნდა, გამოჩნდა კი არა, ამობრწყინდა ჩაშავბნელებული გვირაბიდან, თან ორივე ხელში ალმოდებული ფიალებივით უნთია ხასხასა, დაცვარული ყოჩივარდები.

გამყიდველმა საყვედურის მზერა გააყოლა. მე — სინანულის...

ჩვენკენ არც მოუხედავს, ჩაიქროლა, წავიდა კოხტა ტანის რხევით.

რატომღაც ოხვრა დამცდა და თითქოს გამოვეჯიბრე, უფრო ხმამაღლა დავადევნე:

— კუს-კუს, კუს-კუს!..

კონცა

ერთ დღეში მთელი ბლეჯა ყაყაჩო გაშლილა. დიდი, ბალახმოვლებული მინდორი ამ ერთ ბლეჯას შეხარის.

ფულტკარსაც გაუღვიძია, ცეცხლის ენებივით ამონათებულ ყვავილებს თავს დაზუზუნებს, დასტრიალებს, შემოუფრენს გარეშემო, გეგონება, ერთმანეთზე უკეთესებს

* დასასრული იხ. „ჩვენი მწერლობა“, №26

შორის, ველარ გადაუნყვეტია, რომელი რომელს დაამჯობინოს.

ბოლოს ამოარჩევს, დააფრინდება ყაყაჩოს, ჩაეკვრის, ჩაეკონება, ჩაკონის და ამოფრთხილდება, ახლა მეორეს რომ დააცხრეს.

ზუზუნზე ეტყობა, ფუტკარი კმაყოფილი და გახარებულია, მაგრამ ყაყაჩო? — ხომ წარმოგიდგენია, როგორი იქნება ფუტკრის ნაკოცნი.

ტრაპეზი

ნიქოზში, კვირაცხოვლობას, წირვის შემდეგ, მეუფე ისაია ტრაპეზზე მიგვიპატიჟა.

შემოაქვთ თეფშით ყველიანი ღომი და ჯერ, რა თქმა უნდა, მეუფეს მიაართმევენ.

მერიდება ხოლმე, როცა სტუმრები მყავს და კერძი ჯერ ჩემთვის მოაქვთ, პირველად მე რომ დამიდგამენ ხოლმე, — გადმომჩურჩულა მეუფემ, — სამაგიეროდ, ვიდრე თქვენც არ მოგიტანენ, ხელს არ ვახლებ, — თხელი თითები მაჯაზე მოფერებით დამკრა და იმ განსაკუთრებული ღმილით გაეხადრა სახე, მხოლოდ მას რომ შეუძლია.

ვსაუბრობთ გადავილი ომზე, რომელიც მეუფემ აქ გადაიტანა, თავზე დააქციეს საცხოვრებელი, კელიები, ახალგადახურული, მეუფის რეზიდენციად და კულტურის ცენტრად ჩაფიქრებული შენობა, აუფეთქეს ეპარქიის ტრანსპორტი, იავარქმნეს მთელი მეურნეობა.

დაკარგულ, დაპყრობილ ტერიტორიაზე საუბრისას, სტუმარი გოგო, ნინო ელოშვილი ამბობს;

მარტყოფში, როდესაც ამ თემაზე ვლაპარაკობდით, ვწუხდით, მამაომ დაგვამშვიდა, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და, როგორ გგონიათ, წმინდა მარიამი აპატიებს იმათ, ვინც მის კაბას ქობას შემოარღვევსო?

გასაოცარია — მე უკვე დანერილი და გამოქვეყნებული მქონდა ლექსი „როკი“, რომელიც ასე მთავრდება:

**ღმერთო, შენ მაინც მოჰკითხე
ცეცხლით ვინც ამომშანთა,
ვინც მოარღვია ქართლის ცა
ღვთისმშობლის კაბის კალთას.**

ჯოჯო

სულ ასე იქნება, თავისთვის, განაბული, მზეს მიფიცხებულ თბილ სიპზე გართხმული, თუკი მყუდროებას არ დაურღვევენ, ფეხის ჩქამით ან სასროლად გამზადებული ქვით არ აიძულებენ კლდის ნაპრალებში ეძებოს თავშესაფარი.

ნენს გახურებულ ქვაზე ოდნავ თავანული, ხორკლიანი, ცქნაფა. მთრთოლვარე სხეულზე ეტყობა როგორ იწოვს მზის მაცოცხლებელ სიკეთეს.

არა, არ ეთმობა ხელისგულივით გადაპრიალებული, ფერდობს მიყუდებული ტინი, ზედ დამკვდარი ცივი ტანი ნეტარებს, თვითონ იღებს, ისრუტავს, შთანთქავს, სამაგიეროდ არაფერს გასცემს, გარდა დამფრთხალი, ზიზლიანი მზერისა.

ასეთი ჯოჯოები უხვად გამოეფინებიან ხოლმე სახელი-სუფლებო თბილ სავარძლებზე, გაუტვრინდებიან მწყალობელ ილბალს, გაანებივრებენ ამბიციურ სულსა და სხეულს და უნდა ნახოთ მათი კუთვა და ნეტარება.

ზემდგომისადმი მათი საშიში, მონური მორჩილება, ჟინი, დიდხანს შეინარჩუნონ მზის ქვეშ ადგილი, ჩვენს ცხოვრებაში ლაქებივით ტოვებს ლორწოს და უნდობლობის სიცივეს.

**ცოდვის შვილი
(ალსარება)**

თავიდან ზრდილობიანად შემოვიდნენ. „კასკები“ დერეფანში, ტახტზე მიყარეს და ბოძზე დაკიდულ პირსაბანთან მტვრიანი ოფლი ჩამოირეცხეს. ხახალზე, ღობის ძირებში წამოკრეფილი, ჯერ კიდევ მკვახე, გასაჩირი წვრილი ხილი ეყარა, ჩამოსხდნენ ტახტზე და იმის ჭამა დაიწყეს, თან გამაფრთხილეს, შორს არსად წახვიდეთ.

სად წავალ, უბანი დილიდან გაიხვეტა — ნაფუძრებში რომ ბომბი ჩამოაგდეს, ვილა გაჩერდებოდა, მალიდან ვხედავდი, ჩვენებურები, ქვემოთ, მინდორში როგორი დანიოკებულები გარბოდნენ.

ეს რომ მითხრეს, მაშინ კი ვინანე, რა ფეხი გამიხმა, რატომ მეც არ წავედი-მეთქი.

შინ შევედი.

იმ სამიდან ერთი შემომყვა, სასმელი გექნებაო.

განჯინაში პლასტმასის ორი ლიტრიანით ცოფივით არაყი მქონდა. რატომღაც ორივე გამოვიღე, იქნებ წაიღონ და თავიდან მომწყდნენ — მეთქი.

სად წავლენ!

დანარჩენებსაც დაუძახა.

ისინიც შემოვიდნენ, თითო მუჭა ქლიავი შემოიყოლეს და ხალისიანად შეუდგნენ საქმეს.

გარეთ გამოვედი.

არა, მანამდე ჭიქა მომანოდეს, დაგვილიე, იქნებ მონამ-ლულიაო.

არა ვსვამ-მეთქი.

წამოდგა ერთი, კისერზე მომხვია ხელი და ჭიქა პირთან მომიტანა.

რა მექნა.

შიშს რა სცოდნია, ორნახადმა წყალივით ჩაიარა.

არსად წახვიდეთ, კიდევ გამაფრთხილეს.

სადღა სიკვდილში ვიყავი წამსვლელი.

ვინატრე იმათი ბედი, დილას მინდორში რომ გარბოდნენ — ახლა უკვე სამშვიდობოს იქნებიან-მეთქი.

არაყით ხელ-ფეხმოდუნებული ვიჯექი დერეფანში, ტახტზე. ძროხის ზმულიმა გამიმაფხიზლა — მეორე დღე იყო, არ მომენვენლა

იმათთვისაც თვალი რომ მედევნებინა, ბოსლის კარი ნახევრად მივაყენე, დაბალი სკამი ფურედდოს ფეხებთან მივედგი და სათლიდან დუბელა წყლით ცური ჩამოვბანე.

ძროხა ადგილზე ტოკავდა, დაბერილი ჯიქანი აწუხებდა, რამდენჯერაც მოვნიე, ფეხი ამიკრა, რძეს ვერ მაძლევდა, იტანჯებოდა.

ესე შიშმაც იცის და დავუყვავე, მოვეფერე ფერდზე.

„ცურები“ მეც მანუხებდა, ლიფში ავი წინათგრძნობით დაიბურთნენ, თითქოს პურის ცომივით ამიფუვნდნენ და სა-

სუნთქი გადამიკეტეს. აკანკალებული თითები არ მემორ-
ჩილებოდნენ. არაყი ყელში ამოსანთხევად მანვებოდა. და-
დამბლავებული ხელით როგორც იქნა საკინძე ჩავისხენი.
მეც შვება მომეცა და ძროხასაც — ხელისგულებით ვიგრ-
ძენი დვრილებში რძემ როგორ ჩამოირბინა, სათლის ძირში
აჩხრიალებული თეთრად აქაფდა.

თითებში ძალა მომეცა, უფრო ღონივრად გამოვწველე,
თითქოს ჯიქანზე ვიყრიდი ჯავრს, თუმცა არ ვიცოდი რა
დააშავა.

ბოსლის შეღებული კარიდან მესმოდა ოთახში როგორ
მატულობდა ხმაური.

ენის ცოდნა არ არის საჭირო, რომ მიხვდე როცა იგინე-
ბიან, სიმთვრალისაგან ამღვრეულები რომ ბოროტდებიან.

რომელიც უფროსობდა,
ჯერ ის გამოვიდა, შარვლის
უბე გაიხსნა, დერეფანშივე
ამოიღო და ჩემს დასანახა-
ვად, იქვე მიუშვა.

რწევა-რწევით ფსამდა,
თან ღლიღინებდა.

მერე ზურგმეტყეულმა
დაიქნია, დაბერტყა, უკან ჩა-
აბრუნა, მაგრამ უბე აღარ შე-
იკრა, ფენშიჩინა, სადა ხარო,
ეზოში გამობრაცუნდა.

ჩემს მაგივრად ძროხა გა-
ეპასუხა ზმუილით.

რა ექნა, ესეც ხომ „ფენშ-
ჩინაა...“

კიდევ ერთხელ ვინანე,
ჯანდაბას სახლ-კარი და სა-
ქონელი, უნდა მეც გავქცეუ-
ლიყავი-მეთქი, მაგრამ ან
ომის ან მშვიდობის ხეირი-
ნად ვინ რა გაგავაგებინა,
გაქცევა აქეთ დავგასწრეს,
თანაც, ეს ჩვენებურები რომ გარბოდნენ, ქარსაცავი ზო-
ლის ალვის ხეების სიმაღლეზე გადაუფრინათ „ვერტალი-
ოტმა“ და ხალხის წიოკი აქამდე ამოდიოდა, დიდ-პატარა,
ზოგი, უთავბოლოდ, ბაღებში გაიფანტა, დანარჩენები კი
ეგრე დაეფინენ მინაზე... არა, მაღლიდან არ უსვრიათ, ში-
შისაგან, ეტყობა, მუხლი მოეკეცათ. ამის დამნახავი ფეხს
საღლა გავადგამდი...

ჩემმა სტუმარმა ეზო მოათვალიერა, სიცხით გაოგნე-
ბულ მზეს ახედა და თოკივით გაბმულ ზმუილს გამოჰყვა.

თითები უფრო სწრაფად ამუშავდნენ, ჩემს ნაცვლად
თითქოს ისინი გარბოდნენ, ეძალავებოდნენ დაჩუტულ ცუ-
რისთავებს.

ვილაცამ ხელი ჩემს ნერვიულობით აცეკვებულ, აკანკა-
ლებულ მუხლისთავებს გადაატარა.

მუჭში მოქცეული დვრილები ხელისგულებზე თავისთა-
ვად გაცურდნენ და ეგრევე დამრჩნენ წინნაშვერილი მკლა-
ვები.

ყანყრატოს ყლურტ-ყლურტზე მივხვდი, რომ მოძალა-
დე რძეს პირდაპირ სათლიდან სვამდა.

მერე ეს ხმა შეწყდა — ძირს დადგმულმა სათლის ძირმა,
აღბათ, კენჭზე გაიხრჩიალა და სიჩუმე ჩამოვარდა.

ერთ წამში რას არ იფიქრებს ადამიანი. გამახსენდა, ავ-
ტომატების გარდა, წელზე დანებიც რომ ეკიდათ და ად-
გილზევე გავქერი, თითქოს ვგრძნობდი ყელზე დასმულ
პრიალა დანისპირს, რომ უცებ ორი ხელი მხრებში დამწე-
და, მკლავებს ჩამოჰყვა, ჯერ გაავეებული ძუძუები მოჯგვ-
ლიმა და მერე ქვემოთ, მუცლისაკენ ჩაინაცვლა.

იქვე, ძროხისათვის გამოგლეჯილ ბალახში ჩამჩეხა.
რა აზრი ჰქონდა წინააღმდეგობის განევას.

სისხლი რომ გამომსვლოდა, იმასაც დახვრეპავდა, ისე-
თი სახე ჰქონდა.

ძროხამ ზმუილით მომხედა.

კისერგადაგდებულმა თვალებით ვთხოვე, შენ მაინც ნუ
მიყურებ-მეთქი.



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

კაცი ძუძუს კერტებს მამ-
დღვნიდა. მეგონა იქიდან გა-
დმოსული ხსენის სუნი ასდი-
ოდა.

აღბათ, ასე ებრძოდა ჩვი-
ლობისას თავის დედას. რომ
მყვარებოდა, აღბათ, რალაც
მშობლიურს ვიგრძნობდი,
მაგრამ ახლა...

მორჩა და გვერდზე გადა-
გორდა, მკლავებგაშლილი ეგ-
რევე დარჩა ჩემს მინაზე, ჩემი
არაყით მთვრალი, ჩემი ძრო-
ხის რძითა და ჩემი სხეულით
გამძლარი... მაშინ მივხვდი
რასაც ჰქვია ნამუსის ახდა,
გავიგე, რა მძიმეა, უპატრო-
ნო, მიტოვებული ქვეყნის შვი-
ლობა...

რალა ბევრი გავაგრძელო,
ის ორიც მოვისტუმრე.

ცოტაც და, გრძნობას დავ-
კარგავდი, მაგრამ მესამემ გა-

მამზიარულა — არაფერი გამოსდიოდა, ტყუილად ქანაობდა,
ხვენმოდა, წვალობდა... მე სიცილი ამივარდა, ველარ ვწერ-
დებოდი, რომ არ მეკივლა დავიხრჩობოდი... ჩემმა სიცილმა,
ის ცვედინი, სულ გააცოფა, მაგრამ რომ ველარ გამაჩერა,
სახსოვარი დამიტოვა, ნიკაპთან მიკბინა არაკაცმა...

რძიანი სათლი ახლა ამან მოიყუდა, რაც ვერ დალია,
თავზე გადაივლო... ლორი!.. იმანაც ასე იცის, რასაც ვერ
შეჭამს, ტამტიანად ამოატრიალებს ხოლმე.

შემძულდა კაცის სახსენებელი.

ეგრე, ბალახებში ჩამხობილი დამტოვეს და ეზოდან
ბარბაცით გაეთრნენ...

აუჰ, ხანდახან მაინც როგორ მომერევა ხოლმე — დანა-
ნებით ჩაილაპარაკა ქალმა და საფეთქლები გამეტებით მო-
ისრისა.

მამაო, აი, ეს არის მაშინდელი, „კოლექტიური“ შრომის
ნაყოფი, მე აღარავის იმედი აღარა მაქვს, ამან, ამ ცოდვის
შვილმა უნდა ამომყაროს ყველას ჯავრი, — რუში მოტოპავე
სამიოდე წლის ქერთიან ბიჭს ქალმა კლდეებიდან ახვენ-
ილი, მტაცებელი ფრინველივით გაბოროტებული თვალებით

დახედა, დაიხარა, მხრებში კლანჭებივით თითებით ჩააფრინდა, ფეხებასხმარტალებული, ანიოკებული ბავშვი რუდან ამოიტაცა და ლტოლვილების დასახლებისაკენ წაანიალა.

პატრიოტი

ხეირიანად არ მახსოვს, ეს ქალბატონი, ახლა რომელი-ღაც პარტიის საანგარიშო კრებაზე, ტრიბუნაზე ამხედრებული ყველაფერს რომ იბღღენიდა, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, ჩვენს ქალაქში ზუსტად როდის ჩამობრძანდა.

მგონი, გეზი, სამხრეთისაკენ ჰქონდა აღებული და ერთი ღამით ჩვენთან შეჩერდა — როგორც მახსოვს, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-გადარჩენის საკითხებზე ჩაღიზობდა, ამ მართლაც პრობლემური საკითხის შემდგომ ბედს უკავშირებდა თავის ვიზიტს ყოფილ საათბავგოში.

მოინახულა რეგიონის თავკაციც და არც კაბინეტში, არც ვახშამზე არ დაუმაღავს თავისი უკმაყოფილება პრეზიდენტის პოზიციის, უფრო სწორად „უპოზიციობის“ გამო — ამაზე წმინდა, საჩქარო და საღვთო საქმე რა უნდა იყოს, შთამომავლობას წარსული გადაურჩინოვო.

რეგიონის თავკაცმა შორს დაიჭირა — მაგისტვის ქვეყანამ უნდა მოიცალოს, მოითქვას სული, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად, ჩვენ კიდევე, ჯერჯერობით, ხომ ხედავ რა დღეშიც ვართო...

ვახშამი ხანგრძლივ კამათად გადაიქცა.

ენერგიულმა ქალბატონმა, თვალებიდან და სხეულის ყოველი ნაკვირვანი თინიან თავდაჯერებულობას რომ აფრქვევდა, არ დაუთმო მასპინძელს, ისევე და ისევე ღვთისა და მოვალეობის სახელით, რა თქმა უნდა.

ქალს ერთი ჩადგმული ჯეელიც ახლდა, რომელიც თავის მძლოლად გაგვაცნო და ამ კამათში მოწინააღმდეგეობას არ იღებდა, ინტერესსაც კი არ ამჟღავნებდა, ჭიქას ჭიქაზე გვიჭახუნებდა და თავგამოდებით ყლურწავდა.

მეორე დილით სასტუმროში მივაკითხეთ, საუზმის გარეშე რომ არ წასულიყვნენ.

მაგიდა შევეუკვეთეთ და ვაჭრობის განყოფილების ინსტრუქტორი, სტუმრების დასაძახებლად, მეორე სართულზე ავიდა.

რამდენიმე წუთიც არ გასულა, რომ ისედაც ბავშვური გამომეტყველების, ჩასუქებული მოპატიჟე, გახვითქული, რეტდასხმულივით გამოგვეცხადა.

ვიფიქრე, ალბათ, უკვე გაგავასწრეს-მეთქი.

არაო, ამოილულულა, მალე გვეახლებიანო.

ავიჩეჩე მხრები, მაგრამ აღარაფერი არ მიკითხავს.

ჩამოვიდნენ, ვისაუზმეთ, რაც შეგვეძლო არ დავაკელით პატივისცემა და მანქანამდე მივაცილეთ.

ქერა, მწვანეთვალა მანდილოსანმა, ვიდრე მანქანის კარს მიხურავდა, ინსტრუქტორი თითით თავისთან მიიხმო და მკაცრი ტონით უთხრა, ყმანვილო, ჩემგან დაიხსომეთ, ვიდრე სასტუმროს, და არა მხოლოდ სასტუმროს კარს შეაღებთ, უნდა დააკაუნოთ, ამას ელემენტარული ზრდილობის ანბანი მოითხოვსო.

დავისხომებო, მორჩილად დაუკრა თავი კიდევე უფრო ნინწამხდარმა მოპატიჟემ.

ვაჰ, მთლად ტყემალზე დავჯექი!

მანქანამ უხარისხო ბენზინის ნაწმვის სუნი დაგვიტოვა და ინსტრუქტორს მივუბრუნდი, რა ქარაგმებით ლაპარაკობდით, ვერ გავიგე, ეგეთი რა შესცოდე-მეთქი.

მე — არა, იმათ შესცოდეს — კაცის ნომერში შევედი და რას ვხედავ, მძლოლი, დივანზე, ამ ფეხებაპლაკულ დედა-კაცს უბერავს... დაბნეული ადგილიდან ველარ გავინძერი...

— მოგეჩვენებოდა, ალბათ სულს უბერავდა...

— კი, კი, სულსაც და სხვა რამესაც... — როგორც იქნა, გაიღიმა, — არა, კარი მაინც ჩაეკეტათ...

გამახსენდა, წინა საღამოს, სუფრასთან ქალბატონის ნათქვამი, ტყუილზე ამენებული ქვეყანა, შორს ვერ წავაო.

ვერც ის საქმე წავიდა წინ, რომლის აღსასრულებლადც რკინის ქალამანი ჩაეცვა და ხელში რკინის კეტი აეღო... ეტყობა ტყუილის ფეხები ჰქონდა მის „გულწრფელ“ განზრახვას...

ტყუილი არც ქვეყანას არ უნდა აკადრო და არც შენ თავსო — საანგარიშო კრებაზე, ტრიბუნის კიდეებს ორივე ხელით ისე ჩაფრენოდა, როგორც ამორძალი თავანწყვეტილი ულაცის სადავეებს.

თავისი კურო რომ მძლოლად შემოგვასალა, ეს ტყუილი ვითომ არაფერი.

არაფერი... არაფერი...

არა, კაცო, კარი მაინც ჩაეკეტათ, კარიო, იმეორებდა გვიან-გვიან გულმოსული ინსტრუქტორი.

პოლკოვნიკი

რომელიღაც წელს, რომელიღაც მატარებელში, რომელიღაც კუბეში:

— განა თქვენ კი გვეულებათ თუნდაც ერთი ნამდვილი მამაკაცი, რომელსაც ოცნებაში მაინც არ წაუღუნია ლამაზი ცოლის ნათესავი? — ოფიცრის შავი, ლაპალაპა ჩექმების ჭრაჭუნით შემოვიდა მხარზე პირსახოცგადაკიდებული თანამგზავრი, გალიფეში ღიმილიანი პოლკოვნიკი, ჯანაიან მკერდზე გადაძაგრული „პოდტიაჟეკები“ გაატკაცუნა, კუბეში მყოფებს თვალი მოგვავლო და სალდაფონური უტიფრობით ჩაიხითხითა, — ჩემო ძვირფასებო, მე პირადად არ მეულებათ... მითუმეტეს, თუ ატყობ, რომ მამალი დედლობს და ვერ აწვება, როგორც საჭიროა... — გიმნასტურაში მკლავები გაუყარა და აშლილი თმა ორივე ხელით უკან, კეფისკენ გადაიწურა.

სანოლში წამომჯდარმა, ახალგაღვიძებულმა ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ, ვინ არის ეს დაცენტრილი, ამ დილაადრიან რა ცოლის ნათესავი აუტყდაო, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, აღნიშნულ საჩოთირო თემაზე, ვაგონის კავკასიური წარმომავლობის გამყოლთან (როგორც ზოგადად გვეძახიან ჩრდილოელები) უკვე ჰქონდა კუბეში შემოსვლამდე კამათი.

— ამის აღიარებასაც ვაჟკაცობა უნდა... იოლი არ არის! — „ნარზანის“ ბოთლი მაგიდის კიდეზე ჩამოჰკრა და თავსახური გააგდებინა.

ყელგადაწეული ხმაურით სვამდა, სამამულო წარმოების ელექტროსაპარსით დალუდებულ ყანყრატოს მაცოცხლებელი მინერალური წყალი უგრილებდა და ინდაურივით გამოწეული ჩიჩახვი, გაჭედლი უნიტაზივით ამობუყბუყდებოდა ხოლმე...

ნაშუადღევს სადღაც დაიკარგა, როგორც გაირკვა, ჩვენს მომდევნო ვაგონში ნაცნობებს გადააწყდა და კარგად შეზარხობებული დაბრუნდა.

ხელჩანთის საკეტები ტკაცუნით გახსნა, პირსახოცითა და კბილის ჯაგრისით ტამბურში, პირსაბანში გავიდა და, როცა დაბრუნდა, ტალანში, ფანჯარასთან ვიდექი.

ვიგრძენი რომ დამაკვირდა, მაგრამ არ მიმიხედავს, დილანდელი ნათქვამით გალიზიანებულს, ამ გაფიჭვინებული სახის დანახვა არ შეემძლო.

კუპის კარი მიიკეტა.

მატარებელი ყრუ სიბნელეში გარბოდა, გამაფრთხილებელი კივილით მისდევდა უსიერ ტყეში მოზორიალე ღამის ლანდებს.

არაფერი არ ჩანდა. აქა-იქა, შუქნიშნებიდან გამოჭიატებულ სინათლის მკრთალ სინათლეზე, აცვენილი ემალივით გაიღვებდნენ ხოლმე ხშირი, წვრილი ფიფქები, ჩვენს საპირისპიროდ რომ მიფრინავდნენ და ვაგონის კედლებს კანწავდნენ.

ფანჯრის სახელურს, ჩემს გვერდით მომდგარი პოლკოვნიკის წითური, ბალნიანი თითები ჩაეჭიდა.

— კუბეში ცხელა. საბჭოთა მატარებელში კი ფანჯრის გაღება არ შეიძლება.

— ალბათ, მუშათა კლასი რომ არ გაცივდეს.

— ალბათ...

ორივეს გაგვეცინა.

— მართლაც გასაკვირია, თუ ფანჯარაა, უნდა იღებოდეს, თუ არ იღება, რაღა ფანჯარაა...

— ეჰ, ჩემო ძმაო, რამდენი რამეა რომელიც „ისეა“, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, თურმე „ასეა“... გამივით?

— რა თქმა უნდა!

— აბა, დილას რატომ არ დამეთანხმეთ, განა არ იცით, რომ ცოდვილი იბადება ადამიანი და ცოდვილი მიდის?

— რაც თქვენ ბრძანეთ, ეგ უკვე ცოდვაზე მეტია, რაღაც... როგორ გითხრათ... ანომალიაა...

— რაც გინდათ დაარქვით... მე მაგ გაუგებრობის მსხვერპლი ვარ!

გაოცებულმა დაუფარავი ზიზღით მივხედე:

— თქვენ?.. ვერ გავიგე, თქვენ ხართ მსხვერპლი თუ ცოლის ღამაზი ახლობელი?

— მე-მეთქი, გასაგებად არ ვთქვი?

მატარებელი სადღაც, რომელიღაც მოსახვევში მოიკალა და უკან გადაგვაქანა. ერთ-ერთი კუბიდან გულიანი გინება მოისმა, ეტყობა მგ ზავრმა კედელს თავი რეხვა.

— რამდენიმე დღის წინ უფრო ჯეელი ვიყავი... ბოლო დღეებმა დამაბერეს, — ტირილის ხმაზე მკერდი ჩაიმჯილა, ხელი გადამხვია და გულ-მუცელში დაგუბებული სასმელის ორთქლი ამოაფრქვია, — მთელი ცხოვრება ნაწილიდან ნაწილში, ყაზარმიდან ყაზარმაში დავწანწალე... რა ვქნა, ვემსახურები საბჭოთა კავშირს!.. როგორც შემიძლია... ორდენებით და მედლებით მკერდი მაქვს დამძიმებული... მეგონა კაცი ვარ, სინამდვილეში... ვბრუნდები შინ, მივლინებიდან, ერთი დღით ადრე, შუადღისას, ვაღებ ჩემი გასაღებით კარს და, საძინებელში, ჩემი ძუქნა კრუტუნებს, თანაც ვისთან?.. იარაღი წელზე მაქვს, გასისინებული მაკაროვი, პირში მიცემული ტყვიით... მე კი, იმის ნაცვლად, რომ ორივე ერთმანეთს დავაკლა, როგორც შევედი ხელჩანთით, ეგრევე უკან გამოვედი, გამოვიხურე კარი... არა-

და, მე და ჩემს ქვისლს, როგორი ძმობა გექონდა, იცი?.. დავნერე სამსახურში რაპორტი, ამ დაკარგულში, ნაწილის უფროსად გადმოყვანა მოვითხოვე... არც შეილებს გამოვეთხოვე, არც მეგობრებს, დავკარი ფეხი და ნამოვედი... ჰოდა, ეგეთი ზიზღით ნუ მიყურებ, რადგან ძალიან, ძალიან უბედური კაცი გელაპარაკება, თანაც იცი, რატომ... არ იცი! — უბედური იმიტომ, კი არა, რომ ცოლია... მოკლედ, როგორც არის — იმიტომ რომ მაინც მიყვარს!.. გესმის, ძმაო, უფრო მეტად, ვიდრე აქამდე... ისიც არ ვიცი, რომ დამირეკოს და პატიება მთხოვოს, როგორ მოვიქცევი...

ხელი ჩამოიღო. ჩემს უკან კუპეს კარი გახრჭიალდა.

— ასეა ეს საქმე!.. შორს ამიტომ მივდივარ, იმას გავურბივარ — მოკლედ, ვემსახურები საბჭოთა კავშირს!..

კუპეს კარი ისევ გახრჭიალდა და ტალანში სიჩუმე ჩამოვარდა.

სიჩუმე, რომელსაც გარედან შემოსული დგანდგარი ანგრევდა.

მეორე დღით, რომელიღაც უმნიშვნელო ბაქანზე, რომელიღაც გადასარბენზე, მთელი მატარებლიდან მგონი მხოლოდ პოლკოვნიკი ჩავიდა.

ბაქანზე, დამხდურმა ჯარისკაცებმა, ხელი აუღეს, ჩანთა ჩამოართვეს. პოლკოვნიკმა შინელის ანეული საყელოს ზემოდან გამომხედა, ორი, შეტყუებული თითი კოკარდის ქუდთან მიიტანა, ჯარისკაცებს შუაში ჩაუდგა და სამივე ნაძვების კორომსა და სადგურს შორის დატოვებული გასასვლელისაკენ წავიდა.

ელექტრომაგლის კვილზე, ტოტზე ჩათვლემილმა, ჩამოსავარდნად გადაქანებულმა, გულგახეთქილმა ყვავამა მიძვლებს ჩამოსჩხავლა.

— ღმერთო, რამდენი გაჭირებული ჰყავს ამ ქვეყანას! — დაძრული ვაგონის კიბეზე ფეხი შემოდგა გამყოლმა, — იცი, გუშინ რა მითხრა ამ ჩვენმა დარეხვილმა პოლკოვნიკმა?..

— არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე!

— ვაა, ეგ როგორ... არ იცი და არც გინდა იცოდე!.. — გალიზიანებულმა, მოგიკვდეს პატრონიო, ჩარჩოში გაჭედული კარს წიხლი მიაყოლა და, როგორც იქნა, საკეტი გადაატრიალა.

შვილანის ნვიმა

„ატირებული ვაკაკუნებ, გამიღეთ კარი,“ — თითქოს ძილში ჩამესმის პოეტის სიტყვები.

მეორე ღამეა მაისის ნვიმა რაფაზე აკაკუნებს, როგორც უბინაო, ღარიბი სტუდენტი ნათესავი — გაუბედავი, ფრთხილი, ვაითუ მასპინძელს გული მოუვიდეს და კარი არ გაუღოს.

თავს ძალა დავატანე, ძილი დავიფრთხე და ფანჯარა გავაღე.

რაფაზე უამრავი წვეთი ბრჭყვიალებს.

შემოდი-მეთქი, ვეპატიუები, მაგრამ ამხელა ნვიმა ჩემს პატარა ბინაში როგორ შემოეტევა, მერე ხელს ვუნწვი რომ მივეხმარო და ბავშვივით რაფაზე ამოებლოტოს.

იდაყვიდან თითებისკენ წურწურით გამდის წყალი.

ოდესღაც ნვიმაში განუწული, ერთმანეთს თავმიყრდნობილი ბოჩოლებივით ვიდექით, ყურთან რომ ჩაიჩურჩულე:

„ველის შროშანი!“

ყვავილი სწორედ ჩვენ ცხვირწინ ამოზრდილიყო.

მანამდე სულ სხვანაირი მეგონა, უფრო მკაცრ ფერებში, გათხოვებაზე ხელჩაქნეული ქალწულივით გულდასურული, მხოლოდ პირველი სხივების გამოზრდისას რომ გადაშლიდა ნამით აბრწყვილებულ ფოთლებს და ნაძალადევი ღიმილთან ერთად მსუბუქი ოხვრას ამოიფშვენდა... შრ... შრ... შრო... შრო... შროშა... შროშა... ნი...

მე სადღაც იდუმალ მხარეს, უცხო ნალკოტში მეგულებოდა. ცხრათავიანი დევები რომ დარაჯობდნენ და ის კი თურმე ყურისძირში, დაცემულ პატარა ტაფობში ღალანებდა...

იმ წვიმამ გადაიარა.

ალარც შენ და ალარც შროშანი.

საიდანღაც ახლად მოთიბული ბალახის სუნი მოდის, როგორც კვამლის ფიორი, მოძვრება წვეთებით ნაქსოვი, დამკვებელი ფარდის ხვეულებში.

ამ შუალამით, ამ წვიმაში ვინ თიბავს ბალახს? ბალახს ვინ თიბავს ამ წვიმიან შუალამში?

კითხულობს პოეტი, თუმცა იცის, რომ პასუხს არავინ გასცემს.

მუხტარა

ნეტო ჩვიდმეტში, ნეტო თვრამეტში... რას გამიხურე, ეგებ სამოცდაცხრამეტიც იყო, ამდენი ხანი ვავიდა, რაღა... გაუყვევით ძველი ყამირელების კვალს შუა აზიაში, თან თვალს წყალს დააღვივინებთ, თანაც, რასაც დანერთ, დაგებეჭდავთ — ეგეც ხეირია, ახალგაზრდები ხართ, მეტი რა შეგარჩებათო, — გვითხრა თავმჯდომარემ ჩვენი უწყებისა, — ...რა გვენაღვლებოდა, ავიღეთ სამივლინებო მაყუთი, ცოტა ჩვენიც დავამატეთ და, ჰაიდა.

სავარაუდოდ საინგილოს რომ გადავუფრინეთ, ჩვენი ნალკოტი უკან მოვიტოვეთ, მერე ბაქოს და კასპიის ზღვას რომ გავცდით, დაიწყო და რა დაიწყო — ჩამავალი მზის სხივებით გაფიცებული, ქარიშხლებით აბორგებული ნი-თელი ქვიშების ოკეანე...

ხანგრძლივი ფრენის შემდეგ ჩავედით დანიშნულების ადგილზე — ცაში ხომ არ დავრჩებოდით, დაგვაბინავეს მასპინძლებმა სასტუმროში და, საღამოს, იურტას ტიპის რესტორანში, სავახშმოდ მიგვიწვიეს.

სუფრასთან ოთხნი ვართ, მე, ნუგზარი, კომკავშირის ცეკას ავითაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე, გვარად აღდანოვი და მისი ინსტრუქტორი, ყვრიმალეზგაზი-დული, ვინროთვალემა მუხტარა, მორიდებული, კეთილად მომღიმარი ბიჭი.

რა დავლიოთო, გვკითხეს მასპინძლებმა.

რასაც თქვენ მიირთმევთო.

მოატანინეს „შშენიჩნი“ და, ჩვენი ხათრით სადღაც, საბჭოეთის რომელიღაც მხარეში ჩამოსხმული ვითომ ქართული ღვინო „ახაშენი“, მაგრამ რომ გავსინჯეთ, ის ისე იყო ახაშენი, როგორც მე მონღოლთა ნოინი. არადა, განყოფილების გამგემ, რომელიც, მშვენივრად იცნობდა ქართულ კულტურას, მუსიკალურ ფოლკლორს, თეატრს, ოპერებს, გაიღიმა, რა თქმა უნდა, ეს ის არ არის, თქვენთან სტუმრო-

ბისას რომ გამისინჯავსო, და „მშობლიურ“ რუსულ არაყს მივანეჭით.

მიდის აუმღვრეველი, გემრიელი პურობა, რომ უცებ, დროზე ადრე შემთვრალმა მუხტარამ თავი ასწია, მის მოკრძალებულ გამოხედვაში უცნაური ნაპერწკლები აირივნენ და ნუგზარს ჯიქურ მიმართა, მინდა პატივი გცე, ამაღამ, როგორც ჩვენი მამა-პაპური ტრადიციაა, შინ, ჩემ ცოლთან უნდა ნაგიყვანოვო.

გესმის, რასა სთავაზობს ეს ქაჯი?

ჰო, ზუსტად ეგრე, ჩემ ცოლთანო, ბიჭო!

ორივე დავფხიზლდით. დავფხიზლდით კი არა, ტყემლის კენწეროზე მოვექექით, გვეგონა მოგვესმა, მაგრამ მუხტარა რის მუხტარაა თავის ნათქვამს თუ გადავა... კიდევ მოვიყრუეთ ყური, მაგრამ ეს ნუგზარა უნდა ნახო, ხო შავგვრემანია, მსხვილ ქუთუთოებზე გადმოხურული წარბებით — ეგრე ალაპლაპდა, როგორც ნაკვერჩხალი.

გამგე დროულად ჩაერია, ინსტრუქტორს ჩამოქაჩა და თვალები გადაუტრიალა, ესენი სხვა კულტურის ხალხის შვილები არიან და სისულელეებს მოეშვიო.

მუხტარაც მოეშვა, თუმცა ვერ გაიგო, შეთავაზებაზე რატომ ათქმევინებენ უარს, ჩაჰკიდა თავი, დახარა ნაწყენი თვალები, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მუხტარა რის მუხტარაა, თანაც უფრო თვრება, ხომ არ ფხიზლდება.

უცებ ისევე ავარდა ჯიგარი, გადმოსწვდა ნუგზარას მავას და, უნდა წამოხვიდე, ჩემ ცოლთან, პატივი მინდა გცე, თუ ძმობაა, ძმობა იყოსო...

უარესად აირია ნუგზარა, რას გადამეკიდა, ეს ჩემისაო, გადმომჩურჩულა, ვიდრე განყოფილების გამგე მუხტარას ხელახლა მოძღვრავდა.

ეგ ისეთი კერკეტი კაკალი ჩანს, მაინც არ მოგასვენებს-მეთქი.

გაეცინა.

ჯანდაბას ჩემი თავი, გავყვებოდი, პატივს ვცემდი, ამით ტრადიციას, მაგრამ ხომ წარმოგიდგენია, ამის ცოლი რას ემგვანებაო.

რა ვიცი, თუ გინდა გაჰყვევი მაგრამ მერე რა მოხდება თუ იცი-მეთქი.

რა უნდა მოხდესო, დაინტერესდა.

— რა და, დაახლოებით ათ დღეში, ჰა და ჰა, განელე-გაფხრინე, ორ კვირაში, აი ეგ მზეჭაბუკი, აღსაკალი მუხტარა, თბილისში დაგიკრავს თავს.

— დამიკრავს და დამიკრას, სტუმარს როდის გაჰქცევია ქართველი კაცი.

— ეე, სულ გამოლენჩდი, ძმაო, ჩამოვა და, აბა, ჯიგარო, იქ რომ იბაირამე, — ვითომ თბილისიდან ცერით შუა აზიისაკენ ვანიშნე, — ახლა შენი რიგიაო... მოკლედ, სამაგიეროს გადახდას მოვთხოვს.

— ეე, ეგ რა მითხარი, ბიჭო, დაირხვე! — დაყვლიფა ისედაც დიდრონი თვალები, „გაისიგრძეგანა“ ყველაფერი და უცებ მუხტარას საყულოში წასწვდა.

არავის გაუგია, რან მოხდა ან რად მოხდა, მაშინვე გავაშვე-ლეთ მე და განყოფილების გამგემ თანამესუფრენი და მერე სამივეს სიცილი აგვიტყდა, მარტო მუხტარა იჯდა გულმოსული...

ასეა, ძმაო, ერთმანეთთან მხოლოდ ერები კი არა, მათი მამაპაპური ტრადიციებიც ქიშპობენ.

როდის იყო?

ნეტო ჩვიდმეტში, ნეტო თვრამეტში...

მკაცრი რეალიზმი, ნატურალისტურად გადმოხატული სინამდვილე, ყველაფერი ისე, როგორც ცხოვრებაში, ოღონდ უფრო მძაფრად, უფრო ემოციურად. ასეთია ნინო ნიკლაურის ნოველები, ასეთს ხედავს ყოფიერებას, ასეთად წარმოგვიდგენს. ეს არის მისი მსოფლმხედველობაც და მოქალაქეობრივი პოზიციაც — მტკიცე, პრინციპული, შეუვალი.

როცა ამ ტექსტებს კითხულობ, სინამდვილის აღწერის სხვა გზას, სხვა სტილს, სხვა პროზას ვერც წარმოიდგენ. მართლაც, როგორ გინდა სხვა რაკურსი მოუძებნო ჯოჯოხეთურ რუტინას, სადაც ადამიანების ერთადერთი საზრუნავი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაა.

შთაბეჭდავია ეპიზოდი, როდესაც ზურგზე ფიჩხის გუდურამოკიდებული ქალი მგლის დასაფრთხობად მღერის: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...“ აბსურდი და რეალიზმი ხვია რეზივით გადაეწვება ერთმანეთს, არტეფაქტიც არის და ექსპრესიაც. მეტი რაღა უნდა ითხოვო დამწყები პროზაიკოსისაგან, რომლის მიზანიცაა — წაგაკითხო, გაგაგებინოს, დაგაფიქროს.

ნინო ნიკლაური

ორი ნოველა

ბედნიერი ლუიზა

მეზობლებმა შეაგულიანეს.

ადგა და წავიდა — განცხადება დანერა.

გაფუჭებული სარეცხის მანქანა, ყოველი შემთხვევისთვის, გადამალა. ბროლის ჭიქებიც თვალს მოარიდა. უთო ტახტში ჩააგდო.

თვის თავზე სიცხეში სიარულისგან გაოფლიანებული აგენტი მიადგა კარზე. სახლი დაუთვალა, კარადებში შეიხედა, ქვაბებს საფარებლები ახადა, კითხვები დაუსვა, რაღაცები ჩაინიშნა, ხელი მოანერინა და წავიდა.

თითქოს სასიკვდილო განაჩენს ელოდა...

ოთხი კვირის შემდეგ პასუხი მიიღო — მისი ქონება სამოცდაორი ათას ორას ოცდარვა ქულით შეუფასებიათ. ეს კი ნიშნავდა, რომ ოცდაათლარიანი დახმარება არ ეკუთვნოდა.

— ამოსწყდით თქვენა! — მხურვალედ უსურვა მთელ სოციალურ სამსახურს ...

ორმოცდათხუთმეტი წლის იყო. დღეებს ითვლიდა, ოცნებობდა, როდის გახდებოდა სამოციის.

ჩაძალღდა ხუთი წელიც.

ოც ივნისს დაიბადა. ივნისის დასაწყისშივე მივიდა საპენსიოში. არ მიიღეს — სამოცი რომ შეგისრულდებათ, მერე მობრძანდითო! ოცდაერთ ივნისს დილაადრიან წავიდა. რიგში პირველი იდგა...

ასი ლარი დაენიშნა. უბედნიერესი იყო.

გამხდარი იყო ლუიზა. ჩამქრალი, თვინიერი თვალეზით იყურებოდა. თმა არასდროს შეუღებავს. მრავალი წლის მანძილზე არც ტანსაცმელი ეყიდა, არც ფეხსაცმელი. ჩუქნიდნენ. არ ადარდებდა, ჭრელ კაბას ზოლიანი პიჯაკი თუ არ უხდებოდა. მთავარი იყო — ტიტველს არ ევლო! ნაჩუქარი ჩანთებიც ბევრი ეყარა. ზოგს შესაკრავი ჰქონდა გაფუჭებული, ზოგს ყური.

ზაფხულში წყალს „კოკა-კოლის“ ბოთლებში ასხამდა, მზეზე აწყობდა და აცხელებდა. ვიდრე მზე არ გადაბუგავდა დედამიწას, მაცივარს არ რთავდა. არც უთოს იყენებდა.

ფქვილს თუ იყიდდა, პურს სახლში აცხობდა. თუ არადა ქარხნიდან, მთელი კვირის სამყოფი ძველი პური მოჰქონდა, თითო — ოცდაათ თეთრად. გაქვავებულებს ტომრებში ფუთავდა და არბილებდა. ზოგს ობი ეკიდებოდა,

ზოგს გული ნებოვანი უხდებოდა. მაინც კმაყოფილი იყო, წვნიანში არა უშავდა! დედამთილს პროტეზი გაუტყდა და სხვას ისედაც ვერაფერს ჭამდა.

ოთხმოცდაექვსი წლის მოხუცთან ერთად ცხოვრობდა. მათ პატარა სახლში ჭერს წყლის კვალი ემჩნეოდა, იატაკს — მრავალწილი საღებავის.

— მთელ სოფელს გაუყვანეს გაზი. შენც გეკუთვნის. საკმარისი ქულები გაქვს. დანერე განცხადება! — ისევ შეაქეხეს ლუიზა.

— სად?

— ჩვენი სოფლის გამგეობაში.

დანერა.

— როდის გამომიყვანთ? — იკითხა წამოსვლისას.

— ახალწამდე უნდა დასრულდეს პროექტი!

სექტემბერი იყო.

ოქტომბერი და ნოემბერი მშვიდად გაატარა. დეკემბრის პირველი ორი კვირაც. მერე აფორიაქდა.

საშინაო ტანსაცმელზე პალტო გადაიცვა და გამგეობაში მივიდა. დაკეტილი დახვდა. ცხრა საათი იყო. კართან გაჩერდა. შესცივდა. გზაზე გავიდა. ავტობუსის გაჩერებაზე, მალალ ქუსლებზე შემდგარ გოგოს საათი ჰკითხა. ათის ნახევარი იყო. ისევ კართან დაბრუნდა. ფეხები გაეყინა. მიმოდიოდა შენობასა და გზას შორის. თერთმეტ საათზე მანქანამ შეუხვია ეზოში. ენერგიულად გადმოვიდა ნითური კაცი. ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

— გამარჯობა, შვილო! — მორიდებით მიუახლოვდა ლუიზა.

— რამ შეგანუხათ? — ჩქარობდა ნითური.

— ყველას გაუყვანეს გაზი, მე არა!

— ყინვების გამო შეჩერდა სამუშაოები. როგორც კი გამოიამინდებს, დაიწყებენ! — პასუხი მკაცრი იყო.

— დიდი მადლობა, შენ გაიხარე შვილო!

კაცმა კარი გააღო და შენობაში შევიდა.

გარეთ დარჩა ქალი.

ახალ წელს გამოცხვარი ფირფიტები იყიდა. მოხარული კრემი გადაუსვა და ნამცხვარი კარადის თავზე შედგა — თავგებს დაუმალა.



— გაზს რომ გამომიყვანენ, შოკოლადის ნამცხვარს გამოვაცხოვებ და მეზობლებს დავპატიჟებ! — შეუთქვა ლუიზამ.

თოვდა და ყინავდა.

დღე და ღამე ერთო ხალხს გაზი.

სიბნელეში სოფელს მგლები ეპარებოდნენ. განთიად-ზე პოულობდნენ მათ კვალს და საქონლის ძვლებს.

ხვიჩაც შეჭამეს, მეზობლის ძალი.

ადრე გამოეღია შეშა ლუიზას.

ძველი ფეხსაცმელების წვა დაიწყო. ერთი-ორჯერ შეშის რამდენიმე ნაჭერი აჩუქეს. არ იყო საკმარისი.

თოვდა...

ჩაიცვა თბილად, მრავალ წინდაში გახვეული ფეხები თეთრი ძაფით დაკერებულ კალოშებში ჩაყო, აიღო ცული, თოკის ნაჭრები და ხევის პირას, უწყლობით აოხრებულ ბალებში წავიდა.

ჩაკაფა ხმელი ტოტები, თოვლიდან ამოთხარა წკირები. იმდენი შეაგროვა, რამდენსაც მოერეოდა. თოკებით შეკრა და ზურგზე მოიგდო. ქოშინით აიარა აღმართი. შეისვენა.

გზა მთის ძირს მისდევდა. ნელა მიდიოდა.

რაც იგრძნო. მოათვალიერა იქაურობა. თოვლის და ბუჩქების გარდა არაფერი ჩანდა. წავიდა. თვალს აცეცებდა. და დაინახა — მის გასწვრივ, მთის ფერდობს მგელი მოუყვებოდა! შიშმა გააშეშა. მგელიც გაჩერდა და მიაშტერდა. ნაბიჯი გადადგა. მგელიც დაიძრა.

— არ გეყო ხვიჩას ხორცი, შე სასიკვდილევ? — დაუყვირა ქალმა.

მგელმა ხმა არ გასცა.

— ჩემოოო კარგოოო ქვეყანაააააა — წამოიმღერა ლუიზამ.

თვალს არ აცილებდა მგელი.

— რაზედ მოოოგითინყეენიააააა — უსმენოდ, მთელი ძალით მღეროდა ქალი.

მგელი აკვირდებოდა.

— ჩემოოო კაარგოოო ქვეყანააააა, რაზეედ მოოო-გითინყეენიააა- საშინელი ხმით ყვიროდა ლუიზა.

მთელი გზა ასე გამოიარა. სოფელს რომ მიუახლოვდა, მაშინ მიიხედა უკან. მგელი გამქრალიყო.

იმ ღამეს გიზგიზებდა მის სახლში ლუმელი და კარტო-ფილს კანიანად ხარშავდა.

გაზაფხულდა. მიწა გათბა.

— შენ კიდევ ეგრე ეწვალეები, ქალო? — დაუძახა ნათელამ — მოდი დაისვენე!

ლუიზამ შეგროვილი ფიჩხი გზის პირას მიაგდო და ჩამოჯდა. მოშორებით, კედლთან ჩაცუცქული ბეჟანა სახრეს თლიდა.

— რა ვიცი, მოვალთო, მითხრეს...

— ცოტა გააქტიურდი. ეგენი რაღაცებს მაიმუნობენ... ნონას არ ეკუთვნოდა, საერთოდ არა აქვს ქულები... შენს მაგივრად იმას გაუყვანეს. — გაანდო ნათელამ.

— ეტყობა ის ვაჟბატონი დაეხმარა, მაგის ნათესავი არ არის!

— ვისაც ეკუთვნის, იმის ხარჯზე ახლობლებს უწყობს საქმეს. ფულსაც აკეთებს. თუ გაუგეს, „უთუს ბირს“ დაუსვამენ!.. ხელი გაანძრე, მშრალზე არ დარჩე!

ფიჩხი შინ მიათრია და გამგეობისკენ გასწავა.

— რატომ მობრძანდით? ხომ გითხარით, აუცილებლად გამოვიყვანთ!

— ხო მარა, შვილო, უბანში მეღა დავერჩი.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა. თქვენი ჯერი რომ მოვა, სოფლის ბოლოშიც რომ იყვნენ გასულები, მაინც მოვლენ!

— თქვენ იცით, რასაც იზამთ! მე აქ ჩამომსვლელი აღარ ვარ!

წითურმა გაიღიმა.

მოსავლიანი წელი იყო. დაიხუნძლა ლუიზას ეზოში თავისით ამოსული ალუბალიც.

— გაზს რომ გამომიყვანენ, მურაბას მოვხარშავ! — ოცნებობდა ლუიზა.

— ეეეე, ძალიან რბილად ექცევი მაგათ! მე რომ ვიყო შენს ადგილას, მოვთხრიდი ძირფესვიანად ყველას!.. — ცისფერი თვალეები დაკარკლა ნონამ.

და ისევ ჩავიდა.

— მექანიკური შეცდომა მოხდა, სიიდან ამოვარდით. ცოტა ხანში გამოვასწორებ!

ხმა ვერ ამოიღო. უჩუმრისპირად წამოვიდა.

დამნიფდა ალუბალი. ცდა აღარ შეიძლებოდა. დაკრიფა, გარეცხა, დიდ ჯამში ჩაყარა. სუსტი ელექტროქურა ჰქონდა. მთელ დღეს მოუნდებოდა მოხარშვას. დიდ ციფრსაც დაწერდა მრიცხველი. აღარ ჩიოდა. შემოდგა ზედ ჯამი.

სხვა საქმეს მიუტრიალდა. ჭურჭელი დარეცხა.

გარეთ ქარმა დაუბერა და ქვიშა მოიტანა.

სახლიც გამოგავა. მურაბას დახედა. არ დულდა. ხელი დაადო ჯამს. შემთბარიყო. სინათლე შეამონმა, წასულიყო.

— ქარის ყველა დაბერვაზე როგორ უნდა ქრებოდე, შე გასაქრობო, შენა!

ქვიშა და მწვანე ფოთლები დაქროდნენ ჰაერში. გარეთ, ცეცხლზე ვერ დადგამდა მურაბას. ნაგვით ამოუვსებდა ქარი.

— თქვენ არ გაიხარეთ ჩემი ცოდვით!.. ჩაგანყოთ მექანიკამ მიწაში!.. — შეუჩერებელი ინყევებოდა ლუიზა. ღუმელი შეათრია სახლში. გაახურა. ჯამი რომ წამოდულდა, მაშინ შეწყვიტა კრულვა.

სამი კვირა კიდევ ელოდა. დროდადრო თავის ნათქვამს იგონებდა, აქ აღარ ჩამოვალ!

— სულელო ჩემო თავო, მაგათაც ეგ არ უნდათ?!

ისევ ჩავიდა.

— რამდენჯერმე გადავგზავნე თქვენი საქმე. ყაზტ-რანსგაზში. ვერ ასწორებენ შეცდომას.

— მითხარით მაგათი მისამართი!

— მიცკევიჩის ოცდარვა.

კითხვა-კითხვით მიაგნო.

— რა გნებავთ ქალბატონო? — დაცვამ შეაჩერა ფოიეში.

— უფროსს უნდა ველაპარაკო!

— საშვი დაშვებულა?

— არა.

— მაშინ ვერაფერს გიშველით! — მსუქან, ყვითელკბილეუბა კაცს დაცვის ფორმა რწმენას მატებდა.

— შეიძლება ესე ადამიანის დატანჯვა?!

— რატომ ყვირით, ქალბატონო!

— იმიტომ ვყვირი, რომ არ გამოგყავთ გაზი!

— შიდა ტელეფონზე დარეკეთ, გეტყვიან, ხართ თუ არა სიაში.

ლუიზამ დარეკა.

— ვერ გპოულობთ, გაიგეთ, რა ნომრით გადმოგაგზავნეს.

ისევ გამგეობის კარს მიაღდა. ნითურმა თვალი მოჰკრა თუ არა, საქმიანი სახე მიიღო და თავი ფურცლებში ჩაყო.

— მითხრეს, გამეგო რა ნომრით გადამგზავნეთ.

— საერთო სიაში იყავით. ნომერი არ გქონდათ!

— აბა რატომ მომთხოვეს?

— ვერ გეტყვით! — ხელები გაშალა და ფურცლები ააფრიალა ნითურმა.

მთელი ღამე იბორგა საწოლში სასონარკვეთილმა. ძილი არ გაეკარა. იბორგა, იწრიალა. განთიადისას გადაწყვეტილება მიიღო — ადგა და მერიამში წავიდა.

„საინფორმაციო“ — მოჰკრა თვალი წარწერას. თეჯირს მიღმა ნითელფრჩხილებიანი გოგო კომპიუტერის კლავიშებს აწყაპუნებდა.

— გამარჯობა, შეილო!

გოგომ ამოხედა, წესის მიხედვით გაუღიმა და მოუსმინა.

— ცხელ ხაზზე დარეკეთ. აი ნომერი. ტელეფონი კედელზე! დარეკა ლუიზამ. დაიწყო მოყოლა.

— ერთი წუთით. გადაგრთავთ — გააჩერა ქალის ხმამ.

— რაიონის გამგეობაში გადაგრთავთ! — არც იმ ხმამ დაასრულებინა სათქმელი.

მერე ბოხმა ხმამ უპასუხა.

ყველაფერს თავიდან მოყვა.

— ქალბატონო, განცხადება ჩემთან არ შემოგიტანიათ, თქვენს სოფელში, ვისთანაც დაწერეთ, იმან გიშველოს!

ცრემლებმა დაახრჩო და ყურმილი დაკიდა.

„საინფორმაციოს“ მიაღდა.

— ჩემი რაიონის დეპუტატთან შეხვედრაზე მინდა ჩავეწერო!

— ესეთი ჩანწერები ეხლა არ არის!

— ვინმე შეიძლება ვნახო, რომ პასუხი გამცეს?

— ცხელ ხაზზე დარეკეთ და ყველაფერზე გიპასუხებენ! ატირდა ლუიზა. იდგა მერიის ფოიეში თავისი უმწეობით გულაჩუყებული და ცრემლები ჩამოსდიოდა მზისგან გაშავებულ სახეზე. ხალხი ათვალთვლებდა მის მტვრიან ფეხსაცმელს და წინა საუკუნეში შეკერილ კაბას.

გაცეცხლდა. თვინიერი თვალები შეეცვალა და სოფლის გამგეობაში მიიჭრა. ნითურმა თვალი მოარიდა. წინ გადაუდგა ლუიზა.

— მე ველარაფრით დაგეხმარები!

— კი მაგრამ, ხომ მეკუთვნის?

— გეკუთვნის, მაგრამ არ გამოდის!.. რაიონის გამგეობაში წადი და ახალი განცხადება დაწერე.

დაუბღვირა, გამოტრიალდა და წამოვიდა. სულ ეს იყო.

რაიონის გამგეობაში თავიდან დაიწყო ყველაფერი. განცხადების დაწერა, ლოდინი, რეკვა, პასუხი — თქვენი საბუთები განხილვაშია! — ლოდინი, ცხელი ხაზი, გადართვა, გადმორთვა, პასუხი — ეტაპობრივი სამუშაოების გამო შეჩერებულია! — ცრემლები, ლოდინი, რეკვა, პასუხი — გადაცემული ხართ „ყაზტრანსგაზში“!

არ ენდო. შესამომნებლად წავიდა.

იქაც ისევ ისევ — ყურმილიდან პასუხი — ქალბატონო, ვერ გნახეთ, იქნებ ნომერი გაიგოთ!

გაიქცა გამგეობაში, იმათმა ყურმილმა ნომერი უთხრა. გამოიქცა უკან. ამ ყურმილმა ისევ ვერ იპოვნა. უყვირა ლუიზამ.

— დამშვიდდით, ქალბატონო, კიდევ მოგძებნით.

კედლის საათი დროს არ აჩერებდა.

— გიპოვნეთ! — დაიძახა ყურმილმა.

— მართლა? — გაუკვირდა ლუიზას.

— დიახ! 722 ნომერი ხართ.

— ეგ რას ნიშნავს? როდის გააკეთებენ?

— ორ თვეში.

შინ დაბრუნებულს მეზობელი ქალები დახვდნენ ეზოში. დედამთილს შემოხვეოდნენ და რალაცას უხსნიდნენ.

— რა მოხდა, ხალხო?

— მგონი ცუდად არის. ლაპარაკი უჭირს — თავი გადააქნია ცისკარამ.

— ა ა მ ე რ ი კ ა ა ა!.. ა ა მ ე რ ი კ ა ა ა!.. — ლულულელებდა მოხუცი.

— რა ამერიკა?! რას ამბობს?!

— პენსია მოუტანეს. ჰგონებია, ასორმოცი ლარი მთლიანად უნდა მიეღო. ვეუბნებით, თხუთმეტი ლარი დაზღვევის არის და ხელზე ასოცდახუთი უნდა აგელოო, მაგრამ ვერაფერს ვაგებინებთ.

— ა ა მ ე რ ი კ ა ა ა!.. ა ა მ ე რ ი კ ა ა ა!..

— რა ამერიკა, ქალო! — დაუყვირა ლუიზამ.

— დახმარება!.. დახმარება!..

— ამერიკამ დაგინიშნა დახმარება? — გაიცინა რძალმა.

— არ მაძლევენ!.. ესენი არ მაძლევენ!.. ყაჩაღები!.. ლუიზააააა!

— რა გინდა? — ჰკითხა რძალმა.

— ლუიზა სად არის?

— ვაიმე, რალა ვქნა?! — აღმოხდა ლუიზას.

— დაანვინე! დაანვინე! ფეხზე დგომა არ შეიძლება. უარესი მოუვა!..



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

ალბულის პენსია წამლებსა და დიეტურ საჭმელებში დაიხარჯა.

ოთხი წემის შემდეგ ისევ იცნო დედამთილმა ლუიზა. ათი წემის შემდეგ უკეთესად ალაპარაკდა და სანახავად მისული მეზობლების სახელებიც გაიხსენა...

ერთი დღეც გათენდა. თვალებს არ უჯერებდა — გაჩერდა მანქანა. გადმოვიდნენ კაცები. ამოალაგეს ხელსაწყოები. მოათრიეს მიწები... და გაზი გაუყვანეს! ყავაც მოადულა, წვნიანიც მოამზადა, წყალიც შეათბო სარეცხისთვის.

ბედნიერმა დაიძინა. დილით ძროხის გაგდება დაავიანა. მეზობელმა შესძახა. არავინ უპასუხა. სახლის კარი შეაღო. გაჟონილი გაზისგან გონდაკარგული ქალები სანოლებში იწვნენ. ატყვდა ყვირილი, რეკვა. სირენებჩართულმა სასწრაფოს მანქანამ გააქანა რძალ-დედამთილი... გადარჩნენ.

ბიოგრაფია

ეზოს გვიდა. სახლიდან დედამ გამოხედა: — გაიქეცი, ნახირს დაუხვდი, დეკეული ბალებში არ ჩაიპაროს!

ფიჩხის ცოცხი დადო. გზაზე ჩავიდა. ნახირი არ ჩანდა. შორს გაჩერებული თეთრი მანქანა დაიძრა.

ნაპირზე გადავიდა. ღობის ძირას წვრილ-წვრილ თავიან გვირილებს მწერები დაზუზუნებდნენ.

ხმაურმა გზისკენ შეატრიალა. მანქანიდან კაცები გადმოხტნენ, ხელი სტაცეს, თავით უკანა სავარძელზე შეაგდეს და სახე ვილაცის კალთაში ჩააყოფინეს. თვითონაც ჩახტნენ.

სოფელს რომ გასცდნენ, მერე მისცეს სულის მოთქმის, ყვირილის და დაჯდომის საშუალება.

— კარგი, დაიკო, პატარძალს ეგეთი საქციელი არ შეფერის! — გაიღრიჭა ლოყებგაბერილი მძღოლმა.

გონსმოსული ცდილობდა გამოეცნო, ვისი ცოლი გახდა.

— ჰააა ბიჭო, ხმა ამოიღე, უთხარი რამე!

— რა ვუთხრა! — სიტყვები გაჭიმა დიდთავა, წარბებშეყრილმა ბიჭმა და სახე ღია ფანჯარას მიუშვირა.

რალაც ჩაქრა. თვრამეტი წლის იყო.

ცხრამეტისას მამასავით დიდთავა ბიჭი გაუჩნდა.

ქმარს შრომა ეზარებოდა, სმა ეხალისებოდა. თავიდან ნასვამიც ისეთივე უტყვი იყო, როგორც ფხიზელი. მერე მთვრალმა ლაპარაკი დაიწყო. ცოტა ხანში ლაპარაკი გინებით შეცვალა. გინებას სილა მიაყოლა. ბოლოს წინლებით ზელდა. უჩუმრად იტანდა ყველაფერს, ხალხს რომ არ გაეგო!

სიკვდილმა იხსნა, ქმარი დაუხრჩო — ტბაზე წავიდნენ სათევზაოდ. თევზს იჭერდნენ, თან სვამდნენ. მთვრალეები წყალში შევიდნენ. ყველა გამოვიდა მისი ქმრის გარდა. სამი დღის მერე იპოვნეს და შინ მიუსვენეს. ბავშვი ორი წლის იყო, თვითონ ოცდაორის.

მუშაობა დაიწყო — აწკრილებდა საავადმყოფოს გრძელ დერეფნებს და ვინრო პალატებს. მდიდარი ადამიანების სახლებსაც ალაგებდა.

მთხოვნელები გამოუჩნდნენ. ზოგიერთი მოსანონიც იყო. არ გათხოვდა — სოფელს არ ვალაპარაკებ, უიმი-სოდ ვერ გასძლოვო!

მარტომ გაზარდა შვილი. დააცოლშვილა.

ბიჭიც უქნარა გამოადგა. ოჯახს თვითონ უნახავდა.

უხასიათო შვილს და მყვირალა რძალს არ ეპასუხებოდა, გარეთ გასული ხმა მეზობლებს რომ არ გაეგოთ და არ ეჭორავათ.

ასე დაბერდა. — რასა ჰგავს აქაურობა, რომ მოვკვდე ხალხის სალაპარაკო გახდებით! — გააგონა რძალს.

იყიდა შპალერი, საღებავები. გაარემონტა შესასვლელი და ფართო ოთახი. ფარდებს არა უშავდა რა! სავარძელს გადასაფარებელი ააცალა და გადამალა — იქამდე გაავერანებნო! დარდობდა, კუბოს დასადგამ ტახტზე დასაფენი ხალიჩა რომ არ ჰქონდა.

— თუ ღმერთმა დამაცადა, იმასაც ვიყიდი! — იმშვიდებდა თავს.

საგულდაგულოდ ინახავდა კუბოში ჩასაცემელ ლაკის, ბანტიან ფეხსაცმელს და ყოველ ზაფხულს ამზეურებდა კოპლებიან, ლურჯ კაბას.

ხშირად წარმოიდგენდა: მოკვდა. გარემონტებულ ოთახში ტახტი დადგეს. ზედ ხალიჩა გადაფინეს, რომელიც უნდა იყიდოს. კუბო მოიტანეს და ჩაასვენეს. თავით პატარა, რიკულებიანი მაგიდა დაუდგეს. სანთელი სპილენძის შანდალში აანთეს. ყვავილები, ქორწილში რომ მოართვეს, იმ საყვავილეში ჩადეს. კედელთან სკამები ჩაამწკრივეს. არ ეყოთ და ზოგი მეზობლებში ითხოვეს. არაფერია, ყველა ასე იქცევა! კედელზე ახალგაზრდობაში გადაღებულ სურათი დაკიდეს... ზაფხულში ჯობია სიკვდილი, ჩვენი ბალი ამ დროს ძალიან ლამაზია!

თებერვალში გარდაიცვალა. ხალიჩის ყიდვა ვერ მოასწრო...

— ქაა, ელამი არ იყო და ამ სურათიდან რა დაბრეცილი თვალებით მიყურებს! — მუჯღუგუნი ნაჰკრა სამძიმრის სათქმელად მისულმა მოხუცმა გვერდით მჯდომს.

— საპენსიო წიგნაკიდან ამოღებული სურათი გაუდიდებიათ, გოგო!

— ძირგამოგლეჯილი „ტუფლები“ ჩაუცმევიათ!

— ჩემი თვალით ვნახე, ერთი ხელი უბნკნელი ფეხსაცმელი და კვერ-კვერებიანი კაბა ჰქონდა გადადებული. ქალობა გასახმობი მაგის რძალი, ეტყობა, ვერ შეეღია!

— დიდად დამწუხრებულელებით რომ დადიან! ვითომ ძალიანაც განიცდიან! სულ ეჩხუბებოდნენ, მგონი სცემდნენ კიდევ!

— არა, რას ამბობ!

— ვიცი რასაც ვამბობ! შვილმა ერთი-ორჯერ მოსცხო. ბოლოს რძალიც კარგად ჩააცვებლებდა ხოლმე!

— ნუუუ, ნუუუ!..

— ახალგაზრდა კი დაქვრივდა, საცოდავი!..

— დავიჯერო, ქმრის შემდეგ კაცის გემო აღარ გაუგია?

— უკაცოდ რა გააძლებინებდა, ქალო?! გამოასვენეს.



ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს, რომ სევარიონ ნადირაძეს სრულიად არ აინტერესებს თუ რა ხდება თანამედროვე ქართულ პოეზიაში — რას წერენ, რას უტრიალებენ სხვა პოეტები თუ პოეტად თვითგამოცხადებული ადამიანები. თითქოს რომელიღაც სხვა ქვეყნიდან მოხვედრილა ამ გარემოში და აქაური ქუდი კი არ დაუხურავს, არამედ კვლავაც იმ ფესვებიდან საზრდოობს, იქ, იმ შორეულ გარემოში რომ დარჩენია. ეპატაჟმა ნალეკა ჩვენი სამწერლო ცხოვრება საერთოდ და პოეტური ყოფა კერძოდ.

საქმოსწორმა მიდრეკილებებმა ლამის შთანთქმის ის ნამდვილი და ჭეშმარიტი, ურომლისოდაც არც პოეზია არსებობს და არც სიცოცხლე, სხვაგვარად ბუტაფორიას რომ დაემგვანება ერთიცა და მეორეც.

სწორედ ეს ბუტაფორიულობაა, ასე რომ მოჭარბებულია და ყველაზე გაუსაძლის საცთურადაც გადაქცეულა, რაკილა ხელისუფლება აქამდე მხოლოდ საამისოდ მომართულიყო, რომ მასკულტურით ანუ ზედაპირულობითა და ბუტაფორიულობით ჩაენაცვლებინა ის სულიერი ღირებულებანი, რაც ეგებ ყოველთვისაც გადასარჩენი ყოფილა და მცირედთაგან მოსაფრთხილებელი — ყველა დროსა და ყველა ქვეყანაშიც... მაგრამ საზარელი ტერორის ქვეშ კი საბჭოთა იმპერიის ძლევამოსილების ხანაში ჩავარდებოდა და ძლივძლიობით დაიხსნა და თავს.

თუმც დაიხსნა დროებით.

ჩვენს პოსტსაბჭოთა რეალობაშიც არანაკლებია უხეში, უგვანი ზემოქმედება ადამიანის გონებასა და ფსიქიკაზე, არანაკლებია შემოქმედის გადაბირების ფინი სიყალბისა და მოჩვენებითობის ჭაობისაკენ, რაკილა სოციალისტური გლობალიზმი კი გამქრალა, მაგრამ მისი ადგილი ლიბერალურ გლობალიზმს დაუკავებია და ახლა აქედან უტევს საზოგადოებრივ მორალსა და ცნობიერებას ასამღვრევად და დასაშლელად.

ასე გამოიკვეთა თვალსადახელშეშა ის გადაგვარებული ნაკადი ჩვენს სალიტერატურო პროცესში, ადრე თუ გვიან საბჭოთა იდეალების მეხოტბეობით რომ გაქრებინა, მაგრამ მანამდე საკმაოდ დაგვიანავიანებენ გარემოს, რაკილა ამ ნაკადის წევრები — პრემიებით გაძედილები, საზღვარგარეთ დაუსრულებელ მოგზაურობაში მყოფნი და ტელეეთერს მინებებულები — ცუდ მაგალითს აძლევენ ახალგაზრდობას, და არამარტო ახალგაზრდობას — თვით ცნობილი მწერლებიც აიყოლიეს და... კიდევ გადაივსო მათი ნაწერები ეროვნულ ზნე-ჩვეულებათა გმობითა და უხამსობებით, ეგება რაღაც-რადაც ამქვეყნიურ სიკეთებს ჩვენც გამოვკრათ ხელიო.

და აი ამ გადაგვარებულმა ნაკადმა ვერავითარი ზეგავლენა რომ ვერ იქონია მწერალთა მცირერიცხოვან, მაგრამ ღირსეულ და ნამდვილ სულიერ ღირებულებათა შემანარჩუნებელ მწერლებზე, მათ შორისაა სევარიონ ნადირაძეც — თავისი უცნაური, „თეთრ ბილეთთან“ გაიგვეებული ლექსებით, ლაზარესავით ფეხშიშველა სტრიქონებით, მძაფრი, დრამატული ხილვებითა და ორიგინალური, შთაბეჭდავი სახეებით, თამამი მეტაფორებითა და მტვერში ნაპოვნი რითმებით, მოულოდნელი აფეთქებებითა და მკითხველის გულისა და გონების იმ შეძვრით, რაც პოეზიის დანიშნულებათა და ვითომ და პოეზიის საბურველში გახვეული პროპაგანდისტული „ლირიკით“ სრულიად მიულწეველია.

დაიხ, იმ „ლირიკითა“ და მიზანმიმართული ძალადობით, რომელიც, სევარიონ ნადირაძის წამიერი გულისტკივილისა არ იყოს: „დღეს ვის რად უნდა წრფელი ნიგნი, კარგი მწერალი, მთავარი არის შეგფუთონ და გაგაპიარონ“.

ამ გვარ-სახელის გამოჩენა კი ამიტომაც განაწყობს ჭეშმარიტ მკითხველს იმ მომხიბლავ მხატვრულ სამყაროსთან შესახვედრად, რომლის ყველა ნახნაგიც და ფრაგმენტიც თვითკმარიცაა და რაღაც უფრო დიდის განუყოფელი ნაწილიც: მე სამშობლო რომ ვერ

სევარიონ ნადირაძე

**მიყვარს
თბილისი**

თურმე სანოლი ჩემთვის უკვე გაუფენიათ, დღეს ლექსს ვამთავრებ უჩვეულოდ, წერტილ-მძიმეთი, ნეტავ შენს ყეფას ლომის ძალა ჰქონდეს, ფინია, შენ ხომ არ იცი, როგორ მშვიდად დავიძინებდი...

მელნის კაცები მელნის ღრუბლებს ისევ სერავენ, ისევ ნიღბებით იკავენენ მელნის იარუსს, დღეს ვის რად უნდა წრფელი ნიგნი, კარგი მწერალი, მთავარი არის შეგფუთონ და გაგაპიარონ...

უნდა მოვეშვა უკვე წვერი, როგორც მგოსანმა, და ჩემი ფოტო ყველა ჟურნალს გავუზიარო, ჩვენს დროში ლექსზე უმთავრესი რადგან პოზაა, მე ვტეხავ კალამს და ექსცენტრულს ვსწავლობ სიარულს...

ველარ იტევენ ეს კედლები დღეს ცრუ დავინჩებს, ქუჩებში ურჩად იძახიან თეთრზე შავია, მე ვხვდები როცა მატყუებენ, სწორედ არ ვიმჩნევ, მეც მდუმარე დამნაშავე ვარ...

მიყვარს თბილისის ყველა ქუჩა ყველა აღმართი, აქ ქარიც ძველი აშულია, დუდუკზე კენესის, სხვისი არ ვიცი, მე სამშობლო რომ ვერ წამართვან, ნიგნში ჩახვატე, ცხრა ურდული დავადე ლექსის...

თურმე სანოლი ჩემთვის უკვე გაუფენიათ, დღეს ლექსს ვამთავრებ უჩვეულოდ, წერტილ-მძიმეთი, ნეტავ შენს ყეფას ლომის ძალა ჰქონდეს, ფინია, შენ ხომ არ იცი, როგორ მშვიდად დავიძინებდი...

* * *

გიხმობს და გათბობს, თურმე სამი მზე, უკვე ვილაცა ზეცასაც ნალმავს, თუ მზად ხარ იყო ყველას სამიზნე, მაშინ აფრინდი ყველაზე მაღლა...

ნიგნები

მხოლოდ მასხარის ჩაჩი შერჩა პარტერს, იარუსს, ქვეყნის ფეხის ხმა — ისტორიის მძიმე კარცერებს, მწვანე მინდვრებმა ცისარტყელა გადმოიარეს და ყველა ლექსი პეპლის ლამაზ ფრთებზე დანერეს...

ო, ეს ნიგნები რამდენ უთქმელ ცოდვას ფარავენ, სოფლის ჭორები

სასთუმალთან
 ღამეს გითევენ,
 ხელით შეეხე
 ლექსს — კალამზე
 შემდგარ ფარვანას,
 და მხოლოდ მისი
 სუსტი ფრთები
 შეგჩა თითებზე...

ოთარ ჩხეიძეს

მტერი ყოველთვის ვერაგია,
 ტირანი ისევ ტირანია,
 თქვენი წიგნი კი სენაკია,
 სადაც ჩემს ცოდვებს ვინანიებ...

მტევანზე უზის დღე ბაზიერს,
 სული ყოველთვის ნორჩი არის,
 თქვენი წიგნი კი მთის ვაზია,
 სამშობლოს გზებზე მოშრიალე...

ჩემი სამშობლო კლდე-ღელეა,
 დილის მზე ზვრებში დააქვთ ურმებს,
 თქვენი წიგნი კი ბელელია,
 სადაც სულს სიტყვით დააპურებ...

მტერი ყოველთვის ვერაგია,
 ტირანი ისევ ტირანია,
 თქვენი წიგნი კი სენაკია,
 სადაც ჩემს ცოდვებს ვინანიებ...

ხანდახან რვეულს ვაშინებ

თვალი არ მოხვდეს — ვაშინერს...
 მონყალე ვიყო ვეცდები,
 ხანდახან რვეულს ვაშინებ
 ამ უცნაური ლექსებით...

კენჭი მაქვს — ციხის ნაშალი,
 მთები მაქვს — პირამიდები,
 ხანდახან ფურცელს ვაშავებ
 მტვერში ნაპოვნი რითმებით...

მინიდან ავიღერები,
 მაქვს მიზეზი და მოტივი
 და შრიალეებენ ბგერები
 ქარში გაზრდილი ტოტივით...

სავალს ძიებით ვართულებ,
 ნერტილს და მძიმეს ვამეფებ,
 და როგორც დენის მავთულებს,
 ვუშენებ მერცხლებს ტაეპებს...

თვალი არ მოხვდეს — ვაშინერს...
 მონყალე ვიყო ვეცდები,
 ხანდახან რვეულს ვაშინებ
 ამ უცნაური ლექსებით...

* * *

ქედზე უღელი,
 ხნულში ხორბალი,
 წყლის რაკრაკი და
 კარის ქრიალი
 და დედამინა
 თიხის ბორბალი
 ისევ წისქვილის
 ღარზე ტრიალებს...

ტანიინანი მტევნები

მზე — ვენახების ნაჟური
 ლექსიან თვალებს აკვესებს,
 ცაზე ღრუბელი დაცურავს
 ათასი ქორით ნაკემსი...

ქალწული მინდვრებს მონუსხავს,
 ქარვა კვლავ ჯვარზე ევენება
 და გლეხის ხელებს მოუსხამთ
 ტანიინანი მტევნები.

მეტოქედა გთვლის რადგან

ბევრი მოელის განაჩენს,
 მეტოქედა გთვლის რადგან...
 როგორმე უნდა გადარჩე,
 უნდა როგორმე ადგე...

განა რომ რამე ეგონოთ,
 ძეგლი დაგიდგან ანდა,
 რომ შენი ძნები შეკონო,
 შენი ზვინი რომ დადგა...

ისევ გულის

ისევ გულის
 დამა იგებს,
 ჩემი გულიც
 დამაშია,
 ბანქოს კარტი
 დაარიგეთ
 ეს ცხოვრება
 თამაშია...

მე ბოშათა
 მივდეგ ბანაკს,
 მეც მმართველს და
 ჩემიც მართველს,
 და გზადაგზა
 ქარში ვფანტავ
 ბეჭდებსა და
 ბანქოს კარტებს...

* * *

ამ დღესაც იღბლად მივითვლი,
ოთახში ვცხოვრობთ შენ და მე,
მეც ნილაბი ვარ ნილბისთვის,
სარკესთან ვიხსნით ერთმანეთს...

ვფიქრობთ და ვმსჯელობთ ნიადაგ,
გულს გვიკლავს ცნობისნადილი,
ვინ უფრო ნილაბია და,
რომელი უფრო ნამდვილი...

* * *

კვლავ ჰორიზონტი
გიყვფვს ძალივით,
ქარი ბგერაა,
წვიმა რეფერი,
ისევ შენს გულთან
რჩები დაღლილი,
მოტყუებული
შეპირებებით...

* * *

როგორც ქუხს,
თურმე არც ისეა,
არც იმხელაა,
დღეს რომ აქეს,
ყველა პოეტი
ნარცისია,
ლექსს ვერ შორდება,
როგორც სარკეს...

ზღვა ბობოქრობს

ზღვა ბობოქრობს, როგორც ნოეს გემი,
ვისაც ელი, ის სარკმელთან მოვა...
ჩემო კარგო — შენ მტრედი ხარ ჩემი,
მე კი შენი ზეთისხილის რტო ვარ...

ჩვენ ჩვენს ნაპირს ვეძებთ მისხალ-მისხალ,
წყალი შრება, მზე ნაკვალევს ტოვებს,
და ბალებში გაზაფხული ისხამს
მტრედებსა და ზეთისხილის რტოებს...

მუსღა ვუღვები რინას, გონიოს

მუხლზე ვუდგები რინას, გონიოს,
კენჭიდან ვკრიბავ ციხის ნარჩენებს,
სამშობლოს ვიცავ, ასე მგონია,
თუ ერთი ლექსიც გადავარჩინე...

ახალი რომ არ გამოვიგონოთ,
რომ დავესესხოთ ბოდლერს, შელიეს,

ამაღლებული ყველა სტრიქონი
ლაზარესავით ფეხშიშველია...

ვაი რომ ლექსსაც ენა დაება,
გზაც იქით მიდის წმინდა მთა როა,
და დამშეული ყველა ტაეპი
ცრემლად აშრება წიგნის თაროებს...

ვინ სთქვა, რომ სადმე ტალღაა მეცხრე,
არსებობს მხოლოდ პურის მარცვალი,
გზაც მოტყუებულ, უდღეურ ლექსებს,
ისევ ქარდაქარ დაანანალებს...

მუხლზე ვუდგები რინას, გონიოს,
კენჭიდან ვკრიბავ ციხის ნარჩენებს,
სამშობლოს ვიცავ, ასე მგონია,
თუ ერთი ლექსიც გადავარჩინე...

* * *

იშლებიან ჭკუიდან
ფელინი თუ ფორმანი...
ფსიქიატრებს ბევრი აქვთ
მტკივნეული ილეით,
პოეტობაც სიგიჟის
უმძიმესი ფორმაა,
გულით უნდა ატარო
ლექსი — თეთრი ბილეთი...

**დილით მშიერ მგლებს
აღვიძებენ კაცები თოფით**

დილით მშიერ მგლებს აღვიძებენ კაცები თოფით
და კერიაზე დაბრუნება რადგან წესია,
თონეებად და მონასტრებად შეზრდია სოფლებს,
რაც გლეხის ხელებს ხნულში თიხა დაუთესია...

რადგან მეფენი ეცემიან, ჟამი კი მეფობს
და სევდის ხავსი ეჭიდება სასახლის ფანტომს...
დრო ფქვავს საკუთარ ფოტოსურათს — ნარსულის ექოს,
და პეშვით, როგორც პურის თავთავს,
გზადაგზა ფანტავს...

ჩვენს დროში კუშტად იცინიან მოცარტზე, ვერდზე,
თითქოს ბოთლიდან ამოუშვეს ერთად ჯინები,
რკინის ყირაფებს აძოვებენ ქალაქის მკერდზე
გოლიათივით ამოზრდილი ცათამბჯენები...

დილით მშიერ მგლებს აღვიძებენ კაცები თოფით
და კერიაზე დაბრუნება რადგან წესია,
თონეებად და მონასტრებად შეზრდია სოფლებს,
რაც გლეხის ხელებს ხნულში თიხა დაუთესია...



2012 წლის ნობელის პრემია ლიტერატურაში ჩინელ მწერალ მო იანს (დაბ. 1955) მიანიჭეს „ჰალუცინატორული რეალიზმისათვის, რომელიც ხალხურ თქმულებებს ისტორიასა და თანამედროვეობასთან აერთიანებს“. ამერიკულ პრესაში წერდნენ, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აკრძალული და ყველა ჩინელი მწერლისაგან არაერთხელ „გაძარცული“ შემოქმედია, ფრანც კაფკას ერთგვარი ჩინური ექო. „კულტურული რევოლუციის“ გამო 11 წლისამ სკოლა მიატოვა. 1976 წელს, როგორც იქნა, ჩინეთის სახალხო გამათავისუფლებელ არმიაში მიიღეს, სადაც პოლიტმეთაურის თანამდებობას მიაღწია. არმიისავე აკადემიაში ლიტერატურის მაგისტრი გახდა. 1997-დან გაზეთს რედაქტორობს. ავტორია 11 რომანისა, მოთხრობათა და ესეთა კრებულებისა. აკრიტიკებდნენ, რომ ნაკლებ სოლიდარული იყო ჩინეთის ხელისუფლების მიერ დასჯილ ინტელექტუალთა ბედისადმი; რომ მონაწილეობა მიიღო მათ ქედუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიტყვის ხელით გადაწერაში. მო იანის თხზულებათაგან ქართულად არცერთი არ თარგმნილა.

მო იანი

მეზღაპრები

შვედეთის აკადემიის პატივცემულო წევრებო, ბატონებო: ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით ყველა აქ მყოფს, ალბათ, ყურმოკვრით მიანც სმენია შორეულ ჩრდილოალმოსავლურ დასახლებაზე, რომელსაც გამოი ჰქვია. შესაძლოა, იხილეთ ჩემი ოთხმოცდაათი წლის მამა, ისევე, როგორც ჩემი ძმები, და, ცოლი, ქალიშვილი, თვით შვილიშვილიც კი, გოგონა, რომელიც წლისა და ოთხი თვისაა. მაგრამ ადამიანი, რომელსაც ახლა ჩემი გონება დაუპყრია, დედაჩემია, ვისაც ვერასოდეს იხილავთ. ბევრმა ადამიანმა გაიზიარა ჩემი სიხარული ამ პრემიის მონიჭების გამო, ყველამ — მის გარდა.

დედაჩემი 1922 წელს დაიბადა და 1994 წელს გარდაიცვალა. იგი სოფლის დასავლეთით მდებარე ატმების ბაღში დავასაფლავეთ. შარშან იძულებულნი შევიქენით, მისი საფლავი სოფლიდან შორს გადაგვეტანა, რათა ადგილი დაგვეთმო ჩაფიქრებული სარკინიგზო ხაზისათვის. როცა საფლავი გავთხარეთ, დავინახეთ, რომ კუბო დამპალიყო, დედაჩემის ცხედარი კი ტენიან მიწას შერწყმობდა. რაღა უნდა გვექნა — სიმბოლური აქტი განვახორციელეთ, ცოტაოდენი მიწა ამოვთხარეთ და ახალ საფლავში ჩავაბნით. მაშინ მიფხვდი, რომ დედაჩემი მიწის ნაწილი გამხდარიყო და, როცა დედამიწას რამეს ვეტყვოდი, სინამდვილეში დედაჩემს ვესაუბრებოდი.

მე მისი ნაბოლარა გახლდით.

პირველი, რაც იმ დროიდან მახსოვს, ჩვენი ერთადერთი ცარიელი ბოთლით საზოგადოებრივ სასადილოში რომ დავდიოდი წყლის დასალევად. შიმშილით დაოსებულს ბოთლი ხელიდან გამივარდა და გამიტყდა. შეშინებულმა მთელი დღე თივის ზვინში გავატარე. საღამოხანს გავიგონე, როგორ მეძახდა დედაჩემი ბავშვობისდროინდელ სახელს, სამალავიდან ამოვძვერი და ცემის ან წყველისათვის მოვემზადე. მაგრამ დედას არ გაუულახივარ, საყვედურიც არ დასცდენია. თმა მომიჩეჩა და ამოიხარა.

ჩემი ყველაზე მტკივნეული მოგონება დედაჩემთან ერთად კოლმეურნეობის ყანიდან ხორბლის მოპარვას უკავშირდება. მეველის გამოჩენისთანავე ჩვენნიარები იფანტებოდნენ. დედაჩემს ფეხები სტკიოდა და გაქცევა არ შეეძლო; მეველემ ისე ძლიერ ჩაარტყა, დედა მიწას დაენარცხა. მეველემ მოგონებულ ხორბალი ჩამოგვართვა და სტვენა-სტვენით გაგვცილდა. როცა დედა მიწაზე წამოჯდა, დავინახე, ტუჩიდან სისხლი სდიოდა. სახეზე ისეთი უსასოობა ეწერა, ვერასოდეს დავივინწყებ. წლების შემდეგ, როცა ბაზარში იმ მეველეს — ან უკ-

* ნობელის პრემიის მიღებისას ნაკითხული ლექცია 2012 წლის 7 დეკემბერს, სტოკჰოლმში

ვე გაჭლარავებულ ბერიკაცს — შევეჩხეთ, დედამ სამაგიეროს გადახდა გადამაფიქრებინა.

„შვილო“, — მითხრა, — „კაცი, რომელმაც მაშინ ჩამარტყა და ეს ბერიკაცი სხვადასხვა ადამიანები არიან“.

ჩემი ყველაზე წმინდა მოგონება მთვარის დღესასწაულს უკავშირდება: შუადღეს, ერთ იმ იშვიათ გამოწვევასთან, როცა ჯიაოზის შინ ვჭამთ, თითო თასს თითო კაცი.

როცა სუფრასთან ვისხედით, ერთი ჭარმაგი მათხოვარი მოუახლოვდა ჩვენს კარს. მისი გასტუმრება დავაპირე და ნახევარი ჯამი მშრალი ტკბილი კარტოფილი გავუნოდე. მათხოვარმა გაბრაზებულმა შეჰყვირა: „ბერიკაცი ვარ. თქვენ, ადამიანები, ჯიაოზის მიირთმევთ, მე კი მშრალი ტკბილი კარტოფილით მიმასპინძლდებით. გული არა გაქვთ?“ მეც მასავით გავბრაზდი: „წელიწადში ორჯერ ერთი პატარა ჯამი ჯიაოზი თუ გვერგება, თავი ხალხი გვგონია. გემოს ძლივს ვიგებთ! მაღლობელი იყავი, ტკბილ კარტოფილს რომ გაძლევთ, ხოლო თუ არ გინდა, ჯანდაბამდე გზა გქონია!“ შემდეგ დედაჩემმა მისაყვედურა და თავისი ნახევარი ჯამი ჯიაოზი ბერიკაცს ჩაუცალდა.

სინდისი ყველაზე მეტად მქენჯნის, როცა ვისხენებ, დედას კომპოსტოს გაყიდვაში როგორ ვეხმარებოდი. ერთ სოფლელ ბერიკაცს ერთი ჯიაოთი მეტი გადავხადე (განზრახ თუ უნებლიეთ, ვეღარ ვისხენებ) და სკოლაში გავიქეცი. როდესაც შუადღეს შინ დავბრუნდი, დედაჩემი ტიროდა, რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა. განყრომის ნაცვლად ესლა მითხრა ჩუმად: „შვილო, შენ დღეს დედაშენი შეარცხვინე“.

ჯერ კიდევ ყმანვილი ვიყავი, როცა დედა ფილტვების სენით დაავადდა. შიმშილი, ავადმყოფობა და განუწყვეტელი შრომა ჩვენს ოჯახს მძიმე ტვირთად დაანვა. განსაკუთრებულად სასტიკი მომავალი მელოდა, ცუდი წინათგრძობა გამიჩნდა და ვდარდობდი დედაჩემის ბედზე. ყოველდღიური მძიმე შრომით დაღლილი შინ შესვლისას პირველად დედაჩემს მოვიკითხავდი ხოლმე. მისი ხმის გაგონება ახალ ენერგიას მმატებდა. მისი დუმილი კი პანიკას მგვრიდა. ვეძებდი ჩვენი სახლის კუთხეებსა და ნისქვილში. ერთხელ, ვერსად რომ ვეღარ ვიპოვნე, ეზოში დავჯექი და ბალღივით ავტირდი. როგორც იქნა, თავს წამომადგა, ზურგზე ფიჩხმოკიდებული. ვდარდობდი, მაგრამ არ შემიძლო მისთვის მეთქვა, რის შემეშინდა. ისედაც იცოდა. „შვილო“, — მითხრა, — „ნუ ლელავ, სული ძლივს მიდგას, მაგრამ მანამ არ წავალ, სანამ საიქიოს თავადი არ მიმიხმობს“.



უშნო ვიყავი. ჩემი სოფლები ხშირად დამცინოდნენ, სკოლის ყოჩები ხანდახან ამისთვის მცემდნენ კიდევ. შინ როცა ტირილით ვბრუნდებოდი, დედა მეუბნებოდა: „შვილო, უშნო სულაც არა ხარ. ცხვირი გაქვს, ორი თვალი, არც ხელ-ფეხი გაკლია. მამ უშნო რალატომ ხარ? თუ გულკეთილია და სწორად იქცევა, უშნოც მშვენიერდება“. მოგვიანებით, როცა ქალაქში გადავედი, ზოგი განათლებული ადამიანი ზურგსუკან დამცინოდა, ზოგიც პირში შემომხარხარებდა. მაგრამ როცა დედაჩემის ნათქვამს ვისხენებდი, უჩუმრად ვითხოვდი პატივებს.

ჩემი უბირი დედა წერა-კითხვის მცოდნეთა განსაკუთრებულად აფასებდა. ჩვენ ისეთი ლატაკები ვიყავით, ხშირად ის არ ვიცოდით, რა გვეჭამა, მაგრამ მას არასოდეს დაუშლია ჩემთვის, წიგნი ან მელანი მეყიდა. თვითონ მუყაითი დედა ზარმაც ბავშვებს ვერ იტანდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც წიგნის ჭია გავხედი, თავი ბევრი მძიმე სამუშაოსათვის ამირიდებია.

ერთხელ ბაზარში მეზღაპრე გამოჩნდა, და მეც მის მოსასმენად გავიპარე. დედას არ მოეწონა, სამუშაო რომ მივაგდე. მაგრამ იმ ღამით, როცა ჭრაქის მკრთალ შუქზე ჩვენს დახეულ ტანსაცმელს კემსავდა, თავი ვერ შევიკავე და იმ დღეს გაგონილი ამბები მოვუყევი. თავიდან გაღიზიანებული მისმენდა, რადგან მის თვალში პროფესიონალი მეზღაპრეები დათაფლული ენით მოუბარი საეჭვო ხელობის ხალხი იყო. მაგრამ ნელ-ნელა ჩემმა ნაამბობმა ჩაითრია და იმ დღიდან ბაზარში წასვლისას აღარ მასაქმებდა, რაც ახალ ამბავთა მოსმენის უსიტყვო ნებართვას უდრიდა. ეს ამბავი ასე დაწვრილებით დედაჩემისათვის პატივის მისაგებად და ჩემი მეხსიერების წარმოსაჩენად მოგიყევით.

დიდი დრო არ დასჭირვებია იმას, რომ სხვისი ამბების მოყოლით დაუკმაყოფილებლობის განცდა გამჩენოდა. ამიტომ ჩემი ნაამბობის გალამაზება დავინწყე. ერთხელაც, როცა დედაჩემს იმას ვუამბობდი, რაც გამეგონა, ამბის დასასრული შეეცვალა. ჩემი აუდიტორია მხოლოდ დედაჩემით როდი ამოინურებოდა: აქ იყვნენ ჩემი უფროსი დები, დეიდები, თვით დედაჩემის დედაც კი. ზოგჯერ, როცა დედა ჩემს ერთ-ერთ ამბავს უსმენდა, თავისი ნაჯაფარი ხმით მეკითხებოდა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო: „რა უნდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები, შვილო? ერთხელაც ამ ლაყობას ხომ შეეშვეები?“

ვიცოდი, ეს რატომ ალღევდა. ჩვენს სოფელში ენა-ჭარტალა ბავშვებზე მაინცდამაინც კარგს არ ამბობდნენ, რადგანაც მიაჩნდათ, რომ მათ ვნების მოტანა შეეძლოთ თავიანთი თავისა და ოჯახებისათვის. ჩემს მოთხრობაში „ხარები“ ენაჭარტალა ბიჭი, თანასოფლებლებს რომ ეკამათება, ცოტათი მე მგავს. დედა ჩვეულებისამებრ მაფრთხილებდა, ამდენი არ მელაპარაკა. მოხოვდა, სიტყვაძვირი, მშვიდი და განონასწორებული ვყოფილიყავი. ამის ნაცვლად მეტად სახიფათო კომბინაცია ვიყავი — საუბრის გასაოცარი ჩვევებითა და ზედ დართული ლაპარაკის დიდი სურვილით. ამბის მოყოლის ხელოვნებით დედაჩემს ვახარებდი, მაგრამ საფიქრალსაც ვუმრავლებდი.

ხალხში ამბობენ, უმალ მდინარეს შეუცვლი გეზს, ვიდრე ადამიანს ზნესო. მიუხედავად ჩემი მშობლების დაულაღვი ცდისა, ლაპარაკის თანდაყოლილი სურვილი არ გამქრობია. ამან შექმნა ჩემი სახელიც — მო იან, ანუ „არ ილაპარაკო“ — თვითირონიის გამოხატულება.

დანყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მძიმე სამუშაოსათვის ძალზე პატარა ვიყავი, ამიტომ ახლოს, მდინარის

ნაპირზე ხარ-ძროხასა და ცხვარს ვმწყემსავდი. ჩემი ყოფილი კლასელების შეხედვა, სკოლის ეზოში რომ თამაშობდნენ, ყოველთვის მასევედიანებდა, როცა კი ჭიჭრიდან საქონელს ვერეკებოდი. ვხვდებოდი, რა სისასტიკე იყო ნებისმიერისათვის — თვით ბაღისთვისაც კი — თავისი წრის მიტოვება.

პირუტყვს ნაპირზე მივუშვებდი, სადაც ცა ოკეანესავით ლურჯი იყო, ბალახით მოფარდაგებული მიწა კი იმოდენა, თვალს ძლივს გაანვდენდი — ირგვლივ სხვა ადამიანი არ ჭაჭანებდა, ჩემს ზემოთ მხოლოდ ჩიტები ჟივჯივებდნენ. საკუთარ თავთან ეულად დარჩენილი, სადაგელ მარტობას განვიცდიდი, გული მიცარიელებოდა. ხანდახან ბალახში ვწვებოდი და ვუცქერდი მოზოზინე ღრუბლებს, რაც მრავალგვარი უცნაური სახის წარმოქმნას უწყობდა ხელს. ქვეყნის ის მხარე განთქმულია თქმულებებით ყმანვილ ქალად გარდასახულ მელაკუდებზე, და მეც წარმოვიდგენდი მშვენიერ გოგონას, რომელსაც ჩემთან ერთად მონდომებოდა პირუტყვის მწყემსვა. იგი არასოდეს მოსულა.

თუმც ერთხელ ალისფერი მელია მართლაც გამოძვრა ჩემს წინ მდგარი ბუჩქიდან და პირდაპირ ფეხზე წამეტანა. მისი გაუჩინარების შემდეგ ჯერ ისევ ვიჯექი და კარგა ხანს ვცახცახებდი. ხანდახან რომელიმე ძროხის წინ ჩავიშვებოდი და ჩავცქეროდი ღრმა ცისფერ თვალეში, რომლებსაც ჩემი ფიქრები დაეპყრო. ზოგჯერ ცაში მფრენ ჩიტებს ველაპარაკებოდი, ჭიჭიკში ვბაძავდი, ზოგჯერ კი ხეს ვუშხელდი საკუთარ იმედებსა და სურვილებს. მაგრამ ჩიტები ყურადღებას არ მაქცევდნენ. ასევე იქცეოდნენ ხეებიც. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა უკვე მწერალი ვიყავი, ზოგი იმდროინდელი ფანტაზია ჩემს რომანებსა და მოთხრობებში გადავიტანე. ხალხი ხშირად მაქებს ჩემი ნათელი წარმოსახვის გამო, და ლიტერატურის მოყვარულები ასევე ხშირად მოხოვენ, მდიდარი წარმოსახვის გადავივების საიდუმლო ვაგუშხილო. ამაზე ჩემი ერთადერთი პასუხი ცალკება ღიმილია.

დაოს ჩვენებურმა ოსტატმა ლაოძიმ საუკეთესოდ თქვა: „ბედნიერება უბედურებაზე ჰკივია. უბედურება ბედნიერებაშია ჩამალული“. სკოლა ჯერ ისევ ბავშვმა დავტოვე, ხშირად მშიერი დავდიოდი, მუდმივად მარტო ვიყავი, და არ გამაჩნდა წიგნები. მაგრამ ამავე მიზეზთა გამო, წინა თაობის მწერალ შენ ქონგუენის მსგავსად, ადრიდანვე შევუდექი ცხოვრების დიდი წიგნის კითხვას. ჩემი გამოცდილება, ბაზარში წასვლასა და მეზღაპრის მოსმენას რომ გულისხმობდა, ამ წიგნის მხოლოდ ერთი ფურცელია.

სკოლის დასრულების შემდეგ ცხოვრებამ უხეიროდ მომისროლა უფროსთა სამყაროში, სადაც დიდხინანი მოგზაურობა დავინწყე: ვუსმენდი და ამ გზით ვსწავლობდი. ორასი წლის წინათ, ყველა დროის ერთ-ერთი დიდი მეზღაპრე — პუ სონგლინგი — იმ ადგილის მახლობლად ცხოვრობდა, სადაც მე ვავიზარდე, და სადაც ბევრი ადამიანი, ჩემი ჩათვლით, იმ ტრადიციას მისდევდა, რომელიც მან სრულჰყო.

სადაც უნდა ვყოფილიყავი — ყანაში სხვებთან ერთად, თავლასა თუ ბოსელში, ჩემი ბებია-ბაბუის ცხელ ქანგზე, თვით ორთვალაზეც კი, გზაზე რომ გრუხუნით მიჯაფხავებდა — გამუდმებით ვისმენდი ზებუნებრივ იგავებს, ისტორიულ რომანებს, უცნაურ და დამატყვევებელ ამბებს. ყველა ბუნებრივ გარემოს და ისტორიულ კლანებს უკავშირდებოდა, და ჩემს გონებაში ძლევამოსილი სინამდვილე წარმოიქმნებოდა.

თვით ყველაზე თამამ ოცნებაშიც კი ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ყველაფერი ეს ჩემი პროზის შემადგენელი

ნაწილი გახდებოდა, რადგან მხოლოდ ის ბიჭუნა ვიყავი, რომელსაც უყვარდა ამბები, ჭკუიდან შლიდა იმ ხალხის თქმულებები, მის ირგვლივ რომ ყვებოდნენ. მერე ექვშეუვალი თვისტი გავხდი, მწამდა, რომ ყველა ქმნილება სულიერი იყო. ვჩერდებოდი და ჩემს პატივისცემას გამოვხატავდი მაღალი ბებერი ხისადმი; როგორც კი ჩიტს დავინახავდი, მჯეროდა, როცა კი მოინდომებდა, მაშინვე ადამიანად გადაიქცეოდა; და სულ მეეჭვებოდა, რომ ყველა უცნობი შემხვედრი გარდასახული მხეცი იყო. ღამით, სამუშაოდან დაბრუნებისას შიში მდევდა თან, ამიტომაც ვმღეროდი, მცირეოდენი სიმამაცე რომ ჩამსახლებოდა. ხმა დროდადრო მეცვლებოდა. წრიპინა თუ წიკვინა სიმღერებს ვასრულებდი, რომლებიც ნებისმიერ ჩემს თანასოფელს ყურს მოსჭრიდა.

ოცდაერთი წელი იმ სოფელში შემისრულდა. ქინგდაოს იქით, მატარებლით რომ ვიმოგზაურე, არსად წავსულვარ: ღამის გზა ამებნა ავეჯის ქარხანაში ხე-ტყის გიგანტურ გროვებს შორის. როცა დედაჩემმა მკითხა, რა ნახე ქინგდაოშიო, ნაღვლიანად ვუპასუხე, ერთადერთი რაც ვნახე, ხე-ტყე იყო-მეთქი. მაგრამ ქინგდაოში მოგზაურობამ ჩემში სოფლის დატოვებისა და სამყაროს ნახვის სურვილიც შთანერგა.

1976 წლის თებერვალში ჯარში გამინვიეს და დავტოვე ჩრდილოაღმოსავლური გაომის დასახლება, სოფელი, რომელიც ერთდროულად მიყვარდა და მძულდა. ჩემი ცხოვრების კრიტიკულ ფაზაში შევავიჯე. თან მიმქონდა ზურგჩანთა. შიგ ჩინეთის მოკლე ისტორიის ოთხტომიანი გამოცემა მედო, დედაჩემის საქორწინო სამკაულთა საფასური. ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ხანა.

უნდა გამოვტყდე: რომ არ ყოფილიყო რთული ოცდაათი წელიწადი ჩინელი საზოგადოების უზარმარმაზარი განვითარებისა და პროგრესისა, მის შედეგად განხორციელებული ნაციონალური რეფორმა, ამ საზოგადოების ღია კარი, დღეს მწერალი ვერ ვიქნებოდი.

გამომაცევეჩებელი სამხედრო ცხოვრების შუა გზაზე ოთხმოცდაათიან-ოთხმოციანების იდეოლოგიური ემანსიპაცია და ლიტერატურული ვნებები ვიგემე, და ბიჭუნადან, რომელიც ამბებს ისმენდა, იმად ვიქეცი, ვინც მოამბეთაგან გაგონილი სიტყვების ჩანერა სცადა. თავიდან ეს კლდოვანი გზა იყო, დრო, როცა ჯერ არ აღმომეჩინა, რა მდიდარ ლიტერატურულ წყაროდ იქცეოდა სოფელში გატარებული ოცწლიანი ხანა. ვფიქრობდი, რომ ლიტერატურა გვიამბობდა კარგ ადამიანთა მიერ ჩადენილ კარგ საქმეებზე, გამირულ ღვანლსა და სამაგალითო ერისკაცებზე. შესაბამისად, მაშინ დაბეჭდილ ჩემს რამდენიმე ნაწარმოებს მცირე ლიტერატურული ღირებულება ჰქონდა.

1984 წლის შემოდგომაზე მიმიღეს სახალხო გამათავისუფლებელი არმიის სახელოვნებო აკადემიის ლიტერატურულ ფაკულტეტზე, სადაც ცნობილი მწერლის, ჩემი პატივცემული მენტორის ჰუ ჰუაიზონგის ხელმძღვანელობით დავწერე მოთხრობებისა და რომანთა სერია: „შემოდგომის წარღვნა“, „დამშრალი მდინარე“, „გამჭვირვალე სტაფილო“ და „წითელი სორგო“. ჩრდილოაღმოსავლური გაომის დასახლება პირველად „შემოდგომის წარღვნაში“ გამოჩნდა, და ამ მომენტიდან ამ ლიტერატურულმა მანანალამ, მოხეტიალე გლეხის მსგავსად, თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთს რომ პოულობს, იმ ადგილს მიაკვლია, თვითონ საკუთარს რომ ეძახის. უნდა ვთქვა, რომ ჩემი ლიტერატურული სამფლობელოს — ჩრდილოაღმოსავლური გაომის დასახლების — კვალდაკვალ, დი-

დად ვიყავი შთაგონებული ამერიკელი რომანისტი, უილიამ ფოლკნერთა და კოლუმბიელი გაბრიელ გარსია მარკესით. მაშინ მათი ნაწარმოებები მთლიანად არ წამეკითხა, მაგრამ ის მამხნევებდა, თუ რა თამამად, ძალადაუტანებლად ქმნიდნენ მწერლობის ახალ ტერიტორიას. მათგან ვსწავლობდი, რომ მწერალს უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის.

უბრალოება და კომპრომისი ნებისმიერის ყოველდღიური ცხოვრების იდეალია, მაგრამ ლიტერატურულ შემოქმედებაში არსებითია უკიდურესი თავდაჯერებულობა და საკუთარ ინსტინქტთა მიყოლა. ორი წლის განმავლობაში ზემოთ დასახელებული ორი ოსტატის კვალზე მივდიოდი, ვიდრე მათი გავლენისაგან გათავისუფლების საჭიროებას გავანალიზებდი; ეს გადანყვეტილება ჩემს ესეიში ამგვარად დავახასიათე: ეს ანთებულ ღუმელთა წყვილი იყო, მე კი — ყინულის ლოდი. ძალიან რომ მივახლოებოდი, აბოლებულ ღრუბლად ვიქცეოდი და გავლევებოდი. ჩემი აზრით, ერთი მწერალი მეორეზე მაშინ ზემოქმედებს, როცა ორივეს ახარებს თავისი ღრმა სულიერი მსგავსება. ეს ხშირად ჰუაგს მომენტს, „როცა გულები ერთდროულად ფეთქვენ“. თუმც მათ ნაწარმოებთაგან ცოტას ვკითხულობდი — რამდენიმე გვერდი საკმარისი იყო იმის გასაგებად, რას აკეთებდნენ და როგორ აკეთებდნენ — ეს ხსნის, როგორ მივედი იმ შეგნებად, რა უნდა მექნა და როგორ უნდა მექნა.

რაც უნდა მექნა, თავისთავად იოლი იყო: დამეწერა საკუთარი მოთხრობები ჩემებურად. ჩემი გზა ბაზარში მოსმენილი მეზღაპრის გზა იყო, რომელსაც ასე კარგად ვიცნობდი, ხერხი, რომლის გამოყენებითაც ჩემი ბებია-ბაბუა და სხვა მოხუცები ამბებს ყვებოდნენ. სრულიად გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ყურადღებას არასოდეს ვაქცევდი, თუ ვის ვუყვებოდი. შესაძლოა იმიტომ, რომ ჩემი აუდიტორია დედაჩემისნაირი ხალხისაგან შედგებოდა. ან ერთადერთი, ვინც მისმენდა, შესაძლოა თვითვე ვიყავი. ადრინდელი მოთხრობები ჩემს პირად გამოცდილებას ასახავდა: მაგალითად, ეს იყო ბიჭუნა, რომელიც სცემეს „დამშრალ მდინარეში“, ან ბიჭუნა, რომელსაც არასოდეს გაუღია ხმა „გამჭვირვალე სტაფილოში“.

ისე ცუდადაც მოვქცეულვარ, მამაჩემს რომ ვეცემე, და საბერველზე მართლაც ვმუშაობდი ხიდზე მდებარე სამჭედლოში.

ბუნებრივია, პირადი გამოცდილება, რა უნიკალურიც უნდა იყოს, შეუძლებელია მხატვრულ ნაწარმოებად გარდასახოს. მხატვრული ნაწარმოები გამოგონილი, წარმოსახვითი უნდა იყოს. ბევრი ჩემი მეგობრის აზრით, „გამჭვირვალე სტაფილო“ ჩემი საუკეთესო მოთხრობაა; არ ვიცი. ერთადერთი რამის თქმა ძალმიძს: „გამჭვირვალე სტაფილო“ სხვებზე მეტად სიმბოლური და ღრმა მნიშვნელობისაა, ვიდრე რომელიმე სხვა ჩემი მოთხრობა. ის მუქკანიანი ბიჭუნა, რომელსაც ზეადამიანური ტანჯვის უნარი და მგრძობელობა აქვს, მთელი ჩემი მხატვრული პროდუქციის განსახიერებაა. ჩემ მიერ შექმნილ პერსონაჟთაგან ის ყველაზე ახლობელია. ანდა სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვა პერსონაჟთა შორის, რომელთაც მწერალი ქმნის, ის მუდამ ყველაზე მალა დგას. ჩემთვის ის ლაკონიური ბიჭუნა ერთადერთია. თუმც არას ამბობს, იგი უკვალავს გზას დანარჩენებს, მათი ნაირგვარობისა და იმის მიუხედავად, რომ ასე თავისუფლად თამაშობენ ჩრდილოაღმოსავლური გაომის დასახლების სცენაზე.

პიროვნულ გამოცდილებასაც აქვს საზღვარი, და როცა

ერთხელაც საკუთარი მოთხრობები დაგლით, სხვისი ამბები უნდა მოყვეთ. და ამგვარად, ჩემი მეხსიერების სიღრმის მიღმა, ახალწვეულთა მსგავსად ამოიზარდნენ ჩემი ოჯახის წევრების, თანასოფელელთა, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ წინაპართა ამბები, მოხუცთაგან რომ გამიგონია. ისინი მელოდნენ, ვიდრე მათ ამბავს მოყვებოდნენ. ბებია და ბაბუა, დედ-მამა, და-ძმანი, დეიდები და ბიძები, ცოლ-შვილი — ყველა ჩემს მოთხრობებში. თვით ჩრდილოაღმოსავლური გაომის დასახლების ის მკვიდრნიც, მე რომ არ მენათესავებოდნენ, ეპიზოდურად კრთებოდნენ ჩემს ნაწარმოებებში. რასაკვირველია, მათ ლიტერატურული მოდიფიკაცია განიცადეს, რათა უჩვეულო მხატვრულ სახეებად ქცეულიყვნენ.

დეიდაჩემი ჩემი უკანასკნელი რომანის „ბაყაყები“ მთავარი გმირია. ნობელის პრემიის ჩემთვის მონიჭების შემდეგ ინტერვიუს ჩასაწერად მას ჟურნალისტთა ჯგუფი დაატყდა თავს. თავიდან მოთმინებით უმასპინძლდებოდა, მაგრამ მალევე გაექცა მათ ყურადღებას და პროვინციის დედაქალაქში მცხოვრებ შვილთან გაიპარა. არ უარყოფ, რომ „ბაყაყების“ წერისას მოდელად მას ვიყენებდი, მაგრამ მას და მხატვრულ სახეს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. მხატვრული დეიდა პატივმოყვარე და მბრძანებლურია, ხანდახან — ნამდვილი ყაჩაღიც კი, მაშინ, როცა ნამდვილი დეიდაჩემი კეთილი და მშვიდია, კლასიკური მზრუნველი მეუღლე და მოყვარული დედა. ნამდვილი დეიდაჩემის ოქროს ხანამ ბედნიერად განვლო; მისი მხატვრული ორეული კი უკანასკნელ ხანს უძილობით იტანჯება, რაც მისი სულიერი ნამების შედეგია: თალხ ხალათში გახვეული მთელი ღამე მოჩვენებასავით დაფარფავტებს. ძალიან მაღლიერი ვარ ჩემი ნამდვილი დეიდა, რომანში მისი აგრერიგად შეცვლისთვის რომ არ ვამბრანუბებია. ასევე დიდად ვაფასებ მის სიბრძნეს იმის წვდომისას, თუ რა კომპლექსური დამოკიდებულებაა მხატვრულ სახესა და ნამდვილ ადამიანებს შორის.

დედაჩემის სიკვდილის შემდეგ, როცა სევდამ ლამის ქმედუნარიანობა წამართვა, გადავწყვიტე მასზე რომანი დამეწერა. „დიდი ძუძუები და განიერი თეძოები“ სწორედ ეს რომანია. როგორც კი გეგმა ჩამოვყაყაღებ, ისე ავენთე, რომ ნახევარი მილიონი სიტყვა ოთხმოცდასამ დღეში დავწერე.

ამ რომანში უსირცხვილოდ გამოვიყენე მასალა, რომელიც დედაჩემის გამოცდილებას უკავშირდებოდა, მაგრამ მხატვრული დედის ემოციური სახე ან ტოტალური ფაბრიკაციაა, ანდა ჩრდილოაღმოსავლური გაომის დასახლების ბევრი დედის სახეთა ნაზავი. მიუხედავად იმისა, რომ „ექღვინება დედაჩემის ხსოვნას“-მეთქი, წავანერე, რომანი სინამდვილეში ქვეყნად ყველა დედისათვის დაინერა. ეს შესაძლოა ადასტურებდეს ჩემს ამპარტავნულ ამბიციას, რომ პატარა ჩრდილოაღმოსავლური გაომის დასახლება ჩინეთის, ან შესაძლოა მთელი სამყაროს მიკროკოსმოსია.

თხზვის პროცესი ყველა მწერლისათვის უნიკალურია. ყველა ჩემი რომანი სიუჟეტითა და შთაგონების წყაროთი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ზოგი, როგორცაა „გამჭირვალე სტაფილი“, ძილში იშვა, როცა დანარჩენებს, როგორცაა „ნივრის ბალადები“, საფუძვლად ნამდვილი ფაქტები დაედო.

როგორც უნდა იყოს შთაგონების წყარო, ნაწარმოები ინდივიდუალურ გამოცდილებას უნდა ერწყმოდეს, ინდივიდუალობით გაუღენთილს, ოსტატური სტრუქტურა უნდა ჰქონდეს, გმირს ტიპურ პერსონაჟთაგან ცოცხალი დეტალები უნ-

და ასხვავებდეს, იგი დასამახსოვრებლად უნდა მეტყველებდეს... ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ „ნივრის ბალადებში“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ნამდვილი მეზღაპრე ასრულებს. მინდოდა მისი ნამდვილი სახელი არ გამოეყენებინა, მაგრამ მისმა სიტყვებმა და საქციელმა თავისი ქნა. ასე ხშირად დამმართნია. ვინცე პერსონაჟთა რეალური სახელების გამოყენებას, რათა მაქსიმალურად დაეუახლოვდე მათ, მოვრჩები საქმეს და იმ სახელთა შეცვლა უკვე გვიანაა. ამან ჩემს რომანებში გამოყვანილი არაერთი რეალური ადამიანი მიიყვანა მამაჩემთან თავისი უსიამოვნების გამოსახატად. ის ყოველთვის პატიებას ითხოვს ჩემს ნაცვლად, მაგრამ შემდეგ არწმუნებს, რომ ჩემი ნაწერი ასე სერიოზულად არ უნდა აღიქვან. ეუბნება: „პირველი წინადადება „წითელ სორგოში“ ასე უღერს: მამაჩემი ბანდიტის შთამომავალია. ამას დიდად არ გაუუნანყენებია. თქვენ რატომღა ნაღვლიანობთ?“

ჩემ ყველაზე დიდ გამოწვევას, რომანებში, როგორცაა „ნივრის ბალადები“, სოციალური რეალობა ამესახა, იმიტომ კი არ ვუპასუხებ, რომ საზოგადოების ბნელ ასპექტთა ხმამალა გაკრიტიკებისა შემეშინდა, არამედ იმიტომ, რომ მსურავდი ემოციები და რისხვა პოლიტიკას ლიტერატურის დათრგუნვის ნებას აძლევს და რომანს სოციალური მოვლენის რეპორტაჟად აქცევს. რომანისტს, როგორც საზოგადოების წევრს, საკუთარი პოზიციისა და თვალსაზრისის გამოთქმის უფლება აქვს; მაგრამ როცა იგი წერს, მან ჰუმანისტური პოზიცია უნდა დაიკავოს, და შესაბამისადც წეროს. ამ შემთხვევაში ლიტერატურას შეუძლია არა მხოლოდ მოვლენებში წარმოიქმნას, არამედ გასცდეს კიდეც მათ, არა უბრალოდ პოლიტიკის გამო შემფოთება წარმოაჩინოს, არამედ პოლიტიკაზე ამაღლდეს.

ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი მძიმე პირობებში გავატარე. შესაძლოა ამიტომაც მგონია, რომ უფრო ღრმად ვწვდები ცხოვრების არსს. ვიცი, რას ნიშნავს ნამდვილი სიმამაცე და ჭეშმარიტი სიბრალული. ვიცი, რომ ნებისმიერი პიროვნების გულსა და გონებაში არსებობს გაურკვეველი ტერიტორია, რომელიც შეუძლებელია უბრალო ტერმინებით — სწორი-მცდარი ან კარგი-ცუდი — სათანადოდ დახასიათდეს. ეს ვება ტერიტორია იქაა, სადაც მწერალი თავის ტალანტს სადავებს მიუშვებს. ნაწარმოები რაც უფრო სწორად და მკაფიოდ აღწერს ამ გაურკვეველ, მასობრივად წინააღმდეგობრივ ტერიტორიას, მით მეტად გასცდება პოლიტიკას და ლიტერატურულად სრულყოფილი გახდება.

დაუსრულებელი ლაყობა ჩემს საქმეზე მომაბზურებელი უნდა იყოს, მაგრამ ჩემი ცხოვრება და საქმე ერთმანეთს განუყოფლად უკავშირდება, და ჩემს საქმეზე თუ არ ვილაპარაკე, არც კი ვიცი, სხვა რა ვთქვა. იმედი მაქვს, შენდობის განწყობაზე ხართ.

მე ის თანამედროვე მეზღაპრე ვიყავი, რომელიც თავის ადრულ ნაწარმოებთა საწყისებში იმალება; მაგრამ „სანდაროზის სიკვდილით“ აჩრდილებს დაეუსხლტი. ჩემი ადრული ნაწარმოებები შეიძლება დახასიათდეს მონოლოგთა სერიად, როცა მკითხველი არ იგულისხმება; თუმც, როცა ეს რომანი დავიწყე, საკუთარი თავი მოედანზე წარმოვიდგინე, თითქოს მსმენელებს გატაცებით ვუყვებოდი რაღაცას. ეს მხატვრული პროზის ფართოდ ცნობილი ტრადიციაა, მაგრამ ჩინეთში მას მანაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ერთ დროს თანამედროვე დასავლურ მხატვრულ ლიტერატურას ბევრითად ვსწავლობდი და თხრობის

ათასგვარ სტილში ვოსტატდებოდი. მაგრამ ბოლოს საკუთარ ტრადიციას დავუბრუნდი. დარწმუნებით ვიტყვი, ამ დაბრუნებას უმოდიფიკაციოდ არ ჩაუვლია. „სანდალოზის სიკვდილი“ და მას მოყოლებული რომანები ჩინური კლასიკური რომანის ტრადიციის მემკვიდრენი არიან, ოღონდ — დასავლური ლიტერატურული ტექნიკით შესრულებულნი. ახლებური მხატვრული ლიტერატურა დიდწილად ამ ნაზავის შედეგია, რომელიც არ იზღუდება მხოლოდ სამამულო ტრადიციას შერწყმული უცხოური ტექნიკით: ის შეიძლება შეიცავდეს ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა სახეობათა ნაზავსაც. მაგალითად, „სანდალოზის სიკვდილი“ პროზა ადგილობრივ ოპერას ერწყმის, მაშინ, როცა ჩემი ადრეული ნაწარმოებები ნაწილობრივ საზრდოობდნენ სახვითი ხელოვნებით, მუსიკით, აკრობატიკითაც კი.

ბოლოს კი, ნება მიბოძეთ, ჩემს რომანზე „სიცოცხლეს მღლის და სიკვდილიც“ გესაუბროთ. რომანის ჩინური სახელწოდება ბუდისტური ნიგნებიდან მომდინარეობს. როგორც მითხრეს, მთარგმნელები ახლა მის გადატანას ცდილობენ თავიანთ ენებზე. ბუდისტურ ნიგნებში რიგიანად ვერ ვერკვევი, მაგრამ რელიგია საკმაოდ კარგად ვიცი. სათაურად ეს სტროფი იმიტომ ავირჩიე, რომ ბუდისტური სარწმუნოების ფუძემდებელი დოგმების უნივერსალურ ცოდნასა და იმას წარმოაჩენს, რომ ბუდას სამფლობელოში კაცობრიობის მრავალი საკამათო თემა სრულიად უმნიშვნელოა. ამ ამალღებულ მსოფლმხედველობის თანახმად, ადამიანური სამყარო შესაბრაღისია. ჩემი რომანი რელიგიური ტრაქტიკა არ გახლავთ; მასში აღვწერე ადამიანთა ბედი და ადამიანური ემოციები, მათი შეზღუდულობა და ხელგაშლილობა, ბედნიერების ძიება, მანძილი, რომელსაც ვაღიან, და მსხვერპლი, რომელიც მიღიან, საკუთარი რწმენა რომ შეინარჩუნონ. ლან ლიანი, პერსონაჟი, რომელიც თავის თვალსაზრისს იცავს და თანამედროვე ტენდენციებს არად აგდებს, ჩემი აზრით, ნამდვილი გმირია. ამ პერსონაჟის მოდელი მეზობლად მდებარე სოფლის მკვიდრი იყო. ყმანვილობისას ხშირად მიხსახავს ჩვენს კართან ჩავლილი მისი ხისთვლიანი ღრჭიალა ოთხთვალა, ზედ ფეხმოკეცვით მჯდარი მისი ცოლით, რომელშიც კოჭლი სახედარი იყო შებმული. თუ საზოგადოების კოლექტიური ბუნება არსებობს, მშრომელთა ეს უცნაური ჯგუფი გამოხატავდა იმ არაბუნებრივ შეხედულებას, რომელიც დროისთვის ფეხის აწყობას არ აპირებდა. ბავშვებისათვის ისინი ჯამბაზები იყვნენ, რომლებიც ისტორიული მიმართულების საპირისპიროდ მიდიოდნენ და ჩვენში ისეთ აღშფოთებას იწვევდნენ, ქვის სროლით მივდევდით ხოლმე. წლების შემდეგ, როცა წერა დაიწყე, ის გლეხი და მთელი ის სცენა გონებაში ამომიტივტივდა და მივხვდი, ერთხელაც რომანს დავწერდი მასზე, ადრე თუ გვიან მის ამბავს სამყაროს ვუამბობდი. მაგრამ ეს 2005 წლამდე არ მომხდარა: ტაძრის კედელზე ბუდისტური ფრესკა „სამსარას ექვსი საფეხური“ ვნახე და მივხვდი, რა გზით ნავიადოდი მისი ამბის თხრობას.

ჩემთვის ნობელის პრემიის მონიჭებამ წინააღმდეგობანი წარმოშვა. პირველად ვიფიქრე, რომ კამათის სამიზნე მე ვიყავი, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რომ რეალური სამიზნე იყო ადამიანი, რომელსაც ჩემთან საერთო არაფერი ჰქონდა. ზუსტად ისე, მავანი თეატრში სპექტაკლს რომ უყურებს, საკუთარ თავზე წარმოადგენას ვადევნებდი თვალს. მე ვხედავდი ნობელის პრემიის ლაურე-

ატს, რომელსაც ერთდროულად ყვავილწულიც ამშვენებდა და გარს ქვისა და ლაფის მსროლელებიც შემორტყმოდნენ. მეშინოდა, შეურაცხყოფას მდგომარეობიდან არ გამოეყვანა, მაგრამ მან თავი დააღწია ყვავილებსაც და ქვებსაც. გაიღიმა; ლაფი მოინმინდა, მშვიდად გადაგა გვერდზე და ბრბოს მიმართა:

მწერლისთვის საუკეთესო სალაპარაკო საშუალება წერაა. ჩემს ნაწარმოებებში ყველაფერს იპოვით, რის თქმაც მინდოდა. ზეპირ სიტყვებს ქარი გაფანტავს; დაწერილი სიტყვა არასოდეს ნაიშლება. მინდა, რომ მოთმინებით ნაიკითხოთ ჩემი ნიგნები. არ ძალმიძს, ამის ჩადენა გაიძულოთ, მაგრამ რომც ნაგეკითხათ, არა მგონია, ჩემზე აზრი შეგცვლოდათ. მსოფლიოში ჯერ ისეთი მწერალი არ გაჩენილა, რომელიც ყველა მის მკითხველს ჰყვარებოდა; ეს განსაკუთრებით მართალია იმ დროს, როგორც ჩვენია.

მიუხედავად იმისა, რომ მერჩივნა, არაფერი მეთქვა, და ამ შემთხვევაში ეს ზედგამოჭრილი იქნებოდა, ნება მომეცით, მაინც ვითხრათ:

მე მეზღაპრე ვარ, ამიტომაც თქვენთვის რალაცის მოყოლას ვაპირებ.

როდესაც 1960 წელს მესამე კლასის მოსწავლე ვიყავი, სკოლიდან ნამების მსხვერპლთა ღია გამოფენაზე წავიყვანეს, სადაც ჩვენი მასწავლებლის მითითებისამებრ, მწარედ ვტიროდით. ცრემლები ღანვებზე შევირჩინე მასწავლებლის ეშხით და ვუყურებდი, ზოგი ჩემი კლასელი ხელზე როგორ იფურთხებდა და სახეზე როგორ ისვამდა, აქაოდა, ვტირიო. სხვა მოქვითინე ბავშვებს შორის (ზოგი გულწრფელი იყო, ზოგიც თვალთმაქცობდა) ერთი შევამჩნიე, რომელსაც სახე მშრალი ჰქონდა. იგი დუმილს ინარჩუნებდა და ხელებს ღანვებზე არ ისვამდა. თვალები ფართოდ გაეხილა და გაოცებული თუ დაბნეული შემოგვცქეროდა. ექსკურსიის შემდეგ მასწავლებელს იმ ბიჭუნაზე მოვუყვიე. დისციპლინური გაფრთხილება მიიღო. წლების შემდეგ, როცა სინდისის ქენჯნამ შემანუხა და ბიჭის დასმენის გამო ნუხილი გამოეხატე, მასწავლებელმა მითხრა, რომ ათამდე ჩემი კლასელიც ასე მოქცეულიყო. ბიჭუნა ათ წელიწადში თუ უფრო ადრე გარდაიცვალა და სინდისი ყოველთვის მქენჯნიდა, როცა კი მასზე გაეფიქრებდი. თუმც ამ ინიციატინტმა რალაც ძალზე მნიშვნელოვანიც მასწავლა: როცა შენს ირგვლივ ყველა ტირის, უფლება გაქვს, შენ არ იტირო, და როცა ცრემლი მხოლოდ საჩვენებლად სდით, შენი უფლება — არ იტირო — კვლავაც დიდი რამ არის.

აი, მეორე ამბავიც: ეს მოხდა ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ, როდესაც შეიარაღებულ ძალებში ვმსახურობდი. საღამო ხანს ჩემს კაბინეტში ვიჯექი და ვკითხულობდი. უფროსმა ოფიცერმა კარი შემოაღო და შემოვიდა. მან ჩემს წინ მდგარ სკამს დახედა და ჩაილულულა: „ჰმ, არავინაა?“ მე წამოვდექი და ხმამალა ვთქვი: „იმის თქმა გინდათ, რომ მე არავინ ვარ?“ ოფიცერს სირცხვილმა ყურები შეუნითლა. მალევე წავიდა. დიდი ხნის განმავლობაში ვამაყობდი იმით, რაც, ჩემი აზრით, თავხედური პერფორმანსი იყო. წლების შემდეგ ეს სიამაყე სინდისის ქენჯნად გარდაიხსახა.

სულ ერთი წუთითაც მოითმინეთ, ვიდრე ბაბუაჩემის მიერ დიდი ხნის წინათ მოყოლილ უკანასკნელ ამბავს მოკითხობდეთ: რვა სოფლელი ქვის მთლელისაგან შემდგარმა ჯგუფმა ქარიშხალს თავი დანგრეულ ტაძარში შეაფარა. გარედან ჭექა-ქუხილის ხმა მოისმოდა. ცა გრგვინავ-

და. ელავდა. ტაძარში მყოფთ ეს ლამის დრაკონის ღრიალად ეჩვენებოდათ. შეძრწუნებულიყვენენ. სახე გაფითრებოდათ. ერთ-ერთმა თქვა: „ჩვენში არის ვილაც, ვინც ცა განარისხა თავისი საშინელი საქმით“. დამნაშავე ნებაყოფლობით გარეთ უნდა გასულიყო, სასჯელი მიეღო და უმანკოსათვის ტანჯვა თავიდან აეცილებინა. ბუნებრივია, არავინ ნამოდგარა. ერთმა ასეთი წინადადება წამოაყენა: „რადგან გარეთ გასვლა არავის სურს, მოდი, ყველა ჩვენგანმა თავისი ჩალის ქუდი კარის მიმართულებით ისროლოს. რომლის ქუდიც უკან აღარ დაბრუნდება, დამნაშავეც ის იქნება და სასჯელსაც ის დაიმსახურებს“. მართლაც, ქუდები კარის მიმართულებით გაისროლეს. შვიდი უკანვე მოფარფატდა. ერთი კი კარს გასცდა. მერვე ქვისმთელს უთხრეს, გარეთ გასულიყო და თავისი სასჯელი მიეღო. იუარა, რის გამოც ძალით გააგდეს გარეთ. დაგენაძლეებით, ყველა თქვენგანმა იცის ამ ამბის დასასრული: მერვე ქვისმთელის გარეთ გაგდებიდან წამებში ტაძარი თავზე ჩამოექცათ.

მე მეზღაპრე ვარ. ამბების თხრობამ ლიტერატურაში ნობელის პრემია მომიტანა. მანამდე ბევრი საინტერესო რამ გადამხდა, რომელთაც დამარწმუნეს, რომ ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას ყავლი არ გასვლიათ. ასე რომ, მომავალშიც ამბების თხრობას განვაგრძობ. მადლობა ყველას.

**ინგლისურიდან თარგმნა
ბია ჯონსაძემ**

გაომი — ჩინეთის შანდუნის პროვინციაში მდებარე ქალაქი
ჯიაოზი — ცზიაოცზი — აღმოსავლეთში გავრცელებული კერძი, ცომში გახვეული ხორცი და ბოსტნეული (უპირატესად, კომბოსტო), ე.წ. ჩინური პელმენი
მო იანი მწერლის ფსევდონიმი; მისი ნამდვილი გვარ-სახელია გუან მოუ
ქინგდაო — ცინდაო — ქალაქი შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთით, ყვითელი ზღვის სანაპიროზე
შენ ქონგუენი (1902-1988) — ჩინელი მწერალი
პუ სონგლინგი (1640-1715) — ჩინელი მწერალი

ზეიმი წიგნების სახელზე



ჩაბარდა დროს, იშვიათ გამოცემათა მოპოვება-შეძენა პრივილეგირებულთა მონაპოვრად ანუ პრესტიჟად რომ მიიჩნეოდა. გამახსენდება, რუსთაველზე, წიგნების ელიტურ მაღაზიაში კაკლის ხის გალაქულ მოაჯირთან შემართული გოროზი ქალბატონები, მზერას რომ იმკაცრებდნენ, თხოვნა იოლად არ შეგებულა...

ისიც დროს ჩაბარდა, მდიდრულ ოჯახებში წიგნები სიმყუდროვის სამკაულებად რომ ელავა ანტიკვარული კარადების თაროებზე. დღეს წიგნის ის ყიდულობს, ვისაც ძალიან სჭირდება, ანდა ათვალერებენ ისინი, ვისაც აუცილებლად სჭირდება, მაგრამ ფული ვერ ემეტებათ, რადგან ამ შენაძენის მერე მატულობს პრობლემები, დუხჭირი ყოფის ანარეკლი. არადა მრავლდება ერთიერთმანეთზე ლამაზი წიგნების მაღაზიები. ადრინდელთა გაუქმების კვალობაზე, მართლაც რომ თვალს ახარებს კულტურის ამდაგვარი ფერადოვანი კერები. თანამედროვე და მოხდენილ ინტერიერებში შეაბიჯებთ და გული გაგინათდებათ. ხელისგანვდენაზეა ყველანაირი გამოცემა, რასაც მოინებებთ. წიგნის მუშაკები კეთილმასპინძლური ღიმილით გისტუმრებენ, თუნდაც არაფერი შეიძინოთ. დაზოგავენ იმისთვისაც, უხერხულობის გამო რომ შეიპირებთ, სხვა დროს შემოვივლი საყიდლადო. წიგნი კვლავ ელიტურობად ითვლება, კითხვაც... ერთი სიტყვით, წიგნის ზეიმზე უნდა მოგახსენოთ.

მთავარ პროსპექტზე, ზუსტად რუსთაველის თეატრის მოპირდაპირე მხარეს, თაქვემ შეაბიჯებთ, ერთ ციცქნა ეზოს გადაკვეთთ და წიგნების მაღაზია „ლიტარნა +“-ში აღმოჩნდებით. სწორედ აქ გაიმართა წვეულება 14 ნოემბერს. აღნიშნეს დარსების ორი წელი და თანაც ეს დღე სახელგანთქმულ საბავშვო შვედი მწერლის ლინდ გრენის საიუბილეო თარიღს რომ დაემთხვა, საზეიმო განწყობას უფრო იმყარებდნენ. ამასთან დაკავშირებით, მაღაზია 2 დღის განმავლობაში სთავაზობდა მომხმარებელს 20 პროცენტთან ფასდაკლებას ნებისმიერ გამოცემაზე. მენეჯერ-დამფუძნებლების ბონა კეპლიშვილის და სანდრო ღვინაშვილის ამდაგვარი ინიციატივა ეტყობა ბევრისთვის გახდა სიხარულის მომნიჭებელი. განსაკუთრებით მრავლად გაიყიდა საბავშვო გამოცემები. შესაბამისად ლაღობდნენ ამ ლიტერატურის ნორჩი მკითხველები. უფროსების დახმარებით ხომ ირჩევდნენ საყვარელ წიგნებს, ამავე დროს სამახსოვრო საჩუქრებსაც მონდომებით უწვდიდნენ ხელს.

წვეულებაზე საგანგებოდ დასწრებული ბესტსელერთა თანამედროვე გამოჩენილი ქართველი ავტორები სრული პასუხისმგებლობით არიგებდნენ ავტოგრაფებს... საქმიანად ფაქიფუცობდნენ ტელეფურნალისტები, მიკროფონთან იხვევდნენ სასაუბროდ რჩეულებს; თანაბრად რომ იყვნენ მზად გამოსაჩენადაც და ოდნავ თავპატიყსაც იფერებდნენ.

საგანგებოდ მომზადებული სიტყვა არ თქმულა, არც ექსპრომტით მოუწონებია ვინმეს თავი ხმამაღლა. იყო შინაურული და გულითადი სადღეგრძელოები ღვინითა თუ შამპანურით, საიუბილეო ტორტიც გაიჭრა, სამარხვო თუ სახსნილო ნუგბარით გადავსებულ მოგრძო მაგიდაზე, და რომ იტყვიან, ელავდა ხალისი თბილისურად.

ადრე წიგნების მაღაზიებში ასეთი შეხვედრები არ იმართებოდა. ახლა იქცა ჩვეულებად, და ეს უნდა იყოს კარგიც — ზეიმი წიგნების სახელზე.

ბაია მაკალათია

„განათლება ჩვენი ქვეყნის მომავალი“

(მაკა ჯიზლაძის ესაუბრება გიორგი მარგველაშვილი)

განათლების სისტემა და მეცნიერების დონე მჭიდროდა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან, ხოლო განათლებისა და მეცნიერების კრიზისი დამლუპველად მოქმედებს ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ვითარებაზე. მეცნიერება და განათლება ერის მომავალს განსაზღვრავს. დღეს მეცნიერი დაუფასებლობის გამო, მშობელი კი შვილის განათლების გამო წუხს. ამ ძალზედ მნიშვნელოვან სისტემაში იმდენი პრობლემა შეიქმნა რომ ყველაფრის ერთბაშად მონესრიგება რთულია. საზოგადოება ახალი ხელისუფლებისგან სიახლეებს ელოდება. თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ამ სისტემაში მოვლენები, ამის თაობაზე განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი გვამცნობს:

— ბატონო გიორგი, გილოცავთ განათლების მინისტრად დანიშვნას. თქვენ საკმაოდ საინტერესო და რთული სფეროს წინამძღოლად აგირჩიეს. მთელი საქართველოს მოსახლეობა — ყოველი მშობელი, მასწავლებელი თუ მოსწავლე — იმედით გიყურებთ. რა სიახლეებს სთავაზობთ მასწავლებლებს?

— განათლების სამინისტრო ბევრ საკითხზე მუშაობს, ბევრი შეცდომებია დაშვებული და ამის მონესრიგება მოკლე ვადაში რთულია. პირველი, რასაც დიდი ყურადღება დაგუთმე, მასწავლებელთა თემაა. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ პედაგოგიურ კოლექტივთან ნებისმიერ თემაზე კონსულტაციის გავლას. ამ საზოგადოებისადმი ჩემი პატივისცემა მაშინ გამოვავლინე, როდესაც პოლიტიკური ნიშნით დევნილ მასწავლებლებს მივეცით თავისუფლება, თვითონ მოაგვარონ სკოლაში დაბრუნების პრობლემები. მასწავლებელი ახალი თაობის აღმზრდელია და ჩვენი საზოგადოების ყველაზე საპატივსაცემო ნაწილია. არ არის საჭირო სახელმწიფომ გადანიჭოს ყველაფერი, არამედ საზოგადოების ამ ნაწილმა თვითონ უნდა გადალახოს შეცდომები. მასწავლებლისადმი პატივისცემა უნდა გაიზარდოს. მე რაც მესმის ხოლმე, იოლია მასწავლებლის შეურაცხყოფა. სულ ის მაგალითი მომყავს: მაცხოვარმა თორმეტი ადამიანი შეარჩია, აქედან ერთმა გასცა, მეორემ უარყო...

— როგორ უნდა დავამყაროთ დისციპლინა? დღეს უკვე არსებობს სკოლაში გარკვეული პრობლემები, რომელსაც მხოლოდ მასწავლებლები ვერ შევლიან. როგორ უნდა მოვუაროთ პრობლემურ ბავშვებს?

— სკოლაში ბავშვებს სხვადასხვა ოჯახის შვილები უშვებენ, ეს ბუნებრივია, რადგანაც საზოგადოება სხვადასხვა სოციალური ფენისგან შედგება. დისციპლინა უნდა დავამყაროთ ფსიქოლოგის, მანდატურისა და მასწავლებლების დახმარებით. პრობლემური ბავშვები არამცდარაა არც არ უნდა გაირიცხონ სკოლიდან. მათი საზოგადოებიდან ამოგდება არ არის სწორი ნაბიჯი, ამ ბავშვების ინტეგრაცია უნდა მოვახდინოთ აკრძალვის რბილი ფორმით.

— გაგრძელდება თუ არა მასწავლებელთა სერტიფიცირება?

— მასწავლებელი თვითონ აირჩევს თუ რომელ საგანში გაივლის სერტიფიცირებას.

— დღეს ყველა საჯარო და კერძო სკოლაში მკვეთრად დგას სახელმძღვანელოების პრობლემა როგორც შინაარსის, ასევე ფორმატის და ფასის გამო. რას აპირებს სამინისტრო ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

— ამ საკითხზე უკვე ვმუშაობთ. ჩვენი სურვილია, პირველ რიგში მოვაგვაროთ ფორმატის საკითხი, რადგანაც ჩანთების სიმძიმის გამო აქტიურად გავრცელდა სქოლიოზი და, ცხადია, უნდა დაიხვეწოს შინაარსი. სახელმძღვანელოების გაიაფებაზეც ვმუშაობთ.

— იანვრის არდადეგები საკმაოდ დიდხანს გრძელდება და ბავშვები სასწავლო პროცესიდან ამოცვივებიან. სემესტრები მეოთხედებად ხომ არ დაიყოფა?

— არა, ამ საკითხს არ განვიხილავთ.
— როგორ შეიძლება გავზარდოთ მოსწავლეთა ინტერესი ლიტერატურისა და წიგნის კითხვისადმი? ხომ არ შეიძლება განათლების სამინისტრომ ლიტერატურული კონკურსები გამოაცხადოს, კერძოდ — ვეფხისტყაოსნის კითხვაში, მოეწიოს პოეზიის საღამოები, წარჩინებული მოსწავლეები გამოვავლინოთ საზოგადოების წინაშე, რამაც შეიძლება გარკვეული დინამიკა მისცეს ბავშვების განათლებას?

— რა თქმა უნდა საკმაოდ საინტერესო იქნება, არსებობს მშვენიერი პოეზია, გენიალური პოეზია კი სულ სხვა რამ არის. ვეფხისტყაოსანი ძალიან საინტერესო ბევრი თემით შეიძლება განვიხილოთ. ეს ჩვენი იდენტობის ფუნდამენტია. წიგნისადმი ინტერესი კიდევ მეტად უნდა გაიზარდოს.

— განახლება თუ არა რუსული ენის სწავლება როგორც ადრე იყო, ზოგ სკოლაში საერთოდ არ ისწავლება, ზოგში კი მე-7 კლასიდან იწყება? ვფიქრობ, პუშკინს, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ცვეტაევის, ახმატოვის და ბევრ სხვა შესანიშნავ ავტორებს ახალგაზრდა თაობა უნდა იცნობდეს.

— გეთანხმებით, ძალიან სასაცილო იყო რუსული ენის დევნა. პოლიტიკური პრობლემების გადატარებას ცვეტაევისა და ბლოკზე რომ ვაპირებდით. ასეთი სასაცილო პოლიტიკა აღარ არსებობს. ეს საკითხი სასწავლო გეგმის კონსტრუქტში იქნება განსახილველი, საფიქრალი და დასახვეწია, თუმცა ჩვენი სახელმწიფო რუსულ ენაზე სპეციალურ ინვესტიციას ვერ გამოყოფს, იმიტომ კი არა, რომ რუსული ენა რომელიმე ენაზე ნაკლებია, ერთადერთი ენა, რომელზედაც სახელმწიფომ ინვესტირება გამოყო, ინგლისური ენაა, მაგრამ რუსული ენის შევინაროება რომ არ იქნება, ამის გარანტიას გაძლევთ.

— მანდატურებს სკოლაში რა ფუნქცია ექნებათ? როგორც ვიცით სისტემა შეიცვალა.

— მანდატურებს შეეცვალათ მანდატი. ფუნქცია აქვთ ერთმნიშვნელოვნად სკოლაში უსაფრთხო სკოლის უზრუნველყოფა. განსხვავება წინა ფუნქციიდან მდგომარეობს შემდეგში: ადრე ეს იყო გარკვეული დაზვერვის სამსახური, რომელიც მასწავლებლებსა და დირექტორებზე ზედამხედველობას ახორციელებდა. დღეს ეს სამსახური სკოლაში პედაგოგიურ კოლექტივს უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით ეხმარება. სამწუხაროდ, სკოლაში რომ მანდატური გვჭირდება, ამაზე

მეტყველებს ის ნივთები (დანა და მსგავსი ბასრი საშუალებანი), რომლის ჩამორთმევააც ხდება მოსწავლეებისგან. არსებობს ფიზიკური ძალადობის ფაქტები. აქ მანდატური იმუშავენ მხოლოდ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან შეთანხმებით. ისინი ერთად დაგეგმავენ ჩვენი შვილების უსაფრთხოებას. ამ მხრივ მანდატურის ფუნქცია, რომელიც ადრე ახორციელებდა სადაზვერვო სამსახურის დავალებას, გაჩერებულია, მაგრამ მწუხარებით ვამბობ, უსაფრთხოების საჭიროება ნამდვილად არსებობს. შეიცვალა მანდატურის ხელმძღვანელობა, მოხდა მანდატურის გადამზადება. მე ვხედავ, რომ მანდატურებს ძალიან უხარიათ, ახალ ფუნქციას და არა სპეცრაზმის დავალებას რომ ასრულებენ.

— იყო შემთხვევები, როდესაც საშობაო ზეიმზე მოძღვარს მანდატურმა ხატის შეტანა აუკრძალა, კლასში ბავშვებს ხატების კუთხის მოწყობის ნება არ დართეს... მსგავსი ფაქტები საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა:

— **სამწუხაროდ, მსგავსი ბევრი სხვა დარღვევაც იყო. დღეს უკვე მანდატური პედაგოგის კოლეგია.**

— ჩვენ დავინყეთ მანდატურის ფორმის შეცვლა. ბავშვები ფორმის დიზაინის დასახატად ჩავრთეთ. ათასამდე ბავშვმა ახალ ფორმასი დახატა მანდატური.

— **შეიძლება ფსიქოლოგის ან სხვა რამე მეთოდის გამოყენებით მანდატურის სისტემა აღარ დაგვჭირდეს? მახსენდება ფრანც კაფკას ბავშვობა. მკაცრი მამა ბავშვს ათასწიარად სჯიდდა. ამის გამო იგი სამყაროს განერიდა. სკოლაში მანდატურის სამსახური მაინც ამკრძალავი სისტემაა.**

— საზოგადოებისგან მანდატურის სისტემის მოშლაზე არის მოთხოვნა. მოშლა ადვილია, თუნდაც ჩემთვის, ერთი ბრძანებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ გავაკეთებ. მანდატურის სამსახურის არასწორი პოლიტიკის გამო შეიცვალა დღეს მათი ფუნქცია. ამკრძალავი ინსტიტუტი არ უნდა გადავიდეს შიშსა და ტერორში. სკოლაში თუ ძალადობაა, სათავე უნდა ვეძებოთ თუ რას ისმენს ბავშვი ტელევიზიით, რადიოთი ან ინტერნეტით. აქედან გამომდინარე ბევრი რამეა დამოკიდებული მშობლებსა და პედაგოგებზე. ბავშვი შინიდან გასვლისას დაცული უნდა იყოს. ჩვენი დაუდევრობის გამო ბავშვები უბედურებაში არ უნდა გაგზავნიოთ. ამაზე ვაღიარებ ვართ. სამწუხაროდ, ბევრი რამე, რაც გაკეთდა წინა ხელისუფლების დროს, იმდენად არასწორი იყო, რომ დღეს ძნელია ყველა არასწორი ნაბიჯის ერთბაშად აღმოფხვრა. მანდატური შემოიღეს არა უსაფრთხო სკოლისთვის, არამედ დირექტორის დასაბრუნებლად, ამით ბევრი რამე გაფუჭდა. უკვე დიდი ბედნიერებაა ის, რომ ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ ისეთი ლექსიკით როგორც იყო „თქვენ სისხლს დავლევ“.



გიორგი მარგველაშვილი

— **როგორი ფორმით გაუძვირდა სტუდენტს დაფინანსება?**

— სახელმწიფოსთვის ორჯერ უფრო მეტად გავაძვირეთ ხარჯი განათლებაში. სტუდენტებისთვის რა თანხაც იყო გამოყოფილი, დღეს ორჯერ უფრო მეტს ვდებთ, უფრო მეტი სტუდენტი მიიღებს ხარისხიან განათლებას. ეს გაორმაგებული თანხაც არ არის საკმარისი. გაათმაგებული თანხაც შეიძლება არ ეყოს. სწორედ ეს არის ჩვენი სტრატეგია: განათლების სამინისტრომ ამ სისტემაში მეტი რესურსი უნდა ჩალოს. ამ თანხას ზოგი სტუდენტი მიიღებს, ზოგიც ვერა. ვინც მიიღებს ამ დაფინანსებას, იმედი მაქვს, რომ მათი განათლების ხარისხი გაიზრდება. ბუნებრივია, როდესაც სისტემაში თანხა იზრდება, ეს სისტემა უმჯობესდება.

— **რა ბედი ეწევათ ჩვენს მეცნიერებსა და მეცნიერებს? მოგესხნებათ ამ სფეროს ძალზედ სავალალო მდგომარეობა. ინტელიგენცია ყოველთვის იყო საზოგადოებრივი აზრის მამოძრავებელი ძალა. მათ გარეშე წარმოუდგენელია ერის წარმატება. ახალგაზრდა ნაკლებად მიდის მეცნიერებაში, რადგანაც იცის, რომ ამ სფეროში მუშაობით თავს ვერ ირჩენს, თან ხედავს, რომ ამ ქვეყანაში მეცნიერს არავითარი დაფასება არა აქვს. როგორ ფიქრობთ, შეიძლება შექმნას ჩვენს პროფესორებს და აკადემიკოსებს ისეთი პირობები და დაფასება, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია?**

— უნდა ვეცადოთ. სამ თვეში მეცნიერებს ვერ აღვადგენთ. მეცნიერება ქვეყნის მომავალია. ამით ქვეყანამ საკუთარი თავი უნდა შეინარჩუნოს. ჩვენმა სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ მეცნიერი იყოს დაფასებული და შესაბამისი ხელფასიც ჰქონდეს. ამ ფენას არ უნდა აწუხებდეს ფინანსური პრობლემები. პროფესორისთვის მეცნიერება არ არის ბიზნესი. მსოფლიო რუკაზე რითიც ჩვენ თავს აღვნიშნავთ, ეს არის ხელოვნება, მეცნიერება. ქვეყნის კულტურით ვართ ამაყნი. აქედან გამომდინარე მომავალი უნდა შევინარჩუნოთ. საქართველოს მომავლის იდენტობა სწორედ სამეცნიერო მიღწევების სფეროშია.

P.S. ფილოსოფოსი მინისტრი საკმაოდ საინტერესო რესპონდენტია. ვფიქრობ, დიდი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც ჩვენს ქვეყანას — წინა მინისტრებისგან განსხვავებით — განათლებული პიროვნება მოველინა, რომელსაც უყვარს საკუთარი ქვეყანა და დარწმუნებულია, რომ მსოფლიო რუკაზე ჩვენი კულტურით უნდა ვიამაყოთ. თავისუფალ საზოგადოებას თავისუფალი მთავრობა და მინისტრები სჭირდება. ჩვენი ცხოვრების ყაიდა კი ამ ცნებას მოკლებულია. განათლების მინისტრს სურს თავისუფალი საზოგადოება შექმნას და მეტ არჩევანს სთავაზობს მასწავლებლებსა და სკოლებს. ასე რომ, განათლების სისტემაში საკმაოდ საინტერესო, მეტიც, საიმედო პანორამა იქმნება.

მოახლოებულია ჟამი წმინდანად მისი შერაცხვისა

(გიორგი გოგოლაშვილის ლექცია იაკობ გოგებაშვილზე)

ილია ვეკუას ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეები მათი მასწავლებლის, ისტორიკოს **ნუგზარ მოლაშვილის** ინიციატივით, საქართველოს ისტორიის მოყვარულთა კლუბ **„მემკვიდრის“** სახელითა და **როსტომ ჩხეიძისა** და **ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“** თანადგომით, საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ მოღვაწეთა შესახებ ლექციებს ისმენენ. პირველი შეხვედრა გიორგი სააკაძის პიროვნებას შეეხებოდა. როსტომ ჩხეიძემ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში წაკითხულ ლექციაში მოსწავლეებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიანწოდა.

რიგით მეორე შეკრების ადგილი უცვლელია. ლექცია კი იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლის იუბილეს მიუძღვნეს ორგანიზატორებმა. ახალგაზრდებს ამჯერად გიორგი გოგოლაშვილი, იაკობ გოგებაშვილის შესახებ მრავალი საინტერესო გამოკვლევის ავტორი ესაუბრა — ვრცელ მოსახლეობაში იაკობის უმთავრესი დამსახურებანი წარმოაჩინა, გამოკვეთა ძალზედ შთამბეჭდავი პორტრეტი „დედაენის“ ავტორისა, მისი მსოფლმხედველობა და მრწამსი. ენათმეცნიერმა მოსწავლეებს მოუთხრო ღვანლზე, რომელიც მარადიული მოძღვრის წინაშე საზოგადოებას გარკვეულ მოვალეობასაც აკისრებს.

შეკრებილთ **როსტომ ჩხეიძე** მიესალმა და ქართველი ერის წინაშე იაკობ გოგებაშვილის ის უდიდესი დამსახურება კიდევ ერთხელ გაახიანა, რამელსაც 2007 წელს ბიოგრაფიული რომანი **„ბურჯი ეროვნებისა“** მიუძღვნა. მწერლის თქმით, მისი კანონიზაციისათვის, წმინდა სინოდის მზადყოფნასთან ერთად, საზოგადოებრივი აზრის მომზადებაც მნიშვნელოვანია.

— იაკობ გოგოლაშვილმა სასწაულის ჩადენა მოახერხა, შეუძლებელი შეძლო... თავისი ბიოგრაფიით, ღვანლით იგი უდავოდ წმინდა კაცია და უნდა შეირაცხოს წმინდანად. ამას არ ამბობენ საერო პირები, ეს აზრი ტრიალებს სასულიეროთა შორის — თვითონ უწმინდესის აზრია, მაგრამ მას სურს, რომ საზოგადოებაში იყოს გამომძახილი...

როცა დასავლელი ექსპერტები გაცენენ იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებას, თქვეს, ჩვენ რა უნდა გასწავლოთ, როდესაც ასეთი მოძღვარი გყავთო. ისე უსწრებ-



და იაკობი დროს, გაუჭირდათ დაჯერება, რომ ეს საუკუნის წინათ დაინერა.

ბატონმა როსტომმა ახალგაზრდებს მომხსენებელი, **გიორგი გოგოლაშვილი** წარუდგინა, რომელმაც რამდენიმე შესანიშნავი ნიგნი დაწერა იაკობ გოგებაშვილზე და ბოლო დროს ლამის ხელჩართული ბრძოლაც მოუხდა მისი სახელის დასაცავად.

— ხვალ იაკობის დაბადების დღეა. ამასთანავე, ასი წლის სრულდება მისი გარდაცვალებიდან. ეს დასაწყისია იმ მარადიული სიცოცხლისა, რომელსაც იგი ჩვენში დაიმკვიდრებს...

თავის დროზე, ქართულ სინამდვილეში „დედაენის“ როლი სახარებაში შეასრულა. **XIII** საუკუნიდან „ვეფხისტყაოსანი“ ინარჩუნებდა ქართულ ენას და **XIX** საუკუნემდე სახარებაში და „ვეფხისტყაოსანმა“

იტვირთეს ქართული ენის გადარჩენა. **XIX** საუკუნიდან მათ „დედაენა“ ეშველება. **XIX** საუკუნეში ქართული ენა სამმა ბუმბერაზმა — ილიამ, აკაკიმ, იაკობმა — გადაარჩინა. რომ არა იაკობი, ილიას რეფორმას არ ექნებოდა ის მასშტაბები...

აკაკის აზრით, ჩვენი ბედისწერა განათლებაზე დგას. ეს სადღეისო ლოზუნგიც უნდა იყოს, რადგანაც იგი არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას... იაკობ გოგებაშვილმა ილიას ტრიადას — მამული, ენა, სარწმუნოება — მიამატა ეროვნული სკოლა.

თამამ-თამამით რომ შეხვედით ნიგნიერების დიდ სამყაროში, სწორედ ესაა იაკობ გოგებაშვილი. „აი ია“ — ეს არის ალბათ ქართული კულტურის ისტორიაში ყველაზე დიდი აღმოჩენა. იაკობის თქმით, როცა ჩვენს მეზობელ სომხებს უნახავთ „აი ია“, ამ სიმარტივით მოხიბლულთ თვითონაც უცდიათ ამგვარი შესატყვისის მოძებნა, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ... ამას ქართული ენის, ქართული სიტყვის დიდებულებას მიანერს იაკობი.

იაკობ გოგებაშვილმა წინააღმდეგობებით სავსე გზა გაიარა, სარგებელსა და სახსარს გამოდევნებულნი თუ სხვა მანკიერი თვისებებით შეპყობილნი ებრძოდნენ მის სახელმძღვანელოებს. მანვე შექმნა **„русское слово“**. მთარგო ქართველი ბავშვის ფსიქოლოგიას, ბუნებას და ასე ასწავლიდა, ადრინდელი სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, რომლებიც რუსეთში იქმნებოდა.

მოვიდა კომპიუტერის ეპოქა, კოსმოსის ეპოქა, ეს სახელმძღვანელოშიც უნდა აისახოს, მაგრამ პოლიტიკა საგანმანათლებლო სივრცეში არ უნდა შემოვიდეს. 1912 წელია და იაკობი ამბობს: მე „დედაენას“ ვტოვებ ისეთს, როგორსაც დავნერდი ერეკლეს დროსაცო... სახელმძღვანელო უნდა დაეფუძნოს ეროვნულ თვითშეგნებას, ზნეობრივი ადამიანი უნდა აღზარდოს. თუ პირველივე კლასიდან არ აღიზარდა ზნეობრივად, მისგან მამულისმოყვარე არ გამოვაო...

ავკსენტი ცაგარელის თქმით, ქართულ ენას ისეთი ასარ-ბასარი დამცველი ჰყავს, მას ადვილად ვერაფერს დააკლებენო. ეს ასარ-ბასარია იაკობი — ილიას რანგის მოღვაწე. ოღონდ ილიას სამოღვაწეო სფერო უფრო ფართოა. იაკობმა ქალაქდებოც, დოკუმენტებიც კი დაწვა, სახელმწიფო სამსახურში რომ არ მიბრუნებულიყო“...

მოსწავლეები გულისყურით ისმენდნენ ლექციას, რომელიც მათთვის აქამდე უცნობ არაერთ ფაქტსა და დეტალს მოიცავდა. მაგალითად, იაკობის მთავარმართებელ იანოვსკისთან დაპირისპირების ამბავს, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიფრთხილეს ყური არ ათხოვა იაკობმა და საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა „დედაენის“ დაცვისას. როცა იანოვსკიმ ქართული ენის ამოძირკვა გადაწყვიტა, იაკობმა პოლიტიკური შეფასება ილიას მიანდო, საგანმანათლებლო პუნქტობრივი შეფასება კი თავის თავზე აიღო.

იანოვსკი იბარებს იაკობს და ეუბნება, რომ შეამციროს „დედაენა“, ნახევარი გაარუსულოს... ორი კვირა მისცა და უარის შემთხვევაში სკოლებიდან მისი ამოღებით დაემუქრა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეშინდა და დათანხმება ურჩიეს იაკობს, მაგრამ მან უარი თქვა, ამ სახით მკვდარი დედაენა უფრო იოლად აღდგება მკვდრეთით, ვიდრე იმ სახით წამხდარიო. იანოვსკის კი დაემუქრა, რომ სახელმძღვანელოს აკრძალვის შემთხვევაში მეფესთან თვითონ უჩივლებდა... იანოვსკი სათათბიროს წევრობას უმიზნებდა და არ სურდა მასზე მეფესთან საჩივარი მოხვედრილიყო, ამიტომაც უკან დაიხია... ამგვარი პრინციპულობით ბევრ წარმატებას მიაღწია იაკობმა.

ახალგაზრდები განსაკუთრებით იმ ეპიზოდის მოსმენისას მოიხიბლნენ, როცა საოცრად დიდი ტირაჟით გამოცემული სახელმძღვანელოების ავტორის უანგარობა გამოიკვეთა. „დედაენის“ ყოველი ახალი რედაქცია დახვეწისა და გადამუშავების შემდეგ გამოდიოდა. არცერთი მომდევნო რედაქცია, 26 გამოცემიდან, არ იმეორებს წინას. ზოგჯერ 30 000-იანი ტირაჟით იბეჭდებოდა და 10 კაპიკად იყიდებოდა, რათა ყველა ოჯახში შესულიყო. ერთგან წერს კიდევაც, შემეძლო მდიდარი ქართველი ვყოფილიყავიო... წერის დედანიც შეიტანა ნიგნში, რადგან ცალკე ვერ ყიდულობდნენ. სახელმძღვანელოს ფასი კი არ გაუზრდია...

ქართულის სწავლების მეთოდის განსხვავებულობის წარმოსაჩენად და იაკობისეული პედაგოგიური მეთოდის უპირატესობის წარმოსაჩენად ენათმეცნიერმა ქართული ენის საოცარ სიმარტივეს, უნიკალურობას გაუსვა ხაზი. როცა „აი ია“-თი არ იწყებენ სწავლას, ეს უცხოეთიდან გადმოღებული მეთოდია, უცხო ენები კი ისეთია,

მათთვის „აი ია“-ს პრინციპით სწავლება შეუძლებელია. მათი პრობლემა ქართველ ბავშვს არ უდგას, ის სირთულე ჩვენს ანბანს არ ახასიათებსო, — აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა.

ნუგზარ მოლაშვილმა ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აღდგენის თუ არა, ქართულად წერა-კითხვის საზოგადოების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა. მის გულისტკივილს ისიც ამძაფრებს, რომ მაშინ, როდესაც თბილისის ქუჩებში გაფენილი ბანერები ფელიქს ბოშის 150 წლის იუბილეს მოახლოებას გვამცნობენ, არაფერია ნათქვამი ერთ-ერთი უდიდესი მამულიშვილის, იაკობ გოგებაშვილის იუბილეს შესახებ.

— რამ აიძულა იმ გენიოს ქართველს ქართული ანბანის შექმნა? სასწაულია, კრიალოსანივით აიკინძება... იაკობსაც ხომ იას ეძახდნენ ბავშვობაში. ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თუ არა, ქართულად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მაინც შეექმნათ... ერთმანეთს შეეხვედეთ და ვესაუბროთ.

ისე მოხდა, რომ, საჭიროების გამო, ქართულის დამცველები გამოჩნდნენ — გიორგი და როსტომი. ბატონი როსტომი სულ ნამდვილი გმირების წარმოჩენაშია და მადლობა მას...

როსტომ ჩხეიძე:

— იაკობ გოგებაშვილის კვირეული როგორაა ჩაფიქრებული?

ნუგზარ მოლაშვილი:

— ცუდ დღეშია მისი ნივთები, მემკვიდრეობა... განა ჩვენ არა ვართ მისი მემკვიდრენი? იაკობ გოგებაშვილი მართლაც წმინდანია. დოკუმენტური ფილმი გვაქვს მასზე, მაგრამ რადგანაც სკოლაში რემონტია ფილმი მოსწავლეებს ნაწილ-ნაწილ ვაჩვენეთ. დღეს აქ შევიკრიბეთ, ხვალ მთანმინდაზე მივდივართ მისთვის პატივის მისაგებად. ჩვენ მადლიერი შთამომავლობა ვართ და ვიმედოვნებ სხვა დროს მეტნი ვიქნებით.

44 წლის ლევ ტოლსტოი იასნა პალიანაში საკუთარი საანბანო სახელმძღვანელო წიგნით ასწავლიდა ბავშვებს. იმ დროისათვის სახელმძღვანელო მწერალი — „ანა კარენინასა“ და „ომი და მშვიდობის“ ავტორი — მიიჩნევდა, რომ იგი სწორედ ამ მიგნებისათვის დაიდგამდა სამარადისო ძეგლს.

იაკობ გოგებაშვილმა 25 წლის „დედაენა“, ხოლო 28 წლისამ — „ბუნების კარი“ შექმნა. მაგრამ ლევ ტოლსტოის ხვედრისაგან ძალზედ განსხვავდება ქართველი მოღვაწის ბედისწერა, რომელსაც განგებამ თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად მარადიულ ჭიდილში მყოფი ერის-შვილობა არგუნა...

დასასრულს **ნუგზარ მოლაშვილმა** მოსწავლეებს **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების** სახელობის კონკურსების აღდგენა ამცნო და საგაზაფხულო კონკურსის თემად — **„ერი და ეროვნული გმირი“** — გამოაცხადა. **როსტომ ჩხეიძემ** მოსწავლეებს საჩუქრად რამდენიმე წლის წინათ, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემული **გიორგი ლობჯანიძის** მიერ თარგმნილი **სპარსული ზღაპრების** კრებული გადასცა.

ეკა ბუჯიაშვილი

პრეზიდენტის გაღვიძების უფლება ჰქონდა

(მუშნი ზარანდიალან
ჯემალ ფოცხვერიაშვილი)

„ჩემი ცხოვრების აღმართი“ ახლახან გამოქვეყნებულიყო და თითქოს განხილვის მთავარ თემადაც ეს წიგნი უნდა ქცეულიყო ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ წარდგინებაზე, მაგრამ... **როსტომ ჩხეიძის** თქმით, თავის დროზე ძალიან ჩუმად ჩაველო **ჯემალ ფოცხვერიას** მოგონებათა პირველ წიგნს „**შავი სათვალე ეკეთა**“ და ამიტომაც ახლა ამ ორივე გამოცემას, ერთმანეთის გაგრძელებადაც რომ მოიაზრება, ერთად წარუდგენდა შეკრებილ საზოგადოებას:

— ბატონი ჯემალი უშიშროების გენერალი გახლავთ და სწორედ აქედან მოვიდა მწერლობაში ვახტანგ ჯავახიძის ხელდასხმით. წიგნში „შავი სათვალე ეკეთა (ჩეკისტის ჩანაწერები)“ ისეთი ცნობებია თავმოყრილი, რომლებიც ჩვენთვის ხელმოუწვდომელია და კიდევ დიდხანს დარჩება ასე, რადგან კაცმა არ იცის, როდის გაიხსნება ეს საიდუმლო არქივები.

ის არა მხოლოდ ცნობების მხრივია მნიშვნელოვანი, არამედ იმითაც, რომ ავტორი მწერლის თვალთ დასახულ ფსიქოლოგიურ პორტრეტებსაც აგვიწერს, ძირისძირობამდე ჩასდევს მათ ხასიათებს და საერთო ფონსაც მეტად საინტერესოდ აღადგენს. აქ შემოდის საგულისხმო ამბები მერაბ კოსტავას შესახებ, ასევე გვიყვება ვალიკო ჟვანიაზე, პიროვნებაზე, რომელმაც სამი საპროტესტო აფეთქება მოაწყო — თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში — იმ რეჟიმის წინააღმდეგ და ხელშესახებად წარმოგვიჩვენს ხასიათს ამ კაცისა, იმ ყველაფერს, რამაც გააბედვინა ასეთი აქტის განხორციელება სასტიკ 70-იან წლებში.

„ჩემი ცხოვრების აღმართი“ კი, ბატონი როსტომის თქმით, ბავშვობის მოგონებებია. არაერთი წიგნი დაწერილა თბილისზე და ამ ციკლში ჯემალ ფოცხვერიას მოგონებანიც არ ჩაიკარგება თავისი საინტერესო ხასიათებით, ნიუანსებით, დეტალებით, ამბებით, კარგი მასალა რომ იქნება კინოსცენარისათვის.

თავის დროზე შვილს, გია ფოცხვერიას უთხოვია მისთვის:

— რასაც მიაბობ, იქნებ დაწერო კიდევ.

არა მხოლოდ კინოხელოვნებით, არამედ, ლიტერატურითაც გატაცებულს, თვითონაც არაერთხელ მოუსინჯავს კალამი და მისი გარდაცვალების შემდეგ ბატონ ჯემალს შეუკრებია და გამოუცია შვილის ნაწარმოებები, შემდეგ კი, მისი ხსოვნის პატივსაცემად, ეს თხოვნაც აუსრულებია.

ასე მოვიდა ლიტერატურაში უკანასკნელი ქართველი, რომელსაც ძალიან მაღალი თანამდებობა ეკავა მაშინდელ სსრკ-ს უშიშროების სამსახურში, მოგვიანებით ბატონი როსტომი „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთ მთავარ გმირს, მუშნი ზარანდიასაც რომ შეადარებს, თუმცა, უმჯობესია ყველაფერი თავიდან დავიწყოთ:

* * *

„ძალიან ხშირად მიხდებოდა, შავი სათვალე ამეფარებინა არა მარტო თვალებისთვის, არამედ გრძნობებზე, ემოციებზე, განცდებზე, რომ სიცოცხლის უნარი შემენარჩუნებინა და შეძლებისდაგვარად გადამერჩინა ჩემი ცოდვილი სული“, — წერს ჯემალ ფოცხვერია თავის წიგნში.

— სწორედ ამ გადარჩენილი სულის აპოლოგიაა ეს უაღრესად სასარგებლო წიგნი, — ამას შეკრებაზე **სალომე კაპანაძე** გაგვიზიარებს, საინტერესო მოხსენებით ვრცლად რომ მიმოიხილავს ჯემალ ფოცხვერიას მოგონებებს და ისაუბრებს დრამატიზმზე, უშიშროების სისტემაში მომუშავე ადამიანთა ყოფას რომ დაჰყვეოდა. ამ დრამატიზმის მიზეზი კი, ქალბატონი სალომეს თქმით, ტაბუდადებული შინაგანი ჭიდილი უნდა ყოფილიყო არსებულ და სასურველ რეალობას შორის, და ეს ჭიდილი ჯემალ ფოცხვერიას სულში იმით გვირგვინდება, რომ მონათვლის ცერემონიის გასაიდუმლოებაზე შეგნებულ უარს განაცხადებს:

„დასამალი არაფერი მაქვს, ჩემი ნაბიჯით, ჩემი შეგნებით მოვედი ღმერთთან, რწმენასთან, მინდა გავქრისტიანდე და თუ შეიძლება ყველა კარი და ფანჯარა გააღეთ, დაე ყველამ გაიგოს, რომ ერთი განდგომილი უბრუნდება ღმერთს“.

ქალბატონი სალომე წიგნიდან გამოარჩევს ცალკეულ ეპიზოდებს: 1956 წლის მოვლენებს, რომლის კითხვისას ოთარ ჩხეიძის რომანი „გამოცხადებაიც“ გაახსენდება; 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „გორგასლიანის“ ამბებს, პედაგოგ რუსუდან ჩირაძის საქმეს, ანტისაბჭოთა რომანის დაწერა რომ ედებოდა ბრალად...

მისი თქმით, ჯემალ ფოცხვერიას წიგნი ნამდვილად არის იმ ისტორიული სიმართლის მამხილებელი, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვილ უამრავ კითხვაზე იძლევა პასუხს: ვინ იჯდა იმ გასაიდუმლოებულ თვითმფრინავში, რომელიც 8 აპრილის ღამეს ჩამოფრინდა თბილისში, როგორ დაგეგმა ჩეკამ საიდუმლო ოპერაცია მერაბ კოსტავას ციხეში დასაბრუნებლად, როგორ იხსნეს ქართველმა სტუდენტებმა ენის სახელმწიფო სტატუსი... და ამ წიგნზე საუბრისას გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგსაც“ გაიხსენებს, რომანიდან ამონარიდს: — „არის რაღაც საიდუმლო ჰებრაელის გამოხედვაში, თითქოს გეუბნება, მე ვიცი ის, რაც შენ არ იცი, ღმერთმა გაშოროს ჩემი ხვედრი“ — და ამასაც დასძენს:

— ვფიქრობ, ადამიანი, რომელმაც წლების განმავლობაში იცოდა ის, რაც ჩვენ არ ვიცოდით, ნამდვილად ატარებს პასუხისმგებლობას ქვეყნის ისტორიის წინაშე.

— რატომ წერენ მოგონებებს? — იკითხავს შეხვედრაზე **მაია ჯალიაშვილი** და იქვე თვითონ გაცემს პასუხს, — იქნებ დაკარგულ დროს დაეძებენ. წარსულის წყვდიადიდან ამოაქეთ ბავშვობის ნათელი მოგონებანი და გაფერმკრთალებულ სიცოცხლეს ბედნიერების სხივებით ავსებენ.

ამ დაკარგული დროის, სიხარულითა და ტკივილით სავსე დროის ძიებად მოიაზრებს ჯემალ ფოცხვერიას „ჩემი ცხოვრების აღმართს“ და ნიგნში შეკრებილ მოგონებათა შორის გამოარჩევს ყოველ საღამოს აღმართზე წვალებით ამავე დედის ხატებას, გულისძგერით რომ ელოდება პატარა ბიჭი; მის დაუფინყარ სიმღერას, ოჯახიდან რომ დევნიდა გაჭირვების, შიმშილის, ნავთის ლამპისგან გამურულ ლანდებს და სიხარული შემოჰქონდა; ავტორის მიერ ზედმინევენით დახატულ სახასიათო სახეებს სხვადასხვა სოციალური ფენის, წარმომავლობის, მრწამსის, რწმენისა თუ ცხოვრების წესის ადამიანებისა, იმ გარემოს, იმ ყოფას რომ ქმნიდნენ; საბჭოთა რეჟიმის მიერ უსამართლოდ დევნილი ოჯახის ტრაგედიას; რუსთაველის პროსპექტის ჯადოსნურ ხიბლსა და მადლს, პერსონაჟივით რომ შემოდის ნიგნში, რადგან ისიც ერთგვარი აღმზრდელი იყო დედაქალაქში დაბადებული ბავშვებისა; მღელვარე და სასტიკი დროის დინებას, რომლის ტალღებში უზვად მოჩანს სინმინდევცა და სიბინძურეც, ერთგულებაცა და ლალატიც, სიყვარულიცა და სიძულვილიც...

და დასასრულ **მაკა ჯონხაძის** ერთ მოთხრობასაც გაიხსენებს, „მკვდარ გუბეში ნასროლი კენჭები“ რომ ჰქვია და ცხოვრება ასე მეტაფორულადაა დახატული:

„წვიმის შემდეგ გაჩენილ გუბურებში კენჭებს შემთხვევით ისვრიან? მხოლოდ იმიტომ, რომ მკვდარ გუბეებში ნასროლმა კენჭებმა სიცოცხლის პანია წრები დალანდონ“.

— ადამიანის ცხოვრებას დროის ულმოხელობა ხშირად მკვდარ გუბედ გადააქცევს, მაგრამ ბავშვობის მოგონებები „ცივ გასარკულ გუბეში“ კენჭებივით ცვივა და ერთმანეთს დადევნებულ სიცოცხლის წრეებს აჩენს.

ამგვარი, სიცოცხლეს დადევნებული წრეებია ჯემალ ფოცხვერიას ამ ნიგნშიც, რომელშიც იგი წერს:

„აღწერო, ან შეეცადო მაინც ყველაფერი დეტალურად წარმოაჩინო, ალბათ პროფესიონალი მწერლის კალამია საჭირო. მე მხოლოდ ჩემი გულის ძახილის აღბეჭდვა გამომივიდა. ის, რასაც ვგრძნობდი და ჩამრჩა ყმანვილკაცობიდან მეხსიერებაში“.

მკითხველი კი გასამხნეველად იტყვის, რომ მთავარიც სწორედ ესაა, გულის ძახილის აღბეჭდვა. ამიტომაც სიტყვები ასე მორჩილად და ერთგულად დგებიან ამ კეთილშობილური საქმის სამსახურში.

თბილისში დავიბადე, აბანოთუბანში, — გვიამბობს ბატონი ჯემალი.

პოლიტიკური უნივერსიტეტი დავამთავრე. მამა არქიტექტორი იყო და მეც ინჟინრობა მინდოდა.

შემდეგ ფიზიკის ინსტიტუტში ვმუშაობდი უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

მერე დავოჯახდი.

83 მანეთით თავს ველარ გავიტანდით და კამოს სახელობის ლითონჩამოსასხმელ ქარხანაში დავინყე მუშაობა (სხვათა შორის, გაივლის წლები და აღმოჩნდება, რომ იმ ქარხანაში ვმუშაობდით კაგებეს ორი გენერალი და ერთი პრემიერ-მინისტრი).



ჯემალ ფოცხვერია

კომკავშირის მდივნად ამირჩიეს იქ. მერე ქალაქკომში გადამიყვანეს — ჯერ უშტატოდ, მერე — შტატშიც.

სხვათა შორის, 70-იან წლებს ახასიათებდა ასეთი ტენდენცია — ყველა ცდილობდა, მითუმეტეს მშობლები, კომკავშირული მუშაკებისათვის აღეზარდათ თაობა, და გამოიკვეთა სამი კატეგორია:

ერთი ნაწილი კომკავშირული მუშაკებისა, რომლებსაც „ზემოთ“ გავლენიანი ნათესაობა ჰყავდათ, პარტიული კარიერის გზით მიდიოდა.

მეორე კატეგორია — ე.წ. „ობეხეცში“.

მესამე — ყველაზე უპატრონო, მაგრამ ნაკითხი ხალხი — უშიშროების სამსახურში.

ასე მოვხვდი მეც ამ სფეროში. შემპირდნენ, რომ დაზვერვაში გამიშვებდნენ.

32 წელი ვიმუშავე და აქედან 5-6 წელიწადი უშუალოდ მათ უმალლეს სასწავლებლებში, სხვადასხვა კვალიფიკაციით — აკადემიით დაწყებული, ოფიცრების გადამზადებით დამთავრებული.

1982 წელს ყველა სამინისტრო მოსკოვში აგზავნიდა თავის თანამშრომლებს. ასეთი სისტემა იყო მაშინდელ კაგებულებს და მეც, რამდენიმეწლიანი სამუშაო მივლინებით, ამ ქალაქში აღმოვჩნდი.

სამჯერ მაინც უნდოდათ ჩემი გადმოყვანა აქ, მათ შორის 1989 წელსაც — არჩევნების წინ, მაგრამ... მაშინ ამაზე უარი ვთქვი, რადგან რითაც იმდროინდელი საზოგადოება იყო ავად, ის სჭირდა უშიშროების კომიტეტსაც. ამიტომ პრეზიდენტად გასულ ზვიად გამსახურდიასაც მავანნი მოახსენებდნენ ჩემზე, რაც თვითონ სურდათ, და ისე მოხდებოდა, რომ მე ვიქნებოდი „ხალიფა ერთი საათით“.

ე.წ. „გეკაჩეპეს“ დროს ცენტრალურ აპარატში განყოფილების უფროსის მოადგილე ვიყავი და მთელი ეს პროცესები — მიტინგები, გამოსვლები — ჩემ თვალწინ მოხდა. 3 დღე იქ ვათენებდი და ვალამებდი.

მერე ჩემი ყოფილი შეფი უკრაინიდან გადმოიყვანეს

მინისტრის პირველ მოადგილედ და მე მის თანაშემწედ დავინიშნე.

შემდეგ ის მინისტრი გახდა, მე კი — უკვე მინისტრის თანაშემწე.

ასე ჩაიარა წლებმა, რომელთაგან უმეტესობა საქართველოს საზღვრებს გარეთ, რუსეთსა და უცხოეთის მივლინებებში გავატარე და ისე გამოვიდა, რომ ჩემი 73 წელიწადის ორი მესამედი სამშობლოსგან შორს ვიცხოვრე.

მერე ის უბედურებაც დამატყდა თავს — 2006-ში შვილი გარდამცვალა ლონდონში. გადმოსვენების შემდეგ ისევ რომ ჩავედი, იქ მის ნივთებში ვნახე ჩანაწერებიც.

ეს ისეთი განცდა იყო... ისეთი ტკივილი...

თვითონ თავს არასოდეს მიიჩნევდა მწერლად, არადა წერდა სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და ინგლისურად. ბატონი **ვახტანგ ჯავახიძე** დამეხმარა ამ ორტომეულის შედგენაში, ქართულად რომ გამოიცა. შემდეგ რუსული რჩეულიც მომზადდა, სულ მალე კი ინგლისურიც გამოიცემა.

ამ საქმეს რომ მოვრჩი, ისიც გამახსენდა, სხვადასხვა ეპიზოდის მოყოლისას გია ყოველთვის რომ მთხოვდა, დამეწერა ეს ყველაფერი და გადავწყვიტე, მისი ხსოვნისადმი მიმძღვნა ჩემი მოგონებანი. ასე შეიქმნა „შავი სათვალე ეკეთა“, ბატონი ვახტანგისავე ხელდასხმით რომ მომზადდა გამოსაცემად, შემდეგ — პოლიტოლოგიური ნაშრომიც „როდემდის“ და „ჩემი ცხოვრების აღმართი“, რომლის რედაქტორიც **ნინო დეკანოიძე**. და ისიც მინდა გითხრათ, რომ ბატონმა ვახტანგმა და ქალბატონმა ნინომ ბევრი კარგი ქართული გამოთქმა მაჩუქეს.

ვახტანგ ჯავახიძე კი შეკრებაზე თავის მხრივ დასძენს:

— ამ წიგნებზე მუშაობისას რამდენჯერმე მომიწია შეხვედრა ბატონ ჯემალთან და ხშირად ვსაუბრობდით სხვადასხვა საკითხზე, რადგან ასეთი ბიოგრაფიის ადამიანთან შეხება მანამდე არ მქონია.

ვფიქრობ, ამ ნაშრომებმა არა მხოლოდ ინფორმაციულად მოგვცა ბევრი რამ, არამედ თემატური თვალსაზრისითაც გაამდიდრა ქართული ლიტერატურა და დოკუმენტური პროზის საზღვრები კიდევ უფრო გააფართოვა.

პუბლიცისტიური წერილების კრებულში „როდემდის“ ბატონმა ჯემალმა შეკრიბა თავისი დაკვირვებები — მეტად საინტერესო იმ თვალსაზრისით, რომ იგი მოსკოვიდან უყურებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, მითუმეტეს იმ სივრციდან, საიდანაც ბევრ დაფარულ ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი. ამ მასალაზე დაყრდნობით, ვფიქრობ, კიდევ ერთი კარგი მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი შეიძლება დაინეროს.

თანაც ახლა ხომ ყველაფერი ნებადართულია.

ბატონი ჯემალის თქმით, საბჭოთა კავშირში 86 სუბიექტი იყო და 15 რესპუბლიკა, და ამ სივრცის უშიშროების სტრუქტურა იყოფოდა სხვადასხვა კატეგორიად. პირველი კატეგორია იყო ცენტრალური აპარატი, რომელიც ჩინით, უფლებამოსილებითა თუ ხელფასით ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგა. შემდეგ — უკრაინის უშიშროება, რომლის თავმჯდომარესაც შეიძლო გენერალ-პოლკოვნიკობამდე მიეღწია.

მეორე კატეგორიის — ბელორუსიის — ხელმძღვანელს გენერალ-ლეიტენანტის ჩინამდე გაზრდა შეეძლო... და ა.შ.

საქართველო ამიერკავკასიაში კატეგორიით აზერბაიჯანსა და სომხეთზე მაღლა იდგა — II კატეგორიას ეკუთვნოდა და მისი თავმჯდომარე შეიძლებოდა გამხდარიყო გენერალ-მაიორი ან გენერალ-ლეიტენანტი.

— მე რომ მივედი იქ, ერთადერთი გენერალი იყო — ალექსი ინაური, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტობა ისედაც ეკუთვნოდა, რადგან ირანის ფრონტის შეიარაღებული ჯარების კორპუსის უფროსი გახლდათ. მესამე დიდი ვარსკვლავი კი იმაში მიიღო, ნიკიტა ხრუშჩოვი ხელფეხშეკრული რომ ჩაიყვანა და ჩააბარა მის პატივცემულ პოლიტიბიუროს.

ამ ყველაფერს ბატონი ჯემალი იტყვის **მანანა გაბაშვილის** კითხვის პასუხად, ქართულ და საბჭოთა უშიშროებებს შორის განსხვავების შესახებ, და ამ ორი სტრუქტურის დახასიათებისას ასეთ რამესაც გვიაზრობს:

— როგორც კი რამე მოხდებოდა საქართველოში, მოჰყვებოდა 10-15 კაციანი დელეგაცია, განსაკუთრებით აფხაზეთში პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებით, რომელიც ყოველ ათ წელიწადში ერთხელ იძაბებოდა.

საერთოდ, ქართული წყაროების ნაკითხვის უფლება არ მქონდა, მაგრამ კომიტეტში (უკვე პოლკოვნიკი ვიყავი მაშინ) ხელმძღვანელობის წასვლის შემდეგ მორიგეობდა ხოლმე ათი-თხუთმეტკაციანი ჯგუფი, რომლის წევრებიც ვალდებულნი ვიყავით, მსოფლიოს მეექვსედიდან მოსული ყველა დაშიფრული დეპუტა გაგვეხსნა, ნაგვეკითხა, გაგვეანალიზებინა და სასწრაფო რეაგირება მოგვეხდინა. ერთ-ერთი ასეთი მორიგეობისას თბილისიდან მოვიდა წერილი, რომელიც, რაკი ვმორიგეობდი, უნდა წამეკითხა. გვერდნენ, რომ სამ თვეში გამოვიდოდა მერაბ კოსტავა და მერე:

— ვაი ჩვენს დღეს, ეს შექმნის გარკვეულ არეულობას, რადგან კვლავ ნაციონალისტურ მოძრაობას გააღვივებსო.

შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა — პროვოკაცია, რომელიც მას მოუწყვეს: მიიღო ამანათი ძვენის სახით — ცოტაოდენი არაყი, რაჭული შაშხი და ა.შ. მან ეს ყველაფერი მიიტანა ერთ უკრაინელ მეგობართან, ასევე დისიდენტთან, რომელიც, როგორც მერე აღმოჩნდა, უშიშროებასთან იყო შეკრული. საერთოდ, გადასახლებაში ერთი რაიონიდან მეორეში ჩასვლა ადმინისტრაციულ დარღვევად ითვლებოდა. და მოხდა ისე, რომ თუკი სამი წლის განმავლობაში ის ახერხებდა მეგობართან სტუმრობას, ამჯერად მათ მილიცია დაადგათ თავზე:

— აქ რა გინდაო?!

შენ ხომ გამოსვლის უფლება არ გქონდაო?!

შეზარხოშებულმა მერაბ კოსტავამ წინააღმდეგობა გაუწია და...

კიდევ ხუთი წელი დაუმატეს.

ჩამოვიდაო, — ჩურჩულით გადაუარა მაშინ ქალაქს ამ ცნობამ და გააფრთხოლა მისი სახელის ხსენებაზე.

80-იანი წლებიდან მოყოლებული ცდილობდნენ, ეს ორი სახელი, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია —

ცოცხლად მორაული ჰერალდიკა — ერთმანეთისთვის დაეცილებინათ.

მაგრამ... ისინი, ერთ არსად გამთლიანებულნი, ერის სულში, გონებასა და ცნობიერებაში ჩაკირულიყვნენ და ვერავინ და ვერაფერი შლიდა, — ამას შეკრებაზე **მაკა ჯოხაძე** შეახსენებს საზოგადოებას, შეახსენებს მას შემდეგ, რაც უშიშროების თანამშრომელთა მიერ დანერგული ნიგნების მრავალმხრივ მნიშვნელობას აღნიშნავს, მათ შორის, ჯემალ ფოცხვერიას, ასეთი საინტერესო ბიოგრაფიის მქონე კაცის მოგონებებსაც გამოარჩევს ამ თვალსაზრისით და იმითაც დაინტერესდება, თუ როგორ შემოდის ნიგნში ზვიად გამსახურდიას სახელი.

— ზვიად გამსახურდიას შორიდან ვიცნობდი, რადგან იმ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, ნაციონალურ მორაობას რომ აკვირდებოდა და, შესაბამისად, ეს ადამიანი ყოველთვის ჩვენი თვალთახედვის არეში გახლდათ. მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას შორის, ჩემი აზრით, მსგავსებაც დიდი იყო და განსხვავებაც. როცა ის პრეზიდენტი გახდა, მოსკოვში ვმუშაობდი და კარგად ვიცო, რომ მიხეილ გორბაჩოვი გახლდათ პიროვნება, რომელთანაც დიალოგი შეიძლებოდა. ეს იცოდა ყველა სხვა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, გარდა საქართველოსი.

და ის ამ დიალოგზე არ წავიდა.

მერე კი მოხდა ის, რომ იმპერიის ხახაში ჩვენ აღმოჩნდით. სხვებს კი — ტაჯიკებს, თურქმენებს და ა.შ. — ლანგრით მიერთვით თავისუფლებას.

საქმე ის არის, რომ სსრკ-ს საძირკველი მაშინ უკვე ისეთი მორყეული იყო, ადრე თუ გვიან ისედაც დაიშლებოდა და საჭირო პოლიტიკური ალლო და დიპლომატია რომ გამოეჩინა ჩვენს პირველ პრეზიდენტს, ასე მგონია, ამდენ უბედურებას გადავრჩებოდით, — თქვა ბატონმა ჯემალმა, რასაც დარბაზიდან ხმაურიანი პასუხები მოჰყვა ჯერ **რუსუდან ნიშნიანიძის** მხრიდან, ვისი თქმითაც, რომ არა მაშინდელი საქართველოს მოვლენები, ლანგრით თავისუფლებას არავინ მოგვართმევდა. მეტიც — სწორედ ამ ყველაფერმა დააჩქარა 70-წლიანი იმპერიის დაშლა.

მანანა გაბაშვილი კი სულაც იმ ციტატას შეახსენებს ნიგნიდან „შავი სათვალე ეკეთა“ (თავის გამოსვლაში **თამარ ყალიჩავამ** რომ მოიხმო):

— განა თქვენ თვითონვე არ წერთ, ბატონო ჯემალ: მაშინდელმა საქართველოს კაცებმა ხელმძღვანელებმა მთლიანად გაყიდეს კანონიერი პრეზიდენტის ხელისუფლება და ერთხმად მიემხრნენ ე.წ. ოპოზიციის (ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანის) და ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც განაწყენებული იყო ზვიად გამსახურდიას პოლიტიკით?

— იყო, ესეც იყო, — უპასუხებს ბატონი ჯემალი, — გვარები არ მინდა დავასახელო, თორემ ვილაკები მართლაც მიემხრნენ ოპოზიციას და ამანაც ბევრი რამ განსაზღვრა. ზვიად გამსახურდიამ შიგნიდან გაიყიდა. მისი ერთ-ერთი შეცდომაც ეს იყო — უშიშროებას თუ ვერ მოაწესრიგებ და ვერ მართავ, ვერავითარ ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებ.

საბოლოოდ, დაძაბულობა, რომელიც ამ მტკივნეული საკითხის ირგვლივ მსჯელობას მოჰყვა, ჯემალ ფოცხვერიას ახლობლის თამაზ იაშვილის იუმორნარევემა რეპლიკამ განმუხტა:

— ეგ ყველაფერი რომ არ გაეკეთებინა ზვიად გამსახურდიას, ამაშიც ხომ თქვენ, უშიშროება ეხმარებოდით.

* * *

— წარმოდგენაც კი მიჭირდა, რომ ჩეკას მაღალჩინოსანს გულწრფელი ჩანაწერები გამოუვიდოდა. როცა, ბატონი როსტომის რჩევით, ნიგნის კითხვა დავინყე, მეგონა, მხოლოდ იმ ეპიზოდს წავიკითხავდი, რომელიც მერაბ კოსტავას შეეხებოდა, მაგრამ მოულოდნელად უჩვეულო, ძალიან საინტერესო მოვლენათა შუაგულში აღმოვჩნდი, — გულწრფელივე აღიარებით დაინყებს საუბარს **თამარ ყალიჩავა**, თავის შთაბეჭდილებებს გაგვიზიარებს ეპოქის ტრაგიზმის შესახებ, ნიგნში რომ არის არეკლილი, მი-თუმეტეს იმ სამსახურის თანამშრომლის მიერ, „რომელიც ადვილად გაკარგვინებს წარსულს, ინდივიდუალიზმს და მხოლოდ ერთეულები ახერხებენ პირვანდელი სახის შენარჩუნებას, თუმცა, ცხადია, ამ „ერთეულებსაც“ საგულისხმო დაღს ასვამს ამგვარი ყოფა და ვხედავთ, რომ დიქტატურის პირობებში მცხოვრები, სულაც ამ მანქანის ერთ-ერთ ჭანჭიკად ქცეული ადამიანისათვის სიტყვა, კალამი გაორებისგან თავის დაღწევის, შინაგანი მთლიანობის აღდგენის ერთგვარ საშუალებად ქცეულა“.

შემდეგ კი ასეთ გულისწყვეტასაც გამოხატავს:

— მაღლიერების გრძნობას ავტორისადმი, ვინც შეუღწვევლ სივრცეთა ლაბირინთებში შეგვიძლვა და მეგზურობა გაგვინია, მრავალი საგულისხმო ამბის, უპასუხოდ დარჩენილ კითხვათათვის არგუმენტებით გამყარებული პასუხები შემოგვთავაზა, გულისტკივილი ჩაენაცვლება ნიგნის იმ ეპიზოდის გაცნობისას, რომელიც გენერალ გიორგი მაზნიაშვილს მიემართება, ქართველთათვის ძალიან პატივსაცემი სახელის მისამართით აღძრული ეჭვის, სახელმწიფოს სასარგებლოდ ინფორმაციის მოპოვებისა და მასთან თანამშრომლობის ბრალდების დასაბუთება, წარმოუდგენელი მგონია.

ეს საკითხი შეკრებაზე ასეთ დისკუსიასაც გამოიწვევს.

ჯემალ ფოცხვერია:

— 1972 წელს ორ კომისიაში ვმუშაობდი.

ერთი იყო საქართველოდან ებრაელთა გასვლის შესახებ, მეორე კი რეაბილიტაციის კომისია გახლდათ. სწორედ აქ გადმომცეს გიორგი მაზნიაშვილის გამოძიების პირადი საქმე. მის შვილებს მესამედ შეჰქონდათ აპელაცია გენერალ მაზნიაშვილის რეაბილიტაციის გამო. ამჯერად საფუძველი აღმოჩნდა ზურაბ კანდელაკის რეჟისორობით დადგმული პიესა „დრო — 24 საათი“, რომელმაც კულტურის სამინისტროს ჯილდო მიიღო. სპექტაკლში მაზნიაშვილი წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი მთავარი დადებითი გმირი. სწორედ ამას ეყრდნობოდნენ მისი შვილები მამის რეაბილიტაციის მოთხოვნისას...

როსტომ ჩხეიძე:

— მაგრამ იქ ხომ ბევრი რამ გაყალბებული იყო, ბატონო ჯემალ! თავისთავად კარგი ფაქტია, რომ ამ მასალებს გვანჯდით, მაგრამ როგორც საწინააღმდეგო წყაროს, მათ ვერ დავეყრდნობით...

ჯემალ ფოცხვერია:

— განცხადება ხომ არ იქნებოდა გაყალბებული? შვილები თავიანთ წერილში მიაწინებდნენ მამის დამსახურე-

ბაზე და იმაზეც, რომ გასაბჭოებამდე ერთი თვით ადრე, თებერვლის დასაწყისში, იგი შეხვედრია სერგო ორჯონიკიძეს. რაზე ისაუბრეს მათ, ამის შესახებ არცერთ დოკუმენტში არ არის აღნიშნული, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ მაზნი-აშვილმა კოჯორში ჯარი არ მიაშველა აჯანყებულებს.

ის იყო სამი მთავრობისა და სამი პოლიტიკური მიმართულების გენერალი: მეფის არმიის, მენშევიკებისა და ბოლშევიკების.

ჩემი აზრით, ეს გახლდათ მინიშნება იმაზე, რომ გენერალ მაზნი-აშვილს საბჭოთა კავშირის წინაშეც მიუძღოდა დამსახურება. მაშინ ყველა არქივში, სადაც კი შეიძლებოდა, მოვიძიე ცნობები ამის შესახებ, მაგრამ ვერანაირი პასუხი ვერ მივიღე. ერთი წელი ვიძიებდი ამ საქმეს, რომ როგორმე რეაბილიტაცია მომეხერხებინა, მაგრამ არ გამოვიდა.

რუსუდან ნიშნინიძე:

— ქართველმა საზოგადოებამ იცის ფუნდამენტური შრომები, უშიშროების მაღალჩინოსნები რომ გამოსცემდნენ. ეს წიგნები, რომლებსაც თავის დროზე დიდი დისკუსია მოჰყვა, ბევრი თვალსაზრისითაა საინტერესო — აი, თუნდაც გელა საითიძის ნაშრომები ამ თემაზე — მინდოდა მეკითხა, რამდენად ენდობით თქვენ იმ დოკუმენტაციას, რომელიც სრულიად იდეოლოგიურ დანებსებულებაში იქმნებოდა? რაკილა იქ დაინერა, ეს ხომ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მართალია?

და კიდევ: თქვენი რეგალიების ადამიანისათვის...

ჯემალ ფოცხვერია:

— სხვათა შორის, რეგალიები მართლაც მაღალი მქონდა, უკანასკნელი ქართველი ვარ, ვისაც რუსეთის იმპერიაში ამხელა თანამდებობა ეკავა. მე შემეძლო ღამის ოთხ საათზე პრეზიდენტი გამეღვიძებინა...

როსტომ ჩხეიძე:

— მუშნი ზარანდია ყოფილხართ და ეგაა...

რუსუდან ნიშნინიძე:

— ამიტომაც მინდოდა მეკითხა, ამხელა რეგალიების ადამიანი ხომ არ გამოიყენებდით თქვენს ძველს კავშირებს იმისათვის, რომ ქართულ საზოგადოებრიობას დაუბრუნდეს ჩვენი ქვეყნიდან გატანილი არქივები. დიდი ნაწილი ხომ, ყველამ კარგად ვიცით, დანევს...

ჯემალ ფოცხვერია:

— ამის ძალა უკვე აღარ შემწევს, რადგან ჯერ ერთი, თაობა შეიცვალა (90-იანი წლების შემდეგ — ვითარებაც), მეორეც: საქართველოს უშიშროება საკავშირო უშიშროების ნაწილი იყო და ეს მასალა ეკუთვნოდათ კიდევ. განადგურებით კი ყველაფერი არ გაუნადგურებიათ. რამდენადაც ვიცი, მხოლოდ აგენტურულ-ოპერატიულ დაკვირვებათა მასალები გაიტანეს.

რაც შეეხება იმას, მჯერა თუ არა ამ დოკუმენტაციის, რა თქმა უნდა, ყველაფრის არც მჯეროდა და არც მჯერა. უშიშროების არქივში ცალკეული პიროვნებების შესახებ უამრავი მასალა ინახებოდა, რომლებიც თავისთავად ბევრ კითხვას ბადებდა, ამის მაგალითები უხვად შემიძლია მოგიყვანოთ, მაგრამ ახლა ეს საუბარი შორს წაგვიყვანს.

* * *

— დრო თითქოს უკან ბრუნდება ამ წიგნში, ხელახლა დამდგარი გაზაფხულივით ყველაფერი თავიდან იწყება:

პირველად ხედავ, პირველად გესმის, პირველად სწავლობ, ცხოვრებაში პირველ ნაბიჯებს დგამ... ყოველი მოგონება გარდასულისა ავტორისათვის, ერთი კერძო კაცი-სათვის უაღრესად სასიამოვნოა, ხანდახან მაშინაც კი, როცა თვით ამბავი რამე უსიამოვნოს უკავშირდება. მაგრამ ბევრის მნახველი და ბევრის განმცდელი ადამიანის მონათხრობი სხვისთვისაც ხდება საინტერესო. განსაკუთრებით საყურადღებო თხრობის მანერაა ხოლმე: მომხიბვლელად, მიმზიდველად, ემოციურად გადმოცემული სათქმელს შეუძლია მკითხველის გული მოძებნოს — დაალონოს ან გაახაროს, დაასევდიანოს ან გაამხიარულოს... დააფიქროს, აღამაღლოს, სულიერად განმმინდოს, — ამას შეკრებაზე **ნინო ვახანია** იტყვის და ისაუბრებს ალუზიებზე, რომლებსაც იწვევს მისთვის „ჩემი ცხოვრების აღმართი“; იმ საინტერესო სახეებზე, ავტორი რომ ქმნის, როცა მრავალეროვან ეზოებს აგვიწერს — სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების, განსხვავებული ხასიათისა და წეს-ჩვეულებათა ადამიანებს, მთელი ქალაქის მცირე მოდელს, მიკროქვეყანასაც რომ წარმოადგენდა, და გვაბრუნებს წარსულში — ვისთვის ნაცნობ და ვისთვის უცნობ ცხოვრებაში, თუმცა ყველასთვის ნამდვილ, შეუფერადებელ, შეუღამაზებელ რეალობაში, ნებისმიერი მკითხველისთვის საინტერესო რომ არის.

საგანგებოდ გამოარჩევს წიგნის გარეკანსაც — **ბერდია არაბულის** შესანიშნავ ნახატს: ძველთბილისური სახლებისა და ეზოების ხერხემალს — თითოეული მცხოვრებისათვის საკუთარი ჯვრის სატარებელ აღმართს.

გივი შაჰნაზარი კი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც კარგად ახსოვს ეს ყველაფერი და კიდევ გაიხსენებს ჯემალ ფოცხვერიასთან, 40 წლის უნახავ მეგობართან ერთად გატარებულ ბავშვობის წლებს, აბანოთუბნის უკანასკნელ აბანოს, ბატონი ჯემალის ცხოვრების აღმართის დასაწყისში რომ გვხვდება, თავისი დაუნერული კანონებით მცხოვრებ ქალაქს, თბილისურ (და არანაირად იტალიურ) ეზოებს, დღესდღეობით ასეთი აქტუალური „ტოლერანტობის“ ნიმუშს, და ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს — კიდევ ერთ დასტურს იმისა, რომ თუ შინაგანად არ გააჩნია ადამიანს ასეთი ღვთაებრივი პატიოსნება, ვერანაირი განათლება მას ვერ უშველის.

გაიხსენებს ვალიკო ფვანიასაც, ვისაც ცუდი მხედველობა ჰქონდა, ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, მაგრამ ის პროტესტი, რომელიც გამოხატა, შინაგანად დიდი და ძლიერი ადამიანისა იყო.

სწორედ ასეთ წინაპართა ხსოვნის შესახებ თქვა **ნინო ვახანიამ** (და ამით კიდევ განაზოგადა ლტერატურის, საერთოდ, მწერლობის ფუნქცია და არსი):

— მომავლისკენ სავალ აღმართს კი ჩვენი ერთგული მოკავშირენი — წინაპრები — გვინათებენ...

და რადგან ღმერთმა ადამიანებად გაგვარჩინა, და არა ნვიმდა, სულ მუდამ ფხიზლად ყოფნა გვმართებს, რათა მოვიპოვოთ უფლება მათ ღირსეულ მემკვიდრეებად ვინოდებოდეთ.

კარგი წიგნები კი იმისთვის არსებობს, რომ ამ უფლების მოპოვებაში დაგვეხმარონ.

სწორედ ასეთ წიგნებს მიეკუთვნება ჯემალ ფოცხვერიას მოგონებებიცო.

ლელა ჯიყაშვილი

ბიძია ვახტანგის ნავთქურა

იმ დღეს რუსთაველის თეატრში პარტერში ვიჯექი, ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის-თავისადმი მიძღვნილი კონცერტის დაწყებას ველოდებოდი. გვერდით ნინოს მამა მეჯდა და ძველ ამბებზე მესაუბრებოდა... მინდოდა ბიძია ვახტანგი დამეძახა, მაგრამ ვერ ვუბედავდი. სულ მეორედ ვნახე და... უფრო სწორად, ხმამაღლა ვერ ვეძახდი. ბიძია ვახტანგი კი სხვა ამბებთან ერთად მიყვებოდა ერთ თავის დაუნერეულ ნოველასაც: გასული საუკუნის 40-იან წლებში, პატარა ბიჭი რომ იყო, ერთი ნავთქურა ჰქონდა! არ ვიცი, ორფითილიანი თუ სამფითილიანი, თითბრის თუ სპილენძის... კარგი რამ ყოფილა ეს ნავთქურა, ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარავით. ხმარებისაგან დამწვარი, მორყეული, თუმცა საყვედურს ვერ იტყოდნენ — მუშაობდა! ცოტა უხერხული ასანყობი იყო ანთებამდე... ის პატარა ფანჯარა, რომელიც ნავთქურას ჰქონდა და რომელიც უნდა დაგეხურა, რომ ოთახი არ გაჭყარტლულიყო, აღარ იკეტებოდა. რომ დაკეტულიყო, ჯერ რამე უნდა მიგებჯინა — ბიძია ვახტანგს საამისოდ ძველი, გრძელტარიანი, დაჟანგული დანა ჰქონდა მომზადებული, მერე კი ამ დანის დასამაგრებლად რამე მიგედგა. ეს „რამე“ ძველი სამხედრო ფეხსაცმელი გახლდათ. მრგვალი თავი, რომელზეც ქვაბი იდგებოდა, ცოტა არ იყოს, ირწეოდა... წონასწორობის ნერტილი უნდა მოგენახა. ჰოდა ერთ დღეს ბიძია ვახტანგის ბიცოლას ნავთი გაუთავდა, ცუდი დრო იყო, რომ გდომებოდა, მაინც ვერ იყიდდი ნორმირებულზე მეტ სანავსს. თურმე კარზე მიუკაკუნა და: ნავთქურა მათხოვე, ნავთი გამითავდა და ბავშვებს კარტოფილი უნდა შევუნვაო. ახლავეო, — მიაგება ბიცოლას. ცოტა ხანში მიადგა კიდეც თავის ნავთქურიანად, ცალ ილიაში ის მრგვალი თავი ჰქონდა ამოდებული, ნავთქურაზე რომ ყირობდა, მეორეში — დანა და ძველი სამხედრო ფეხსაცმელი. ბიცოლას თვალეები გაუფართოვდა. ეს რა არისო... ეს არაფერიო... ისე კარგად მუშაობს, სულ არ ბოლავსო, და დაიწყო აწყობა!.. ბოლოში რომ გავიდა, ფეხსაცმელიც მიუბჯინა და ნავთქურის თავიც საიმედოდ დაადგა — ახლა ტაფას არ გადავიბრუნებთ, არ შეგეშინდეთო... — ვახტანგ, აღარ მინდა ნავთქურა, გაიტანე, გაიტანეო! — შემინებულმა და სასონარკვეთილმა ბიცოლამ.

— არადა, მართლა მუშაობდაო, — იცინის ბიძია ვახტანგი, თან დასძენს, — ნეტავ ვინმეს შეეძლოს და ის ნავთქურა დამიხატოსო...



ნინო ანანიაშვილი

— არა, ეგ ნოველა უნდა დანეროო, — გვერდით მჯდომი რძალი აგულიანებს. ის კი ღიმილ-ღიმილ: დავნერო...

ხელმოკლეობაში გატარებულ წლებს ვერაფერი დაუკლია მისი იუმორის გრძნობისათვის... თუმცა ყოველთვის უჭირდა მეცნიერმუშაკს ოჯახის რჩენა. ორი ცელქი ბიჭი ჰყავდა და, სულო ცოდვილო, ვიდრე ნინო მოევილინებოდა ქვეყანას, დარდობდა კიდეც: სამ შვილს როგორ მოვუვლიო! მერე, ცხადია, თავს ერჩივნა ნინო — თავსაც და ყველასაც!

მამის ნებიერი ჰყავდა. გეოლოგიურ ექსპედიციებში დაჰყავდა, საქართველოს სიყვარულს ასწავლიდა...

ფარდის გახსნას აგვიანებენ.

ბიძია ვახტანგი რუსთაველის თეატრს თვალს მოავლებს და — როგორ გვიყვარდა დრამატულ თეატრსა და ოპერაში სიარულიო. თეატრამდე ფეხშევილი მივიდიოდით, ფეხსაცმელი რომ არ გაგვცვდებოდა. არ იშოვებოდა, სპეციალური შეკვეთით უნდა შეგეკერა, ჩვენ კი ამის სახსარს ვინ მოგვცემდაო. კაპელდინერები გვცნობდნენ და გვიშვებდნენ, შუქი რომ ჩაქრება, სადაც თავისუფალ ადგილს ნახავთ, იქ დადებითო. თავისუფალი ადგილი კი მესამე იარუსზე ხვდებოდათ ხოლმე... ვინ იცის, რამდენჯერ მდგარან ერთმანეთის მხრებს უკან და თითის წვერებზე დამდგართ თვალი არ მოუშორებიათ სცენისთვის. დიდ სიამოვნებასაც ვიღებდით და ვთბებოდით კიდეც, რადგან შინ სახლებს ვერ ვათბობდით ნავთის უქონლობის გამო, აქ კი სითბო იყოო.

როგორც იქნა ფარდა გაიხსნა! ნინო ანანიაშვილი როგორც თვალი პატიოსანი, ისე ბრწყინავს სცენაზე. განუყოფელია მისი პლასტიკა და მომხიბვლელობა, შინაგანი სამყარო კი პირდაპირ ანათებს სცენიდან, სითბოსა და სიყვარულის სხივებს აფრქვევს. მტკიცედ მჯერა, იმიტომაც, რომ ბიძია ვახტანგის შვილია, იმისი გაგრძელება.

ოჯახის ხელმოკლეობის ჟამს თბილისში ჩამოსული 18-19 წლის ნინო, თბილისის გასტროლების შემდეგ ყოველთვის უარს ამბობდა კუთვნილ ჰონორარზე და ოპერის თეატრს უტოვებდა. საკუთარი ოჯახის ხელმოკლეობის ჟამს მეთქი... ყოველთვის ყოფნიდა სულგრძელობა, რომ სიყვარულით ეკეთებინა სიკეთე...

ან ერთი წუთით წარმოიდგინეთ პუანტებით სავსე დიდი ყუთი, რომელსაც ჰაეროვანი ნინო თბილისში აგზავნიდა... იმ ყუთის მზიდველი ნინო წარმოიდგინეთ! უცხოეთში პუანტებს აგროვებდა, რომელიც თურმე 50 დოლარი და მეტიც ღირს და თბილისელ ბალერინებს უგზავნიდა! ამათ სად ჰქონდათ სამუალება, პუანტები შეეძინათ. არადა, ერთი სპექტაკლის განმავლობაში ბალერინებს ორი პუანტი მაინც სჭირდებოდათ, ერთი ცვდებოდა!

ნინო ასეთი იყო და ასეთი არის!

ამიტომაც შინაგანი სხივი არ ტოვებს და ყველასაგან გამოარჩევს.

თეატრში მსოფლიო კულტურის ელიტას მოუყრია თავი, საიდან არ ჩამოსულან: ამერიკიდან, იაპონიიდან, ევროპიდან, ყველანი — ნინოს გამო, ნინოს სიყვარულით...

ხომ სასაცილოა და სწორედ პარტერში ჯდომისას ამეკვიატა გართმული სიტყვები: გლამურული — გამურული...

თვითონ არ ვიცი, რამ გამახსენა გლამური — შარმი, მომხიბვლელობა, ცხოვრების სტილი, რომელიც ფუფუნების სტანდარტებს უახლოვდება. გლამური — ის, რაც ძვირფასი ჟურნალების ყდებზე იბეჭდება: მოდური და ძვირადღირებული...

და ჩვენს ცხოვრებაში ნელ-ნელა შემოჭრილი გლამურული სტანდარტები, როგორც ზღუდე, გაუვალი კედელი — ავტორიტეტულობისაკენ მიმავალი...

გლამურული — გამურული...

და კიდევ ბიძია ვახტანგის ნავთქურა, რომელიც ოთახს არ ჭვარტლავდა (მინდოდა მეთქვა, არ მურავდა-მეთქი)! მიუხედავად მისი საოცარი კონსტრუქციისა, რაღაცნაირი სინათლით ავსებდა ანანიაშვილების სახლს. იმ სინათლით, დღემდე რომ მოსდევს მსოფლიო პრიმა ბალერინას...

სად ნაიყვან საღაურსა

პეტრე ხვედელიძე

მამაშვილურად
ვლოცავ...

ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში ერთი დიდი კორპუსის პატარა ბინაში საოცარი სიმყუდროვე და ქართული სულიერება სუფევს. კედლებზე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სურათებია. მისი ბინადარი კი ფრანგული და ამერიკული ემიგრაციის უხუცესი ნარმომადგენელი 94 წლის პეტრე ხვედელიძეა, ადამიანი, რომელიც 18 წლის მანძილზე რადიო „ამერიკის ხმით“, კიკა ჭალელის სახელით საბჭოეთში მცხოვრებთ მართალ სიტყვას გვანვდიდა შორეული კონტინენტიდან. იგი საოცარი ინტერესით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ხშირად მეხმიანება...

დღეს პირველი აპრილია, ჰოდა, უთუნია ზარი ძია პეტრესაგანა. დაბადების დღეს მილოცავს, მამხნევეს და მახსენებს: „დღეს ერთი ქართველი პატრიოტის, ჩინებული მწერლის, ლიტერატორისა და კრიტიკოსის როსტომ ჩხეიძის დაბადების დღეც არის, უნდა მივულოცო და არც შენ დაგავინწყდეს, მინდა, კარგი ქართველები ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ და ერთად უფრო მეტი ქართული საქმე აკეთოთ“...

ძია პეტრე როსტომ ჩხეიძის პატივისმცემელი და მისი ნიჭის ქეშმარიტი დამფასებელია, როდესაც ჩხეიძეებზე იწყებს საუბარს, დრო უსწრაფესად გადის... მეც საუბარს აღარ ვანწყევტინებ და ტრადიციულად პასტამომარჯვებული გამალებული ვინერ...

„მართალია ჩემი „გასაბჭოებული“ სამშობლოდან ცხოვრების უდიდესი ნაწილი უცხოეთში გავატარე, რკინის ფარდის მიღმა, მაგრამ სხვადასხვა გზებით ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი... ბატონი ოთარ ჩხეიძე მისი ნაწარმოებებით გავიცანი, აღფრთოვანებული დავრჩი მისი განსწავლულობით, წერის სტილით, სიღრმითა და რაც მთავარია — გაბედულებით, ბევრს რომ ამინებდა კიდევ. მისი ნაწარმოებები „აღმართ-დაღმართი“, „ლანდები“, „თეთრი დათვი“, „ბორიასი“ და ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი „არტისტული გადატრიალება“ სულის მალამოდ მექცა. მიხაროდა, რომ ჩემს ქვეყანას ასეთი სიღრმის მწერალი ჰყავდა. მის ნაწარმოებებს ირგვლივ ყველას ვაკითხებდი, ქართველები კი აქ, ვაშინგტონში, არცთუ ცოტანი არიან შემდეგ კონგრესის ბიბლიოთეკაში ვაბინავებდი.

არასდროს დამავიწყდება ლამაზი ფრაზა მისი ერთ-ერთი ნაწარმოებიდან „ტოროლა იყო, პურიც იყო“, რაც თავი-

სუფლებისა და მისგან მომდინარე ბევრი სიკეთის ასოციაციას იწვევდა და იწვევს ჩემში...

ჩემი მეგობრების წყალობით, შესანიშნავი პოლიგრაფიული დონისა და შინაარსობრივად ძალზე საინტერესო ჟურნალმა „ომეგამაც“ მოაღწია... ნამდვილად არ ვიციოდი, რომ როსტომ ჩხეიძე ჩემი საყვარელი მწერლის, ოთარ ჩხეიძის ვაჟი იყო... გამიხარდა, რადგან ცნობილი ამბავია, რომ დიდ ადამიანებს არცთუ ღირსეული შთამომავლობა ჰყავთ ხოლმე. XX საუკუნის მწერლებში ეს ტრადიცია კონსტანტინე გამსახურდიასა და ოთარ ჩხეიძის შვილებმა დაარღვიეს... სრულიად ვიზიარებ ბრძენკაცის ნათქვამს: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, და ბატონი როსტომი, ახალგაზრდა კაცი, კიდევ რამდენ რამეს მოასწრებს... ჟურნალ „ომეგათი“ გავიცანი იგი. ეს ხომ ის პერიოდი, როცა საქართველოში უკუნი სიბნელე იდგა, ლიტერატურული ცხოვრება და ჟურნალ-გაზეთები კი მიწველებული იყო. სიახლეები ლიტერატურისა და კულტურის სფეროში ძალზე საინტერესოდ იყო მიწოდებული მკითხველისათვის... ჰოდა, მეც მისი ერთგული მკითხველი გავხდი, ახლა კი „ჩვენი მწერლობის“ ყოველ ნომერს ისეთივე ინტერესით ველოდები, როგორც „ომეგას“.

„საქმემან შენმა წარმოგაჩინოს“ — თითქოს სპეციალურად როსტომზეა... საოცრად ნიჭიერი, ერუდირებული, ღრმად მოაზროვნე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეტად პატრიოტი ადამიანია, მის ყველა ამ თვისებას კი ლამაზ გვირგვინად ადგას საოცარი უბრალოება და თავმდაბლობა, ესოდენ იშვიათი თვისება ბევრ მოკვდავთათვის...

ბატონ როსტომს პირადად არ ვიცნობ, ხანდახან ტელეფონით ვესაუბრები, არ მინდა ხოლმე დიდი დრო წავართვა, მას ხომ ჩვენგან განსხვავებით დღე-ღამეში 48 საათი აქვს და მგონი ისიც არ ჰყოფნის, იმდენს წერს და იმდენ საშვილიშვილო საქმეს აკეთებს...

მართალია, მე არც ლიტერატორი ვარ და არც ისტორიკოსი, მაგრამ ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა მის არაჩვეულებრივ ნიგნზე — „შავი ჩოხა“, რომელიც ავტოგრაფით გამომიგზავნა.



ქართველი ერის ისტორიაში პერიოდულად დგება უაღრესად კრიტიკული მომენტები, როდესაც ეროვნული გმირები წარსულის ბურუსში უჩინარდებიან და ყალბფასეულობათა აღზევება იწყება... ასეთ დროს ეროვნული გმირი წარსულიდან გამოიხმობს და მარადიული ფასეულობანი შესთავაზო ერს — ნამდვილად დასაფასებელია... კარგად ვიცი, რომ ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდში ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ წარსულის „მირაჟიდან“ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გამოიხმეს და ერს მისი ზნეობრიობა, მაგალითი და სამშობლოსადმი ერთგულება ხატად გაუხადეს, ქაქუცა გააცოცხლეს, ქართველთა საამაყო გმირად სამართლიანად აქციეს... მას მერე ლამის 22 წელი გავიდა და ამ ღირებულებებს, რომელთა შეგნებული დისკრედიტაცია და გაბათილება ხდებოდა, ამ განუკითხაობას ბატონმა როსტომმა წინ „შავი ჩოხა“ დაუყენა... არაჩვეულებრივია, მიღებისთანავე სულმოუთქმელად წავიკითხე... თვალშისაცემია მისი ერუდიცია, პატრიოტიზმი, სიღრმისეული და ლოგიკური მსჯელობა. ურთულესია ასეთ ისტორიულ გმირთან ლიტერატურული ურთიერთობა, მითუმეტეს, როცა მასალა ალბათ ბევრი არ იყო, მაგრამ ამ ჭი-ლიდში არაჩვეულებრივი ლიტერატურული პორტრეტი შეიქმნა და ბატონმა როსტომმა პირნათლად გაასრულა იგი.

ქაქუცა დაპირისპირებული იყო მარქსიზმთან და 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო თავის შეფიცულებთან ერთად. პარიზამდე მიღწევა არ იყო ნამდვილად იოლი, რადგან მენშევიკები მათი ემიგრაციის წინააღმდეგეები იყვნენ. პირადად მე მქონდა ბედნიერება ემიგრაციაში შეფიცულთა ნაცნობობისა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ისინი პატიოსნად ემსახურებოდნენ თავიანთ მრწამსს. რაც შეეხება თვით ქაქუცას, როდესაც მე ქართულ ემიგრაციას შევეურთდი პარიზში, იგი უკვე გარდაცვლილი იყო... ისტორიკოსმა, ლიტერატორმა მიუდგომლად უნდა გამოიკვლიოს და რეალური პორტრეტი დახატოს ისტორიული პიროვნებისა, როსტომს კი ეს ბრწყინვალედ გამოუვიდა, აღფრთოვანებული ვარ ამ წიგნით, მის კითხვაში რამდენჯერ სმა-ჭამაც კი დამვიწყებია, ის ჩემი სამაგიდო წიგნია და ვცდილობ ირგვლივ ყველას წავაკითხო.

„სიმართლე გიორგი სააკაძეზე“ რამდენჯერმე წავიკითხე დიდი ყურადღებით და ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც ნამდვილად არ ვიცოდი. სამშობლო 21 წლისამ დავეტოვე და ჩემს დროს საქართველოს ისტორიას არ ასწავლიდნენ, თუმცა წაკითხული წიგნებიდან ვიცოდი, რომ სახელგანთქმული მეომარი, მხედართმთავარი იყო, მაშინ მის „გმირად“ გამოცხადებას ადგილი ნამდვილად არ ჰქონია, თუმცა მისი პიროვნების წინ წამოწევა სტალინის პერიოდში მომხდარა... მე, ჩემი ოჯახი და ჩემი სამშობლოც სტალინის რეპრესიების მსხვერპლი ვიყავით... მართალია, ტირანი იყო, მაგრამ ძალიან ნიჭიერი თან... სხვანაირად ამხელა ქვეყანას დიდი ხნით ვერ მართავდა... პიროვნება, რომელიც სანდრო კავსაძესთან მღეროდა, სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და თან „ვარდს გაეფურჩქნა კოკორს“ წერდა, ცხადია, შეგნებულად თუ შეუგნებლად თავისნაირ ორსახოვან გმირთან ავლებდა პარალელს. „შეუცნობელია გზანი უფლისანი“ — ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე სტალინის შვილის, სვეტლანას გულშემატკივარი და მეგობარი გავხდებოდი, რომელიც ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ იმ მსხვერპლის შესახებ, რაც ჩემმა ოჯახმა გაიღო, არაფერი გაუგია...

1942-43 წლებში სტალინის მითითებით ფილმის გადაღება უცნაურია, მაგრამ ვინ, თუ არა მან, კარგად უნყოფა, რომ ქართველები „სხვათა“ ომებში განსაკუთრებული თავდადებით იბრძოდნენ და ალბათ მათი პატრიოტული მუხტის გაასმაგება სურდა... მე მაგ დროს ტყვეობაში ვიყავი და, ცხადია, ბევრ რამეს ახლა ვიგებ. ომის დამთავრებას აფრიკაში შევხვდი და მთელი გონება დაკავებული მქონდა იმით, გამერკვია, რამდენი ჩემი მეგობარი გადაურჩა ცოცხალი ამ საშინელ ომს.

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სტალინმა დასუსტებულ ევროპას ადგილობრივი კომუნისტური პარტიების საშუალებით ნითელი რეჟიმი მოახვია. იქ, სადაც აშშ-ს და ინგლისის ჯარები იყო, ასეთი ძალადობა ვერ განხორციელდა, თვით საფრანგეთში გენერალ დე გოლის მომხრეებმა ძალაუფლება არ დაუთმეს კომუნისტებს. სადაც ნითელი ჯარი შევიდა, კომუნისტური მთავრობები აღმოცენდა, რაშიც უდიდესი როლი სტალინს ეკუთვნოდა. როდესაც „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“ წავიკითხე, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო გიორგი სააკაძის ასეთ ჭრილში დანახვა, მაგრამ აქ უმთავრესი ჩემთვის როსტომ ჩხეიძის სამართლიანი ხედვა, ანალიზი, მიუდგომლობა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით სააკაძის დაუმსახურებელი „დიდების კვარცხლბეკიდან“ ჩამოყვანაა. ვიზიარებ იმ აზრს, რომ „ორსახოვანი“ ადამიანები გმირებად არ უნდა წარმოაჩინო, ერის შეცდომაში შეყვანის უფლება არავის არა აქვს... ნებისმიერ ისტორიულ პიროვნებაზე მიუდგომელი, გაუყალბებელი ინფორმაცია უნდა მისცე საზოგადოებას.

საკითხისადმი მიდგომა, ღრმა ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობა, ისტორიულ წყაროთა მოშველიება და ყალბი მითების გაქარწყლება ისე კარგად, არგუმენტირებულად მოახერხა როსტომმა, რომ მას, როგორც მწერალს, ლიტერატორსა და მიმოძილველს ნებისმიერი დასავლეთის ქვეყანა ინატრებდა...

ძალზე მწყდება გული, რომ ვერ ვესწრები იმ საინტერესო ლიტერატურულ თავყრილობებს, წიგნის წარდგინებებსა თუ განხილვებს, რომელთაც მის ლიტერატურულ სალონში მუდმივი ხასიათი აქვს... სასურველი იქნებოდა მას ბევრი მიმდევარი გამოსჩენოდა ამ საშვილიშვილო საქმეში... იმედი მაქვს, როსტომის მუხტი ახალგაზრდებსაც გადაეღება...

P.S. 28 ნომბერი ოთარ ჩხეიძის დაბადების დღეა. ახლახან გავიგე მისი ანდერძის შესახებ, რომელიც შვილებს დაუტოვა: „გაუფრთხილდით იაკობ გოგებაშვილს, მის სახლ-მუზეუმს“, დიდებულ წინაპართა სადარი ანდერძია... ღმერთმა ინებოს და გოგებაშვილს, მის სახლ-მუზეუმს, მხოლოდ ჩხეიძეებმა კი არა, სრულიად საქართველომ გულმზურვალედ უპატრონოს... 13 დეკემბერი ჩემი საყვარელი მწერლის, ოთარ ჩხეიძის ხსოვნის დღეა და როსტომს აუცილებლად დავურეკავ...

შობა-ახალი წელი ახლოვდება, მინდა ბატონ როსტომს პირადად, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციასა და სრულიად საქართველოს მივლოცო, დიდი სასიკეთო ცვლილებანი, სიახლეები და წინსვლა ვუსურვო... ბატონ როსტომს კი განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ასეთი მამულიშვილური საქმიანობისათვის. მინდა იცოდეს, რომ მის გვერდით ვარ, მოუთმენლად ველი მის წიგნებს, ჟურნალებს... და მამაშვილურად ვლოცავ.

მასალა მოამზადა
სოფიკო ჯარკვალიძემ

გურამ ბენაშვილი

ლიტერატურული ვიტრაჟები



მეოცე საუკუნის კლასიკოსთა ოპუსები სიმბოლურ ფორმებში განსხვავებულ მხატვრულ-ფილოსოფიურ ძიებათა იმ შთაბეჭდავ ილუსტრაციებს წარმოადგენენ, რომელნიც ელევანტური და ამალღებული „აღქმითი“ გონებისა და რწმენის სასწაულებს ახდენდნენ...

საკრალური ციტატებით და რემინისცენციებით აღბეჭდილი კულტურული სივრცე, ანუ ლიტერატურული ტექსტებიდან მომდინარე შთამაგონებელი ენერგეტიკა, ამ საუკუნის მკითხველისათვის აღქმებოდა ერთადერთ საიმედო სულიერ ოაზისად.

წარსულის კულტურის მითოლოგიის მსხვერვისა და ცხოვრების ინფერნალურ რეალობაში ყოფნის უამი ლიტერატორის თუნდაც მოუხელთებელი აბსტრაქციებითა იბრუნებდა განწირულ სულს...

ასეთი იყო და ასეთად დარჩება გარდასული საუკუნის დიდი ლიტერატურა არა მხოლოდ მის გულწრფელ დამფასებელთა ცნობიერებაში...

* * *

„1914-1915 წლებში ლიტერატურული მოსკოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო, თუმცა უკვე იგრძნობდა სიმბოლიზმის კრიზისს. შვეიცარიიდან ახლად დაბრუნებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა თავისი ბუნდოვანი მისტიური დაქანცულობა, ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციები ჟესტ-მიმიკის თეატრზე. მასხენდება სკრიაბინის სიკვდილი და დაკრძალვა, სკრიაბინისავე მუსიკის კულტი, იგორ სევერიანინის პოეზიის უთვალავი საღამოები, რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების სხდომები და ფორმულა „კანტიდან-პრედონამდე“... მარინეტისა და ემილ ვერჰარნის ჩამოსვლა მოსკოვში... ვალერი ბრიუსოვის გამოსვლა, აკმეისტებისა და „ადამისტების“ შეტევა სიმბოლისტების წინააღმდეგ, ნაცნობობა ბალმონტთან... გატაცება ბლოკითა და ინოკენტი ანენსკით, და ბოლო, მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადაზე ვლადიმერ მაიაკოვსკი, ხოლო უფრო გვიან ხლებნიკოვისა და სხვა რუსი ფუტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს მალევე და მიტაცებდა“...

კულტურული წარსულის ამ ფერადოვან ხილვებში ნათელი ეფინება ტიციან ტაბიძისა და ზოგადად „ცისფერყანწელთა“ მოდერნით გატაცების იმ შორეულ ფესვებს, რომელზედაც ამოიზარდა და იყვავილა ე. წ. ქართულმა სიმბოლიზმმა.

რეალურად, ეს იყო კოლოსალური მნიშვნელობის კულტურული ეპოქის დაბადებისა და ფრთხვამლის ხანა... კლასიკური მსოფლგანცდის დასასრულისა და ახალი მხატვრულ-ფილოსოფიური ცნობიერების მანყეველ რეფლექსიათა ლეგიტიმაციისა და დამკვიდრების უამი...

მოდერნისტული ესთეტიკის ერთხმად აღიარებული „პროტაგონისტის“ როლი სიმბოლიზმს ხვდა წილად... სწორედ იგი იქცა სამყაროს ახალ მონუმენტურ კულტურულ ფენომენად... მის წიაღში განხორციელდა „ტრაგიკული“ დამორიშორება სამყაროს არსისა და ცხადისა, მყოფობისა და მოჩვენებითობისა, კონოტაციისა და დენოტაციისა, სიტყვის შიდა და გარე ფორმისა...

სიმბოლო, როგორც პოეტის თვითდენტიფიკაციის, როგორც ევრბალური აპრიორულობის ერთდერთი გარემო — როცა იგი

XX საუკუნის ქართული კლასიკური მხატვრული პროზის არქიმოტივაცია ე. წ. „განმანათლებლობა“...

ფილოსოფიური ლიტერატურისათვის ორგანული ეს პარადიგმა განისაზღვრებოდა მხატვრულ სახეთა და ხასიათთა იმგვარი დინამიკით, როცა იდეის განვითარება პრეველირებს ტექსტის ცოცხალ ქსოვილზე, როცა ადამიანური კატასტროფებით აღბეჭდილი საუკუნის სივრცეში ლიტერატურა იაზრება როგორც კულტურის ერთადერთი განძსაცავი, საზოგადოების ოდიოზური ცხოვრებიდან თავდახსნის პანაცეა...

მწერლის მენტალიტეტი, მისსავე ქმნილებებში გამჟღავნებული ღრმად დაფარული იმ შინაგანი ამბოხის მაცნე იყო, რასაც ცხადი უნდა გაეხადა ეპოქის ტრაგიკული ტეხილების სემანტიკა... საგულისხმოა ისიც, რომ ყოფიერება მათ შემოქმედებაში აღქმულია არა შეურიგებელი კონტრასტების პანორამად, არამედ წინააღმდეგობათა ფატალურ „ინერციად“...

ქმნილებათა კომპოზიციები და რიტორიკულ — ტროპოლოგიური კონსტრუქციები თავისში ატარებენ მრავალპლანური ნაკითხვისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს... მათი ლიტერატურული ენის ბუნება ბელეტრიზებული დიქციონული თხრობის ფორმით ანუ ალევორიულადაა გაცხადებული. სწორედ ამგვარი ალევორიული მოდუსი სხეულდება ფიგურალურ, მეტაფორული ენით...

მათში რიგი პროტაგონისტებისა მორჩილად ეგუებიან ამოუხსნელი იეროგლიფებით აღბეჭდილ სამყაროს, თუმც იმავე დროს გულმოდგინედ იცავენ საკუთარ განდევილობას, სულის ონტოლოგიურ მყოფობას და ოდენ ამო ყოფიერების ცოცხალ დეკლარაციებად რჩებიან ჩვენს წარმოდგენაში...

სრული ინდიფერენტიზმით მოცულნი, ისინი თითქოს რადიკალურად ემიჯნებიან დინამიკურ ევროპულ მენტალიტეტს...

აბსოლუტური ჭეშმარიტება ამ საუკუნის მწერლისათვის სრული ქიშკია... ამიტომაც მათთვის არსებითი და პრინციპულად უალტერნატივოა არა ილუზორული იდეალები, არამედ ჭირთა თმენისა და ადამიანური ღირსების საკრალიზაცია... ამგვარია საუკუნის ეთიკური იმპერატივი...

„მაგიური აზროვნებით“ გამორჩეული ამ საუკუნის ლიტერატურული პერსონაჟები ფიქრობენ სულისა და ბუნების, თავისუფლების, კეთილისა და ბოროტის არსსა და კონცეპტუალიზმზე...

ზნეობრივად დეგრადირებული სინამდვილიდან გაცლისა და თვითკმარი სტოიციზმის პარალელურად, მათ ქმნილებებში ჩნდება და ძალას იკრებს ევროპული მსოფლშეგრძნებისათვის ნიშანდობლივი ინტენცია...

ცდა, ტრაგიკული ქაოსის ატმოსფეროდან გამოტანჯულიყო მეტ-ნაკლებად მისაღები და პარამონიული რეალობა, მხოლოდ სუბიექტურ მიზანსწრაფვას არ წარმოადგენდა და იგი საზოგადოებრივი ოცნების გამობატულებაც იყო... უნდა გარჩენილიყო კულტურისა და ინტელექტუალური სინამდისის ერთადერთი „ბასტიონი“ მაინც, რომელიც თავისი არსით მუდმივია და არასოდეს კვდება...

სწორედ მწერლობა იყო სრული დემორალიზაციისა და ღირებულებათა სრული ინფლაციის ალტერნატივა... და ეს ყოველივე იმ ეპოქაში, რომელსაც „ფელეტონურ“ დროდ ვიაზრებთ, ანუ წარმოვიდგენთ იმ ეპოქად, რომლის იდეოლოგია სრულიად მოკლებული იყო სერიოზულ ინტელექტუალურ შინაარსსა და ეთიკურ იმპერატივებს...

სიტყვით კი არ „სარგებლობს“, კი არ „ჰყვება“ და კი არ „ხსნის“, არამედ სიტყვაშია, ანუ სიტყვაა მასში... სიტყვაში მყოფობის თვით მაგიური ფაქტით სიმბოლისტი ამკვიდრებს ჭეშმარიტი რეალობის აღქმის ხელოვნებას, შემოქმედებით აქტთან წილნაყარ ჭეშმარიტ დროს, რომელიც უნდა გაცხადდეს, როგორც ქმნა, სუ-გესტია, თამაში, ექსტაზი, ეპიფანია, გნოზისი თუ ლოცვა...

მისი შემოქმედებითი „საიდუმლოების“ პრიორიტეტი მუსიკის იდეაა, რომელიც არსებითად ვაგნერის შემოქმედებასთან და მის „ხელოვნებათა სინთეზის“ დაუძლეველ ოცნებასთან ასოცირდებოდა... ძველი ბერძნული ტრაგედიის მსგავსად, მუსიკალური ჰანგი იქცა „უნივერსალური ხელოვნების სულის“ ეკვივალენტად, არაცნობიერი სიტყვის ეზოთერულ სამკაულად...

მირიად იდუმალებათა ცნობიერი აღქმა და ცხოვრების უწყური სიზმრებიდან გამოღვიძება — პირველქმნილ მშვენიერებათა გამოცხადების ერთადერთი გზა და საშუალება იყო მათთვის... აი, ის ღრმა ტრაგიკული რეფლექსიები, რომელიც განაპირობებდნენ სიმბოლისტის პოეტურ მედიტაციებს...

მხოლოდ ამ კონტექსტში მოიაზრება ჩემთვის გალაკტიონის ლირიკა... რაც, რა თქმა უნდა, არ მიკარგავს უფლებას ამავე სივრცეში მოვიაზრო „ცისფერყანწელთა“ სიმბოლისტური, წარმატებული თუ წარუმატებელი ცდები...

მათი თეორიული წერილები და განსაკუთრებით „ეზოთერული ინჟინერიით“ აღბეჭდილი ლექსები, მხოლოდ მკრთალი და ზედაპირული გამოსხივება კლასიკური სიმბოლიზმის სისტემური და მყარი იდეურ-ესთეტიკური „არქიტექტურისა“...

საუბარია პოეტური აზროვნების ნატივ გამოვლენასა და სტილის უკიდურეს კონცენტრაციაზე, რომელსაც პოეზიის ცენტრად წარმოუდგენია არა შედეგი, არამედ ძიებისა და მხოლოდ ძიების პერმანენტული ვნება (მახსენდება გურამ რჩულიშვილის ეპოქალური სლოგანი: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებული ტკობაში“), რომელიც ნებისმიერ გამოვლინებაში დაკავშირებულია საკუთარ მუზაზე „ძალდობასთან“ და ჰანგისა და ტონის სინმიზის მისაღწევად „დღონისე-ორფეუსის“ საურნელით სულით აღსებასთან...

სიკვდილის „ვარდისფერ“ საზღვრებში სიყვარულის ძიების მოტივი (გალაქტიონი), მოტივი საკუთარი გენიალობისა, როგორც საბედისწერო სნეულებისა (კვლავ გალაქტიონი) „დაწყვედილი პოეტებიდან“, შოპენჰაუერის, ვაგნერისა და ნიცშეს მედიტაციებიდან რომ იღებენ სათავეს, სიმბოლიზმი იმ ახალი იდეალიზმის კულტს ამკვიდრებდა, ისტორიული ქრისტიანობის ჩარჩოებიდან რომ იყო ამოვარდნილი და მხოლოდ საკუთარი თვითშემეცნებითა და ენის ფილოსოფიის გამძაფრებული აღქმით „აღწევდა“ ღმერთების ძიების მისტერიალურ ექსტაზს...

სიმბოლიზმი — უპირველესად ენის პრობლემაა, სიტყვის როგორც თავისთავადობის გაბრწყინებაა, სიტყვაში მყოფობის ფუფუნებაა, აქტიურ შემოქმედებით არაცნობიერსა და ცნობიერს შორის არსებული დისტანციის მაქსიმალური შემცირება...

სიმბოლიზმი ხშირად სახელდება რელიგიურ-თეურგიულ მოვლენად... „წმინდა პოეზიად“, დემონიზმად, კიდევ სხვად... ერთი რამ ცხადია, მან შექმნა სრულიად ახალი ტიპის კულტურული პანორამა, თავისი ეპოქალური სტილით, თავისი აქტუალიზაციის განსხვავებული ტემპებითა და შემოქმედებითი ინდივიდუალობით, ეროვნული ორიგინალური შენაკადებითა და ხმებით... თუმც მან მიუხედავად უსაზღვრო რეზონანსისა, ძალთახმევისა და მასშტაბებისა, XX საუკუნის 20-30იან წლების მიჯნაზე თვითონვე „ითხოვა“ სრული დუმისის უფლება...

საგულისხმოა ის, რომ „ევროპული ლამის“ ჩამოდგომის მრავალ მიზეზთა შორის სახელდება საზოგადოების მკვეთრი პოლიტიზაცია, სუბიექტივიზმის შესაძლებლობათა ტრაგიკული სიძაბუნე, სხვა „ახალთა“ აგრესია, ანუ „მასკულურის“ გამძლავრება... საბოლოო ჯამში ეს ყოველივე იყო ინდივიდუალიზმის საბოლოო მარცხი... ტოტალიტარული ხელისუფლების „გამარჯვება“ ელიტარულ ხელოვნებაზე, სა-

ხელმწიფობრივ მასშტაბებში ხელოვნების ნორმატიული პრინციპების დამკვიდრების „წარმატებული“ ნაბიჯი...

„ევროპული ლამის“ ან უკვე ჩვენში დატრიალებული სისხლიანი მოვლენები კარგად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის... ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ... ანალოგი თავისი სისხლკითა და სიჩლუნგით აღემატება ევროპულ პირველწყაროს.

ჩვენი ფიქრი ყოველთვის მიმართული იყო მსოფლიოს არესაკენ, არ არის არც ერთი ჩვენი შეურიგებელი მტერი, რომელმაც არ დაადასტუროს, რომ ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში სინდისიერად ვსწავლობდით და ვამუშავებდით ყველა იმ პრობლემას, რომელიც დღეს არსებობს მსოფლიო პოეზიაში... ჩვენ ასე ვფიქრობთ, ჩვენი არსებობის ყველაფერი, რაც მოგვცა შვიდმა წელიწადმა, ეს იყო მხოლოდ შესავალი იმ სამი სეზონის უდაბნოში, რომლის შენება უნდა დაიწყოს... მე მომხრე ვარ პოეზიაში ახალი სიტყვის, პერმანენტული რევოლუციის... ეს უკვე პაოლო იაშვილის ჩანაწერია... მასში დეკლარირებულია მთელი მისი თაობის პოზიცია... შემოქმედებით თავისუფლებასა და პოეზიის უსაზღვრო განფენილობაზე მეოცნებენი, ისინი სრულიად გულწრფელად „შეეხიზნენ“ სიმბოლიზმის ურთულესი და უნატიფესი არქიტექტურით გამორჩეულ „ტაძარს“... რამდენად იქნენ ისინი ამ ტაძრის „იდუმალეზასთან განდობილთა“ ორგანულ წევრებად, ალბათ მაინც ძნელი სათქმელია... მთავარია, რომ მათ შესარულეს დანაპირები და ქართული პოეტური კულტურა ახალი მეტაფიზიკური ტრადიციით აღბეჭდეს, ანუ გალანტური გამომსახველობის მოდიფიცირებული სუბსტანციით გაამდიდრეს იგი...

მხოლოდ სიმბოლიზმით გატაცებულებს ხელენიფებოდათ იმ კოლოსალური ისტორიულ-კულტურული ალუზიებითა და მითოლოგიებით ფიქრი და აზროვნება, რომელთა გარეშეც საოცრად „მოიწყენდა“ და გაუსახურდებოდა ქართული პოეტური ცნობიერება... თუნდაც, მხოლოდ ამიტომაც მათი ხანმოკლე სიმბოლისტური ყამი ერთობ აქტუალური და დაუვინყარი ჩვენი კულტურული ყოფიერებისათვის...

პოლიკარპე კაკაბაძე

პოლიკარპე კაკაბაძის რამოდენიმე პიესა შედეგრია არა მხოლოდ ქართული დრამატურგიისა... სამწუხაროა, რომ თანამედროვეთა კულტურული ცნობიერება სრულყოფილად მაინც ვერ ჩანდა და ვერ გაითავისა მის მხატვრულ-ფილოსოფიურ პარადიგმათა ჭეშმარიტი აქტუალობა და მასშტაბები... იქნებ იმიტომ, რომ მისთვის მწერლის ქმნილებები უფრო თეატრალურ სიცოცხლესთან ასოცირდებოდა, ივწყებდა რა მათ წმინდა ლიტერატურულ ღირებულებებს.

მისი „დრამატული პოეზიის“ ორტომეული ლოგოსისა და მითის, ანუ უნივერსალური სემანტიკური ჰორიზონტებით აღბეჭდილი ლიტერატურის კლასიკური ნიმუშია... მათში თითქოს კიდევ ერთხელ გაიბრწყინა პროზისა და პოეზიის განუყოფელმა ერთიანობამ...

იგი ყოფიერებისა და დროის ონტოლოგიური წვდომისა და შემეცნებისაკენ გიბიძგებს, რათა ნათელი გახადოს სამყაროს თანმდევ ცოდვათა და ბოროტებათა არსი და მრავალსახოვნება...

მწერლის სიტყვის მაგიური ძალა კიდევ უფრო შთამაგონებელს ხდის უღრმესი რეფლექსიებით აღბეჭდილ ნარატივს...

„ყვარყვარე თუთაბერი“ შემზარავი მორალური პროსტრაციის, ანუ პოლიტიკური ტირანის ეპოქალური მისტერია. თეატრალური კომიზმით შეფერილი გროტესკული ბუ-

ტაფორიები პიესის ტრადიციული ესთეტიკის ოდენ ფასადია, რომლის ფანტასმაგორიულ ქვეტექსტებში, გაავებული ვნებებით შეპყრობილი რევოლუციების სისხლიანი კონფულსიები ილანდება...

სიმპტომურია, რომ სოციალურად ორგანიზებულ და გამართლებულ ვაქსანალიებს ყოველთვის ჰყავდა თავისი იდეოლოგიები თუ თეორეტიკოსები. იგი უზვად ბადებდა თვით ისეთ ოდიოზურ ანტიგმირებსაც კი, როგორც ყვარყვარე თუთაბერი იყო...

არც ამგვარი კარიკატურული არსებებისთვისაა ხოლმე უცხო რევოლუციურ მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალი... მათი გამახვილებული გეში ადვილად უღებდა ალლოს შიშველ ძალადობაზე დაფუძნებული იდეოლოგიების მოსალოდნელ პრეფერენციებს...

თუ გავითვალისწინებთ ამ კომედიის შექმნის დროსა და ნარატივის კრიტიკულ აქცენტთა სიმძაფრეს, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი გაბედულება ახლდა მის „დაბადებას“... ანალიტიკური თუ დეკონსტრუქტივისტული იმპულსებით გაჯერებული, იგი მაშობლებელ დისონანსად დაემკვიდრა არსებულ სინამდვილეს...

პოლიკარპე კაკაბაძე ის შემოქმედია, რომელმაც საბოლოოდ გააქარწყლა სოციალიზმისა და რევოლუციების მოჩვენებითი რომანტიკა... რაღაც ვოლტერიანული ტემპერამენტით განასახოვნა მათი იდეოლოგიური და მორალური არსი, მთლიანი ისტორიული მონაკვეთის ფილოსოფიური საზრისი...

რა იყო ისტორიულად სოციალური ტირანიის ნამდვილი სახე — ამის კლასიკური პასუხია „ყვარყვარე თუთაბერი“... ამ დიდი ლიტერატურული ქმნისების უპირველესი ღირსება ზედროული და ზეეროვნული დიაპაზონია...

იგი შთამბეჭდავი ანალიტიკაა მორალურად კასტრირებული ყველა იმ უსახური ჟამისა, რომლის მოძრავი სცენა დრო და დრო ჩამოატარებს ხოლმე პოლიტიკურ ავანტიურისტთა „იმპოზანტურ“ ფიტულებს, რათა დააცხროს ამ ეფემერულ კერპთა წინაშე მონური მორჩილებით ათრთოლებული ბრბოს ვნებები...

იგი რევოლუციების მანკიერებათა მხილებასთან ერთად, იმ უნიათო და უმომავლო საზოგადოების სახესაც წარმოსახავს, რომლის ჩაფერფლილ ღირსებებზეც „ყვავილოვნებდნენ“ ზარ-ზეიმით გადიდვაცებულნი...

მწერლის ისტორიული დრამები ინტელექტისა და ერუდიციის, გონისა და ინტუიციის გამოსხივებათა თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ... მათში პრევალირებს არა იმდენად მოვლენათა განვითარების დინამიკა, რამდენადაც პერსონაჟთა შინაგანი სუბსტანცია, მათი საკუთარი დროისა და სივრცის ეგზისტენციური ანალიტიკა...

„კახაბერის ხმალი“ უნიკალურია არა მხოლოდ მოვლენათა გრადაციებით, არამედ მონოლოგებსა და დიალოგებში კონდენსირებული მედიტაციებით, აფორისტული სენტენციებით, გონებაახვილობითა და იმ ენობრივი სტრატეგიით,

რომელიც სრულიად ნათლად წარმოგვადგენინებს მაღალი ხელოვნებით განსახოვნებული წარსულის შექმნადილებს, ანუ იმ ისტორიულ კონტექსტს, რომლის წვდომა შემოქმედის უდიდეს ინტელექტუალურ ძალისხმევას ითვალისწინებს...

მწერლის ნება აქ წინ აღუდგა ყოფიერების ყოველ იმ არსებით ფორმაციას, რომელიც ადამიანში კლავს სუბიექტს და მისგან მორჩილსა და თვითკმაყოფილ ობიექტს ძერწავს... რომელიც გულგრილია მორალური იმპერატივებისა თუ ყოფიერების ტრადიციული იერარქიების მიმართ...

„კახაბერის ხმალი“ ერის ისტორიულად თანდაყოლილი ცოდვების მძაფრი შესხენებაცაა, როცა მისი რაინდული პოტენცია მსხვერპლად ეწირებოდა ანგარებასა და პატივმოყვარეობას... როცა ლალატი და ერთგულება, სილაჩრე და სიმამაცე თანაბარი უფლებებით დააბიჯებდნენ ცოდვილ დედამიწაზე...

პიესის მორალი, ერში საკუთარივე ნებით ჩაკლული სულის განსახოვნებაა, რომლის ტანჯვის ექო შეუბრალებლად იკარგება ბრბოს გამძლავრებულ ინდიფერენციზმში...

სხვა ისტორიულ ქმნილებებთან ერთად („მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“, „დემეტრე მეორე“, „ბაგრატ მეშვიდე“, „ქეთევანი“ „კირიონი“...) „კახაბერის ხმალი“ წარსულის შემეცნების ბრწყინვალე გამოვლინებაა... დრო-ჟამი მასში ისტორიის შინაარსია და აღქმულია, როგორც ერთიანი სინქრონული აქტი, როგორც სამყაროს უნივერსალური მითოლოგიზაციის მაპროვოცირებელი დისკურსი...

და რაც ერთობ არსებითია, მწერლის მხატვრული სამყარო სუნთქავს პოეზიით, ყოფითი პრაქტიკისა და რიტორიკის უნიკალური კოლორიტით...

დრამატურგის მსოფლალქმის ფორმაციათა სფერო, კლასიკური ესთეტიკისადმი ერთგულების მიუხედავად, მხოლოდ მისი არ შემოფარგლულა და არ დარჩენილა გულგრილი თუნდაც ერთ დროს ისეთი პოპულარული ლიტერატურული სკოლის მიმართ, როგორც სიმბოლიზმი იყო. მისი ელევანტური მისტერია — „ტყის ქალები“, იდუმალი მინიშნებებით და მოუხელთებელი სემანტიკური აქცენტებით, ანუ სიმბოლისტური ესთეტიკითა და რიტორიკით, მეტერლინკისეულ დრამებს უფრო უახლოვდება, ვიდრე მისთვის ჩვეულ კლასიკას.

პიესის ყოველი პერსონაჟის გამძაფრებული მგრძობელობა და მათი სპეციფიკური ფსიქოლოგიური სტატუსი, მხოლოდ ალევგორიულად უკავშირდება თეატრალური რეალობის ჩვეულ წიაღს... მასში სიმბოლურ ნიღბათა ამოცნობა და ინტერპრეტაცია მაყურებლის (მკითხველის) აღქმის უნარზეა პროეცირებული.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებითი სივრცე სხვა კონცეპტუალური მოდიფიკაციებითაც ხასიათდება, თუმცა არსებითად მისი დიდი ტალანტი სწორედ ამ ქმნილებებშია კლასიკურად სრულყოფილი... მითის, ლეგენდისა თუ ზღაპრის პირველადი პოეტური ფორმის ტრანსფორმირე-



პოლიკარპე კაკაბაძე

ბული სტილისტური პლასტები კულტურათა იმ მელოდი-ებს გამოსცემენ, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვეობის სრულყოფილი აღქმა...

სულით რაინდი, თანმიმდევრულად ამკვიდრებდა იმის რწმენას, რომ არსებული სინამდვილე წარმოადგენდა სიცრუისა და მონობის, სისხლისა და მორალური ხრწნის მზაკვარ ფაქს...

უძლიერესია მასში პიროვნული თავისუფლების დიალექტიკა, აქედანვეა მისი სულიერი მარტოობის სტრატეგია, დიდ შემოქმედთა ეს ეგზისტენციური პრაქტიკა, თუნებაყოფლობითი ე. წ. მარგინალიზაცია...

ამგვარი ადამიანების მიმართ დრო თითქმის არასოდესა კეთილგანწყობილი...

ძალზედ გვიანი სინანული უკანმიდევნებელი ლამპარით მიჰყვებათ სიცოცხლეში დაუფასებელთ...

თუმც ბოლოს და ბოლოს, გონზე მოსული საზოგადოება ალბათ ხვდება, რომ შემოქმედთა სულიერი მარტოობა დრო-ჟამთან ინტელექტუალური მყოფობაა და არა განდევნილობა თუ ასკეტიკა...

მრავალგანზომილებიანია პოლიკარპე კაკაბაძის ესთეტიკის დიაპაზონი... თავის ქმნილებათა არქიტექტურით ის კლასიკოსია, გრძნობათა პოეზიით — რომანტიკოსი, ხოლო თანამედროვეობის ასახვის გაბედულებით — ნატურალისტი...

დრო-ჟამის ტოტალური კრიტიკა იმ ღრმა მემკვიდრეობითი კავშირის გამოძახილია, XIX საუკუნის კოლოსალურმა სულიერმა ძვრებმა რომ დაუდეს სათავე.

და კიდევ: მახსოვს და არ მავიწყდება მისი ფერმკრთალი, შთაგონებული და ღიმილფენილი სახე... ზოგჯერ უცაბედელ სიცილით რომ გამოხატავდა საკუთარივე გონებას მხვილობითი გამოწვეულ ალფრთოვანებას...

ბრწყინვალე ორატორი, იგი გატაცებით წარმოსთქვამდა თავის ნაფიქრ-ნაზრევს, მსმენელისადმი დასმული მრავალჯერადი კითხვით — „მიხვდი?“, ამით თითქოს მოსაუბრის გონებას ამომშებდა და იმავდროს, საზოგადოებრივ მომენტების არტიკულაციას ახდენდა... ალბათ იყო კიდევ ერთი რამ ამ „მაგიურ“ კითხვა-ბრძანებაში — მსმენელს მისი რეფლექსია უნდა შეესმინა, როგორც უპირობო ჭეშმარიტება, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს კარგავდა ორატორის შთაგონებული მედიტაცია...

თავისუფალი მოაზროვნის ანალიტიკური ობერტონებით იყო აღბეჭდილი მისი საუბრების ენერგეტიკა... იყო მასში ინტელექტუალური გამონვევაცა და განუმეორებელი ხიბლიც...

მეჩვენებოდა, რომ შორეული სულიერი მოგზაურობიდან დროებით მობრუნებული, ის კვლავ იმ სამყაროს უბრუნდებოდა, რომელიც მისთვის უძვირფასესი აჩრდილებით იყო „დასახლებული“...

შთამბეჭდავი იყო მისი მიმწეხრის ჟამი... სიბრალულისა და სინანულის ინსტინქტებზე ამაღლებული, მშვიდი და ღირსეული გაეცალა ამ წუთისოფელს...

დიდუბის პანთეონში, რჩეულთა ამ ელიზიუმში, ძველი ნეკროპოლის კედელთან, პირამიდული ტიპის სადა, უპრეტენზიო ქვით ნაგები საფლავია... მის ერთ გვერდზე ლათინური ასოებით ამოკანრული, რომელიც გვამცნობს, რომ აქ განისვენებს ქართული დრამატურგიის კლასიკოსი პოლიკარპე კაკაბაძე... ერთი იმათაგანი, რომელთა ქმნილებანიც არასოდეს მთავრდებიან და დროის ცვალებადობასთან ერთად, კიდევ უფრო ძლევამოსილი ხდებიან...

ეპოქის დიდმა ფსიქოანალიტიკოსმა და ძველი თუ ახალი „ღმერთების“ უარყოფელმა, მან დასაბამი მისცა ერის გონებრივ შემობრუნებას ახალი რეალობებისაკენ, მაღალი ჰუმანიზმისა და სულიერი უნივერსალიზმისაკენ...

შალვა კარმელი

განუმეორებელია ბუნდოვანი მოლოდინით „შემკრთალი“ XX საუკუნის გარიჟრაჟის შემოქმედებითი პანორამა... მათ შორის, სრულიად ახალგაზრდა მეოცნებეთა ამაყი ალფრთოვანებით შექმნილი „ცისფერყანწელთა“ ლეგენდარული „ორდენი“...

მათ საქართველოში სიმბოლიზმის, როგორც ლიტერატურული სკოლის არსებობის ბრწყინვალე „მითი“ შექმნეს და ავად თუ კარგად, შეაჩერეს XIX საუკუნის უმწეო ეპიგონობის მომაკვდინებელი ინერცია.

შალვა კარმელის, როგორც პოეტის ხვედრი, კანონზომიერად თავსდება ეპოქის იმ კონტექსტში, რომლის კულტუროლოგიურ სახეს განაპირობებდნენ ნეორომანტიკული იდეალებიცა და ფანტასმაგორიული მსოფლხედვაც, თეოსოფიური მისტიფიკაციებიცა და აპოკალიფსური მსოფლშეგრძნებაც...

როგორც ერთი „მარგალიტის ნიჟარაში გამომწყვდეული ობოლი სული“, ისიც გულწრფელად ცდილობდა მითოპოეტურ პანორამად ექცია ტრაგიკული კონფლიქტებით აღბეჭდილი რეალობა და სადღაც შორს მოციმციმე ისტორიული სილუეტები.

1920 წლის გაზაფხულს, ჟურნალ „მშვილდოსანის“ გამოსვლასთან დაკავშირებით, ახალი ლიტერატურული თაობის წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა ჯგუფის ცნობილი ლიდერი მარუთა შუამდინარელი (იოსებ გრიშაშვილი), ასეთი ოდიოზური აქცენტებით გამოხატავდა შეურიგებელ ოპოზიციონერთა თვალსაზრისს:

„გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ყოველთვის სავალდებულოდ თვლიდა ქართული ლექსის წამებას...“

...რუსეთის შეგირდი და გაკეთებული ნიჭის პატრონი — ვალერიან გაფრინდაშვილი...

...პოეზიის პარალიჩი — ტიცინ ტაბიძე...

...იგივე თავხედობა და ის ყიზილბაშური საქციელი, რითაც თავი ისახელა „ცისფერმა ყანწებმა...“

წინააღმდეგობის ფინით შეპყრობილი, არც „ცისფერი ორდენის კავალრები“ ერიდებოდნენ ბრძოლას. მათი ფანტასმაგორიული „ფარშევანგები“ და „ნიამორები“ ამაყად შლიდნენ ფრთებს ქართული პოეზიის უსიცოცხლო სივრცეში... ამ სივრცის ბინადარი იყო შალვა კარმელიც — ჭლექის ავი სიმზურვალით ანთებული და „გაიმქვეყნებული“ ჭაბუკი...

ისიც საოცრად თამამ ლექსებს ქმნიდა და არც მონინა აღმდეგეთა მიერ შემოთავაზებულ „დუელს“ არიდებდა თავს... „სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი“-ო, აცხადებდა კატეგორიულად და წმინდა იერუსალიმის ნაცვლად, მეძავთა პრეისტორიული ქალაქის — ბაბილონის ლეგენდარულ გოდოლს წარმოსახავდა... ამ ეგზოტიკური ფანტაზმებითაა აღბეჭდილი მისი პოეტური დებიუტი...

1921 წელს გამოცემულ მის პირველ და ერთადერთ ნიგნს „ბაბილონი“ ჰქვია სახელად და სულიერი თავისუფლების იმგვარ უსაზღვროებას ავლენს, როგორსაც ძალზედ ცოტა თუ გრძნობდა, თუნდაც პოლიტიკურად დამოუკიდებელ მაშინდელ საქართველოში...

ახალი თაობის „ცეცხლისა და მზის მისტიკებში“ მისი ელემენტური ლექსებიც ფიგურირებდნენ... ლექსები რაფინირებული ევროპული სულით აღბეჭდილნი... „ვტრიალებ დამწვარ არაბებში მზიურ ელინად“-ო, აცხადებდა ჭაბუკი პოეტი 1920 წელს დაწერილ ლექსში — „ავტოპორტრეტი პროფილში“...

გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის, სანდრო ცირეკიძის გვერდით ისიც „ნაპირებგადალახულ“ ლექსებს წერდა... საგულისხმოა, რომ „ძმობის“ ამ ორდენში მის გამოჩენას ასე აღწერდა პაოლო იაშვილი... „1915 წელს, შემოდგომაზე, ჩემთან მოვიდა ბავშვი, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსებით და თითქმის ვერაფერი ვერ მითხრა. ის იყო, როგორც ნიბლია. გადავიკითხე ლექსები და იმ ღამესვე წავედი ვალერიან გაფრინდაშვილთან. ბავშვურ შთაგონებაში ჩვენ დავინახეთ მომავალი ძმა ჩვენს ორდენში — შალვა კარმელი. იმ დღიდან ჩვენ ძმები ვიყავით“...

იმდენად ღრმა და ორიგინალური იყო ჭაბუკი პოეტის ვერსიფიკაციული შტუდიები, რომ ლექსის დიდი მავსტრო ვალერიან გაფრინდაშვილიც კი განაცვიფრა: „შალვა კარმელი უპირველეს ყოვლისა, რითმის კავალერი იყო... პოეზია და ლექსი იყო სტიქია შ. კარმელის. ის კულტურული იყო ზედმინევენი და იყო ნიშნები, რომ ის გახდებოდა ტეოდორ დე-ბანვილი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა რითმა“...

ამ თაყვანისცემით იყო იგი გამსჭვალული სონეტისადმი და საოცარი რითმებით ამშვენებდა მას... სონეტის „მოსათვინიერებლად ამხედრებული“ ჭაბუკი იმ მონადირეს ადარებდა თავს, უღრან ტყეში რომ იგნებდა გზა-კვალს და კანონიერად ამაცობდა თავისი ძვირფასი ნადავლით.

ათას ცხრაას ოცი წელი... ამ ქვეყნად უკვე არსებობს ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი მარადიული მშვენიერება „არტისტიკული ყვავილების“ სახით... და, თითქოს მის ლირიკულ მონოლოგებს ეხმიანებთან შალვა კარმელის სულის ვიბრაციები... მისი პოეტური გამოხატვების სუბსტანციები...

თაობისათვის, რომელსაც ყოფიერების უმძიმესი ჯოჯოხეთი სტანჯავდა, ჭლექი მართლაც რომ ტრაგედიად ექცა...

სწორი იყო კოტე მარჯანიშვილი, როდესაც გრიგოლ რობაქიძის „ლონდასადმი“ მიძღვნილ წერილს შემდეგი სენტენცია წარუძღვარა: „სიცოცხლე მზეა მწვავი და, თუ სიცოცხლე გინდა, გლოვაც უნდა გიყვარდეს“-ო...

სიკვდილმისჯილ ადამიანზე მეტად, ალბათ შეუძლებელია ვინმე შესტროფოდეს სიცოცხლეს... ჭაბუკი კარმელიც ეთაყვანებოდა მას, თუმც კარგად იცოდა, მისი და სიცოცხლის გზები თანდათან რომ შორდებოდნენ ერთმანეთს...

ისიც, როგორც სიყვარულით ანთებული ტრუბადური, გარს ევლებოდა ბეატრიჩესა და ლენორას, მედეას, კლეოპატრასა და ლაურას უნაზეს აჩრდილებს... აღაფრთოვანებდა

ჯოკონდას ღიმილი... თუმც იცოდა — რომ ეს ყოველივე ილუზია, სიზმარი და უსიცოცხლო ფანტასმაგორია იყო... „ვუახლოვდები სახრჩობელას ჩუმად, სასტიკად, უკანასკნელ ტრფიალებო, — დაშრი ალებით! იქნებ კმაროდეს პოეტისთვის ნორჩ ფანტასტიკად — შორი ღიმილი ჯოკონდას აშრიანებით“...

რაოდენ ბუნებრივია, სინორჩეშივე გარდაცვლილი პოეტები ნიადაგ სიკვდილის დათრგუნვას, ყოფნა-არყოფნის საბედისწერო საზღვრის გადალახვას რომ ესწრაფვიან... მარადიულობისაკენ — სიცოცხლეშივე აღზნებული რომ მიიჩქარიან... საკუთარი გაუკვდავებით თითქოს შურს რომ იძიებენ შეუბრალებელ ბედისწერაზე... სიკვდილთან შეჭიდებისა და მასზე გამარჯვების პათოსი ფიგურირებს პოეტის მრავალ ლექსში... მათში მზისა და ცეცხლის სიმბოლიკა აღმოსავლურ სამყაროსთანაა ასოცირებული...

ამ ტიპის ქმნილებებში პოეტის ონტოლოგიური სევდა ლირიკული გმირის ტრაგიკულ ხვედრს განასახიერებს... კერძოდ, კი იმას, რომ სიცოცხლე სრული ევემერაა განსაკუთრებით მათთვის, ვინც უკვე შერიგებია არყოფნას, ვინც უკვე საბოლოოდ გამოთხოვებია ყველას და ყველაფერს...

ამ განწყობილებებითაა აღბეჭდილი პოეტი მაშინაც, როდესაც საკუთარ გარდაცვალებას „ხედავს“ და შეიგრძნობს იმ მორწმუნესავით, უფლის გზისკენ მიმავალმა, ღვთაებრივი ემანაციით რომ იხილა: „მე მის კუბოსთან მივიცვალე უჩვევე ნვალებით, ერთად დაგვმარხეს, უფსკრულები თავზე დამეცა, გავიდა ხანი, ჩვენ აღვსდექით ფერისცვალებით, ისევ მოვნახეთ ერთმანეთი და დედამინა“...

როცა გრიგოლ რობაქიძე 1923 წელს, ერთდროულად, იმქვეყნად აცილებდა სახადით დაღუპულ საკუთარ შვილს და უმცროს ძმას — შალვა კარმელს, ალბათ, იმ ტანჯვის უფსკრულეს უახლოვდებოდა, რომელიც მხოლოდ გამორჩეულ ადამიანთა „პრივილეგიაა“...

ამგვარ მწუხარებათა სუბლიმაციას თუ წარმოადგენდა მზისა და ცეცხლის სიმბურვალეში დანთქმის სურვილი, ანუ ის უნაპირო ვნებათაღელვა, რაც კარმელის სულიერ ინტენციებს განსაკუთრებულ დიაპაზონს სძენდა... უსაზღვროა მისი ესქატოლოგიური ჰორიზონტები — „ერანის სარკვეში“ ჭვრეტდა ის სისხლით მთვრალი კიროსის სიამაყეს, ბაბილონ-ტიროსისა და ჯალალ-ედ-ხლ რუმის ვნებებს, ჰარამხანების ველურ გახელებას და სალიერბისა თუ ეპოქების სიჭრელეს... მრუში ქალაქები მას მკვდარი ხალხების პირამიდად წარმოედგინა და სურვილი კლავდა, სიტყვით, როგორც ძვირფასი ქვებით, გაებრწყინებინა ძველთაძველი ქვეყნები და მეფეები... ინგრეოდა ბაბილონის გოდოლი, და ჩნდებოდა მწუხარება, თუ ვის ენაზე იმეტყველებდა იგი, სიყვარულისთვის და პოეზიისთვის გაჩენილი, და ისიც საქართველოში...

კართაგენის კარიბჭესთან დაყუდებული, გამძვინვარებული ჰანიბალის რიტორიკას ისე უსმენდა, როგორც მარუ-



შალვა კარმელი

თა შუამდინარელის შხამიან ბოდვას, იმ პოეტური ძმობის ორდენის წინააღმდეგ, რომელიც ძველი სპექტაკლის ფარდას უშვებდა და ახალ, ჯერ განუცდელ პოეტურ ელდორადოს სთავაზობდა საქართველოს...

იგი ქუთაისში, 1923 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა... რეკვიემად ჟღერს მისი სევდიანი სტრიქონები: „გაშიშვლდა ბალი სემირამიდის, მარტოდ მივყვები მთვარეს მუზებით, ო, შემოდგომა სულში ჩამიდის, სიცვიით, კვნესით და ფირუზებით“...

ახლა მასაც დასტიროდნენ ახლობლები და მეგობრები... დასტიროდა საქართველოც, რადგან იცოდა — ნამდვილ პოეტს რომ კარგავდა... პოეტს, რომელიც პოეზიით განწმენდილი სტოვებდა მისთვის უსასტიკეს ნუთისოფელს: „ზღაპრული თვალი, ვიცი ჯადოა და ჩავიძირე მეც შენს ჯადოში, ახლა ტყე ჩვენთვის ელდორადოა, უნდა ვიცხოვროთ ელდორადოში“-ო, ამბობდა იგი და ქართულ პოეზიას უჩვეულო „სიურპრიზებს“ უტოვებდა...

გალანტურ რითმებად და მეტაფორებად გარდაისახებთან მის პოეზიაში ადამიანური გრძნობები და ემოციები...

საგულისხმოა, რომ ინტელექტუალური ჟინით ატანილმა, მან, სრულიად ახალგაზრდამ, ხარბად შეისრუტა მისთვის შორეული და უცნობი სულიერი გამოცდილებანი...

ოსტატური ქარაგმებისა და მოულოდნელი სენტენციების შემოქმედი, ბოლომდე ჯადოსნურ ოცნებათა აპოლოგეტად დარჩა...

იგი აღაფრთოვანა და დაატყვევა ნიცშეს, ბოდლერის, გოტიეს, ვაგნერის, ნერვალის და სხვა ევროპელი თუ რუსი სიმბოლისტების ფანტასტიკურმა ხილვებმა...

მათგან მძლავრად მონაბერმა ინდივიდუალიზმის მსოფლგანცდამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჭაბუკი პოეტის სულიერი დისკომფორტი, გააღვიძა მასში თვითშემეცნების გამძაფრებული ინტერესი...

ტრანსცენდენტალიზმი, ანუ პიროვნული ინტროსპექციით სულის წვრთნა კიდევ ერთი საგულისხმო შტრიხია მისი მენტალობისა...

შთამბეჭდავი ალუზიებისა და რემინისცენციების სიჭარბე, მისი ისტორიული და კულტურული მეხსიერების განსაცვიფრებელ უნარზე მეტყველებს...

სიმბოლისტურ მედიტაციებში პრევალირებს უჩვეულო სინატიფით გამორჩეული სევდა და სულის ქვითინი...

თავისი ლექსის ესთეტიკით მან ერთხელ კიდევ ნათელყო პოეზიის ამოუწურავი შესაძლებლობები, თუნდაც სიტყვის სემანტიკური ეკვივალენტების სახით... ნათელყო ისიც, რომ ფიგურები, ტროპები, მეტაფორები, რითმები თუ ალიტერაციები ოდენ მხოლოდ ლექსის დეტალები და სამკაულები კი არ არიან, არამედ მის განმსაზღვრელ კონცეპტებს ნარმოადგენენ...

ფანტასმაგორია თუ მისტიკა მასთან, დაუვინყარია თავისი თრთოლვითა და მელანქოლით, ნოსტალგიითა და უტოპიით...

ასეთად დარჩება ეს პოეტი... პოეტი, რომელიც დროსა და სივრცეს ანდობდა ვნებიან მონოლოგებს იმ ცხოვრებასა და სინამდვილეზე, რომელიც მხოლოდ მან იცოდა, რომელიც მხოლოდ მას განეცადა და უნეტარეს რეალობად წარმოედგინა... ზებუნებრივი და მისტიკური — ეს ის სამყარო იყო, რომელიც მასსავით მხოლოდ საკუთარ სულში ჩაბრუნებული მეოცნებეების წმინდა კუთვნილება...

წარმოსახვათა ნისლოვანებაში მოფარფატისათვის, ზღაპრული ფერადოვანი სივრცეები პოეზიის იმ ღვთაებრივ ჰარმონიად სუბლიმირდებოდა, რომლის წინაშე შეუძლებელია ყოფილიყო გულგრილი თუ ჩვეულებრივი...

ამგვარ შემოქმედთა ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟები, სამწუხაროდ, რატომღაც წამიერნი და ეფემერულნი არიან... თუმც ისინი არასოდეს იკარგებიან და დროდადრო, როგორც დავიწყებული და გამოტოვებული მშვენიერების უნიკალური ფრაგმენტ-



საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საექტო დარბაზში შესდგა პრეზენტაცია ალბომისა — „ილია II“, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე და დაბადების მე-80 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოს პატრიარქის 300-გვერდიანი „ილუსტრირებული ბიოგრაფია“ (რედაქტორი **ზაზა აბზიანიძე**) გამოცემლობამ „საოჯახო ბიბლიოთეკა“ მკითხველს წარუდგინა, როგორც უზადო დიზაინისა და პოლიგრაფიული დონის ნიმუში. საიუბილეო გამოცემის ეს ეფექტური გარეგნობა გამოკვეთს განუზომელ მნიშვნელობას ამ ალბომისათვის შერჩეული მასალისა: მკითხველი იხილავს იმ უნიკალურ ფოტომასალას, რომელიც საგანგებოდ ამ გამოცემისათვის იყო შექმნილი და პირველად ქვეყნდება, და იმ საარქივო ფოტოსურათებსაც, რომლებიც ასურათხატებენ პატრიარქის ბიოგრაფიის არაერთ ღირსშესანიშნავ ეპიზოდს. ამ მდიდარ ფოტომატიანეს ახლავს უწმიდესისა და უნეტარესის იშვიათად საინტერესო მოგონებანი და პატრიარქის პირადი ბიოგრაფიის, ალბომის პრეზენტაციის მასპინძლისა და ინიციატორის, ქართული უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **სერგო ვარდოსანიძის** მონოგრაფიის ფრაგმენტები, რომლებშიც ლაკონურად აისახა ქართული ეკლესიის უახლესი ისტორიაც და მისი ახლანდელი საჭეთმპყრობის ცხოვრების გზაც.

ალბომის შედგენასა და დიზაინზე იზრუნა მხატვარმა **თეა ინწკირველმა**; მას გვერდში ედგუნ საგამოცემლო ჯგუფის წევრები — არქიტექტორი **თორნიკე გოგრიჭიანი** (რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ფოტოხელოვან **ილია ზემკოს** უნიკალური არქივის შექმნასა და ახარისხებაში), **თინათინ გოგოჩაშვილი**, **ეთერ ინწკირველი**, **გოგა დემეტრაშვილი**, **დათო კუტუბიძე**, **ნატალია ღლონტი**, **ნატა ყიფიანი**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალბომს ამშვენებს **ზაზა მამულაშვილის**, **დავით კუკულაძის**, ჩვენი ცნობილი რუსი მეგობრის **იური როსტის** ფერადი თუ შავ-თეთრი ფოტოსურათებიც.

ძალზე შთამბეჭდავი ალბომის მოსაყვამი ნაწილი, სადაც მკითხველი XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა ფოტოსურათებსა და შოკლე ბიოგრაფიებს იხილავს, ისევე როგორც იმ დიდ ქართველთა მარტიროლოგი, რომელნიც ილია II-ის ინიციატივით წმინდანად შეირაცხნენ ქართული ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ. ალბომის ერთ-ერთ გამორჩეულად „ემოციურ ნაწილს“ ეკუთვნის თვით პატრიარქის ფერწერული ნამუშევრები და მისი ხატწერა.

პირველი შედეგი გამოცემლება უკვე მიიღეს — ალბომმა პატრიარქის მოულოდნელი სიხარული და მონონება გამოიწვია. უთუოდ, ამანაც განაპირობა მასპინძელთა და სტუმართა გამოსვლების პათოსი პრეზენტაციაზე, რომელიც მიჰყავდათ **სერგო ვარდოსანიძესა** და **ზაზა აბზიანიძეს** და მონაწილეობდნენ **თეა ინწკირველი**, **როინ მეტრეველი**, **ჯანსუღ ჩარკვიანი**, **ვაჟა გურული**, **გია აღიბეგაშვილი** და **ტარიელ ფუტკარაძე**.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მართლაც დასახსომებელი საღამოს ზეანულ განწყობას დიდად შეუნყო ხელი სიონის ეკლესიის მგალობელთა გუნდმა **ლაშა ზაალიშვილის** ხელმძღვანელობით.

მურთაზ ელიჯარიძე

ნინო ვახანია

ნასით მოპოვებული არსებობის უფლება

□

რეზო თაბუკაშვილის მოთხრობები

რეზო თაბუკაშვილის წიგნის სახელწოდება „გემების ჩრდილქვეშ“ კრებულში დაბეჭდილი ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია და სიმბოლური მნიშვნელობისაა. ცხოვრების ატორიტეტულ ზღვაში ადამიანს უთუოდ სჭირდება ხელის ჩასაჭიდი თუ ფეხის მოსაკიდებელი, მყარი საყრდენი. სწორედ სიმყარედ, იმედად, თავშესაფრად მოიაზრება გემი, გემები, რომელთა ჩრდილქვეშ ყოფნა სინყნარის, უსაფრთხოების, დაცულობის განცდას ქმნის. ადამიანს უჭირს, მეტისმეტად უჭირს ქაოსის, გამოუცნობი მომავლის, მუდმივი კატაკლიზმების წინაშე დგომა, ცხოვრება. სულიერი სიმშვიდე, ჩრდილქვეშ ყოფნა, ვიღაცის მზრუნველი ხელის შეგრძნება კაცობრიობის მუდმივი და ბუნებრივი სურვილია. თუმცა გემების ჩრდილებიც ისეთივე უნდო, მყიფე და ცვალებადი ყოფილა, როგორც გაშლილი, ბობოქარი ზღვა. სად, საით მივდივართ, რა გველოდება; წუთისოფელი ჩვენ ბევრს არას გვეკითხება, ყელზე საბელი უბია და... თავისი (გლობალიზაციის, მსოფლიო ინტეგრირების, საბოლოოდ, ეროვნულობის კარგვის, განსხვავება-გამორჩეულობის გაქრობის) გზით მიგვერეკება.

„გამოჯანმრთელებულს არეულობა დამხვდა კუნძულზე. მატერიკიდან გამოგზავნილი დიდი გემები მოსდგომოდნენ ნაპირს — წესი და რიგი უნდა დავამყაროთ აქო, ცხოვრების სწორი გაგება უნდა გასწავლოთო. ისე როგორც ადრე ცხოვრობდით, დრომოჭმულია და მცდარი, დაგვიჯერეთ და გაჩვენებთ არსებობის მართებულ გზებსო, მოუნოდებდნენ კუნძულის მობინადრებს. უფრო კი აიძულებდნენ“.

დამონმებული ციტატა აირეკლავს დამპყრობელ-დაპყრობილის ურთიერთობის კარგა ხნის დამკვიდრებულ ფორმას (მოდელს). დამპყრობელი მოდის „სიკეთის ქმნის“, „სხვაზე ზრუნვის“ ნიღბითა და მოტივით. ანგრევს, აუფასურებს ადგილობრივს, როგორც ჩამორჩენილსა და მიუღებელს. ამ კონტექსტში სხვა სიმბოლურ დატვირთვას იძენს გემების ჩრდილი. ძნელია, დიდ გემთა ჩრდილქვეშ საკუთარ ეროვნულ ფასეულობათა შენარჩუნება. დიდი გერევა, გახრჩობს, გაიძულებს, როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა, თავზე გაყრის ჭუჭყსა და ნაგავს. ასეთ ყოფაში ნეტა თუ არსებობს ხსნა?

ავტორი მზა პასუხს არ გვაძლევს ამ კითხვაზე. ნიშანდობლივია, რომ მოთხრობა შეკითხვით მთავრდება. თუმ-

ცა გაურკვეველი მოლოდინის განცდა კი არ გვტანჯავს, უფრო საკუთარ ძალთა და სიმართლის რწმენისა და გარკვეული გზის ხედვის შეგრძნება გვიჩნდება. მწერალმა შეძლო მკითხველი დაეფიქრებინა ზნეობრიობის, სიყვარულის, პატრიოტიზმისა და სხვა მარადიულ ღირებულებათა.

თხუთმეტივე მოთხრობა ფსიქოლოგიზმით გამოირჩევა. ავტორს აინტერესებს ე.წ. „უბრალო ადამიანი“, მისი ქცევის ფსიქოლოგიური მოტივები. იქნებ დაუჯერებელიც მოეჩვენოს ვინმეს მწერლის მიერ შემოთავაზებული ნარატივი, მაგრამ ლიტერატურა ხომ ბოლოს და ბოლოს თხზავა, მიმზიდველი ტყუილი. რეზო თაბუკაშვილი თავისი თხრობით „იჭერს“, შემპარავად იზიდავს მკითხველს და, როგორც თვითონ ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით: „სულერთია, ამბავი ცხადში მოხდება თუ შენ თვითონ მოხლანდავ რამეს და საკუთარ თავს დაარწმუნებ მის რეალობაში“. ოღონდ მხატვრული ნაწარმოების ავტორმა სხვაც უნდა დაარწმუნოს მოყოლილი ამბის შესაძლებლობაში. და რაც მთავარია, სხვა თვალთ, სხვა რაკურსით შეახედოს მომხდარს — ვთქვათ, მკვლელობას. მკვლელი-მოზარდი ყველა ნორმალური ადამიანისთვის ამაზრზენია. მითუმეტეს, თუ დანაშაული მამის იარაღითაა ჩადენილი და შვილი სიამოვნებასაც კი განიცდის იმის წარმოდგენით, რომ მამამისს ამის გამო დაიჭერენ და „სროკზე გააბრიხინებენ“, სხვა რა უნდა იგრძნო ბიჭის მამართ, თუ არა ზიზლი? თუმცა ნუ ვიჩქარებთ, ყველაფერს ცვლის ამგვარი საქციელის მიზეზი.

ვიქტორ ჰიუგო წერდა, სასამართლოებში ჩვეულებრივ ეკითხებიან, ჩაიდინა თუ არა ადამიანმა ესა თუ ის დანაშაული — მოიპარა თუ არა, მოკლა თუ არა, მაგრამ არავის ეკითხებიან, რატომ მოიპარა? რატომ მოკლა? მწერლისთვის, ჰუმანისტისთვის სწორედ ამ კითხვებზე პასუხია მთავარი. რეზო თაბუკაშვილი კი ყმანვილკაცს სიყვარულის გამო აკვლევინებს უცნობ, „ბინძურ ძიას“. და არა აქვს მნიშვნელობა, რომ ეს სიყვარული ქუჩის, უპატრონო ბავშვების, სხვენზე მცხოვრები გოგო-ბიჭების წრეში ჩაისახა. თვითონ სიყვარული ისეთი წმინდა, ისეთი გულწრფელი, ისეთი ძლიერია, მის გამო კაცი არაფერს დაერიდება, მამას კი, თუ დაიჭერენ, კიდევ უკეთესი — ბიჭი თვითონაც სხვენზე გადასახლება და არავის დააჩაგვრინებს ბოთლების შემგროვებელ პატარა გოგოს.

არც მე ვარ საამისოდ განწყობილი და, მგონი, არც ავტორს სურს მკითხველის სენტიმენტების ნაძალადევად გამოწვევა, მაგრამ რატომ უნდა იყოს დასაძრახი, თუ გული უნებურად შეგეკუმშება?

რეზო თაბუკაშვილი კარგი მთხრობელია. იგი გატაცებით ყვება, ფერადოვნად ხატავს, საინტერესი სიუჟეტებს იგონებს და უმთავრესად ადამიანის სული აინტერესებს. სხვათა შორის, რამდენიმე ნაწარმოებში, რომელთა მთხრობელის ალტერ ეგოც ჩანს თვითონ ავტორია, მიმზიდველადაა წარმოსახული შემთხვევით ვაცნობილი ქალ-ვაჟის არა ფიზიკური, არამედ სწორედაც სულიერი სიახლოვე. კანონზომიერია, რომ ვაჟი ამ მოთხრობებში სწავლობს, ამონებს ქალის გემოვნებას, დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი... ამ მიზნით ხან ბავშვობას იხსენებს, ხან არმომხდარს თხზავს. აბა, უამისოდ წარმოსადგენია ქალთან თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა?

„დროებით შემოტევაში“ ძალიან ფრთხილად, კრძალვით, მაგრამ პირდაპირ არის დახატული ჩვენი ყოფის ერთ-ერთი მტკიცენეული მხარე — მათხოვრობა და მათხოვარი ბავშვები. არ არიან „ფსკერის“ მცხოვრებნი მოთხოვნი გავიდავებულნი, თუმცა მინიშნება აშკარაა — საზოგადოებამ, თითოეულმა ადამიანმა უნდა იგრძნოს მათ წინაშე პასუხისმგებლობა. შეუძლებელია გალაკტიონი არ გაახსენდეს ადამიანს: „არ ეპატიოს!“ მაგრამ უშუალოდ ვის? და პერსონაჟი ერთ სურვილს შეუწყურია: „გააგორებდა ვინმეს“. დიდი კონტრასტია მის მყუდრო ბინას, საყვარელ ქალთან მშვიდად ცხოვრებასა და კართან ატუბულ მათხოვარ დედა-შვილს შორის. პერსონაჟთან ერთად მკითხველიც ვერ ივინწყებს უმნო, უხეშ, აბურძგნულთმიან ქალს, მის დაგრეხილ, ჭუჭყიან თითებს, რომლებშიც გასაყიდი წითელი „შპილკები“ უჭირავს, გვერდით მდგომ ბავშვს, რომელსაც ვერ ვხედავთ, მაგრამ წარმოვიდგენთ — თავხედი მზერით, ცბიერი თვალებით, ფლიდი სახით... „უკაცრავად, უკაცრავად“, — გულს სერავს ქალის მობოდიშება, რომელიც იქნებ სულაც არ იყო შეწუხებით გამონეული და სწორედ გაღიზიანებას გამოხატავდა... და მაინც, გვეყიდა ის ოხერი „შპილკები“, ვინ იცის, როგორ და რისთვის სჭირდებოდა ფული. არაფერი გაუგია ოთახში, სითბოსა და სინათლეში მყოფ ქალს. კაცს კი არ ასვენებს განწყობა: „არ ეპატიოს!“ — „ლენავდა ვინმეს“, „დააგორებდა ვინმეს“. ასე გამოხატული უკმაყოფილება და გაღიზიანება საკუთარი საქციელის გამო უფრო ბუნებრივი და მშვენიერი, ვიდრე იქნებოდა, ვთქვათ, ღრმავაროვანი და ბრტყელი მსჯელობა სოციალურ პრობლემათა და მათი მოგვარების გზების შესახებ.

ძალზე საინტერესოა „ავტობიოგრაფია პროფილში“. საოცარია, როგორ მოახერხა მწერალმა ომის მთელი სამინელების ორიოდ წინადადებით გადმოცემა: „ერთ-ერთ დაჭრილთან ჯანიანი ბიჭი იყო ჩაცუცქული. დაჰყურებდა ზემოდან და ჩუმად, ხმის ამოუღებლად ტიროდა“. ომის თემაზე (აფხაზეთის ომზე) დაწერილი ბევრი კარგი ნაწარმოები წამიკითხავს, ბევრი თვითმხილველის ნაამბობი მომისმენია, მაგრამ ასე მოკლედ, შთამბეჭდავად და ტევადად იშვიათად ვინმეს მოუხერხებია ომში დაჭრილი, მომაკვდავი ბიჭის გამოტირებაც, საკუთარი ჯანის გლოვაც, დაკარგული სამშობლოს ჭირისუფლობაც, ცოცხლად დარჩენილთა სირცხვილნარევი მწუხარების გამოთქმაც, წარსულისა და მომავლის ერთდროულად წყველაც და საერთოდ, მთელი იმ სამინელი ორომტრიალის მართლად დახატვაც. საღალამათი მამაკაცის მიერ უსიტყვო გლოვა მის მაგივრად, ჩვენ მაგივრად მოკლული მეომრისა — მოხდენილი და მრავლისმეტყველი პასაჟია.

კითხვისას იგრძნობა, რომ ავტორს განცდილი აქვს აფხაზეთი. ალბათ, ნამყოფიც არის იქ, მაგრამ მთავარი მაინც განცდაა. პერსონაჟის მიერ საკუთარი გრძნობების გამოთქმის ფორმა, როგორც წესი, არ არის „დავარცხნილი“, უფრო იმპულსური, დაულაგებელია ხოლმე და ეს



ანიჭებს თხრობას ნამდვილობას. თავისებურად, როგორც ადამიანს, ისე ემშვიდობება ზღვას და ქალაქს ერთი ქართველი: „შე უსინდისო, ის ბოზები უნდა მიილო და აბანაო? მთელი ბავშვობა შენთან გავატარე და ეხლა ასე აუღელვებლად ტოკავ და მემშვიდობები... — შემდეგ სახე წყალში ჩაყო, მარილიან ქვებს აკოცა, — მე დავბრუნდები“.

დაბრუნება მართლაც ხდება, ოღონდ... მამის მიერ შვილისთვის მოყოლილ ზღაპარში. გეგამ დაამარცხა ლურჯ ოკეანეში ულამაზეს კუნძულებზე დასახლებული ჯადოქარი და კეთილ დედაბრად აქცია. ახლა ყოზეფინამ თავის ფერად ფრთებზე უნდა შეისვას პატარა ანკა და ისე წაიყვანოს კუნძულებზე... ეს ზღაპარში ხდება, რასაკვირველია, მხოლოდ წარმოსახვაში.

ძალიანაც უნდა ავტორს, რომ არ წეროს ომზე, განსაცდელში ჩავარდნილ ხალხზე, მუდმივ „პახმელიაზე“ მყოფ ადამიანებზე... მაგრამ რადგან წერს იმას, რაც იცის, ამიტომაც წერს განსაცდელში ჩავარდნილ ღირსეულ ადამიანებზე, მუდმივ „პახმელიაზე“ მყოფ ხალხზე, შიგადაშიგ სიყვარულზე... წერს კარგად, გადამდებლად, გულიანად. ამის დასტურია „არგაქცევა“ „სოხუმის დაცემაც“, „პრარვიომსია“ „მზეო, არ ამოხვიდეც“...

მწერალი რისი მწერალია, თუ სიკვდილიც არ ახსოვს და სიცოცხლეც ერთდროულად. იცის და არასოდეს ავიწყდება რეზო თაბუკაშვილს, რომ „დადგება დრო, წამი და ჟამი და მოვისვრი(თ) სხეულს ერთგულად ნამსახურევი დაფლეთილი ჯინსივით“. მასთან ერთად მოვისვრით ქაოტურ რიტმში მობაგუნე გულსაც. და არც ჩვენ ვიცით, „დამწყდება, ჩამწყდება თუ მეტკინება ამისგან ეს გული“. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ასეთი დრო ადრე თუ გვიან უთუოდ დადგება და ვაი მას, ვინც სიცოცხლეშივე არ ემზადება იმ წამისთვის, იმქვეყნად გადაბარებისთვის, არსებობის სხვა ფორმით, სხვა განზომილებაში გაგრძელებისთვის. მწერლისთვის მისი ამქვეყნად არაფუჭად ხეტიალის დამადასტურებელი საბუთი მისივე ნაწერებია. საყურადღებოა წიგნში შესული ნარკვევი „...ჩ.“ (ანა-პურნას საბაზო ბანაკი), ნეპალში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, რომელიც მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შესანიშნავ ნიმუშად წარმოგვიდგება.

ადგილობრივი ათვლით 2055 წელს მოუწია კიდევ ერთხელ კატმანდუში ჩასვლა ავტორს. უკვე ამ თარიღით შეიგრძნობს მკითხველი უცხო და უცნაური სამყაროს პირველ შთაბეჭდილებას. აი შემდეგ კი რაც ხდება, რა თავგადასავალი გადახდა, რა ფიქრ-განწყობა ეუფლება, რა განცდა-შეფასებებს გვიზიარებს, თანაც როგორ, რაოდენ ექსპრესიული ენითა და სტილით გადმოგვცემს ამბავს, კაცმა თვითონ უნდა წაიკითხოს, რათა ისიამოვნოს კიდევ და თვითონაც გამოსცადოს განსხვავებულ სამყაროსთან შეხვედრის არაჩვეულებრივი გრძნობა.

„წერით მოვიპოვებდი ამქვეყნად არსებობის უფლებასო“, — აღნიშნავს ერთგან ავტორი. ეს უფლება, ცხადია, კარგად წერით უფრო განმტკიცებულია.

სოფიო წულაია

ორი წერილი ბექა ქურხულზე

მაშინ და ახლა

ბექა ქურხულის შემოქმედებაზე წერილის დაწერა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მეორეჯერ მიწევს — მასხოვს, პირველად როცა ვწერდი, დაწყება ძალიან გამიჭირდა — ვერა და ვერ მივხვდი, რას ჩავბლაუჭებოდი, სად დამესვა მახვილი, რომ მისი მცირე ფორმის ტექსტებიდან მიახლოებით მაინც ამომეკითხა ის, რისი ამოქმედა და ჩვენებაც თავად გადაწყვიტა... ზაფხულის ცხელი და გრძელი ღამეები იყო, დაბნეული ვკითხულობდი, იმიტომ, რომ ყოველი ახალი მოთხრობა მათ ავტორზე ერთმანეთისგან განსხვავებულ შთაბეჭდილებას მიტოვებდა, განსხვავებული გამწყობითა და ემოციებით იკითხებოდა, 90-იანი წლებივით მკაცრი, მძიმე და სასტიკიც იყო და თანამედროვე ქართული ლიტერატურასავით ჭრელი და მრავალფეროვანიც...

დაწყება ყოველთვის ბევრად რთულია, ვიდრე საბოლოო წერტილის დასმა და ვხვდები, რომ ახლაც ძალიან მიჭირს, მაგრამ ახლა მიზეზი სულ სხვაა — ახლა ვწერვიულობ იქნებ კიდევ არასწორად გავიგე, არასწორად დავასკენი, ან შევაფასე... ყველაზე მეტად უსამართლო არ მინდა ვიყო — ოდნავ პათეტიკური, ან ინფანტილური თუ ვიქნები, არა უშავს... როცა აფასებ და მერე ხვდები, რომ უსამართლოდ შეაფასე, ძალიან ძნელი გადასატანია — ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა.

მაშინ რატომღაც გადავწყვიტე და ჩავთვალე, რომ ყველაზე ხშირად „პატარა ადამიანებზე“ წერა იტაცებს — მუშტისხელა, ცხოვრებისგან წელში გატეხილ და დანაჩანაკებულ, სასტიკი და შეუწყნარებელი რეალობისგან დაჩაგრულ ადამიანებსა და ბედისწერაზე, რომელმაც საბოლოოდ დაანგრია მათი ცხოვრება — და მათთან ერთად დაანგრია, დაანანევრა და დაშალა გარემოც, გაანადგურა ყველაფერი... არ მოვერიდე და არაერთხელ გამოვიყენე ისეთი ერთმნიშვნელოვანი და სწორხაზოვანი სიტყვები, როგორცაა დეპრესია, უიმედობა, სასონარკვეთა, პანიკა... დღევანდელი გადასახედიდან კი ერთ რამეს ვხვდები — მაშინ ყველაზე მთავარი სიტყვები გამომჩნა — დაუმორჩილებლობა, ჯიუტი, მებრძოლი და დაუდგრომელი სული, ცხოვრების გზაზე არაერთი დაცემის, ცხვირის წამტვრევის და თითქმის გადაუღალახავ წინააღმდეგობათა გადასალახად მზაობას რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ გარემოსა და სიტუაციაში გამოთქვამს, დამარცხებულიც იბრძვის — იბრძვის გასასტიკებული, განრისხებული, შეუწყნარებელი და უკომპრომისო, მაგრამ არასოდეს კარგავს ღირსების გრძობას და ყველაზე დიდი უიმედობის დროსაც საბოლოო ძალას იკრეფს, რომ დავარდნილი და წელში გადატეხილი კი არა, ფეხზე წამომდგარი ერქვას — ყოველ-

თვის დამარცხებული — ზოგჯერ მკვდარიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნაქცეული, მიწაზე მფორთხავი... ეცემა, დგება და მაინც წინ მიდის — მიდის, რომ ისევ ნაქცეუს, იქნებ კიდევ უფრო მწარედაც, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ძალა არ ელევა... ნაქცევის დროს იმაზე კი არ ფიქრობს, რომ ნაქცეა, არამედ — როგორ მოასწროს ისე ადგეს, ნაქცეული ვერ დაინახოს... ადგომა გარდაუვალი აუცილებლობა!

ასეთებს — დაუოკებლებს — ურჩევნიათ, ბრძოლის დროს მოკვდნენ, ვიდრე თბილი ლოგინიდან ჩუმად გადაიპარონ, ან უმტკივნეულოდ გადაისეირნონ ერთიდან სხვა განზომილებაში, სწორედ ამიტომ მუდმივად ზღვარზე იმყოფებიან — სიკვდილ-სიცოცხლის თუ სიყვარულისა და სიძულვილის, ტკივილისა და სიხარულის, თუ ბედნიერება-უბედურების... ამიტომაცაა მოთხრობებში სიტყვებად ხორცშესხული ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი მყვირალა, რიხიანი, ხმაურიანიც კი და არა ჩუმი, ჩაკლული, გარეთ გამოღწევის რომ ვერ ბედავს და შიგნიდან ღრღინის, ჭამს, ანადგურებს...

მას არ უყვარს გამარჯვებულები — არც გამარჯვებულ-გაბრწყინებული საქართველოს იდეა მოეწონება ოდესმე, მაგრამ მისთვის დამარცხება იმთავითვე ბრძოლაზე უარის თქმას კი არ ნიშნავს — დამარცხება მხოლოდ ფატალური შედეგია, მთავარი კი ის გალაშქრებაა, რომელსაც გმირი ბედისწერის, უსამართლობის, მტრის... ყველაზე ხშირად კი საკუთარი თავის წინააღმდეგ აწყობს...

წერას აუტანია მისი მოთხრობების თითოეული პერსონაჟი, ამიტომაც ერთდროულად ძლიერს, დაუოკებელს, რისკიანს, სასტიკს და გულიანს, გულწრფელს, ერთგულს, მართალს — უსამართლო და ლაჩარი ბედისწერის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუხარჯავს მთელი თავისი დრო, ძალა და უზარმაზარი ენერჯია, მაშინაც კი აჯანყებულა, როცა ზუსტად სცოდნია, რომ ეს აჯანყება დასაწყისშივე განწირულია სისხლში ჩახშობისა და დასამარებისთვის, შემდეგ კი კვლავ აღმდგარა და კიდევ ერთხელ შესწირვია ცხოვრების იმ გზას, მრწამსსა და იდეალს, რომელიც ბედისწერის წინააღმდეგ ნასვლას ითხოვს და რომელიც სავესებით გააზრებულად და მიზანმიმართულად აურჩევია და ისე მყავდა გასაჯდომია მთელ სხეულში, რომ ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც ბოლომდე მისი ერთგული დარჩენილა...

უცნაურია ლიტერატურის აღქმის პროცესი — წამიერად შეიძლება, რომ ყველაფერი შეიცვალოს... თან, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ კრიტიკული წერილის დაწერის დროს ძალიან დიდი ფუფუნებაა, როცა ავტორს პირადად იცნობ — ასეთ დროს მის თითოეულ ფრაზას თუ სიტყვას სულ სხვაგვარად კითხულობ, აღიქვამ და ხედავ, სხვანაირად გესმის და სხვაგვარად წერ — ალბათ, მეტი პასუხისმგებლობით, გულისყურით, პატივისცემით, სიყვარულით, მეტი თავდაჯერებულობით — მეტია კონკრეტული და ნაკლები — ზოგადი ფრაზების რახარუხი... ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოდან ამოკითხული ლიტერატურული ტერმინებიც, რომლებიც ძალაუვნებულად ამოტივტივდება ხოლმე ცნობიერებიდან, სადღაც უჩინარდება... სულ სხვანაირად ხედავ, როცა იცი, რომ არ უყვარს ისეთ ადამიანებთან დიდხანს საუბარი, რომლებიც არ მოსწონს, ვინც მოსწონს იმას კი „თავისიანს“ ეძახის, აქვს საკუთარი სამშობლოს, მიწის გამძაფრებული შეგრძნება, დოსტოვესკის ტოლსტოი ურჩევნია, მოსწონს რევაზ

ინანიშვილის მიერ არჩეული „სულ სხვა გზა“ ქართულ ლიტერატურაში, ვასილი შუკშინს „ბიძამისს“ უწოდებს, ყველაზე ხშირად ვისოცკის სიმღერებს უსმენს და დედამისის ზურგზე ყველაზე მეტად ტრასაზე გადასვლისა ეშინია, კანონებს არ ენდობა, არც ცხოვრებაში და არც ლიტერატურაში, ამიტომაც არ ენდობა, ალბათ, შუქნიშნებსაც...

„ორი მთვარის ამბავი“ ბექა ქურხულის შედარებით ვრცელი თხზულებაა, რომელიც არამარტო ფორმით, შინაარსითაც საკმაოდ განსხვავდება იმ ჩანაწერების, ჩანახატებისა და მოთხრობებისგან, რომლითაც იგი ქართველმა მკითხველმა გაიცნო. ამ ტექსტს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ვრცელი ოდა რაინდობაზე“ და მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „რაინდობას“ აქ აუცილებლად განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა ექნება, რადგან ნაწილობრივ შემოეცლება პირველსაწყისისთვის დამახასიათებელი უმთავრესი თავისებურებანი — საფუძველი, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩება... მისტიკურ-ჰეროიკულ ბურუსში გახვეული ერთი გვარის ისტორია — სამი თაობის მიერ სამ სხვადასხვა დროს, მაგრამ თითქმის ერთნაირად განვლილ ცხოვრების გზას აღწერს და საკუთარ თავში ქართველი ერის ფიზიკურ, სულიერ თუ ზნეობრივ ტრაგედიას აერთიანებს, სადაც ქართული ხასიათის ძირითადი თავისებურება — სილაღე, ერთგვარი გულუბრყვილობა, თავგანწირვა, რომანტიზმი, ფეთქებადი ხასიათი — უბედურებისა და წარუმატებლობის, შემდეგ კი სიკვდილის მთავარ მიზეზად იქცევა. ერთი მხრივ, ძველი მისტიკური ლეგენდა ტბაში ჩასახლებულ ალიზე, შიმის ზარს რომ სცემს გარშემომყოფებს და მისგან გამოსული შთამომავლობა, რომელიც ამქვეყნად თითქოს, მხოლოდ იმიტომ მოავლინა, რომ ტკივილსა და ტანჯვაში გამოიბრძმედოს, მეორე მხარეს კი სრულიად რეალისტური 90-იანი წლების თბილისი, სადაც დაწყებული გვარის ერთ-ერთი შთამომავალი იბრძვის თვითგადარჩენისა და დამკვიდრებისთვის... და თუ მისი წინაპრების 50 წელზე მეტხანს ვერ ცოცხლობდნენ, რადგან უმოწყალოდ ხვრეტდნენ, ფრონტის ხაზზე კლავდნენ, ანაფორას ხდიდნენ... ბიჭი, რომელიც 90-იან წლებში დაიბადა, 21 წლისა ამთავრებს სიცოცხლეს... მისი წინაპრების კვალი იმ ტაძრებში მაინც დარჩა, სადაც ერთ დროს გულმოდგინედ აღავლენდნენ ღვთისმსახურებას და მათი შთამომავლები დღემდე ამით ამაყოფენ, ბიჭი კი უკვალოდ ქრება და არაფერს ტოვებს იმ ტკივილისა და სიკარიელის გარდა, მისი წასვლის შემდეგ მასზე შეყვარებულ გოგოს რომ დაუტოვა გულში, გოგოს, რომელიც მის ყოველ გამოჩენას მოუთმენლად ელოდებოდა.

უდროოდ და მოულოდნელად წასული უსახელო ბიჭი

ტკივილიანი მეტაფორაა 90-იან წლებში გარდაცვლილი ახალგაზრდებისა, რომლებმაც გაზრდაც ვერ მოასწრეს, რომ დროებით მაინც გაეგრძელებინათ წინაპრების მიერ აქამდე სისხლითა და ოფლით გადარჩენილი საქმეები და რომელთაც თვითონ ავტორი კატო ჯავახიშვილთან ინტერვიუში „დახოცილ თაობას“ უწოდებს...

„სულ მგონია, რომ აფხაზეთის ომში საქართველო კი არ დამარცხდა, მოკვდა! არა, საქართველო ყოველთვის იარსებებს — განათებული, შეღებილი, გამჭვირვალე პოლიციის განყოფილებებით, სარფის საბაჟოებით, სასტუმროებით, შადრევნებით, „მოტო-ველოთი“... ისევ დამარცხდება და ისევ იზიემებს, მაგრამ ეს სხვა საქართველო იქნება...

ის საქართველო კი, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე — ღალი, ნიჭიერი, რომანტიკული, გულუბრყვილო, ლამაზი, სულელი და თავგანწირული, კეთილი და თავზეხელაღებული საქართველო თავის უკანასკნელ ომში მოკვდა“ — წერს ავტორი 2010 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ ჩანაწერში... მისი ბოლო პერიოდის ნაწერებიც ამ იდეის ერთგვარი ხორცშესხმაა თითქოს: ერთგვარი გაუცხოება, ხიდჩატეხილობა ანწყოსა და არც ისე შორეულ წარსულს შორის... წარსულს კი, სამწუხაროდ, მარტო უშუქობა, უგაზობა, მძიმე კრიმინოგენური სიტუაცია და ომები კი არა, ღირსება, ერთმანეთისთვის თავგანწირვა, თავდადება, სიყვარული და სილაღეც გადაჰყვა... ავტორი თავის ნაწერებში სწორედ იმის გადარჩენას ცდილობს, რაც



ბექა ქურხული

ასე ეძიერფასება, ეამაყება და ავსება... ამიტომაც უწოდებენ ალბათ, მეგობრები „ოცდამეერთე საუკუნის დონ-კიხოტსა“ და „უკანასკნელ მოჰიკანს“, ხელითაც, ალბათ, იმიტომ წერს, რომ წარსულთან კავშირი არ გაწყდეს — კავშირი ქართული მიწიდან ამოზრდილ, ხაშმელ, ძარღვიან და მადლიან რევაზ ინანიშვილთან, საკუთარ ტანჯულ, მებრძოლ, გულუბრყვილო, ნელში გატეხილ, დამარცხებულ, მაგრამ მაინც მებრძოლ ხალხთან, გარდაცვლილ მეგობრებთან, ღირსების გრძნობა ვერწარმოეულ წინაპრებთან...

ზოგჯერ მგონია, რომ დიქტოფონით ჩანერილ ამბებს შიფრავს და ფურცელზე გადმოაქვს — სტილიც დაცულია და ხმოვნებიც ზუსტად ისეა განელილი, როგორც ჩვეულებრივ მეტყველებაში... „ორი მთვარის ამბავში“ ხომ წარსულის ამბები წინაპართა მონათხრობია მომავალი თაობებისთვის და კახური დიალექტით ცოცხლდება, 90-იანი წლების ნაცრისფერი ქალაქის სიმფონია კი მისთვის ყველაზე მეტად ნიშანდობლივი სკაბრეზითა და ჟარგონითაა მოთხრობილი, ამ ყველაფრის გარეშე ბუნებრიობისა და სინამდვილის შენარჩუნება კი თითქმის წარმოუდგენელი იქნებოდა...

თუ არ ვცდები, ჩეხოვი მსგავს რაღაცას ამბობდა:

„ჩემს პიესებში არაფერი ხდება — ადამიანები მაგინდის შემოუსხდებიან, ჩაის სვამენ და გაუთავებლად საუბრობენ ერთმანეთთან, ამ დროს კი ვერც კი ამჩნევენ, ისე ენგრევით ცხოვრება“... ბექა ქურხულის „ორი მთვარის ამბავის“ 90-იანი წლების ეპიზოდებში კი ადამიანები მაგინდის შემოუსხდებიან, იაფფასიან, აცეტონის გემოიან და მომაკვდინებელ არაყს სვამენ, გარდაცვლილ მეგობრებს იგონებენ, სიკვდილზე გაუთავებლად საუბრობენ, ვისოცკის სიმღერებს უსმენენ და ტირიან... მერე გოგონებს აკითხავენ, რომლებიც მათ დანახვაზე ყოველთვის კისრისტეხით გამოვლიან... მერე მიდიან და თვითონ იკარგებიან ხმაურიან ისტორიებში და ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ყოფით, ახალგაზრდულ ორომტრიალში ცხოვრება თვალსა და ხელს შორის ელევით და ენგრევით...

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული რეალობა და ფანტაზია — იმის თქმა, რომ აქ ზღვარი რეალობასა და ფანტაზიას შორის ნაშლილია, არასწორი იქნებოდა, რადგან თითოეული შეგრძნება, ემოცია, წარმოსახვა, წარმოდგენა, ცხადი თუ სიზმარი — ფიზიკური თვალთაა დანახული, გამოკვეთილი და ცოცხალია და არა გაბუნდოვნებული... მთავარი პერსონაჟებიც ძალიან ჩვეულებრივები არიან — მარტივები, გულწრფელები, ნაღდები... ამავდროულად კი ყველასგან განსხვავებულები და გამორჩეულები, გულთამპყრობელები, მიმზიდველები... შეუძლებელია მათი გახსენებისას, მათზე ფიქრისას — სიტბო და თანაგრძნობა არ გაგიჩნდეს მათ მიმართ...

ერთი ჩვეულებრივი მხატვარი გოგო — საბოლოოდ მარტო რომ რჩება მცირეწლოვან შვილთან, სამ ლეკვსა და კატის კნუტთან ერთად, ბოშების დასაცავად საკუთარ ხალხს დარეული ანაფორაგახდილი სასულიერო პირი, თავქარიანი, წერას აყოლილი ბიჭი, რომელმაც ვერაფრით მოახერხა, ბავშვობის მეგობრისთვის ტყვია არ დაეხალა, იმიტომ, ასე რომ არ მოქცეულიყო, ნამდვილი და მართალი ვერ იქნებოდა — იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და ეს, ალბათ, იმით მიიღწევა, რომ ავტორი ყოველთვის იშვიათი გულწრფელობითა და სიყვარულით წერს საკუთარ პერსონაჟებზე...

ვფიქრობდი, რომელი შეფასება იყო ყველაზე უსამართლო ჩემს წინა წერილში და უცებ მივხვდი, რომ ესაა „დეპრესია“, იმიტომ, რომ ბექა ქურხულის პროზას — ფსიქოლოგიური ტერმინი, რომელიც ძნელი განსასაზღვრია რომაა, სულის მდგომარეობაა თუ სხეულება, ყველაზე ნაკლებად შეესატყვისება და ამაში „ორი მთვარის ამბავის“ ფინალი კიდევ ერთხელ მარწმუნებს. დაწყებული გვარის ოთხი წარმომადგენელი რომ კვლავ უბრუნდება საკუთარ ფუძეს, წინაპრების მიერ გაკვალულ ბილიკს გადაივლის და ღრჭიალით ალებს დაჟანგული რკინის ჭიშკარს,

„მერე კი ყველაფერი თავიდან იწყება“...

ბექა ქურხულის ტაიპილიანი და მხარე რეალობა

ბექა ქურხულის პროზაული კრებულის — მინიატურებისა და მცირე ზომის მოთხრობათა მთავარი მოქმედი პერსონაჟები პატარა ადამიანები არიან — ლოთები, მათხოვრები, ქუჩის მოვაჭრენი, მთებში გაუთავებლად მოხეტიალე მგზავრები, გამხდარი, უსუსური ბებოები... სწორედ პატარა ადამიანთა სასტიკი ბედისწერა აერთიანებს თემატურად ერთმანეთისგან განსხვავებულ ამბებს. ავტორის ძირითადი გატაცება — მისი შთაგონების წყარო და ინსტიტომ მოქმედება ძირითადად ექსტერიერში ვითარდება და, როცა სიუჟეტურ ქარგაში დახურული სივრცე ექცევა, პერსონაჟებს მომენტალურად პანიკურ-შიზოიდური კლაუსტროფობია იპყრობთ — ისინი სადღაც იკეტებიან, სარკეებში საზარელი ადამიანები ელანდებთ, კომპარები ესიზმრებთ, ანუხებთ შეგრძნება, რომ ვერაფერს წერენ, და შიში, რომ ვერასდროს ვერაფერს დაწერენ — შემოქმედებითი კრიზისი მთელი თავისი სისავსით, სიცხადითა და სისასტიკით იჩენს თავს და მედლის ორივე მხარეს ერთნაირი სიზუსტით წარმოაჩენს — პირველ მხარეს უზარმაზარი და დაუოკებელი სურვილია იმისა, რომ რალაც დაწერონ, საკუთარ თავს დაუმტკიცონ, რომ შეუძლიათ... მეორე მხარეს კი მხარე და სასტიკი რეალობაა, სრულიად ჭეშმარიტი ფაქტი — რომ ვერაფერს წერ და ვერც ვერასოდეს დაწერ...

ინტერიერში ფანტაზია და რეალობა ერთმანეთში იბლანდება და საბოლოოდ საზარელ კონგლომერატს ვიღებთ — ხან სიზმარში რომ იჩენს თავს — მაგალითად, გესიზმრება, რომ ისეთ კიბეზე დგახარ, რომლის ერთი მხარე ჩანგრეულია და მის მიღმა უფსკრულია, მეორე მხარეს კი შენკენ გაუთავებლად მოემართება დინოზავრთა ძლევა მოსილი არმია, რომელთაც — კომპიუტერული თამაშების მსგავსად ერთმანეთის მიყოლებით ანეიტრალებს, სისხლის გუბებებს აყენებ, დახოცილებს კი მარტივ სტატისტიკად აღიქვამ და არა სულიერ არსებებად, ან ფიზიკურ სხეულებად... ზოგჯერ კი „პარნასის“ საბირფარეოში ჩაკეტილს სარკეში არყით თვალეზსავსე ადამიანი გეჩვენება — ხედავ, რომელიც ჯიუტად გიყრის თვალს თვალში და რომლისგანაც სამუდამოდ გინდა გაიქცე, მაგრამ ვერ გარბიხარ, იმიტომ, რომ კარი ჩაკეტილია, მათი წიხლით განგრევა კი უხერხული, რადგან მუდმივად იმის დამტკიცებას ცდილობ სხვებისთვის, რომ იმ კაცს არაფრით გავხარ, რამდენიმე წუთის წინათ ასე ძალიან რომ შეგაშინა; რომ ის შენი მეორე მე კი არა — შენთვის სრულიად უცხო და უცნობი ადამიანია.

როდესაც მოქმედება ქუჩაში, ან ბუნებაში გადაინაცვლებს, თხრობა საოცრად გულწრფელი, პერსონაჟთა ქმედებები კი რეალობის შესაფერისი და ალალ-მართალი ხდება — მკითხველიც სიამოვნებით ადევნებს თვალყურს მთებში მოხეტიალე ადამიანთა თავგადასავალსა და წინასწარ არაპროგნოზირებად ბედისწერას, თითქოს ავტორმაც არ იცის, რა მოელოთ მის გმირებს, გადაურჩებიან თუ არა ხიფათს, თითქოს წერის პროცესშივე იღებს გადაწყვეტილებას — განიროს თუ შეინყალოს, მოკლას თუ სიცოცხლე შეუნარჩუნოს... გმირები კი გაუთავებლად მიიწევენ სადღაც, კლდის ნაშალი, ქარაფები და ნადირი ოდნავაც არ აფრთხოთ და აფერხებთ, გუდის ყველს გემრიელად ილუკებიან და ზედ არაყს აყოლებენ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფნი კი ხან სიცოცხლეს ირჩევენ, ხანაც სიკვდილს...

გულწრფელობა და საკუთარი სიმართლე, საკუთარი რეალობა

აქვთ ქუჩაში მოჩხუბარ ბიჭებსაც – ზოგი ტყავის გადასარჩენად რომ იქნევს დანას, ან გარბის, ზოგისთვის კი ჩხუბი თვითგამოხატვის, საკუთარი ადგილისა და სივრცის დამკვიდრების ერთადერთი გზაა...

ქუჩაში მოხეტიალე მოხუცი, რომელიც მონყალეხას მხოლოდ ინსტინქტურად ითხოვს – იმისთვის, რომ გადარჩეს — თავისი ესთეტიკითა და შეფერილობით ძალიან ჰგავს იტალიურ ნეორეალისტურ ფილმებში გაცოცხლებულ პერსონაჟებს, რომელთათვისაც შიმშილი, სიცივე და მონყალეხის სხვებისთვის გამოთხოვა ერთადერთი ჭეშმარიტებაა... ავტორს კატაც კი არ აინტერესებს გაფაშვებული, დაბანული, მაძლარი და ბედით კმაყოფილი... მის კატასაც კი ცალი ყური მოგლეჯილი აქვს, თათი – მოტეხილი, ბენვი – ტალახში ამოგანგლული და ისიც გადარჩენისა და არსებობისთვის თავდაუზოგავად, მთელი არსებით იბრძვის...

მოთხრობებში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ფიგურირებენ – ძირითადად, კავკასიელები – დაღესტნელი ლეკები, სომხები, აზერბაიჯანელები... ავტორი თითქოს იმ დამკვიდრებულ ტრადიციას უპირისპირდება, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები მხოლოდ კომიკურ, კარიკატურულ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებად გვევლინებოდნენ, მისთვის სომეხი სევდიანია, ებრაელი — ნალვლიანი... როცა სომეხებზე წერს, მისთვის ამოსავალი წერტილი თურქებისგან ამოხოცილი ერის ტრაგიკული ისტორია ხდება, რომლის წარმომადგენელთა გარკვეული ნაწილი პირველწინააღმდეგობაში — გადაარჩინა...

ავტორს თხრობის თავისებური მანერა აქვს არჩეული – ხშირად იყენებს შიდა ანალოგიას – ამ დროს მოქმედება ერთ განზომილებაში წყდება, პერსონაჟი ფიქრით გარდასულ ამბავს სწვდება, ან უკვე მომხდარს და ხელახლა განსაცდელს, რომლებიც დიდი ხნის წინათ კი გადახდა თავს ან მას, ან მის წინაპრებს, მაგრამ ბოლომდე არ დასრულებულა და აწმყოშიც განაგრძობს არსებობას... ასე ივსება და მრავალფეროვნდება მონათხრობი მასში ორგანულად ჩართული მეორე მონათხრობით, შემდეგ მოქმედება კვლავ აწმყოში გადაინაცვლებს, ფინალი ხშირად ნოველასავით მოულოდნელია, ზოგჯერ მთელი მოთხრობა მხატვრული ჩანახატს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ამბავს – მოქმედების განვითარებით, კვანძის შეკვრით, კულმინაციითა და ფინალით... დასასრული ზოგჯერ ბუნდოვანი და ორაზროვანია, ზოგჯერ კი სავსებით ლოგიკური და მოსალოდნელი... სათაურები – ლაკონიური, არც ისე მრავლისმეტყველი...

ავტორი სიყვარულზე იშვიათად წერს, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებზეც ნაკლებს საუბრობს, მათ ხშირად შემდეგი ტერმინით მოიხსენიებს: „ჩემი გოგო“ (ეს კალი რუსული ენიდან, ქართული სივრცისა და რეალობისთვის ცოტა არაბუნებრივი და არაორგანული). მის ახალგაზრდა პერსონაჟებს ცოლები და შვილები არ ჰყავთ, არც სტაბილური ურთიერთობებით გამოირჩევიან, საკუთარ საქმიანობაზეც არაფერს ყვებიან, გარდა იმისა, თუ როგორ ეციენებათ, როცა სამსახურსა და იქ თავიანთ ადგილზე იწყებენ ფიქრს... მიუხედავად იმისა, რომ ქალი არ წამოადგენს მოქმედ გმირთა განსაკუთრებული ინტერესის სფეროს და მათ ნაკლებობასაც არასდროს განიცდიან, გოგონების გამო შარში ხშირად ეხვევიან და მწარედ ხვდებათ კიდევ – ხან

სკოლის ბანკეტებზე პირველი შეყვარებულის გამო, ხან ქუჩაში, როცა აივლიან, ჩაივლიან, ერთი გოგოს ფანჯარას მიუკაკუნებენ, საფრთხეს დაღანდავენ, გაიქცევიან, მაგრამ მეორე გზით ისევ იმ ქუჩას ჩამოუყვებიან და მტრებთანაც სიგარეტის სათხოვნელად მივლენ...

ახალი წლის ღამე, თოვა, პაემანი... დაგვიანებული გოგოს მოლოდინში გაყინული ბიჭი... ქუჩის მეორე მხარეს პარალელური რეალობა – ბოსტნეულით მოვაჭრე, სიცივისგან გათოშილი ადამიანები, მეპატრონის მოლოდინში ფიჩხებზე რომ თბებიან და მომყავო არყით ერთმანეთის სადღეგრძელოებს სვამენ, სადღეგრძელოებს შორის კი იმაზე საუბრობენ, როგორ გაივსო საბერძნეთი ჩვენებით... მათთან გასათბობად მისული ლოდინისგან დაღლილი ბიჭი, ნაჩუქარი მანდარინი, მათთან ერთად წარმოთქმული სადღეგრძელოები და დაღეული არაყი... პაემანზე ახალი პალტოთი მოსული გოგო და ერთობლივი გადანყვებილება – თოვას თვალი ფანჯრიდან ადევნონ... შეყვარებული წყვილისგან სამუდამოდ დავინწყებული ქუჩაში დარჩენილები, რომლებსაც საკუთარ სადღეგრძელოებში წარმოთქმული დალოცვისა და კეთილი სურვილებისა, კარგად ყოფნისა და ბედნიერებისა ოდნავაც არ სჯერათ, მაგრამ მაინც ჯიუტად უსურვებენ ერთმანეთს მხნეობას, ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას... ადამიანები, რომელთათვისაც თოვლი რომანტიკა, პოეზია და სასიამოვნო სისველე კი არა, უმძიმესი განსაცდელია... მოთხრობაში ერთი შეხედვით სუფთა, ბავშვურ და გულწრფელ სასიყვარულო ამბავს — რომ შეყვარებულთან ერთად ახალი წლის ღამეს ფანჯრიდან თოვას ადევნო თვალი — მწარე რეალობა აჭრის ფრთებს, ამ სამყაროში სიყვარულისთვის ადგილი აღარ დარჩა...

ბექა ქურხული პოსტსაბჭოთა ხანის პირველი თაობის წარმომადგენელია, უფრო გასაგებად და მარტივად რომ ვთქვათ – „90-იანელი“... ამიტომ თითქმის წარმოუდგენელი იქნებოდა, 90-იანი წლები მის შემოქმედებაში არ ასახულიყო და მის მოთხრობებში მთელი სიცხადით არ გაცოცხლებულიყო... ერთ-ერთ მოთხრობასა თუ მინიატურაში ემოქისთვის ნიშანდობლივი ფრაზა გაისმის – „როცა ცოცხლები მეტნი ვიყავით, ვიდრე დახოცილები“... ეს ამ თაობის დროის საზომი ერთდროულია, რომელიც დროს იმის მიხედვით ზომავს, თუ როდის იყვნენ ცოცხლები უმრავლესობაში და როდის – პირიქით... ტკივილიანი და სისხლიანია ეს გზა, მისი დავინწყება – წარმოუდგენელიც და არარეალურიც, მაგრამ მისგან გამოსვლა, მისგან თავის დაღწევა, მისგან გამოქცევა – აუცილებელია...

როცა ქუჩაში გატეხილი დანის გასაყიდად გამოსულ ბებოს ბიჭი ბებუთს ჩუქნის – „ეს გაყიდე, ამაში უფრო კარგად გადაგიხდინაო“, იგი ამ ბოლომდე ვერგაცნობიერებული საქციელით მარტო მონყალეხას კი არ გასცემს – საკუთარ წარსულსა და წარსულთან მაიდენთიფიცირებლებზე ამბობს უარს, წარსულზე, რომელიც ჯერ იყო, მერე კი აღარ იყო, მაგრამ ისეთი კვალი დატოვა, წაშლა შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი რომ არის...

ბექა ქურხულის მოთხრობები ტკივილიანი და მწარე საკითხავია და მაშინაც კი, როცა მოქმედება 90-იანი წლების ქართულ რეალობას დროსა და სივრცეში სცილდება, დეპრესიული განწყობა და შინაგანი სიცარიელისა და

დავით ჭელიძე

თავნება აკალონა

აწუ

გურამ აბაშიძე საკუთარ თავზე

გურამ აბაშიძე თბილისის „დინამოს“ იმ თაობის კალათბურთელია, რომელმაც გიორგი ავალიშვილის ხელდასხმით ზედიზედ ორჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა (1953-54 წლები), ორჯერ მიიღო ვერცხლის მედლები (1960-61) და ერთხელ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა (1952). გურამ აბაშიძე გუნდთან ერთად საკავშირო თასის მფლობელი (1951) და თასის გათამაშების ფინალისტი (1953).

სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად მან მოიგო მსოფლიოს ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრობის თამაშები (1955) და ბატონი გურამის ოჯახში რელიკვიასავითაა შენახული ერთი ოქროს მედალი, რომელსაც უკანა მხარეს აწერია — გურამ აბაშიძე — მსოფლიოს ჩემპიონი — 1959.

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი კიდევ ერთი უნიკალური მატჩის მონაწილეა — ის იმ ლეგენდარული სამეფლის წევრია (გურამ აბაშიძე, ვალერი ალთაბაევი, თამაზ კაკაურიძე), რომელმაც 1959 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალში ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი რიგის გუნდის (იგივე ლატვიის ნაკრები) ძირითადი ხუთეული დაამარცხა.

— ჩემი სპორტული კარიერა მძლეოსნობით დავიწყე, ფეხბურთსაც ვთამაშობდი. მძლეოსნობაში სიმაღლეზე ხტომასა და ბარიერების რბენაში ვვარჯიშობდი, სამი-ოთხი თვის დანებებით მქონდა. ფიზიკურად ძლიერი ვიყავი. ფეხბურთის ბავშვობიდან ვთამაშობდი, ჩვენს სახლს, კლდიაშვილის ქუჩაზე, ოქროს უბანში, ლამის სტადიონისხელა ეზო ჰქონდა და იქ დავდევედი ბურთს — მოუშვა გუნდას ბატონმა გურამმა.

— კალათბურთის თამაში გვიან, 18 წლისამ დავიწყე. ალმათაში მოსწავლეთა სპარტაკიადა იმართებოდა და იმისთვის ვემზადებოდი. „დინამოს“ ძველი სტადიონიდან, სადაც მძლეოსნობაში ვვარჯიშობდით, მე-12 ვაჟთა სკოლაში გავიარე. სკოლის კალათბურთელთა გუნდს ერთი მოთამაშე დააკლდა და მის მაგივრად მე შემიყვანეს, დავიწყე თამაში და, როგორც ჩანს, გამომივიდა, იმიტომ, რომ ერთი შეხვედრის შემდეგ უკვე რაიონის მოსწავლეთა ნაკრებში ამიყვანეს. საკმაოდ მაღალი, 187 სანტიმეტრი ვიყავი.

სხვათა შორის, რაიონის ნაკრებში ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ: იუზა არუთუნოვი, რობერტ მურადოვი, როლანდ ხომერიკი, ლევან ლობჯანიძე, თენგიზ გასიტაშვილი, იურა მიხაილოვი... მეტი ახლა არ მახსენდება.

— ვინ იყო ამ ნაკრების მწვრთნელი?

— არც არავინ, ჩვენ თვითონ ვიყავით მწვრთნელებიცა და მოთამაშეებიც. მე რე მახსა ერთმა მწვრთნელმა, ალექსანდრე ხუციშვილმა, ბავშვები ძია შურას ვეძახდით, ძმაცალები — ფეხუცას. ამ კაცმა ამიყვანა „შრომითი რეზერვების“ გუნდში. იგი იყო ფაქტობრივად ჩემი პირველი მწვრთნელი, კალათბურთის ანბანი მან შემასწავლა. 18 წლისა ვიყავი, მე-11 კლასში ვსწავლობდი.

მერე მოვხვდი ოფიცერთა სახლის გუნდში, სადაც თამაშობდნენ მალხაზ ეგანოვი, გოგი ბახტურიძე, მიხეილ ფლიპოვი, ბუჭუ გოგუციძე, ალიკ არუცივი, კუკური არლანაშვი-

ლი...

მერე მთელ კავშირში დაშალეს სამხედრო გუნდები და მხოლოდ მოსკოვის ცსკა დატოვეს. მეც ჯარში ამოვყავი თავი, ბათუმში, ქართულ დივიზიონში გამანაწილეს. იქაც ვილაცამ შემამჩნია და მოვხვდი ბათუმის ნაკრებში, თუმცა, აბა, ჯარიდან ვინ გამომიშვებდა, მაგრამ საქართველოს პირველობის მატჩების დროს გვათავისუფლებდნენ. სხვათა შორის, ტრავინს მივწერე კიდევ წერილი, მართალია, არ ვიცნობდი, მაგრამ გავაცანი თავი, ამ სიმაღლე ვარ, ვთამაშობ დაცვაში, ოფიცერთა გუნდი დაიშალა და სურვილი მაქვს, თამაში ცსკა-ში განვაგრძო-მეთქი. მოსკოვიდან დადებითი პასუხი მომივიდა და, როცა უკვე ნასასვლელად ვიყავი მზად, ამ დროს თბილისის „დინამოში“ მიმიწვიეს.



— და სამ წელიწადში რაც მოსაგები გქონდათ, „დინამომ“ ყველაფერი მოიგო და თქვენც საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოგიძახეს.

— დიას, და ევროპის პირველობისთვის კიშინიოვში ვემზადებოდით. მე კი სკოლა არ მქონდა დამთავრებული. და გამოსაშვები გამოცდებიდან არ გამათავისუფლეს. შეკრების შემდეგ ხუთი დღით თბილისში რომ გამომიშვეს, ნოდარ ჯორჯიკია შემხვდა და: რა ქენი, მოავარე სკოლის ამბებიო? მკითხა. არა, ორ დღეში ევროპის ჩემპიონატზე მივფრინავ-მეთქი, ვუპასუხე. — ნაკრებს და ევროპის პირველობას მოესწრები, გენაცვალე, გირჩევნია, სკოლა დაამთავროო, — დამარიგა ნოდარმა. მეც აღარ წავედი.

— სანამ ნაკრებზე ვილაპარაკებთ, ცოტა ხანს ისევ „დინამოში“ დავბრუნდეთ. რას წარმოადგენდა მაშინდელი გუნდი?

— ოო, ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ვაჟა ჟღენტი, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე, მალხაზ ეგანოვი, გურამ მინაშვილი, ვაჟა გვანცელაძე, გივი აბაშიძე...

— ძლიერ გუნდებთან გინევდათ თამაში...

— შვიდი გუნდი იყო, ერთი თამაშიც რომ წაგვეგო, შეიძლება მესამე ადგილზე აღმოვჩენილიყავით. ჩემპიონატი ტურობრივი სისტემით იმართებოდა, ერთ ქალაქში ვიკრიბებოდით ხოლმე. დავა მიდიოდა თბილისის „დინამოს“, კაუნასის „ჟულგირისს“, ტალინის, რიგის გუნდებს, ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს“ შორის.

— ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?

— როგორ გითხრათ, არავის წინააღმდეგაც არ მიჭირდა, არავისთან გამკლავება პრობლემა არ იყო ჩემთვის.

— მაშინ ყველაზე კარგი პარტნიორი ვინ გყავდათ გუნდში?

— გურამ მინაშვილი, არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო, ბრწყინვალე, ალექსანდრე კილაძე — ასევე ძალიან

კარგი პარტნიორი... ყველა კარგი იყო, ბურთს არ დაგიმა-
ლავენდენ და პასს მოგცემდნენ. გურამთან კარგა ხანს მო-
მინია თამაში, ხუთი თუ ექვსი წელი ერთად ვიყავით გუნდ-
შიც, ნაკრებშიც. არაჩვეულებრივი ბუნების კაცია, ყოველ-
მხრივ შემოკბილი. სხვათა შორის, ყველა კარგები იყვნენ:
ვოვა უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი...

— **თქვენზე მალეები ოთარ ქორქიას გარდა ვინ იყო?**

— მე და ოთარი ერთი სიმალლისა ვიყავით — 190 სან-
ტიმეტრი.

— **მაგრამ სხვადასხვა ამპლუაში თამაშობდით.**

— ოთარი სასწაული თავდამსხმელი იყო. არ დამავინწყ-
დება, 1953 წელს მოსკოვში ევროპის პირველობა ჩატარდა,
„დინამოს“ სტადიონზე, მაშინ პირველად ვნახე ხის მოედან-
ი. საბჭოთა ნაკრები უნგრელებთან თამაშობდა. ოთარი მე-
ორე ტაიმში შემოვიდა მოედანზე. სიმართლე გითხრათ, გა-
მიკვირდა, იდგნენ ოთარი, კონევი, ბუტაუტასი, პეტკიავი-
ჩუსი და სილინში. ოთარს შემოსული ჰყავდა მთელი უნგ-
რელთა ხუთეული და თანაგუნდელებმა 17 წუთის განმავ-
ლობაში პასი ვერ მისცეს, ბურთი არც თვითონ ჩაუგდიათ
და არც მეტოქეს, რომელიც ქართველ კალათბურთელს
ვერ შორდებოდნენ. ხომ დაუჯერებელ ამბავს გიამბობთ,
მაგრამ ნამდვილად ასე იყო. როგორც კი უნგრელები გაიხ-
სნენ და პერსონალური მეურვეობა დაანესეს, ოთარმა სამ
წუთში 5 ქულა ჩააგდო და თამაშიც დამთავრდა — 5:3 მოი-
გეს. ბრწყინვალე მოთამაშე იყო ისიც, ნოდარ ჯორჯიკიაც...

ჩვენმა „დინამომ“ სხვადასხვა წლებში, ამხანაგურ მატ-
ჩებში შინ ორჯერ დაამარცხა ევროპის ჩემპიონი ჩეხოსლო-
ვაკიის ნაკრები, ორჯერ მოუგო ევროპის ჩემპიონატის მეო-
რე პრიზიორს, უნგრეთის ნაკრებს, ეგვიპტეშიც ორჯერ მო-
უუგეთ ადგილობრივ ნაკრებს. ესე იგი, თბილისის „დინამოს“
სულ თავისუფლად შეეძლო ევროპის ჩემპიონატის მოგება,
ისეთი ძლიერი გუნდი გვყავდა.

— **მერე რა მოხდა, 1954 წლის შემდეგ, 1959 წლამდე
„დინამო“ არც ჩემპიონი გამხდარა, არც პრიზიორი...**

— ძალიან მძიმე ხანა დაგვიდგა, ერთბაშად წავიდნენ
ბუმბერაზი მოთამაშეები — ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯი-
კია, ვუა ჟღენტი... სამი ამხელა კალათბურთელი გამოგ-
ვაკლდა, აღარც ცენტრი გვყავდა და აღარც გამთამაშებე-
ლი. ბატონმა გიორგი ავალიშვილმა ფაქტობრივად სულ
ახალი გუნდის შენება დაიწყო, ახალ მოთამაშეთა მოყვანა,
ახალი ტაქტიკის შექმნა. ეს ურთულესი პროცესი გახლდა.

ამ წლებში ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, არ გავვარდნი-
ლიყავით. სხვათა შორის, ოთხეულს არ გავცილებივართ.

— **აპალონა ვინ შეგარქვათ?**

— ბავშვობაში თამაშის დროს დამიძახეს პირველად და
დღემდე ასე შემერჩა.

— **ლამაზი, მთასავით ბიჭი ყოფილხართ...**

— რა ვიცი, თხელი ვიყავი, 76 კილო. არც ვიცი, რატომ
შემარქვეს.

— **დავბრუნდით ნაკრებში. 1955-ში სკოლის გამო ევ-
როპის ჩემპიონატი გაცდინეთ. მერე რა მოხდა?**

— რადა, ვარშავაში ახალგაზრდული თამაშები მოვიგეთ...

— **ახალგაზრდულმა ნაკრებმა?**

— არა, კაცო, ძირითადად ნაკრებმა. თამაშობდნენ: სე-
მიონოვი, ბოჩკაროვი, ლაგა, ლაურიტინასი, პეტკიავიჩუ-
სი, ვალდმანისი, ხარიტონოვი...

— **და იოლად მოიგეთ ეს თამაშები?**

— დიახ. და საინტერესო ის იყო, რომ ამავე გუნდმა იმა-
ვე წელიწადს ჯერ ევროპის პირველობა წააგო, მერე ეს თა-
მაშები მოიგო.

— **ის ჩემპიონატი წააგეს, თქვენ რომ არ წახვედით?**

— არა, ჩემს გამო კი არ წააგეს... მაშინ ტრავინი იყო
მწვრთნელი.

მერე ძალიან ცუდად მოვიქეცი. ნაკრების უფროსი
მწვრთნელი უკვე სტეფან სპანდარიანი იყო, მეორე მწვრთნე-
ლი — ალექსანდრ გომელსკი. და ძალიან დიდი დავა მომივი-
და გომელსკისთან. დეკემბერი იდგა და ნაკრები საფრანგე-
თის ტურნესთვის მოსკოვში ემზადებოდა. 40 გრადუსი ყინვა
იყო და არავინ გასულა, მე მითხრა, გადი, ირბინეო. სად გავი-
დე, ვუთხარი, ამ ყინვაში კაცი ძალს არ გააგდებს გარეთ, ეგ
არც იფიქრო-მეთქი. ამაზე შეგკამათით და ერთი შენი დე-
დაც ვატირო-მეთქი, ავხიკე ჩემი ბარგი-ბარხანა და თბილისში
გადმოვფრინდი. ორი წელიწადი მომკვეთეს ნაკრებიდან.

მაშინ საოცარი იყო, დილაობით გვარბენინებდნენ ათ-
ათ კილომეტრს, მერე, 1958 წელს, სპანდარიანმა შეცვალა,
დილას ავდგებოდით, ფეხით გავივლიდით 500-600 მეტრს,
ვისაუზმებდით და მერე 11 საათიდან ვვარჯიშობდით მთე-
ლი დატვირთვით.

— **ნაკრებში რომელ წელს დაგაბრუნეს?**

— 1958 წელს.

— **თქვენთვის ყველაზე ბედნიერი ალბათ 1959 წელი
იყო, როცა სამმა ქართველმა ხუთი ლატვიელი დაამარ-
ცხეთ და ჩილეში რომ ფაქტობრივად მოიპოვეთ მსოფ-
ლიოს ჩემპიონობა.**

— 1958 წელს საკავშირო პირველობიდან ნაკრებში სხვებ-
თან ერთად გურამ მინაშვილი და მე გამოგვიძახეს. იტალიაში
რომ მაირანოს ტურნირი ტარდებოდა, სადაც გურამმა საუკე-
თესო მოთამაშის მედალი აიღო, მეც უნდა წავსულიყავი, შეკ-
რებაზეც ვიყავი, მაგრამ რატომღაც ვერ მოვხვდი ძირითად
გუნდში. ალბათ ჩემი ჯიუტი ხასიათის გამო. არასოდეს არ-
ცერთ მწვრთნელს არ ვადანაშაულებ, მე ვიყავი ესეთი...

— **როგორი, თავისუფალი?**

— თავისუფალი, არცერთ მწვრთნელს არ ვემორჩილე-
ბოდი, რაც მინდოდა, ყოველთვის იმას ვაკეთებდი. მოე-
დანზეც და მოედანს გარეთაც.

— **და ამის გამო ხშირად მოგვიოდათ კონფლიქტები?**

— გომელსკისთან სულ ვჩხუბობდი. სხვათა შორის, სხვა
არავისთან. როცა 1959 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის გა-
მოგვიძახეს, სტიოპა სპანდარიანმა მითხრა, როგორც შენ თამა-
შობ, ისე ითამაშე, შენგან სხვა არაფერი მინდაო. გომელსკი რომ
დიდი მწვრთნელი გახლდათ და თავისი შეხედულება ჰქონდა,
ამას რა ლაპარაკი უნდა. ის სამი წელიც რომ გამიცდა, ჩემი ბრა-
ლი იყო, სხვა ვისი? ურჩი ვიყავი, თამაში, მოუდრეკელი.

— **თქვენ შეუცვლელი მოთამაშე იყავით, გინდაც
„დინამოში“ და გინდაც ნაკრებში?**

— ეტყობა, რადგან ნაკრებში აყავხარ, შეუცვლელი
ხარ, ამ პერიოდს უსწრებ ათი-თხუთმეტი წლით. კანონია
ასეთი, როგორც კი გაჩერდები, უკანა კაცი, ახალგაზრდა
მოთამაშე უკვე ფეხს გადგამს. კიდევაც ასე არ მოხდა? თა-
მამს მოვუკელი თუ არა, მაშინვე ჩემს მაგივრად გენადი
ვოლნოვი აიყვანეს, ბრწყინვალე მოთამაშე, ისედაც არაჩ-
ვეულებრივი ადამიანი იყო.

— **მოსკოვში ხართ, ჩილეში გამგზავრების წინ და უცებ
გამოგიცხადეს, ტაივანის გამო ჩემპიონატზე არ გიშვებთო,**

და თქვენ და გურამ მინაშვილმა „გულაობა“ დაიწყეთ...

— „გულაობით“ სულ „ვეგულაობდით“, ახალგაზრდები ვიყავით, მაგრამ არ ვსვამდით, არ ვენეოდით, ვვარჯიშობდით. სხვათა შორის, ტაივანი ჩვენს ჯგუფში მოხვდა და ჩილეში მოსკოვიდან დარეკეს, თუ საბჭოთა კავშირთან ერთ ჯგუფში იქნება, ჩვენ არ ჩამოვალთო. ჩვენი ნაკრების ჩაუსვლელობა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციისთვის კატასტროფის ტოლფასი იყო. იმიტომ, რომ ამერიკა, ბრაზილია, საბჭოთა კავშირის ნაკრები, ბულგარეთი... სხვა ძლიერი გუნდი აღარ იყო.

ნავედით და ორჯერ მოუვგეთ ბრაზილიას — ქვეჯგუფში და ფინალურ ეტაპზე. ბრაზილიელთა გუნდში ერთი არაჩვეულებრივი კალათბურთელი, მსროლელი თამაშობდა, წარმოშობით ლიტველი, სამწუხაროდ, გვარი არ მახსენებდა. როგორც მახსოვს, გურამ მინაშვილმა ბურთი არ ჩააგდებინა... მაგრამ რად გინდა, ტაივანი არ გავიდა ფინალში! ყველა შეხვედრა მოვიგეთ და, ტაივანთან რომ არ ვითამაშეთ, მეშვიდე ადგილზე დაგვსვეს. რა თქმა უნდა, ძალიან გულდასაწყვეტი იყო. სამაგიეროდ, რომ ჩამოვედით, დიდი პატივით დაგვხვდნენ, მედლები დაგვირიგეს, მსოფლიო ჩემპიონები თქვენა ხართო, მაგრამ იქაურ მედალს მაინც სულ სხვა გემო ექნებოდა.

— რა მედლები დაგვირიგეს?

— არაჩვეულებრივი მეტალის მედლები მოგვცეს, კერამიკაში ჩასმული და აწერია: **Гурам Николаевич Абашидзе — Чемпион Мира 1959 года.** სხვათა შორის, ეს მედლები სპარტაკიკადაზე დაგვირიგეს.

— და მოვიდა თქვენთვის ყველაზე ღირსსახსოვარი სპარტაკიკადა...

— ასე ვერ ვიტყვი, რომ ის ყველაზე ღირსსახსოვარი იყო. 1957 წელს თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე ტარდებოდა სსრ კავშირის ჩემპიონატი. მოედანი დასავლეთ ტრიბუნებთან იყო. ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, ოლონდ ველარ ვიხსენებ, ვის ვეთამაშებოდით, მაყურებელმა ხელში აყვანილი გამიყვანა მოედნიდან. ამ წუთებს რა დამავინყებს.

თუმცა, რა თქმა უნდა, სპარტაკიკადაზე რომ სამმა კაცმა მოუვგეთ ხუთ ლატვიელს, ესეც დასამახსოვრებელი ამბავია. მე მგონი, დაიბნენ ისინი, არ ელოდნენ ჩვენს ასეთ შემართებას. სხვათა შორის, მატჩი დამთავრდა თუ არა, ცუდად გავხდი, ნერვული სპაზმები დამეწყა... საოცარი ამბავი მოხდა, ტრიბუნებიდან ხალხი მოედანზე გადმოემედა და ხელში აგვიყვანეს... „პრავდამ“ დაწერა პირველ გვერდზე: **„Чудо только могут сотворить Грузины“.** „**Матч века**“ — ასე ეწერა. სპანდარიანმა თქვა ზუსტად ასე და ალბათ გაზეთმა გამოიყენა მისი სიტყვები.

— თბილისის „დინამოში“ რომელ წლამდე ითამაშეთ?

— ასე ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ინსტიტუტის დამთავრება მინდოდა, პოლიტექნიკურში ვსწავლობდი, სატრანსპორტო ფაკულტეტზე — გზები, ხიდები, გვირაბები. მერე ჩემი სპეციალობით დავეინყე მუშაობა. მაგრამ „დინამოში“ ოთარ ქორქია რომ მოვიდა მწვრთნელად, გუნდში დამაბრუნა.

— ეს იყო 1961 წელი. 62-ში ევროპის ჩემპიონთა თასზე ითამაშეთ?

— ფინალი არ ითამაშა, თორემ ყველა წინასწარ შეხვედრაში მონაწილეობა მიღებული მაქვს.

— მაშ ფინალი რატომღა არ ითამაშეთ?

— ჟენევაში არ წავსულვარ, უკვე წამოსული ვიყავი გუნდიდან.

— ისევ კონფლიქტი?

— არა, ჯიუტი კაცი ვიყავი... დიდი არაფერი ყოფილა.

— რამეზე გწყდებათ გული?

— არა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი ვარ, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში გავედით, ფაქტობრივად, მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ. რა გითხრათ, რაზე უნდა მწყებოდეს გული. დრო ვატარე გადასარევად, იმხანად ყველაფერი მქონდა, მათ შორის, ძალაუფლებაც. ვისთანაც უნდა მივსულიყავი საქმეზე, ყველა ყველაფერს მიკეთებდა.

— ფული გქონდათ?

— როგორ არა.

— საიდან, რა ფული იყო?

— საიდან და... „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარე უწინ ყოველთვის შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდა. მაშინ თავმჯდომარე იყო ინაური. შინაგან საქმეთა მინისტრიც ეგ იყო და სუკისაც, ერთდროულად. ძალიან ვუყვარდით და დიდ პატივს გვცემდა, რამდენი დაგვიბარებდა და მივიდოდით, არ შეიძლებოდა არ დავეჯილდოვებინეთ, ფული არ გამოეწერა. სამ, ოთხ, ხუთ ათასს კვარტალში ერთხელ გვაძლევდა. მერე, ხელფასი გვქონდა 2000, 2500, 1800 მანეთი.

— რომელიც 1961 წელს უკვე გაუფასურდა.

— ჰო, ათასი გაასდა... ამას გარდა, გუგული დანელია გადაყოლილი იყო გუნდზე, ვახტანგ თოხაძე, არჩილ ჭირაქაძე. სხვათა შორის, ბატონ არჩილის და გიორგი გეგეშიძის დიდი დამსახურებაა, სპორტის სასახლე რომ აშენდა.

— რომელიც ხრუშჩოვმა კინალამ თავზე დაგვამხო...

— თავიდან კი, მაგრამ მერე აქო და აქო, ეს რა აგიშენებიათო.

საერთოდ, დედას თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, მამა 1936 წელს დააპატიმრეს და 53-ში გამოვიდა და იმ დღიდან საქმელი არ მომკლებია და მშვიერ-მწყურვალნი არ ვყოფილვარ.

— თქვენ დედასთან იყავით?

— არა, მე და ჩემს დას ბებია გვზრდიდა. მერე, 1953 წელს თამაში რომ დავეინყე, ყველაფერი მოგვარდა. სხვათა შორის, სუკის უფროსი მაშინ რუხაძე იყო და ნოდარ ჯორჯიკიამ უთხრა, მამა დაჭერილი ჰყავსო. არა უშავს, ნავიდეს, ითამაშოს, ყველაფერი რიგზე იქნებაო. რომ ჩამოვედი, მამა უკვე ჩამოსული დამხვდა, დედასაც მუშაობა დაეწყო.

— სპორტის შემდეგ სულ თქვენი სპეციალობით მუშაობდით?

— რა თქმა უნდა, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ვექვემდებარებოდით. ჩემი საქმე იყო სადგურების, აეროპორტების, გვირაბების, მეტროს, რკინიგზის, ხიდების, გზების მშენებლობა.

— ახლა პენსიაში ხართ?

— დაახლოებით 1990 წლიდან.

— ოჯახში რა მდგომარეობა გაქვთ, რამდენი შვილი გაყავთ?

— ერთი ბიჭი ლონდონში მუშაობს, ექიმი. რძალიც ძალიან კარგი გოგოა.

— რა გენატრებათ?

— არც არაფერი, არასდროს არაფერს მივტირი, ეს დროც კარგია. საერთოდ, ცხოვრებაში არ მინანია. ერთადერთი ლალატს ვერ ვიტან, ძალიან მოქმედებს.

— ეტყობა თქვენც შეგემთხვავთ რაღაც.

— ჰო, ძალიან ახლობელმა ადამიანმა მილალატა, მაგრამ ახლა მაგაზე არ ღირს ლაპარაკი. ძალიან მძიმეა. საში-

აუგუსტო როა ბასტოსი

მერქანი და ხორცი

1.

— აგე, ექიმი მოდის!

ასე ამბობდა ხალხი დილაობით, როდესაც სადგურის ნანგრევებთან გაშლილი სოფელი საპუკაი, თავისი პატარა კათოლიკური ეკლესიით, ნელა შემობრუნდებოდა ხოლმე ამომავალი მზისაკენ.

მინდვრებში ჩაკარგულ, დანისპირივით მზინავ რელსებთან ახალ მთვარესავით მორკალული, ლამის საბურველში გახვეული, ჩაშავებული ნანგრევები ირწეოდა. რაზმელები ჭურვებით გაჩენილ ორმოებს ავსებდნენ. შიგ ყრინდენ ტუფს, მიწას, ღორღს, მაგრამ საჭირო ზომამდე ამოვსებას მაინც ცოტა უკლდა. უძირო ორმოები ავსებულყო მსხვერპლით, ორიათასამდე ქალით, კაცით, ბავშვით.

ყოველთვის, როდესაც მატარებელი გადადის კრატერზე, დროებით ხიმინჯებზე კბილანები საშიშრად მოძრაობენ.

ღრმა ნაპრალები შთანთქავენ ქვასა და ღორღს და ვიდრე ლიანდაგებში ჩამარხული ეს მკვდართა სოფელი საბოლოოდ დამშვიდდებოდა, ალბათ, კიდევ ბევრი მიწა იქნება მისაყრელი.

ყველგან ჯერაც ნახავთ კრატერის ნაფლეთებს, დამსხვრეულ ვაგონებსა და სისხლის კვალს, შავი ლავის ნარჩენებით რომ მოჰფენოდა წითელ მიწას, იმიტომ, რომ სინამდვილეში ყველაფერი ადამიანთა ფეხქვეშ ვულკანის ამოფრქვევას ჰგავდა.

კედლები ალაგ-ალაგ გამოუმწვარი აგურით ამოუვსიათ, ნამჯისა თუ თუთიის სახურავები შუაზე გადაჭრილი პალმის ხითა და ნედლი ჩალის კონით, ახალამონვერილ მზის შუქზე მწიფე სიმინდისფერი რომ ხდება, გაუმაგრებიათ.

კოსტა დულსედან მომავალ გზაზე, იქ, სადაც აგურის საამქროები რკინიგზას მიუყვება, ყველაფრისადმი გულგრილი, თითქოს დატრიალებული უბედურება მათ არ ეხებაო, მოაბიჯებენ ძალღი და მისი პატრონი.

ანუ ახლა მხოლოდ ძალღი მოძუნძულებს.

საძოვრები წყლით სუნთქავენ, გზები — მიწით. ძალღი აუჩქარებლად, ნელა მოდის. ოხშივარი თათებს უთუთქავს, ძილსა ჰგვრის და ასეთ დროს ნაცარივით თეთრჭრელია. მონწული პალმის კალათი, რომელიც კბილებით უჭირავს, მისი გაბურძღვნილი თავის ყოველ მოძრაობაზე აქეთ-იქით ქანაობს.

ის რომ გამოჩნდება, სოფელიც იღვიძებს.

როდესაც ბოლო ციციანთელა ცაში თავის შუქს ჩააქრობს, მეურმეები სადგომებისაკენ მიდიან, ორ მნათობს შორის მოქცეული ნაჯახმოკიდებული ხისმჭრელები კი მთებისაკენ ეშურებიან. ვინც აფეთქებას, ხოლო შემდგომ ხოცვა-ჟლეტასა და დახვრეტას გადაურჩა, აქეთ-იქით მიმოიფანტა. კოსტა დულსეს მიდამოები მთლად დაცარიელდა. იქ აღარავინ დარჩა, იმიტომ, რომ ყველანი გლეხთა აჯანყებას მიემხრნენ. კარგახანს აღარავის სურდა აგურების გამოჭრა, ლუმელ-

ში მათი გამოწვა და რაიმეს აშენება სოფელში, რომელსაც დღიდან დაარსებისა (კომეტა რომ გამოჩნდა, იმ წელს) რალაც საბედისწერო სდევდა თან.

Ciado, aigue — ნიშნიანი, — ამბობდნენ ადგილობრივები, როდესაც კომეტის ავბედითობაზე ფიქრობდნენ. ასე რომ, განთიადის ამ მთრთოლვარე ჟამს ქალები, მოხუცები და ბავშვები მიეშურებოდნენ სამუშაოდ.

ისინი მიეშურებოდნენ ბოსტნებისაკენ, პლანტაციებისაკენ, სასაკლაოებისაკენ. ზუსტად განსაზღვრულ დროს, წამით გულყრილი სოფელი მკვდარს ემსგავსებოდა და მხოლოდ ჭის ოწინარის ჭრიალი ან რომელიმე მდიდრის სახლიდან როდინის კაკუნი ისმოდა. ალბათ, სიმინდს ნაყავდენ ფაფისა ან ხორციანი შეჭამანდისათვის.

თუ არ ვიგულისხმებთ ამ ხის გულის გამაღებულ ცემა-სა და მამლების გაბმულ ყვირს, განთიადი საპუკაიში არაფრით ნააგავს სხვა სოფლების ხმაურიან დილას. თანაც, რკინიგზის შემკეთებელი სახელოსნოებიც დაკეტილია.

აღარც ეკლესიის ზარი რეკავს, იმიტომ, რომ აფეთქებამ სამრეკლო დაანგრია და სკორეთი მოსვრილი პირდაფჩენილი ზარი ჩამოვარდა და ეკალბარდებში ჩაეფლო.

სოფლისათვის ამ მკვდარ ჟამს, როდესაც მზე იტაკურუბს მთებზე მიცოცავს და ჩირქროვასავით ჩაშავებულ სერსო ვერდეს გორაკს მიეხლება, ლიანდაგების გასწვრივ ძალღი მორბის. თუ მზე არ ამოიწვერა, ძალღი მაინც მორბის. ყოველდღე, დარსა თუ ავდარში ჯიუტი ცხოველი გადის გზას მთიდან, კეთროვანთა ქოხებით გარშემორტყმული, ექიმის მიტოვებული სადგომიდან სოფლამდე, კოსტა დულსეს სასაფლაოსა და სახელოსნოების გავლით.

წვიმაც კი არ აშინებს ძალღს.

— აგე, ექიმი მოდის!

სოფელელები ამას უსიტყვოდ ამბობენ, ისე, როგორც სჩვევიათ, თავისთვის, ფიქრებში წასულთ, ირონიის გარეშე, და, მომხდარის მიუხედავად, კეთილგანწყობით. იმიტომ, რომ ოდესღაც ექიმი მათი მეგობარი და მფარველი იყო.

იგი მაშინ გამოჩნდა სოფელში, როდესაც ტრაგიკული მოვლენების კვალი ჯერაც ეტყობოდა იქაურობას და, მისდა უნებურად, საპუკაელთა ყურადღება ხუთი წლის წინანდელი ამბებიდან თავის საკუთარ უბედურებაზე გადაიტანა. მერე, ყოველგვარი ანგარებისა და გასამრჯელოს გარეშე, ყველაზე გაჭირვებულებსა და დავრდომილებს ეხმარებოდა. ბოლოს კი დააარსა კეთროვანთა თავშესაფარი და აამუშავა კიდევც.

აი, ასეთი კაცი გახლდათ ექიმი. ხალხს დღემდე სჯერა, რომ იგი ძალღს უკან მოჰყვება.



* რომანიდან „ძე კაცისა“

2.

სასაფლაოს გვერდით მარია რეგალადას ქოხი დგას. მოგონებებში ჩაფლული გოგონა კარიდან ადევნებს თვალს ძალს. მის უკან კი მალალ, გამხდარ ჩრდილს ხედავს. ისევე, როგორც ძალისთვის, მისთვისაც ეს სულაც არ არის ჩრდილი. მაგრამ სინამდვილეში ჩრდილი არ არსებობს, მხოლოდ აღრენილი ძალი მოძუნძულებს და მარტო მისთვის საჩინარ კვალს — პატრონის ტკივილს მიჰყვება.

ძალს თვალეები დასჩირქებია, ჭიანჭამი კბილებით ჭუჭყიანი კალათა უჭირავს, რომელშიც ვერცხლისფერი ძაფით ენვეთება მისი ნერწყვი. გზა მთიდან, სასაფლაოსა და მარია რეგალადას სახლის გავლით, დონ მატისას სოსას დუქნამდე და უკან, სულ ერთ-ნახევარი ლეგუა თუ იქნება.

გაზაფხულზე ექვსი თვე შესრულდება, რაც ექიმი საპუკაიდან წავიდა. არავინ უწყის, სად არის. იგი ორთქლივით გაქრა და მხოლოდ ამ მარტოხელა ძალით, რომელიც ყოველდღე კალათით პირში ჩამოდის სოფელში, გვახსენებს თავს.

ასე იყო მაშინაც, როცა ექიმი აქ იმყოფებოდა. ერთსა და იმავე დროს გამოჩნდებოდნენ, როდესაც ექიმი მცირე-ოღენი საჭმლის საყიდლად მოდიოდა და გასამრჯელოდ მიღებული გროშებით იხდიდა საფასურს.

ამ გზას ძალი გასაოცარი სიზუსტით გადის; იგი პატარა, ბანჯგვლიანი პლანეტასავითაა, რომელიც მისტიკურ ორბიტაზე ბრუნავს და სადაც ცოცხალიცა და მკვდარიც წარმოდგენილია არეული ერთმანეთში. დუქანთან რომ მივა, მონწულ კალათას კართან, მინაზე დადებს და დინჯად იცილებს რწყილებს, ან მოთმინებით იცდის ყურებჩამოყრილი. მის გარშემო ბუზები ირევიან. უცებ ელვისისნაირად მოატრიალებს თავს და დაიჭერს ბუზს. „კარგი გასროლა!“ — იტყოდა დონ მატისასი, ეს რომ დაენახა. მერე ძალი ისევ დანყნარდება და თავს ჩაქინდრავს, თითქოს რცხენია ან სინდისი აწუხებს, ვიდრე ურდულის ხმაური და კარის ჭრიალი გამოიყვანდეს უძრაობიდან.

— გამარჯობა, ექიმო! — ესალმება მეფუნდუკე ჩვეულებისამებრ პირქუშად, ირონიის გარეშე, თითქოს ძალის გვერდით მართლაც მდგარიყოს მისი ჩუმი პატრონი, — ჩემი საუკეთესო კლიენტი არ მალატობს! დღეს რა ჩავალაგოთ კალათაში? ფქვილი და კანია (ლერნმის არაყი — ე.კ.)?

— როგორც უცხოელებს ჩვევიათ, ასო „ფ“-ს მახვილით გამოყოფდა გაუთლელი ხეპრე, — არა, ფქვილი გამითავდა, მაქვს მარტო არაყი; სიმინდის ფქვილი? ჰა... ერთი ნკენიტიც არ დამრჩა!

ძალი მშვიდი, დათაფლული თვალეებით შესცქერის და ყურებდაცქვეტილი კუდს აქიციანებს. მიმნდობი ხდება, თუმცა სიფრთხილეს ინარჩუნებს.

— ოჰო... პატრონივით გიყვია?

დონ მატისასი ახლა გუნების მიხედვით ექცევა ძალს. თავს დავალებულად აღარ მიიჩნევს. კალათაში ხან ძვალსა და ხორცის ნაჭერს ჩაუგდებს (მეტ ძვალს, ნაკლებ ხორცს), ხანაც დაობებულ ნამცხვარს ან აყროლებული ძეხვის ნარჩენს. სხვა ჯერზე მხოლოდ პანლურით უმასპინძლებს. ყველაზე ხშირად კი არც გაახსენდება ხოლმე ძალი და, შესაბამისად, არც არაფერს აძლევს.

ძალი კბილებით იღებს კალათას და გადის გზაზე, სადაც ყველაფერია მოსალოდნელი: მექველმანის პანლური,

ან რომელიმე უსაქმურის მიერ მიზანში სროლის გასაწაფავად ნასროლი კაუჩუკის ნებოვანი ბურთულა, ან კალათში ჩაყრილი მკვდარი გველები და ბაყაყები, რომლებითაც უსულგულოები ერთობიან. კვალზე დამდგარი ძალი კი არაფერს დაგიდევთ, თითქოს ყეფაც დავინწყნაო. იშვიათად, მხოლოდ მიღებულ მთვარეზე თუ აღმოხდება წყვეტილ-წყვეტილი ყმუილი. მერე ცარიელი ქოხის კარებთან მოიკუნტება და იძინებს.

იქ, სადაც გზა სასაფლაოსკენ უხვევს, მას მარია რეგალადა უცდის და ცდილობს, სხვათა მიერ მიყენებული ტანჯვა შეუმსუბუქოს. გაბურძნულ ბენზე ხელს გადაუსვამს, კაუჩუკის ბურთულებით დაბეჭდილ კანზე დასრესილ მრავალძარღვას ფოთოლს ნერწყვით მიაკრავს, კალათიდან მკვდარ ქვეწარმავლებს ამოყრის და შიგ საჭმელს ულაგებს. მერე მიტოვებული ქოხისაკენ ერთად მიდის. მარია რეგალადაც და ძალიც გრძნობენ, რომ ექიმი მათთანაა, რომ იგი წუთი-წუთზე შეიძლება დაბრუნდეს. ქალი ლოდინით ტკბება.

ლოდინმა დაამეგობრა გოგო და ძალი, ახირებამ გაერთიანა ისინი, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ჩუმი, მორჩილი აღიარება მომხდარისა. მაგრამ ისინი იმედს არ კარგავენ.

მარია რეგალადა ორსულადაა, მაგრამ ისევ ასრულებს იმ სამუშაოს, რომელიც საკუთარ თავს თვითონ დაუნწავს: ალაგებს ქოხს, ამზადებს საჭმელს კეთროვანთათვის, უფლის ბოსტანს, სადაც მუჭისოდენა ნითელი პომიდვრები იზრდება და სადაც ხვიარა ლობიო თითისსიმსხო ჭოტეებით გადმოფენილა ჯერ კიდევ ექიმის იქ ყოფნისას მის მიერვე აღმართულ ლერნმის მოწულ კედელზე.

მხოლოდ თავნაცლილ ქანდაკებებს ვერაფერი მოუხერხა.

ვერ გაებედნა შეხებოდა მათ კაბას ტოტითაც კი, ცოცხის მაგივრობას რომ უწყევდა. ასე ეგონა, რომ მათგან ღვთის რისხვასავით გადმოინთხეოდა დაგუბებული შავი სისხლი.

3.

— აგე, ექიმი მოდის!

სოფლებებს კი ეგონათ, რომ იცნობდნენ მას. მაგრამ მასზე მხოლოდ იმდენი იცოდნენ, რამდენიც მისი ჩამოსვლის დღეს. სოფელში იგი გლეხთა ამბოხის ჩახშობიდან (როდესაც ბევრმა აჯანყებულმა აფეთქების ძაბრით და-ლი სული) რამდენიმე წელიწადში ჩამოვიდა.

მგზავრთა აურზაურსა და გამცილებელთა ლანძღვა-გინებაში იგი მატარებლიდან მუჯღუგუნებით ჩამოაგდეს. სადგურში ხმა დაირხა, ვიღაც ქალისთვის ბიჭის მოტაცება უნდოდაო, ზოგი კი ირწმუნებოდა, სიგიჟემდე გამძვინვარებული, ბიჭის ფანჯრიდან გადაგდებას ლამობდაო. ვერავინ ამბობდა დაბეჯითებით, ასე და ასე მოხდაო. ხოლო ჯარისკაცთა და სადგურის ხაბაზთა მითქმა-მოთქმასა და ჭორებზე საქმეს ვერ აღძრავდა.

ორი-სამი დღე მან პოლიციის განყოფილებაში გაატარა. წინასწარი დაკავების საკანში მინაზე ეგდო და დუმდა. არც დაკითხვაზე ამოუღია ხმა. ალბათ იმიტომ, რომ არ იცოდა ესპანური, მითუმეტეს, არ ეცოდინებოდა გუარა-

ნი., ან სულაც იმიტომ დუმდა, რომ არც თავის მართლებას და არც რაიმეს ახსნა სურდა, რადგანაც მართლა უდანაშაულო იყო. არ ადარდებდა, ვინ რას ფიქრობდა მასზე.

როგორც იქნა გაათავისუფლეს. მაგრამ არსად წასულა, სოფელში დარჩა, თითქოს მისთვის სულერთი იყო, სად იქნებოდა. რალაც ხანი აღმა-დაღმა უაზროდ დაბორი-ალობდა, ვიდრე სამოსი და დაბალყელიანი ჩექმა გაუცვ-დებოდა.

მერე სოფლის განაპირას ნია (ესპ. *na-nina* — გოგონა, მიმართვა ქალისადმი — ე.კ.) ლოლეს ჩამოროს ნახევრად-დანგრეულ ფუნდუკში ოთახი იქირავა. იქ პარაგუარიდან მისიონერისაკენ მიმავალი მწყემსები და ხარკის ამკრეფ-ნი ათევენენ ღამეს და არც „ყველაფრის შემსრულებელთ“ გოგონათა მომსახურებაზე ამბობდნენ უარს.

გადამთიელი არავის ელა-პარაკებოდა, მათ შორის, კას-რივით მრგვალ და ყბედ ნია ლოლეს. მთელ დღეს ნესტიან, ციცქნა ოთახში ატარებდა, რომელიც არც ზომითა და არც სიმყუდროვით საკნისაგან არ-აფრით განსხვავდებოდა.

მხოლოდ წვრილ მოვაჭრეს მიაკითხავდა ხოლმე.

4.

პირველად რომ შეალო დუქნის კარი, დონ მატინასმა თავის კლიენტებს გადაუჩურ-ჩულა:

— ეტყობა, ამ გრინგოს (გრინგო — ასე ეძახიან ლათი-ნოამერიკელები დამცინავად ჩრდილოამერიკელებს და, ზოგადად, უცხოელებს. მომდინარეობს ინგლისური „green go“ — მწვანე, წადი) უჭაერობა ანუხებს.

— მე კი მგონია, არაყი აკლია, — თქვა მუნიციპალიტე-ტის მდივანმა დეხესუს ალტამირანომ, რომელიც უხვად მიირთმევდა დონ მატინასის კანიას და იატაკქვეშა ბორდე-ლების მფლობელთაგან აღებული ქრთამით ცხოვრობდა.

უცხო დახლს მიუახლოვდა.

— რით გემსახუროთ, ბატონო? — თავაზიანად ჰკითხა მედუქნემ არა ცნობისმოყვარეობით, არამედ იმედით, ფულს დახარჯავსო.

— არაყი, — მოკლედ მოუჭრა მან. არავის მისალმებია, არც მეგობრობა, გულითადობა თუ თანადგომა უთხოვია ვინმესთვის, როგორც ეს მასავით უხერხულად მყოფ ადა-მიანს სჩვევია, მიუხედავად ენისა, რჯულისა და გადატანი-ლი განსაცდელისა.

არაყი ერთბაშად გადაკრა, გადაიხადა და წავიდა.

— საინტერესოა, სად წავა? — იკითხა დონ მატინას სოსამ.

— ეგ ხომ ნათელია, თხა მთებში წავა, ღორი კი სალო-რეში, — უპასუხა ალტამირანომ.

— ის არც თხა და არც ღორი, — შენიშნა მოვაჭრემ, — არც უბრალო მანანნალას ჰგავს. ასე მგონია ევროპიდანაა გამოქცეული. მე კი ვერ გამაცურებს. აქ ჭკუაზე მოვიყ-ვანთ. დავუმეგობრდები და ისიც ალაპარაკდება. ქრისტი-ანი კაცი ამდენხანს ვერ გაჩუმდება.

— თუა ქრისტიანი, — ჩაუთო დეხესუს ალტამირანომ.

— ავალაპარაკებ.

— თუ ეს ნია ლოლემაც ვერ მოახერხა, ესე იგი, ძნელი საქმეა.

— ეს სხვანაირი კაცია. ნია ლოლეს საკბილო არაა.

— ვნახოთ, ვნახოთ...



მხატვარი ბერდია არაბული

მაგრამ ბევრი ვერაფერი ნახეს. მხოლოდ ის, თუ როგორ დაბორილობდა უცხო აღმა-დაღმა. წასვლაზე არც კი ფიქ-რობდა. მხოლოდ დუქანში შე-ივლიდა არყის დასალევად. ისევ ისეთი გულგრილი იყო, მაგრამ არა ქედმაღლობისა გამო. უფრო სასონარკვეთილს ჰგავდა, ვიდრე ამყს. საკუთარ-ი დუმილის მეტი არაფერი გააჩნდა. ძაღლიცა და კალა-თიც მერე იყო, როგორც სხვა ყველაფერი.

5.

იმხანად დაიწყო ახალი სადგურის მშენებლობა საპუ-კაიში და რკინიგზის შემკეთე-ბელმა სახელოსნოებმაც განა-ახლეს მუშაობა. ძვალთა სა-მარხად ქცეული უზარმაზარი ორმო რელსებქვეშ მოექცა და სოფელიც, მიუხედავად მომხ-დარისა, მიუხედავად ხუთწლი-

ანი უძრაობისა, მიუხედავად ყველაფრისა, ცდილობდა პროგრესისაკენ შემოტრიალებულიყო.

საეკლესიო თემმაც, მღვდლის თავკაცობით, შეძლო ჩა-მონგრეული სამლოცველოს აღდგენა. მათ გორგოლაჭები-ანი, რთული დანადგარის მეშვეობით სამრეკლოზე აზიდეს ზარი, ასუნისონიდან საათიც კი ჩამოატანინეს. მაგრამ ეს უცნაური საათი უკულმა მიდიოდა: ქვისმთელს კომპში უკულმა ჩაედგა. და სადგურის მშენებლებს გასართობი და საქილიკო მიეცათ და სულ გადაავიწყდათ გრინგო.

გრინგო კი ფუნდუკიდან წავიდა. აღარც დუქანში და-დიოდა. ფული გამოელია. ღამეს ხეებქვეშ ათევდა, წვიმაში ეკლესიის დერეფანს აფარებდა თავს. სწორედ მან გაასწო-რა საათი-კიბორჩხალა. ნება ჰადრე ბენიტესმა დართო, მი-უხედავად გრინგოს გულგრილობით გაღიზიანებულ ქალ-ბატონთა წინააღმდეგობისა.

დაფლეთილი პერანგიდან მზით ამომწვარი თეთრი ხორცი მოუჩანდა. დღითიდღე სუსტდებოდა. წვერი დაე-ბურდა, ქერა თმა მხრებამდე ჩამოეზარდა. ფეტრის შლია-პა, რომელიც ბალიშის მაგივრობას უწევდა, ბალახსა და კანაფზე მთლიანად გაიცრიცა და მან ის სომბრეროთი

შეცვალა, ხოლო ჩექმების მაგივრად ალპარგატები (მონ-ნული ქალამნები — ე.კ.) მოირგო. ყველაფერი ეს დონ მატისის დუქანში, ალბათ, უკანასკნელი ფულით შეიძინა. ხურდა, რამდენიმე რეალი, იქვე, დახლზე დატოვა. განვლო დრომ, ვიდრე ისევ მიაკითხავდა მენვრილმანეს.

უკვე სხვა კაცი გეგონებოდათ. მხოლოდ ჩანითლებული ცისფერი თვალები არ შეცვლოდა. უსინათლოსავით შეუვალი და მღვრიე მზერა ჰქონდა.

6.

ამასობაში უცხოზე რალაც-რალაცები გაირკვა. როდესაც დუქანში თუ მენვრილმანესთან დასალევად შეიკრიბებოდნენ ნია ლოლე, დონ მატისი, სოფლის თავკაცი ათანასიო გალვანი, ალტამირანო, ერთმანეთს უზიარებდნენ ნანახსა და გაგონილს; ბოლოს ყველაფერი ერთმანეთს შეადარეს, შეაჯერეს და დაასკვნეს: რუსი ემიგრანტიაო.

ყველაზე გათვითცნობიერებული ყოფილი ტელეგრაფისტი ათანასიო გალვანი იყო. რევოლუციონერთა დასმენისათვის სოფლის ხელისუფალი გახდა. მას პირდაპირი კავშირი ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

— მისი პასპორტი მაქვს ნანახი, — თქვა გალვანმა და თან დასმენის ოქმს თითებს ნერვიულად უკაკუნებდა, — საბუთები წესრიგში აქვს. ბუენოს-აირესში რუსეთის კონსულის ვიზა ადევს. ალექსი დუბროვსკი ჰქვია, — დამარცვლით, ძლივს წარმოთქვა გალვანმა, — მარად მდუმარე გრინგო! შხამიანი დანა რომ მიაბჯინო ყელზე, მაინც ვერაფერს ათქმევინებ.

ნია ლოლეს ერთმა გოგომ უცნობის ქალაღლებში დაკუჭული ფოტო იპოვა (გრინგო მაშინ დუქანში იმყოფებოდა) და პატრონს უჩვენა. მერე ისევ თავის ადგილას დადო.

— თვითონ იყო ფოტოზე, — წამოაყრანტალა საიდუმლო უზომოდ გაფუჭებულმა ნია ლოლემ, თან თვალებს უაზროდ აცეცებდა, — სურათზე გაპარსულია და უფრო ახალგაზრდა, მაგრამ ისაა უცნაური საზეიმო ფორმა აცვია, აი, პოლკოვნიკ ალბინო ხარას რომ ჰქონდა, ისეთი. რა ბიჭი იყო პოლკოვნიკი! ახლაც კი სჯობია მას. გახსოვთ, კაი პუენტეში რომ ჩამოვიდა რკინიგზის საზეიმო გახსნაზე? კალმით ნახატი იყო. გარს ამაღლა ეხვია. მიქელგაბრიელს ჰგავდა, ოლონდ ანკეპილი ულვაშებით. გოგოებმა რომ დაინახეს, სუნთქვა შეეკრათ, მეც... ჰო, აი, ასე იყო საქმე...

ნია ლოლე შეჩერდა და სული მოითქვა.
— მერე ყველაფერს ამას გრინგოსთან რა ესაქმება? — იკითხა ალტამირანომ.

— ხომ გითხარი, პოლკოვნიკ ხარას ჰგავს-მეთქი. ოლონდ ქერაა. ალბათ, იქაური გოგოებიც დნებოდნენ მისთვის. მაგრამ ცოლიანია. ფოტოზე ახალგაზრდა, ლამაზ ქალთანაა გადაღებული. ხელში თოთო ბავშვი უკავია.

— ნეტა აქ რა დაკარგვია? — იკითხა გადამდგარმა მოსამართლე კლიმაკო კაბანიასმა.

— ბოლშევიკების რევოლუციას გამოექცა, — უპასუხა პადრე ბენიტესმა, — იქ წარჩინებულებს თავებს აჭრიან.

მერე ილაპარაკა სრულიად რუსეთის მეფეზე, რომელიც ოჯახიანად დახვრიტეს რომელიღაცა სახლის სახურავზე.

— რატომ სახურავზე? — იკითხა მუნიციპალიტეტის მდივანმა.

— ზეცასთან ახლოს რომ ყოფილიყვნენ, — უპასუხა დახლიდან მენვრილმანემ, — მეფეს, მეგობარო, თხრილში ვერ დახვრეტ, არა, დონ კლიმაკო?

— საქმე ისაა, რომ იქ რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს, — წაიბურტყუნა მოსამართლემ და სკამზე გვერდი იცვალა.

— ეს იქ... — ზიზლით თქვა პოლიტიკურ შეფამდე აღზევებულმა ტელეგრაფისტმა, — მაგრამ ჩვენ ვიცით, როგორ გავუმკლავდეთ მათ, ვინც კონსტიტუციურ ხელისუფლებას უჯანყდება. გახსოვთ, როგორ ამოვხოცეთ ისინი?!

არავის სჭირდებოდა დამსმენის მოგონებანი.

მიუხედავად განვლილი წლებისა, ამოვსებული ორმოსი, მიუხედავად ცვლილებებისა, მომხდარის წარუშლელი კვალი თითოეულში იყო, და როდესაც გლეხების აჯანყებაზე ფიქრობდნენ, ერთმანეთს თვალებში ვერ უყურებდნენ.

1912 წლის 1 მარტის აგუდით ლამეს, ყუმბარა რომ აფეთქდა, ცეცხლის ბრიალა ენების შუქზე წამიერად გაშემდა კატასტროფის სურათი: აგერ, აჯანყებულები, კაპიტან ელისარდო დიასის მეთაურობით, ეშლონს ამზადებენ. ბევრნი არიან, ბრძოლებში გამობრძმედილი ორი ათასი ჯარისკაცი და გლეხი. დედაქალაქზე მოულოდნელ იერიშს გეგმავენ. 75-მილიმეტრიანი ორი ჰაუბიცაც კი აქვთ. ეს რევოლუციის ბოლო იმედი იყო. ალბათ, კიდევ შეიძლებოდა სამთავრობო ძალების დამარცხება, რომ არა ბედის მუხანათობა.

სწორედ მაშინ საპუკაიში გავლით იმყოფებოდა იტაპელი ტელეგრაფისტი ათანასიო გალვანი. მან ფოსტის შენობიდან ოსტატურად გაიტყუა თავისი კოლეგა და მეგობარი სიპრიანო ოველარი, დაიკავა მისი ადგილი და პარაგუარიში სამთავრობო ჯარების სარდლობას აჯანყებულთა გეგმები შეატყობინა.

— მე ისინი გავანადგურე! — ტრაბახობდა გალვანი. — მე დავუმტკიცე ერთგულება პარტას!

პარაგუარის სამხედრო ხელმძღვანელობამ ყუმბარებით სავესე მატარებელი აჯანყებულთა ეშლონის შემხვედრ საზღვე გაგზავნა. მაგრამ შეტაკება არ მოხდა ტრიალ მინდორში, როგორც ეს იყო განზრახული. აჯანყებულთა მემანქანის გაქცევამ საქმე გაართულა და მატარებლის გასვლის დრო, რომელიც გალვანმა გადასცა, შეიცვალა.

ათას ხუთასი გერმანული ჭურვით დატენილი, ბორბლებზე შედგმული უზარმაზარი ტორპედო შიგ საპუკაის სადგურში აფეთქდა და რევოლუციონერებთან დასამშვიდობებლად მისულ ხალხს მუსრი გაავლო. ამას მოჰყვა გადარჩენილ აჯანყებულთა, მათი ახლობლებისა და თანამოაზრეთა დევნა და უმოწყალო ყლელი. ტელეგრაფისტი კი „წესრიგისა და კონსტიტუციური ხელისუფლების დასაცავად გმირული ქმედებისათვის“ მთავრობის რწმუნებული, პოლიტიკური შეფი გახდა. ასე მაღალფარდოვნად უყვარდა მას თავისი დანიინაურების გახსენება. შემდეგ დახვრეტებსა და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენას, მოგვიანებით კი აღდგენით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. ამბობდნენ, იმდროინდელ ეგზეკუციებს ათანასიო გალვანის მეგობარი სიპრიანო ოველარიც (რომელსაც გალვანმა ორჯერ უღალატა) ემსხვერპლაო. თუმცა იმასაც ამბობდნენ, რომ იგი გადარჩა და სამუდამოდ გამოკეტეს ასუნისონის საციფეთში. ამ ორი ჭირის მიუხედავად ჩეპე ოველარის სანდი სამუდამოდ გაიხლართა სატელეგრაფო მავთულებში. და იმ დროიდან მოყოლებული, იტაპედან საპუკა-

იმდე, სანაპიროს მკვიდრნი ზაფხულის მარტოხელა მერცხალს chepe ha'eno-ს ეძახიან.

არავის, გარდა პოლიტიკური შეფისა, არ უყვარდა ამ ამბების გახსენება. მას კი მორზეს ანბანის მსგავსად მაგიდაზე თითების კაკუნი ნერვულ ტიკში გადაეზარდა, რაც არ იყო სუფთა სინდისის ნიშანი.

ასე რომ, იმ საღამოს ისევ გამოქცეული სლავის ამბავს მიუბრუნდნენ.

— შესაძლოა, ეს გრინგო საერთაშორისო დამნაშავეა. ხომ არ აჯობებდა, დროზე გაგვეგდო აქედან? — იკითხა ალტამირანომ.

— ვიდრე რაიმეს არ ჩაიდენს, არ შეიძლება, — უპასუხა მოსამართლემ, — შენ რა, კონსტიტუცია არ იცი?

— ამას იმიტომ ვამბობ, — დაიჟინა შერცხვენილმა მდივანმა, — ვაითუ, რევოლუციკებთან მეგობრობს?

— იქაურებთან? — დამცინავად იკითხა გალვანმა.

— არა, აქაურებთან.

— მაგას მე მივხედავ, — უფროსის კილოთი თქვა შეფმა და გაიბღინა. — თუ ეს ტიპი ჯაშუშია, საქციელზე შევატყობ და მერე ნახავთ, რასაც მიიღებს. სახურავზე კი არ დავახვერტინებ.

მაგრამ იმაზე მეტი, რაც უკვე იცოდნენ, ვერაფერი გაიგეს. ხოლო იცოდნენ ბედით დამწვარი, ჩრდილად ქცეული ადამიანის ძნელადწარმოსათქმელი სახელი. დანარჩენი კი მხოლოდ ვარაუდები, ეჭვები და ჭორები იყო.

სოფელში გრინგო აღარ გამოჩენილა.

7.

განვლო ხანმა. სოფელში ამბავი მოვიდა, კოსტა დულსეს მხარეს, მთაში, კანიავეს ზემოთ, სასაფლაოსა და მიტოვებულ თუნებს შორის გრინგომ ქოხი აიშენაო, თანაც მრგვალი, ყველასაგან განსხვავებული. მისი ქცევა კვლავ გამოცანად რჩებოდა. ალბათ, მთაში დაკრეფილი პაკური-ათი (ბანანის სახეობა — ე.კ.) და მწარე ფორთოხლით თუ იკვებებოდა. ან კალიებსა და ჭაობის ყავისფერ ნუტრიებზე ნადირობდა და შემდეგ წვავდა.

ეჭვი და ვარაუდი ბევრი იყო.

შეფის მიერ მიჩენილი მეთვალყურე ყვებოდა, თევზაობაში კლავს დროს, ან თავის ქოხში გდია გაშოტილიო.

იმ დრომდე სიტყვა ვერავინ დააცდენინა.

— რას იზამ, — თქვა იმ ღამეს მღვდელმა ბილიარდის თამაშისას, — ამ კაცმა ზურგი აქცია სამყაროსაც და მის მშვენიერ ქმნილებებსაც...

— ჰო, მხოლოდ არაყზე არ ამბობს უარს, — გაანწყვეტინა არყის ფარული სახდელის მეპატრონემ.

— ...როგორც ძველი განდევნის, — შენიშნა ოდნავ შეცბუნებულმა მღვდელმა.

— ისინიც თვრებოდნენ? — იხუმრა ალტამირანომ.

როდესაც სიცილი ჩაცხრა, მან სკამზე გვერდი იცვალა, როგორც სჩვეოდა, როდესაც ბუასილი შეანუხებდა, და დამრიგებლურად განაგრძო:

— შესაძლოა, თქვენ მართალი ბრძანდებით, მამაო. მაგრამ ასეთი ადამიანები... ის ძალიან ენერგიულია. ეს იგრძნობა. ჯერ ახალგაზრდაა. რა ვიცი, ჩემი აზრით, სულაც არა ჰგავს განდევნის. შეიძლება მიწას მარილი მოაყარო

და წყალი დაასხა, რათა იქ სარეველამაც კი ვერ გაიხაროს, მაგრამ მიწას მაინც ვერ მოკლავ. ნაწვიმარზე ღრიჭობიდან მოულოდნელად ამოიწვერება ძველი თესლი... მერე ჭიაყელებიც გამოჩნდებიან. ასეა ადამიანიც.

— ბიჭოს! რა საუბარი სცოდნია დონ კლიმაკოს? — თქვა მდივანმა ისე, რომ ვერ გაიგებდი, ხუმრობდა თუ მლიქვნელობდა.

— ეს ასეა, — უპასუხა მოსამართლემ წყნარად, თითქოს ვერ მიმხვდარიყო გადაკრულს. — თქვენ ეს ყველაზე კარგად იცით, მამაო. თუ ადამიანს სისხლი უდუღს, ტყუილა იყრის თავზე ნაცარს. ვნახოთ, ეს ტიპი რამდენ ხანს გაძლებს...

8.

შემდეგ მოხდა ის, რამაც გრინგოს სახელიცა და მდგომარეობაც სრულიად შეცვალა სოფელში. მღვდელი მართალი აღმოჩნდა.

ერთ საღამოს, სასაფლაოს რომ კვეთდა, უცხომ დაინახა, როგორ გორაობდა ჯვრებს შორის მარია რეგალადა და ტკივილისაგან ღნაოდა. მამამისი კი უშნოდ მისჩერებოდა. ორიოდ ნახტომით მივარდა გოგოს და გასინჯა. მერე ხელში აიტაცა და მესაფლავის სახლში შეიყვანა.

თვითონვე დაადგა წყალი ასადუღებლად და პატარა დანა იქვე ქვაზე გალესა. ჩვეულებისამებრ ხმა არ ამოუღია. ვერც მესაფლავემ გაბედა, თუნდაც სიტყვით ხელი შეეშალა სწრაფი და ზუსტი მოძრაობებისათვის.

მხოლოდ ერთხელ იკითხა:

— რას აპირებთ, ბატონო?

რადგანაც გრინგო არც კი აპირებდა პასუხის გაცემას, საცოდავი ტანი კასერეც დამუნჯდა და მხოლოდ შემფოთებული ადვენებდა თვალს მის ფუსფუსს.

მარია რეგალადა გაუნძრევლად იწვა, ძლივს სუნთქავდა. გრინგომ იგი მაგიდაზე დაანვინა და კაბა ჩაუხია. მერე საგულდაგულოდ დაიბანა ხელები და ავადმყოფსაც ჩამობანა ის ადგილი, რომელიც უნდა ევაჭრა. მდულარე წყლიდან დანა ამოიღო და შავგვრემან მუცელზე დაუსვა. ტალავერიდან გამოჟონილი მზის ათინათზე შიგნეულობა ფეთქავდა.

დაუჯერებელი ამბავი მოხდა. სულმოუთქმელად ყვებოდა ტანი კასერე გრინგოს უცნაურ ქმედებაზე, დასაწყისიდან იმ წუთამდე, როცა მან ქალიშვილის გადახსნილი მუცელი გაკერა.

არავის უნდოდა ამ ამბის დაჯერება. მაგრამ მარია რეგალადა გამოკეთდა და სოფლის ქალებმა საკუთარი თვალით იხილეს შეხორცებული ჭრილობა, მუცლის ორივე მხარეს ვარსკვლავებზე თუ რომ დარჩენოდა. სასწაულის სანახავად ნია ლოლე ჩამორო საგანგებოდ, ოთხთვალათი ჩამოვიდა და პირდაპირ გრინგოს ქოხისაკენ გაემურა, რათა მისთვის კეფაზე გაჩენილი ცხიმგროვა ეჩვენებინა.

9.

რამდენიმე დღეში გოგონა სიხარულით დაუბრუნდა თავის სამუშაოს.

იმხანად მარია რეგალადა თხუთმეტი წლისა გახლდათ. როდესაც მამამისი სულ ახალ-ახალ საფლავებს თხრიდა, ის

დაძვრებოდა საძვალეებს შორის და სარეველებისაგან ასუფთავებდა ხის ჯვრებს, გვირგვინებს აძრობდა დამჭენარ ყვავილებს და კემსავდა დარღვეულ ლენტებს. ყველაფერს ამას ისეთი სიამოვნებით აკეთებდა, იფიქრებდით, ბოსტანში ხალისობსო.

გოგომ ზუსტად იცოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ჯვარი. იქვე იყო დედამისის, პაპა ხოსე დელ როსარიოს, ნათესავთა და მეგობრების საფლავები. შუაგულ სასაფლაოზე, საძმო სამარხზე მჭიდროდ აღმართულიყო ჯვრები. აქ განისვენებდნენ ისინი, რომელნიც აფეთქებისას კრატერში არ ჩამარხულან.

მარია რეგალადასთვის ყველა მკვდარი ერთნაირი იყო, ეს მისი სამეზობლო. და გოგონაც მათ სიმშვიდესა და კეთილდღეობას დარაჯობდა. მარია მათ პატივს სცემდა და სულაც არ ეშინოდა. სიკვდილი მისთვის სიცოცხლის სხვა, მშვიდი სახე იყო.

საპუკაიში მესაფლავის ადგილი ყოველთვის სასურველად და საპატიოდ მიიჩნდათ.

დიდი ომის შემდეგ ლურჯი ველების მხარე სასაფლაოებით აივსო. მანამდე კი, სამი საუკუნით ადრე, აქ, პარაგუარის გორამდე, იეზუიტთა მამულები გადაჭიმულიყო. მამებმა გაავრცელეს ლეგენდა ამ მთებში წმინდა თომას გამოცხადების შესახებ, თან, როგორც სწვეოდით, ოსტატურად დაუკავშირეს ინდიელთა მითს სუმეზე, რომელიც ასევე იმავე მთებში მამინ, როდესაც მზე მთვარეზე პატარა ღვთაება იყო. ინდიელებმაც თავი მოიკატუნეს, თითქოს დაიჯერეს იეზუიტებისა.

მაგრამ ახლა ეს აღარავის ადარდებდა.

თუმცა გორაზე, ბაზალტის ღრმა ქვაბულში, დღესაც ატყვია მატეს (სურნელოვანი ბალახი, რომლისგანაც ამზადებენ ჩაის და სხვა სასმელებს — ე.კ.) მფარველი წმინდანის ნაკვალევი. ხოლო ქარიან ამინდში ექოსთან შერწყმული მისი ხმაც ისმის.

აქ, პარაგუარის, პირაიუსა და საპუკაის ველებზე, ავდრამდე ყვავილებივით დაფარფატებენ მანათობელი პეპლები და ამაოდ აფრქვევენ ნაპერწკლებს. აქ დღესაც კი, როდესაც ახალ საფლავს თხრიან, ხან ომისდროინდელი ვერცხლის ფულით სავსე ქოთანს და ხანაც იეზუიტების წმინდანთა ხის ქანდაკებებს გადააწყდებიან. მათ ადგილს კი მკვდრები იკავენენ.

მესაფლავეობა საპუკაიში საპატიო ხელობაა.

და დიდი ომიდან მოყოლებული, ყველაზე ღარიბი, მდაბიო და უბირი კასერეს ოჯახის მამაკაცები თაობიდან თაობას გადასცემდნენ საგვარეულო ხელობას. ამ უფლებამო მათ არავინ შესცილებია.

ასე რომ, სასაფლაო ბევრად უფრო ძველია, ვიდრე თვით სოფელი საპუკაი, რომელიც კომეტის გამოჩენისას დაარსდა იმ წელს, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობის ასი წლისთავს ზეიმობდნენ. პარაგვაიში კიდევ ბევრი სოფელია, რომლებიც ერთ-ერთი ასწლოვანი სასაფლაოს ახლოს გაშენდა.

სწორედ აქ, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, მარია რეგალადას პაპამ, ხოსე დელ როსარიომ, დაფნის ხის ქვეშ მორიგ საფლავს რომ თხრიდა, იპოვა წმინდა იგნასიოს ქანდაკება.

როდესაც გრინგომ ტანი კასერეს ქალიშვილი გადაურჩინა, მან საჩუქრად სწორედ ეს ქანდაკება წაიღო. გრინგომ ხელების ქნევით სცადა უარის თქმა, მაგრამ ტანი მას-

ზე ჯიუტი აღმოჩნდა.

— თქვენ ჩემი გოგო მოარჩინეთ, — უთხრა ტანიმ გუარანიზე, — ფული არ გამაჩნია, და არ ვაპირებ მოვიცადო, სანამ მოკვდებით, რომ ჩემი მომსახურებით გადაგიხადოთ საფასური. ეს ქანდაკება თქვენია. მორჩა და გათავდა...

მან წმინდანის ქანდაკება კედელს მიაყუდა და წავიდა.

10.

საპუკაიში ლაპარაკი არ ცხრებოდა უცხოს მსუბუქ ხელზე.

ცოტა ხანში მან ნია ლოლეს კევიდან ცხიმგროვა ამოაჭრა. მერე ფუნდუკში გაცნობილი მენახირე განკურნა, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაზაფხულით გათამამებულ „ვარიკებთან“ ერთად მთელი დღე დასცინოდა გრინგოს.

მენახირე მასთან ცხენით მივიდა. ძლივს სუნთქავდა. ცრუ კრუპისგან იგუდებოდა. გრინგომ იგი ტანი კასერეს ორმოსგან იხსნა. ფული არც ამჯერად აუღია და მადლიერი მენახირის მიერ შეთავაზებულ ცხენზეც და რევოლვერზეც უარი თქვა. დაიტოვა მხოლოდ ძაღლი, რომელიც სამ დღეში შესწვეოდა ქოხის უტყვე ბინადარს.

მერე გრინგომ ათანასიო გალვანის ცოლი ასთმისაგან განკურნა; თვით ათანასიოს კი დიდხანს მკურნალობდა მრავალძარღვასა და სარსაპარილის გამწმენდი ნაყენებით. მოსამართლეს, რომელიც ბუასილის გამო სკამზე სულ გვერდულად, ცალი დუნდულით იჯდა ხოლმე, ტკივილები შეუმსუბუქა. მისი სამკურნალო ბალახები მღვდლის ავადმყოფ ღვიძლსაც სასიკეთოდ წაადგა. გრინგო ბალახთა ჩინებული მცოდნე აღმოჩნდა. იგი დიდხანს დახეტილობდა მთაში და იქიდან სამკურნალო ბალახბუღახით დატვირთული ბრუნდებოდა. ამ pohá nana-ს ბალახეულს, უებარ წამლად მიიჩნევდნენ.

მას შემდეგ უცხოს „ექიმი“ შეარქვეს.

ექვები, ქილიკი, ჭორები ნელ-ნელა პატივისცემამ და აღფრთოვანებამ შეცვალა. გრინგოზე ძვირს აღარავინ ამბობდა. ხოლო ვილიარკასა და ასუნსიონის ექიმთა გაუთავებელ დაბეზლებებს ფარულ სამედიცინო საქმიანობაზე, გავლენიანმა ყოფილმა ტელეგრაფისტმა დაუსვა ნერტილი.

გრინგო აღარ იყო გრინგო, მაგრამ ჯერ არ გამხდარიყო ერეტიკოსი.

11.

სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი მიილტვოდა ექიმის მრგვალი ქოხისაკენ. შორეული სოფლებიდან და ახლომდებარე დაბებიდან მოდიოდნენ განსაკურნებლად სნეულნი და დავრდომილები, კეთროვანებიც კი. მოდიოდა ზოგი ფენით, ზოგი ცხენით, ზოგიც ურმით. ექიმი უხმოდ, მოთმინებით სინჯავდათ და კვლავ უარს ამბობდა აელო გასამრჯელო ღარიბთაგან. მათ კი მოჰქონდათ — ვის ვარია, ვის კვერცხები ან სხვა საჭმელი, ვის კი ხელნართი ქსოვილი, რათა მას კონკეტი გამოეცვალა.

მერე ექიმმა პრიმიტიული გამოსახდელი ქვაბი აანყო და შიგ ფორთოხლის ფოთლებიდან ეთერზეთს ხდიდა. კეთროვანთათვის ასე ამზადებდა მალამოს, რომელსაც

ჩალმუგრას ზეთის ნაცვლად წარმატებით იყენებდა.

ადგილობრივი მრეწველიდან ქალბატონები, რომლებიც ადრე ექიმს მანანნალას ეძახდნენ და ეკლესიის შესასვლელთან გაჩერების უფლებასაც არ აძლევდნენ, ახლა სიამოვნებით იზიარებდნენ მის რჩევებს.

იმხანად გრინგომ ერთ ციებ-ცხელებით შეპყრობილ მთვარულსაც უმკურნალა. მას კასიანო ამოიტე ერქვა. როდესაც დიდი ხნის არყოფნის შემდეგ იგი სოფელში დაბრუნდა, ცოტა ვინემ თუ ამოიცნო მასში კასიანო ხარა, კოსტა დულსეს სამეთუნეო საამქროებში აჯანყების თავკაცი.

კასიანო ცხოვრობდა იმ ერთ-ერთ ვაგონში, რომელიც აფეთქებისას დაზიანდა. მოგვიანებით ყვებოდნენ, რომ ეს ვაგონი ცეცხლოვან ბორბლებზე უცნაურად გაილაღა სოფლიდან და გაქრა. ბედის უკუღმართობამ ცრურწმენების მარწმენებში მოაქცია სოფელი. ეს ლეგენდაც ვაგონზე ამ საცოდავ ხალხში გველივით დასრიალდებდა.

12.

გამოჯანმრთელების მერე მარია რეგალადა ხშირად დადიოდა ექიმთან. სადილი მიჰქონდა, ხან მოთუშული ხორცი და ბოსტნეული, რომელსაც იგი ძალს უწილადებდა, ხან მადისალმძვრელი პარაგვაიული წვნიანი, ხანაც მეტისთა კერძები.

ექიმს გოგონასათვის არცერთხელ არ უთქვამს მადლობა. სიტყვა არც მაშინ დასცდენია, როდესაც მესაფლავე გარდაიცვალა. მიუხედავად მცდელობისა, ტანი კასერეს გადარჩენა ყვითელი ციებისაგან ექიმმა ვერ შეძლო და იგი ერთ-ერთ იმ საფლავეში აღმოჩნდა, რომელსაც წინასწარ თხრიდა ხოლმე, რათა „სამუშაო“ მოულოდნელად არ დატყდომოდა თავს. სამუშაო არა, მაგრამ მინა კი დაეყარა საცოდავს. ზოგიერთმა კბილებს შორის გამოსცრა კიდეც, ექიმმა იგი შეგნებულად დაუთმო სიკვდილსო.

მარია რეგალადამ მემკვიდრეობით მიიღო მამის ადგილი, და დინასტიაში პირველი ქალი-მესაფლავე გახდა. მიუხედავად ამისა, იგი კვლავ მიდიოდა მთაში, მრგვალ ქოხში, რადგანაც იმ ქოხის ბინადარი არაფერს უშლიდა.

— სულმთლად დაკარგა თავი მარიამ... — ეტყოდა ხოლმე ფუნდუკში ნია ლოლე თავის კლიენტებს, მწყემსებსა და სპირტიან სასმელთა მწარმოებელთაგან ხარკის ამკრებთ. მათ ხომ ჯერ ისევ აინტერესებდათ მესაფლავე ქალი, რომელსაც „ჩამარხული ქოთნების“ მეპატრონედ მიიჩნევდნენ.

- მერე გრინგო რას შვრება?
- არაფერს. არც კი ელაპარაკება. თავისი ძალლი უფრო აინტერესებს. და მარია რეგალადასაც სწორედ ეს აგიჟებს.
- დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს უგებენ.
- არა, მეცოდინებოდა. ხომ იცი, ვერაფერს გამომაპარებ.
- ეგება დაქორწინებასაც აპირებენ?
- ექიმი ცოლიანია.
- რას გაუგებ ამ გრინგოებს! ჩვენი ქალების გაბრიყვება კი ეხერხებათ.
- მერე თქვენ რა, გარყვნილო ბებრებო? უსირცხვილოებო! მთელი ცხოვრება ცოლებს ატყუებთ!
- თანამოსაუბრეები ახარხარდნენ. მეფუნდუკე ქალმა იცოდა, რომელ ჭრილობაზე მიეყარა მარილი, თუმცა თა-

ვაზიანობაც ეხერხებოდა. არაერთხელ გაყოლიან მისი გოგონები ხასად ფუნდუკის სტუმრებს. ერთმა ცხოვრებაც კი მოიწყო და ნია ლოლეს, მისი წმინდანის, დოლორესის ხსენების დღეს საჩუქრებს უგზავნიდა.

— ცუდი კაცი არ არის ექიმი...

მის ხრინიან ხმაში მადლიერება იგრძნობოდა. ექიმმა ხომ კეფიდან ცხიმგროვა მოაცილა და ფილტვების ანთებისგანაც განკურნა.

ასე გათავისუფლდა მარია რეგალადა ჭორებისგანაც და გამვლელ მამაკაცთა არმიისგანაც, რომლებიც შესციცივნებდნენ არა გოგონას ზურმუხტისფერ თვალებს, არამედ კასერეთა ოჯახის ქოთნებში გადანახულ ძველ მონეტებს.

მარია რეგალადა ისევ უვლიდა საფლავეებს, ხეხილის ბაღს, გვიდა ეზოს, ამზადებდა წვნიანს კეთროვანთათვის. ისინიც ხომ მოუთმენლად ელოდებოდნენ ექიმის დაბრუნებას.

მას არ უყვარდა ქოხში შესვლა. გრძნობდა, რომ ამ დაცარიელებულ, ნამსხვრევებით სავსე ოთახში ექიმი უფრო შორს იყო მისგან, ვიდრე მიცვალებულები სასაფლაოზე, ან ეს მომაკვდავი კეთროვნები. მკვდრებს თავის ტკივილს მაინც გაანდობდა და ექიმზეც მოურიდებლად დაელაპარაკებოდა.

ვაგონი, რომელშიც ამოიტეების ოჯახი ცხოვრობდა, ნელა მიჩოჩავდა წინ. ალბათ, ამაში კეთროვნები ეხმარებოდნენ.

სწორედ ამ საქმის ძიებით იყო დაკავებული პოლიტიკური შეფი, წმინდა სარწმუნოების საიდუმლოებებს რომ ეზიარა და გარდაიცვალა.

მის დაკრძალვას, გარდა ცოლისა და პადრე ბენიტესისა, პროცესიას რომ თავობდა, მხოლოდ ჟანდარმები დაესწრნენ. მათ მწველი მზის ქვეშ რიგრიგობით მიჰქონდათ მარტოხელა შავი კუბო. მიუხედავად მღვდლის პროტესტისა და ცოლის გაუგებარი სლუკუნისა, მესაფლავე ქალმა მას მკვდრეთში განაპირა, უკაცრიელი ადგილი მიუჩინა. მაგრამ შეფის ცოლი მაინც კმაყოფილი ჩანდა: როგორც იქნა, ქმრის დატირების საშუალება მიეცა.

ეს იყო ერთადერთი მოუხელო, სარეველებით დაფარული საფლავი.

13.

ერთ საღამოს მარია რეგალადა ბაღში ნარგავებს რწყავდა. როგორც ყოველთვის, აქ მალვით, მთის ბილიკით მოირბინა მას შემდეგ, რაც სასაფლაოს ჭიმკარი ჩარაზა.

უტბად რალაც ყრუ ხმაური მოესმა, თითქოს ვიღაც წაიქცაო. ავი წინათგრძნობით შეპყრობილმა რამდენიმე ნახიჯი გადადგა და სიჩუმეს მიაყურადა. მერე ნელ-ნელა მიუახლოვდა ჯოხს და ეკალ-ბარდიდან დაუნყო თვალთვალი. იატაკზე მუქი ფერის სხეული ეგდო, მაგრამ ეს არ გახლდათ ექიმი.

მარიამ კიდევ ცოტათი წაინა წინ და, რაც იქ დაინახა, სიზმარი ეგონა.

ექიმი მუხლებზე იდგა. მისი ხელებიდან კი ოქროსა და ვერცხლის ბრჭყვიალა მონეტები ცვიოდა და ფეხებთან გროვდებოდა.

ექიმს სახე დაღრეჯოდა. სასონარკვეთილს ღვთიური თვალები ამღვრეოდა ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როდესაც სიკვდილმა აჯობა და მარია რეგალადას მამა ვერ გა-

დაარჩინა.

მონეტების გროვაზე დახრილ ექიმს ქერა თმა მთლიანად უფარავდა სახეს. გოგონას მოეჩვენა, რომ ვიღაცამ დაიკვნესა. კარგა ხნის შემდეგ ექიმი ადგა, აკანკალებული ხელებით მონეტები შეაგროვა და ჩვრებში გაახვია. განწირულივით ჩქარობდა, მის გვერდით წმინდა იგნასიოს გადმოყირავებული ქანდაკება ეგდო.

14.

ვერავინ გაიგო, თუ რატომ ჩაირაზა ამის შემდეგ თვით მარია რეგალადსთვისაც ექიმის ქოხის კარი. თვითონ კი გაბრწყინებულ და ანთებულ თვალებს ისე აბრიალებდა, თითქოს სწორედ ახლა მოაკლდა ჰაერიო. ქოხის უკანა მხარეს ოთახი ტყავით გადატიხრა და სწეულებს ახლა იქ იღებდა.

ვერავინ შეძლო აეხსნა, თუ რატომ უთხრა მან უარი საჩუქრებზე ყველაზე ღარიბებს და ცოტაოდენ ფულზე — უფრო შეძლებულებსაც. გაუგებარი ჟესტიკულაციით გასამრჯელოდ მხოლოდ ძველ ქანდაკებებსა და ფიგურებს ითხოვდა.

საპუკაელებმა გადაწყვიტეს, რომ ექიმი უეცრად მორწმუნე და მისტიკოსი გახდა. ისიც კი თქვეს, გრძელი თმით, გაცვეთილი ქალამნებით, ჯოხით, ძაღლითა და პალმის მოწნული კალათით თავად ჰგავს წმინდანსო.

— მთლად წმინდა როკეა! (წმინდა როკეს გამოსახავდნენ ჯოხით ხელში, კონკეპში და ძაღლით — ე.კ.) — ჩურჩულებდა ნია ლოლე, როცა ჩაუვლიდა ხოლმე. თან ექიმისგან წამოსული ახალი, გამოუცნობი აურა გულს უჩვილებდა.

მაგრამ ექიმის ეს ახალი და მისი მეორე, არანაკლებ გამოუცნობი სახე ერთმანეთს ასკდებოდა.

მან ისევ დაიწყო ფუნდუკში სიარული და მანამდე სვამდა არაყს, ვიდრე იქიდან აკანკალებული და ამღვრეული ფორთხებით არ გამოვიდოდა.

ახლა უკვე მხოლოდ იმით მკურნალობდა, რომელნიც მასთან ზურგზე მოკიდებულ, ძველ ქანდაკებებს მიიტანდნენ. იგი ხელში შეათამაშებდა წმინდანს, შეპყრობილის მზერით ხარბად დაათვალიერებდა მის ყოველ ღრეჩოს და ქოხში შეიტანდა. გამხდარ და გაფითრებულ სახეზე მოჩვენებითი იმედგაცრუება ენერა. მხოლოდ ამის შემდეგ მიხედავდა ავადმყოფს, მაგრამ არა ადრინდელი ღვთიური სიმშვიდით, არამედ რაღაც დუნედ, უხალისოდ, თითქოს ამქვეყნისა აღარ იყო.

ასე ლოთობასა და სიგიჟეში გაატარა რამდენიმე თვე. არასდროს ყოფილა ასე მდუმარე.

მერე ექიმი გაქრა.

15.

პირველმა მარია რეგალადამ აღმოაჩინა თავნაცლილი ქანდაკებები, მაგრამ ხელის ხლება ვერ გაბედა. შეეშინდა, ნამსხვრევებიდან ღვთის რისხვასავით დაატყდებოდა შავი სისხლი.

მან არ იცოდა, რას ერჩოდა ექიმი წმინდანთა ფიგურებს. არც მაშინ იცოდა, როდესაც პირველად ნახა დაღუნული ქანდაკებები სწორედ იმ ღამეს, ექიმი რომ გაქრა

ისევე უცნაურად, როგორც ჩამოვიდა სოფელში.

იმ ღამეს უგონოდ მთვრალი რაღაცას ბურტყუნებდა თავის გაუგებარ ენაზე. მერე მარია რეგალადა დაიჭირა და ნამსხვრევებით მოფენილ ქოხში ველურივით დაეუფლა.

ერთადერთხელ შევიდა ქალი ქოხში. და ეს იყო ექიმის ბოლო ღამე სოფელში.

მარია რეგალადამ არ იცის, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა. არც მაშინ იცოდა და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გაიგებს.

საყოველთაო მსხვრევას მხოლოდ წმინდა იგნასიოს ქანდაკება გადაურჩა. როდესაც იგი სადგამიდან გადმოვარდა, ძირი გაძვრა და შიგ დიდი ფულურო გამოჩნდა. მარიას კი ეგონა, ეს მძიმე ქანდაკება მთლიანი ხისგანაა გამოთლილიო. მაგრამ ეს აღარ აღადრებდა. მხოლოდ ის ვერ გაერკვა, რატომ დაინდო ექიმმა სწორედ ეს ქანდაკება, თუმცა დანარჩენების ბედიც გამოცანა იყო. ქალს არც ამის ცოდნა სურს. მას სურს, დარჩეს ცხად სიზმარში, ბანგივით რომ მოსდებია გონებასა და გულს და არ დაკარგოს ექიმის დაბრუნების იმედი.

16.

ექიმის გაქრობიდან მეორე დღეს მარია რეგალადა ისევ მივიდა ქოხში. იატაკის ღრიჭოში მინით მოთხვრილი ოქროს ტოსტონი (პორტუგალიური მონეტა — ე.კ.) იპოვა. მასზე წვერიანი პროფილი იყო ამოტვიფრული და ქალმა ის ასერიგად მიუწვდომელ ექიმს მიამსგავსა. მერე იმდენი აპრიალა მონეტა, ვიდრე მზისფერს გახდიდა, და მთრთოლვარე მკერდზე მიიკრა.

ექიმის გაქრობა პირველმა კეთროვანებმა შეიტყვეს და ერთი ალიაქოთი ატყხეს. ხმაურზე ქოხთან მთელი საპუკაი შეიკრიბა. სწორედ მაშინ გამოცხადდა ექიმი ერეტიკოსად, რომელმაც სისასტიკისა თუ სიგიჟის შეტევასა დაამსხვრია წმინდანთა ქანდაკებანი. ალბათ, ასეთივე შეტევისას ცდილობდა ბიქის გადმოგდებასაც მატარებლის ფანჯრიდან.

ექიმზე ძვირის თქმა მაინც ვერავინ გაბედა.

— ხომ გეუბნებოდით, ვერ გაძლებს-მეთქი, — ეუბნებოდა მოსამართლე მასთან შეკრებილ ორიოდ მეგობარს; მაინც იყო რაღაც ამოუცნობი ამ ამბავში. საპუკაელებს სჯერათ, რომ ექიმი არ იყო ცუდი ადამიანი. იგი მის მიერვე დათესილ სიკეთეში განაგრძობდა არსებობას. მაგრამ არ დავიწყებიათ მისი სიგიჟეც, რომელიც გოგოსა და ძაღლში განსახიერებელიყო. გოგომი საკმაოდ თავისებურად.

მარია რეგალადა სოფელში არავის ელაპარაკება. მხოლოდ მიცვალებულებს უყვება თავის ამბებს. ძაღლსაც ერჭურვულება, როდესაც ის მტვრითა და ნამით ჩამოხნელებულ განთიადში კბილებში კალათით გამოჩნდება ხოლმე.

მიტოვებული ქოხის გარშემო მხოლოდ წყაროსკენ მიმავალი ჩიჩახვიანი მოჩვენებანი, კეთროვნები დაფარფატიბენ. ისე კი კოსტა დულსეს შავ მინებზე სიმშვიდე და თითქმის მცენარეული უძრაობაა გამეფებული.

მხოლოდ დამსხვრეული ვაგონი ისევ ნელა მიინევს წინ გამომშრალ და დახეთილ ველზე ურელსოდ. შესაძლოა, ეს სწორედ ის ვაგონია, რომლიდანაც გადმოავდეს ექიმი ნანგრევებადქცეულ საპუკაის ბაქანზე.

ესპანურიდან თარგმნა

* * *

ალიარებით კი ალიარებდა საბჭოთა ხელისუფლება 1937 წლის რეპრესიებს და მის მსხვერპლთა რეაბილიტირებულებად გამოაცხადებდა, მაგრამ მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდათ არც იმ წლის და არც იმ ვითარების გახსენება და ყოველნაირად ეცდებოდნენ საბურველის წაფარებას.

იყო, მაგრამ... არც იყო!..
ეს როგორ?!

საბჭოთა მმართველობა ამგვარ წინააღმდეგობებსა და აბსურდებზე იდგა, ეს გახლდათ მისი იდეოლოგიის საყრდენი და ამჯერადაც მკაცრად მიაღვენებდა თვალს, რომ ეს მოთხოვნა არ დარღვეულიყო.

ალიარება სტალინის დისკრედიტაციისათვის დასჭირებოდათ და კიდევ მიეღწიათ ამ მიზნისათვის — გამოქვეყნებნათ მავზოლემიდან მისი გვამი, აეკრძალათ მისი სახელი და... აღარ ღირდა საზოგადოებრივი ცნობიერების აფორიაქება — მითუმეტეს, რომ მარტოდენ 1937 წელი ხომ არ იყო რეპრესიების ჟამი, მანამდეც და მას შემდეგაც უწყალოდ ენამებოდნენ და იტანჯებოდნენ ადამიანები და ეს ტანჯვა-ნამება ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, ეს უღვთოდ დაღვრილი სისხლი აუცილებლად უნდა გასაიდუმლოებულიყო.

იყო, მაგრამ... არ იყო!..

ცხადია, არც თვითმკვლელობა უნდა მომხდარიყო საბჭოთა სინამდვილეში.

სრული კეთილდღეობის პირობებში ადამიანს ვითომ რატომ უნდა ეფიქრა ნებაყოფლობით განშორებაზე ამ ქვეყანასთან, მმართველობა მხოლოდ მოსახლეობის სიკეთესა და გაბედნიერებაზე რომ ზრუნავდა?!

ამიტომაც ენციკლოპედიებიდან, ცნობარებიდან თუ ბიოგრაფიული ნარკვევებიდან პირწმინდად უნდა ამოშლილიყო არამტოუ დახვრეტისა თუ თვითმკვლელობის კვალი, არამედ მინიშნებაც კი ამ გარემოებაზე, თუნდაც ასე: ტრაგიკულად დაიღუპაო.

საბჭოთა სახელმწიფოში ტრაგიკულად არავინ იღუპებოდა — ბედნიერი ქვეყნიდან ბედნიერად ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს.

საამისოდ კი ყველაზე უწყინარი (თავისთავად რალა უწყინარი!) გამოთქმა შეირჩეოდა და დადგინდებოდა და დაკანონდებოდა: გარდაცვალება.

და დიდსა და პატარას ჩასჩინებდნენ, რომ:

გარდაცვლილიყო მიხეილ ჯავახიშვილიც, ტიციან ტაბიძეც, პაოლო იაშვილიც, სანდრო ახმეტელიც, ევგენი მიქელაძეც, გალაკტიონ ტაბიძეც... ვინ აღარ და ვინ აღარ...

თუ არა ვსურდა ამ გატკეპნილ გზას გაჰყოლოდი და ტრაგედია შენიღბვაში შენც მიგელო მონაწილეობა?

ცენზურა არ დაგროთავდა ნებას.

მაგრამ მაინც თუ შეეცდებოდი რალაც გამოსავლის პოვნას?

მაშინ თეიმურაზ დოიაშვილივით უნდა მოქცეულიყავი. გამომცემლობა „ნაკადული“ არჩილ სულაკაურის თაოსნობით ქართული პოეზიის თხუთმეტტომიან კორპუსს რომ შესთავაზებდა მკითხველს, XII ტომად მომზადდებოდა „XX საუკუნის პოეზია“, რომელსაც შეადგენდნენ გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიციანიშვილი და ტარიელ ჭანტურია და წინასიტყვაობის დაწერა და ბიოგრაფიული ცნობარის დართვა კი დაევალებოდა ამ ახალი თაობის კრიტიკოსსა და ლიტერატურის მკვლევარს (ლექსმცოდნეობის განხრითაც) და პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძისა და ნიკოლო მინიშვილის ანკეტური ცნობების ბოლოს — 1937 წლის გასწვრივ — ასე ჩაწერდა: „დაიღუპა“.

ესეც ის გამოსავალი.

უშუალოდ არ იხსენიებოდა „ტრაგიკულად“, თუმცა შეფარული მინიშნება მაინც რჩებოდა, მითუმეტეს, „გარდაიცვალას“ ფონზე — ყველა სხვა პოეტის შესახებ რომ აღნიშნულიყო.

1982 წელია.

ნიგინი გამოიცემოდა, რაკილა ცენზურას ყურს არ მოჭრიდა ეს მარტოდ დარჩენილი „დაიღუპა“, მაგრამ ხომ იყვნენ ცენზურაზე უფრო თავგამოდებული, უფრო „ფხიზელი“ ადამიანები, სწორედ ამგვარ „პოლიტიკურ გადახრებს“ რომ ჩასაფრებოდნენ და... კიდევ შევიდოდა ცენტრალურ კომიტეტში საჩივარი, და კიდევ დაუცაცხა-ნებდნენ ცენზორებს, და კიდევ გაისმოდა თეიმურაზ დოიაშვილის ტელეფონის ყურმილში სუსხიანი ხმა, რომელიც პასუხს ითხოვდა, თუ რატომ ეწერა სამი პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებში „დაიღუპა“.

ეს თავს მოიგულუბრყვილოვდა:

— კახელი გახლავართ და ჩვენთან „გარდაიცვალა“ და „დაიღუპა“ სრული სინონიმებია, მათ შორის ერთიბუნო ნიუანსობრივი განსხვავებაც არ არსებობს!..

ხმა ოდნავ შეცბუნდებოდა, მაგრამ სუსხი მაინც არ მოაკლდებოდა და მუქარაც გამოერეოდა:

— მაგას ვნახავთ!.. გამოვარკვევთ!..

კიდევ კარგი ცნობარის შემდგენელს აღარ მოუწევდა პასუხისგება, ეტყობა, არჩილ სულაკაურის ავტორიტეტი და გავლენა ჩამომშინებდა ცენზურისა და ცენტრალური კომიტეტის გულისწყრომას და გამორკვევას ბოლომდე აღარ მიჰყვებოდნენ.

სადამდე განელილიყო!..

ლიტერატურის ახალგაზრდა მოყვარულს გააკვირვებს ეს ალიაქოთიც და კრიტიკოსის გაბედულებაზე სიტყვის ჩამოგდებაც: დიდი ამბავი, თუ „გარდაიცვალას“ მაგივრად „დაიღუპა“ ჩაუწერიაო.

არადა, სწორედაც დიდი ამბავი, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ადვილად ნუ დავარქმევთ ნურაფერს წვრილმანს, მითუმეტეს, თუ ეს „წვრილმანები“ ეპოქის სულს აირეკლავენ და ხან უკეთესადაც, ვიდრე სქელტანიანი გამოკვლევები.



* * *

არჩილ მინდიაშვილი ძველი დროის სასულიერო პირთ მოგვაგონებს თავისი ფანატიზმითა და დარწმუნების ნიჭით, დიდი ინტელექტითა და ღრმა განსწავლულობით, დახვეწილი გემოვნებითა და შემოქმედებითი უნარით, პოეზიაშიც რომ იჩენს თავს და ქადაგებებშიც, ვეებერთელა მრევლის დაპყრობა იმთავითვე ისე რომ შეეძლო, სულგაკმედინი მისჩერებოდნენ და მისჩერებთან მის ენამზეობას და გულსა და გონებაში იბეჭდავენ ყოველ სიტყვას, ფრაზას, შეგონებას.

ყოველთვის, ყოველგვარ გარემოში ზუსტად აღასრულებს მღვდელმსახურებას, ერთ დეტალსაც არაფრისდიდებით არ გამოტოვებს, რაკილა საღვთო რიტუალებისას მისთვის წვრილმანი არ არსებობს.

მრევლისგანაც ყოველი წესისა და კანონის დაცვას მოითხოვს.

ყველას შეაგონებს და აფრთხილებს, რომ არ დაივიწყონ ზეციური სასჯელი, რომელიც თავთავის კუთვნილს მიაგებს დიდ დამნაშავეთაც და უნებლიე შემცოდეთაც. დიახ, უნებლიე შემცოდეთაც, რადგანაც არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ეკლესიაში სიარული და მოძღვრის არჩევა უკვე ნიშნავს ღვთის წინაშე მოვალეობის მოხდას.

ყოველთვის ყურადღებას აქცევს მრევლის ჩაცმულობას. ერთხელ და სამუდამოდ დადგინდა, რომ ქალს მღვდელმსახურებაზე დასწრებისას აუცილებლად კაბა უნდა ემოსოს?



მაშ კიდევ უნდა მოერიდოს შარვლის ჩაცმას.

ეკლესიაში მისი ქადაგებისა თუ სასულიერო რიტუალთა აღსრულებისას ქალი შარვლით არც გამოჩენილა, მაგრამ იმ დღეს სასაფლაოზე კი მისცემდნენ თავს უფლებას რაც შეიძლება თბილად შეფუთვინსაც და შარვლის ჩაცმისაც, რადგანაც ციოდა, ციოდა, რარიც ციოდა, ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა და ისე ჭახჭახებდა, ლამის თვალნათლივ დაგენახა სიცივის ლანდიც და მის მიერ გამოწვევილი ხელებიც, ყველას შინაგანადაც რომ აძაგდაცებდა.

მამა არჩილს მაინცდამაინც არ შეეტყობოდა, ყინვა-ყიამეთში თუ იხდიდა პანაშვიდს სამარესთან.

არც მის მოძრაობას, არც მის მეტყველებას არ დაეჩნოდა ის ბაბანი, მრევლს რომ გაუდიოდა... შუა პანაშვიდისას კი უეცრად იკითხავდა:

— ქალები შარვლებით რატომ ხართ?

— ცივა, ძალიან ცივა, მამაო, — შეებდავდნენ, რაკილა მართ-

ლაც გაუსაძლისი გახლდათ ყინვა.

— სამაგიეროდ, იქ ცხელა, — უღიმილოდ იტყოდა, მაგრამ ფარული ღიმილი აშკარად გაივლევებდა მის სიტყვებში და ამ გულში ჩაბრუნებულ ღიმილს იმით დაადასტურებდა, რომ ქალებს პანაშვიდიდან არ დაითხოვდა და ბოლომდე მიაღებინებდა მონანილეობას წესის აღსრულებაში.

...ხოლო იქ რომ ცხელა და უკიდურესადაც ცხელა, ამას ვინ რას უშველის!..

* * *

უჩა შერაზადიშვილს მეგობრობაც რომ ეამაყება ზეზვა მედულაშვილთან და „ზეზვაურების“ მოულოდნელობის ეფექტიც ყოველთვის აღტაცებას ჰგვრის, იმ დღესაც შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან, რომ არ ებიძგა კიდევ ერთი ექსპრომტის შესაქმნელად.

უჩას ახლობელი ახლდა თან და ზეზვას რომ წარუდგენდა: გელა ზენაიშვილიაო, — იქვე დაატანდა: აბა, ერთი შენებურად გართიმე მისი გვარო.

ზეზვაც დაახანებდა თუ რა:

**ეს გაუმარჯოს ზენაიშვილებს,
კაცი თუ არა, ზენა იშვილებს!..**

— „გაუმარჯოს“ სუფრას უფრო მოუხდება და სახელდახელოდ სადმე ხომ არ შევსულიყავითო, — უჩამ, და თავმომწონედ გადახედავდა ზეზვაურების ციკლის ახალ გმირს: იქ ნახავ თუ ნახავ ეპიგრამების ფოიერვერკს, შენ კი გაგაუკვდავე და მეტი რაღა გინდაო!..



მეგობრული შარვლები ვია ლაფაურისა

დაკარგული მოზიქინე...

„ქართველები რატომღაც ძალიან მიყვარს, — წერდა გამოჩენილი იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე 1621 წლის 25 თებერვლით დათარიღებულ წერილში ისპანიიდან, — არ ვიცი, რატომ მიყვარს. შესაძლოა იმიტომ მიყვარს, რომ იბერიული სისხლი მირევია და მათი მოდემისა ვარ“.

როგორც ირკვევა, დელა ვალეთა უძველესი და ნარჩინებული გვარი კანტაბრიული წარმომავლობისა ყოფილა, ხოლო კანტაბრია წარმოადგენდა ევროპული იბერიის ნაწილს. კანტაბრიელები ბინადრობდნენ ჩრდილოეთ ესპანეთში, დღევანდელი ბასკონიის მეზობლად. სწორედ კანტაბრიის მთებში იღებს სათავეს მდინარე ებრო, რომელსაც წინათ „იბერი“ ერქვა. კანტაბრიელები გამოირჩეოდნენ ერთობ მკაცრი ბუნებითა და დიდი სიმამაცით. ისინი შეუპოვრად ებრძოდნენ რომაელ დამპყრობლებს. სტრაბონის მიხედვით, რომაელებთან ომის დროს კანტაბრიელი დედები თავისი ხელით კლავდნენ შვილებს, ოღონდ მონობისაგან გადაერჩინათ. აღსანიშნავია ისიც, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე რომაელებმა კანტაბრია ყველაზე გვიან დაიმორჩილეს.

თურმე ამ შეუდრეკელ კანტაბრიელთა შთამომავლად ითვლებოდა პიეტრო დელა ვალე.

როგორც ცნობილია, ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფ-ისტორიკოსები იბერიის სახელით მოიხსენიებენ პირენეის ნახევარკუნძულს, რომელიც დასახლებული იყო იბერიელთა მრავალრიცხოვანი ტომებით, მაგრამ იმავე წყაროებში იბერია ეწოდება საქართველოსაც. ევროპის იბერია და აზიის იბერია — ასე განასხვავდნენ ანტიკური ავტორები ამ ორ ქვეყანას და ერთი მოდემის ხალხებად მიაჩნდათ ევროპისა და აზიის იბერიელები.

1673 წელს საქართველოს სტუმრად ეწვია ფრანგი სოვდაგარი ჟან შარდენი. იგი დაესწრო ქართლის მეფის სასახლეში გამართულ ნადიმს და მისი აღწერილობაც დაგვიტოვა თავისი თხზულების ფურცლებზე.

გამომშვიდობებისას ქართლის მეფე ვახტანგ V თურმე შეეკითხა შარდენს, ჩემი ნათესავი — მეფე ესპანეთისა როგორ ბრძანდებოდა და მერე ძვირფასი თვლებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო.

შარდენს, ალბათ, ზეპირად ეცოდინებოდა, რომელ ევროპელ ხელმწიფეს რომელი სამეფო დინასტიიდან ჰყავდა ცოლი ანდა რომელ მეზობელ თუ შორეულ ქვეყანაში ეგულებოდა ბიძაშვილ-მამიდაშვილები, მაგრამ ქართლის მეფის ნათესაობა ესპანეთის მეფესთან პირველად ესმოდა და გაოგნებული ფიქრობდა, თუ როგორ წარმოიქმნა ეს მოყვრული თუ ნათესაობრივი კავშირი, ამგვარი სენსაციური ფაქტი აღმოსავლეთის ქვეყნებში წამოსულს როგორ გამოუმეპარაო.

თბილისში დამკვიდრებულმა კათოლიკე მისიონერებმა აუხსნეს შარდენს, რომ მისი მასპინძელი ხელმწიფეთა ნათესაობას როდი გულისხმობდა, არამედ — ქართველი და ესპანელი ხალხების ნათესაობას. მათვე შეახსენეს ფრანგ სოვდაგარს ანტიკურ წყაროთა ცნობები და დასასრულ, ისიც უამბებს, რომ რომის პაპმა თეიმურაზ პირველის სახელზე გამოგზავნილ ეპისტოლეში იგი ესპანეთის მეფის ნათესავად მოიხსენია, ხოლო იბერიელები (ანუ ქართველები) და ესპანელები — ღვიძლ ძმებად.

ათიოდე წლის შემდეგ იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი წერდა: ქართველი დიდებულნი ამბობენ, წარმოშობით ესპანეთიდან ვართო, და იქვე დასძენდა: საქართველოს, ისევე როგორც ესპანეთს, იბერია ჰქვიაო.

იმდროინდელ საქართველოში, ჩანს, საფუძვლიანად ყოფილა გავრცელებული ქართველებისა და ესპანელთა ნათესაობის ამბავი. ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი გამუდმებით

ეძებდნენ მფარველსა და მოკავშირეს ქრისტიანულ ქვეყნებს შორის და ძველთაძველი გადმოცემა ესპანელებთან ნათესაობაზე ფრთებს ას-

ხამდა მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული პატარა ქვეყნის ევემრულ იმედებს.

ამგვარ მისწრაფებას ქრისტიანული დასავლეთისადმი ღრმა ფეხვები ჰქონდა. საქართველო ოდითგანვე ელტვოდა დასავლურ სამყაროს, ვინაიდან მის განუყრელ ნაწილად მიაჩნდა თავი. იმავე სარწმუნოებას აღიარებდა და მისი კულტურაც იმავე იდეებით იყო შთაგონებული.

საკმარისია გავიხსენოთ ჯვაროსანთა ეპოქა, როდესაც მოყვარე მოყვრისათვის ჭირს არ ერიდებოდა, ერთგულად უჭერდა მხარს შორეულ მოკავშირეს და სიყვარულს უფენდა გზად და ხიდად.

საქართველო ელტვოდა დასავლეთს და მთელი სულითა და გულით ეგებებოდა მის გამოჩენას აღმოსავლეთში. ამიტომაც დახვდნენ გულთბილად ქართლში „იდუმალ“ ჩამოსულ ბალდუინ II-ს, იერუსალიმის მეფეს და უმაღლვე აუსრულეს სათხოვარი. განხორციელდა დავით აღმაშენებლის თამამი რეიდი ჯვაროსანთა მთავარი და მრისხანე მტრის — ილღაზის სამფლობელოებში, რამაც გამოიწვია მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის შემოჭრა საქართველოში და დიდგორის ომი, სადაც ქართველთა მხარდამხარ იბრძოდა ორასი მიმედ ალჭურვილი ჯვაროსანი რაინდი — სიმბოლო დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანთა ერთიანობისა. ამიტომაც გაჩნდა დიდგორის ომის პათეტიკური აღწერილობა ანტიოქიის კანცლერ გოტიეს თხზულებაში. ამიტომაც ელანდებოდა ფრანგ რაინდ დე ბუას ქართველთა ურიცხვი მხედრობის მოახლოება „დედოფლის უძლიერესის“ თამარის ძის („აღექსანდრე მაკედონელის ბადალის“) წინამძღოლობით მაჰმადიანთაგან ხელახლა დაპყრობილი იერუსალიმის გამოსახსნელად.

ჟან შარდენის ადგილას რომ ყოფილიყო პიეტრო დელა ვალე, დიდად განსწავლული პიროვნება, რასაკვირველია, სრულიადაც არ გაუკვირდებოდა ქართველი მეფის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო. ეს სწორედ მას უნდა მოესმინა — მგზნებარე იტალიელ პილიგრიმს, ქრისტიან მოძმეთა დაულაღვ მაძიებელს, ანტიკურ წყაროთა მცოდნესა და დამფასებელს, რომანტიკოსსა და მეოცნებეს, საოცარი გულდაჯერებით რომ ჭვრეტდა სათუო მომავალს, როდესაც აღმოსავლეთის ჩაგრულ ქრისტიანთა საშველად ევროპიდან უნდა აზვირთებულყო ახალ ჯვაროსანთა ტალღა. თავგამოდებით ესარჩლებოდა ყიზილბაშთაგან აოხრებულ საქართველოს (თვალთ რომ არ ენახა) და ქართველებისადმი თავისი მხურვალე სიმპათიის ასახსნელად თითქოსდა თავს იმართლებდა: მეც იბერიული სისხლი მირევია და მათი მოდემისა ვარო.

პიეტრო დელა ვალეს ნამდვილ სასწაულად ეჩვენებოდა გმირული ბრძოლა და სიმტკიცე ქართველებისა, რომლებიც გარშემორტყმულნი იყვნენ „უძლიერესი და უხარბესი აგრესორებით“.

ოცნებობდა იტალიელი მოგზაური და საქართველო ესახებოდა, როგორც კვანძი ევროპასა და აზიას შორის. მისი ფიქრით, ქართველების ხელმწიფობით ქრისტიანობა მოიხვეჭდა დიდ გავლენას მთელს აღმოსავლეთში და რომის პაპი შესარულელებდა შუამავლისა და არბიტრის როლს ირან-საქართველოს უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობაში.

XVII საუკუნის დამლევს სწორედ რომის პაპს, როგორც დასავლეთის ხელმწიფეთა მოძღვარს, როგორც დასავლური სამყაროს სიმბოლოს, მიმართავდნენ შორეული საქართველოდან: „ჩვენ ვართ ერნი შენი და ცხოვარნი სამწყსოსა შენისანი. დაკარგულნი მოგვიძიენ, მოგვიტაცენ პირისაგან მგელთასა. ნუ გავგვირავ და გამოგვიხსენ“.

ჰოვა — ეს არის ჰოვა!

გია დანელიას ფილმი „არ იდარდო“ საბჭოთა კინემატოგრაფიის მინისტრის რატომღაც არ მოეწონა. ეს სადაური კომედიაა, როცა ზედიზედ ყველა გმირი კვდება. „მოსფილმის“ დირექტორი ამაოდ უხსნიდა, რომ ეს სუფთა კომედია როდი იყო, არამედ — ტრაგიკომედია. მინისტრი ჯიუტად ლამობდა ფილმის აკრძალვას. „მაშინ „მოსფილმის“ დირექტორმა დანელიას ურჩია, რომ „არ იდარდო“ ეჩვენებინა სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატ ვასილი პავლოვიჩ მჟავანაძისათვის — ისიც ხომ ქართველია და გამოგექომაგებო.

დატრიალდა ჩვეულებრივი ქართული კარუსელი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად იდეოლოგიის დარგში იღვწოდა ამხ. დევი სტურუა, უმცროსი ძმა მელორისა, ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტისა, რომელიც იყო ხრუშჩოვის სიძის, არანაკლებ ცნობილი რედაქტორის — ალექსეი აჯუბეის გადაბმული ძმაცაცი და, იმავდროულად, გია დანელიას ძმაცაციც.

ჰოდა, ამხ. მჟავანაძემდე ფილმი უჩვენეს ამხ. სტურუას. მას მოეწონა და გადაწყვიტა ეჩვენებინა ცეკას ბიუროს წევრებისათვის — ვასილი პავლოვიჩის თამაობით. თქვა და შეასრულა.

ჩვენება რომ დამთავრდა, ამხ. მჟავანაძემ დამსწრეებს სთხოვა აზრის გამოთქმა.

ჩემი აზრით, ურიგო ფილმი არ არისო, — მოკრძალებით განაცხადა ამხ. სტურუამ.

— არ გეთანხმებით, — კატეგორიულად ბრძანა რუსმა გენერალ-პოლკოვნიკმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა, — ფილმი ურიგო კი არა, მშვენიერია!

ამხ. მჟავანაძემ წარმატება მიულოცა გიას და უხმოდ სთხოვა დასტური ცეკას მეორე მდივანს (როგორც ცნობილია, საბჭოეთის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ცეკას მეორე მდივანი უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო). ცეკას მეორე მდივანმა უხმოდ დაუქნია თავი ცეკას პირველ მდივანს.

ასე გადაურჩა აკრძალვას „არ იდარდო“.

ტყუილად როდი წერდა გალაკტიონი, ჩვენ ერთმანეთის გატანა ვიცითო.

გია დანელია, გადაუდებელ საქმეთა გამო, მეორე დღესვე უნდა გაფრენილიყო მოსკოვს, მაგრამ ავიასალაროში გადაჭრით უთხრეს, ბილეთები არა გვაქვსო. მაშინ გიამ დახმარება სთხოვა თავის ღვიძლ დეიდას, რომელსაც ერქვა ვერიკო ანჯაფარიძე. სახელოვანმა ქართველმა მსახიობმა მაშინვე დაურეკა ავიაციის მინისტრს, ხოლო ავიაციის მინისტრმა ბრძანა, მსოფლიოში ყველაზე უდიდესი მსახიობის დისწულისათვის ბილეთები ყოველთვის გვაქვსო, მაგრამ გაიკითხ-გამოიკითხა და ათი წუთის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე უდიდეს მსახიობს გულწრფელად მოუბოდიშა, დღეს რაღაც განსაკუთრებული დღეა და ბილეთები მართლაც აღარ გვქონიაო; ხვალ, ნებისმიერ რეისზე ინებეთო. ვერიკო ცივად დუმდა და მინისტრმა მისი გულის მოღობა ღაღის ლექსითა სცადა: ირხევა შენი ღამაში ტანი და განა ძალმძის არ გითვალთვალო, საქართველოს მზით სახედამწვარო ანჯაფარიძის ზვიადო ქალო!



გია დანელია

მაშინ გიამ ისევ ამხ. სტურუა შეაწუხა.

ცეკას მდივანმა იდეოლოგიის დარგში ამაყად წარმოთქვა, თვითმფრინავის პრობლემა ჩვენთვის პრობლემა არ არისო. გიამ მოახსენა, ვერიკო მინისტრს ელაპარაკა და...

ცეკას მდივანმა ჩაიცინა: მინისტრი — ესაა მინისტრი, ცეკა კი — ესაა ცეკაო.

თქვენ წარმოიდგინეთ, ცეკასაც უარი სტკიცეს! იმედგაცრუებული დანელია დარდის გასაქარებლად რესტორანში წასულა, გზად ლალიძის წყლებში შეუვლია, სადაც შემოეყარა ვოვა მარტინოვი, რომელსაც ასე გვაცნობს:

„სვოი ბიჭი და ქალაქის კოლორიტი“, თბილისში ყველა იცნობდა და თვითონაც ყველას იცნობდაო.

გაქართველებულ ვოვას გარუსებული გიასთვის ქართულად უთქვამს: ჩემო კარგო გიიჩკა, რაზედ მოგიწყენია? ანწყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!

თურმე მხოლოდ და მხოლოდ ქართულად ელაპარაკებოდა ქართული ჩამოსხმის მოსკოველ რეჟისორს — ქართულში პრაქტიკა გჭირდებაო.

გიამ ამცნო ვოვას თავისი გასაჭირი.

— კაი რა, მე მეგონა, მართლა რაღაც გეჭირდა. წავიდეთ და ავილოთ ეგ ოხერი ბილეთი!

— დღევანდელ რეისზე ბილეთები არა აქვთ.

— ჩვენთვის, ჩემო გია, ბილეთები ექნებათ, წავიდეთ!

ავიასალაროთა დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. მოლარის სარკმელთან მისვლა ბერლინის ალბას უდრიდა.

ვოვამ კეპკა ჩაბლუჯა ხელში და მალა ასნია, მეერ ფეხის წვერებზე დადგა და ხმამალა დაიძახა:

— ნანა, ვოვა ვარ! აქეთ მოიხედე! ჩემს კეპკას ხედავ?

— ვხედავ ვოვა, ვხედავ! მითხარი, რა გინდა.

დანელიას სიტყვით, იმხანად თბილისში ორ კაცს ეხურა თავზე ჯინსის კეპკა: ერთი — დათო ყიფიანს და მეორე — ვოვა მარტინოვს.

— ერთი ბილეთი მინდა მოსკოვში, ორის თხუთმეტზე! — გასძახა ნანას ვოვამ.

— პასპორტი მოიტა!

ვოვამ გამოართვა პასპორტი გიას და გადაანოდა.

— მოიცა, მოიცა, ფული? აილე ფული! — ალელდა გია.

ვოვამ არ გამოართვა ფული, მაგრამ გია რომ ჩააცივდა, სიბრაღულით შეხედა და ჩაილაპარაკა, შენ მთლად გარუსებული ხარო.

გია დანელიამ მიუსწრო თვითმფრინავს, კმაყოფილი და ბედნიერი იყო, იფიქრებდი, კანში ოქროს პალმის რტო მოიხეჭაო. მთელი გზა მოსკოვამდე თავისთვის ბუტბუტებდა (ლამის მთელი თვითმფრინავის გასაგონად!): „მინისტრი — ესაა მინისტრი, ცეკა — ესაა ცეკა, ხოლო ვოვა — ეს არის ვოვა!“

დაუჯერებელი ამბავია? თუკი გია დანელიასი არა გჯერათ, თავად ვოვა მარტინოვს ჰკითხეთ — მართალია თუ ტყუილი.